

ტარიელ ფუტკარაძე ია ვაშაკიძე

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის
ქართული უნივერსიტეტის ქართველოლოგიის ცენტრი

ქართველოლოგიის ორგვარი დაგეგმვა 1917-1935 წლებში



Two Types of Planning of Kartvelology in 1917-1935

Tbilisi
2011
0

ტარიელ ფუტკარაძე ია ვაშაკიძე

ქართველოლოგიის ორგვარი დაგეგმვა 1917-1935 წლებში

ივანე ჯავახიშვილისა და ნიკო მარის
პოზიციათა შეპირისპირებითი ანალიზი

თბილისი
2011
1

Kartvelology Centre
of Saint Andrew the First-Called Georgian University
of the Patriarchate of Georgia

Tariel Putkaradze, Ia Vashakidze

Two Types of Planning of Kartvelology in 1917-1935

Comparative Analysis of Positions of Ivane
Javakhishvili and Nicholas Marr

Tbilisi
2011

პეტერბურგსა და თბილისში მოძიებული ნაკლებად ცნობილი წერილებისა და სხვა საარქივო მასალების საფუძველზე ნაშრომში გაანალიზებულია დიდი მეცნიერების - **ივანე ჯავახიშვილისა და ნიკო მარის** - რადიკალურად განსხვავებული პოზიციები ქართული უნივერსიტეტის, ზოგადად, ქართული მეცნიერების დაგეგმვისა და პერსპექტივის შესახებ. აქვე იბეჭდება **დოკუმენტური მასალაც**, რომელიც ნათლად წარმოაჩენს პირველი ქართულენოვანი უნივერსიტეტისადმი პოლიტიკური აგრესიის ნამდვილ მიზეზს.

ნიკო მარისა და ივ. ჯავახიშვილის დისკუსია დღესაც აქტუალურია, რამდენადაც XXI საუკუნის დასაწყისის საქართველოშიც გარკვეული ძალები ნ. მარის მეთოდებით /მაგ., "ნაციონალიზმის" ბრალდებით/ ცდილობენ, დააბრკოლონ ქართულენოვანი განათლება, ქართველოლოგიის განვითარება, ზოგადად, ქართულენოვანი მეცნიერება. ამ ფონზე საინტერესოა ივ. ჯავახიშვილის დღემდე გამოუქვეყნებელი წერილი, რომელიც აკადემიურად პასუხობს ნ. მარის ბრალდებებს.

ნაშრომი გარკვეულ სამსახურს გაუწევს ქართველოლოგიის ისტორიით დაინტერესებულ სპეციალისტებსა და სტუდენტებს; გარდა ამისა, რამდენადაც, საბჭოთა პერიოდის კონიუნქტურის გამო, ნ. მარისა და ივ. ჯავახიშვილის წერილების სრული ვერსიები ფართო საზოგადოებისთვის ნაკლებადაა ცნობილი, ამ დოკუმენტური მასალის გამოქვეყნებითა და ანალიზით, მკითხველს საშუალება ეძლევა, თვალი გაადევნოს რუსეთის იმპერიაში მეცნიერული ქართველოლოგიის განვითარების რთულ და წინააღმდეგობრივ გზას.

რედაქტორი
მერაბ ნაჭყებია

რეცენზენტები:
კახა კვაშილავა, რევაზ შეროზია

© ტ. ფუტყარაძე, ი. ვაშაკიძე

The present study, on the basis of old letters and other archival materials obtained in St. Petersburg and Tbilisi, analyses radically different positions of great scholars Ivane Javakhishvili and Nicholas Marr regarding the Georgian University, and in general, the planning and prospects of Georgian science. The study demonstrates the real cause of the political aggression towards a Georgian-language University.

The study is also urgent due to the fact that the viewpoints of Iv. Javakhishvili and N. Marr should be analyzed in the context of discussions linked with the Georgian-language education, Georgian-language science and development of Kartveology in Georgia of the turn of the 21st c.

The study will be useful for specialists interested in the history of Kartvelology and the literary Georgian language, the problems of education in annexed Georgia as well as for students. Along with this, interesting documentary material is offered to readers in the Georgian language, which will enable them to trace the difficult and contradictory path of the development of scholarly Kartvelology in the Russian Empire.

Editor

Prof. Dr. Merab Nachkebia

Peviewers:

Prof. Dr. Kakha Kvashilava, Prof. Dr. Revaz Sherozia

**შინაარსი
Table of Contents**

წინასიტყვაობა11
 Prefece11

შესავალი13
 Introduction13

I თავი17
**ქართული უნივერსიტეტი - ეროვნულ და ანტიეროვნულ ძალთა
 დაპირისპირების მთავარი თემა17**
 Chapter I: The Georgian University – the main topic of opposition of national and
 anti-national powers17

1.1. ნ. მარი ქართული უნივერსიტეტის წინააღმდეგ 17
 N. Marr against the Georgian University.....17

1.2. ივ. ჯავახიშვილის პოზიცია ქართული უნივერსიტეტის დაარსებიდან
 ოთხი წლის შემდეგ 24
 Iv. Javakhishvili’s position after four years from the foundation of the Georgian
 University.....24

1.3. ნ. მარისა და ივ. ჯავახიშვილის პირადი მიმოწერა ქართულ
 უნივერსიტეტთან დაკავშირებით 31
 Private correspondence of N.Marr and Iv. Javakhishvili in connection with the
 Georgian University.....31

პირველ თავში გაანალიზებული დოკუმენტური მასალა	33
Documentary materials analyzed in Chapter I	33
ა) Н. И. МАРР, О КАВКАЗСКОМ У ИВЕРСИТЕТЕ В ТИФЛИСЕ.....	33
ნიკო მარი, თბილისში კავკასიის უნივერსიტეტის შესახებ /ქართული თარგმანი/	55
N.Y. Marr, On the Caucasian University in Tbilisi	33-85
ბ) ივ. ჯავახიშვილის მოხსენება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების ოთხი წლის თავთან დაკავშირებით წარმოშობისა და დაარსების მოკლე ისტორიით.....	88
Presentation of Iv. Javakhishvili on occasion of the 4th anniversary of the foundation of Tbilisi State University /with a brief history of the origin and foundation/.....	88
II თავი.....	130
რუსეთის საცავებში არსებული ქართული ხელნაწერებისა და სიძველეების საქართველოსთვის გადმოცემა.....	130
Chapter II: Transfer to Georgia of Georgian Manuscripts and Antiquities Preserved in Treasuries of Russia	130
2.1. საკითხის ისტორიისთვის.....	130
On the history of the question	130
2.2. ნიკო მარი ქართული ხელნაწერების თბილისის უნივერსიტეტისათვის გადმოცემის წინააღმდეგ. ნ. მარის საპროტესტო წერილის შემდეგ განვითარებული მოვლენები	135
Nicholas Marr against the transfer of Georgian manuscripts to Tbilisi University. Developments following N. Marr’s letter of protest	135
2.3. უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს გადაწყვეტილება	141
Decision of the Council of Professors of the University.....	141

მეორე თავში გაანალიზებული დოკუმენტური მასალა.....	143
Documentary materials analyzed in Chapter II	143
ა) ნიკო მარის 1923 წლის 26 მარტის საპროტესტო წერილი ქართული ხელნაწერების თბილისის უნივერსიტეტისათვის გადაცემის წინააღმდეგ	143
N. Marr’s letter of protest of March 26, 1923 against the transfer of Georgian manuscripts to Tbilisi University.....	143
ბ) პროფ. ა. შანიძის 1923 წლის 24 მარტის განცხადება	146
Prof. A. Shanidze’s announcement of March 24, 1923.....	146
გ) პროფ. ა. შანიძის 1923 წლის 27 აპრილის განცხადება	146
Prof. A. Shanidze’s announcement of April 27, 1923	146
დ) ა. შანიძის მიერ აღძრული შუამდგომლობა სამეცნიერო აკადემიის წინაშე.....	147
A. Shanidze’s mediation before the Academy of Sciences.....	147
ე) რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის პასუხი	148
Answer of the Academy of Sciences of Russia	14
ვ) რუსეთის ფედერაციულ რესპუბლიკაში „აკადემიური საქმეების განხრით“ საქართველოს წარმომადგენლის - დ. ჯგუშიას 1923 წლის 17 ოქტომბრის ტელეგრამა თბილისის უნივერსიტეტის რექტორის სახელზე	150
The telegraph of D. Jgushia, representative of Georgia in the Russian Federation Republic in the "field of academic affairs", to the rector of Tbilisi State University, October 17, 1923.....	150

III თავი.....	152
მცხეთასა და ნაქალაქევეში ამერიკელ არქეოლოგთა არშემდგარი ექსპედიცია	152
Chapter III: An Unrealized Expedition of American archeologists to Mtskheta and Nakalakevi	152
3.1. საკითხის ისტორიისათვის	152
On the history of the question	152
3.2. ნ. მარი ამერიკელ არქეოლოგთა წინააღმდეგ. ნ. მარის მხარდამჭერი პოლიტიზებული პუბლიკაცია	156
N. Marr against American archaeologists. A politicized publication supporting N. Marr	156
3.3. ივ. ჯავახიშვილის მოქალაქეობრივი გამბედაობა 1924 წელს	160
Civil courage of Iv. Javakhishvili /1924/	160
მესამე თავში გაანალიზებული დოკუმენტური მასალა	162
Documentary material analyzed in Chapter III	162
ა) ზ. ავალიშვილის წერილები ივ. ჯავახიშვილისადმი ამერიკელებთან მოლაპარაკების შესახებ საქართველოში არქეოლოგიური გათხრების წარმოებასთან დაკავშირებით:.....	162
Z. Avalishvili's letters to Iv. Javakhishvili concerning negotiation with the Americans on conducting archeological excavations.....	162
ბ) მეცნიერებათა აკადემიის მატერიალური კულტურის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორის პროტესტი მცხეთასა და ნაქალაქევეში ამერიკელ მეცნიერთა არქეოლოგიური ექსპედიციის წინააღმდეგ	166
Protest of the Director of the Institute of Material Culture of the Academy of Sciences against the archeological expedition of American scientists to Mtskheta and Nakalakevi.....	166

გ) „ჩვენის“ ფსევდონიმით დაბეჭდილი წერილი ქართველ მეცნიერთა წინააღმდეგ.....	168
Article published with the pseudonym Chveni against Georgian scientists (newspaper Komunisti, July 2, 1924).....	168
დ) ივანე ჯავახიშვილის გამოხმაურება „ჩვენის“ სტატიაზე ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელით,	172
Iv. Javakhishvili's response on behalf of Tbilisi State University to the article of "Chveni", 1924.....	172
IV თავი: ანტისაუნივერსიტეტო კამპანიის პრაქტიკული შედეგები	178
Chapter IV: Practical results of the anti-Georgian and anti-University campaign.....	178
4.1. უნივერსიტეტის დაშლა	178
Dissolution of the University.....	178
4.2. ივანე ჯავახიშვილის განკვეთა	180
Dismissal of Iv. Javakhishvili.....	180
4.3. ნიკო მარი - სამაგალითო საბჭოთა მეცნიერი	183
Nicholas Marr - an exemplary Soviet scholar.....	183
ძირითადი დასკვნები	186
Summary	190
დამოწმებული ლიტერატურა - Bibliography and Sources.....	194
პირთა საძიებელი - Personal index	197
საგნობრივი საძიებელი - Subject index.	199

წინასიტყვაობა

ნ. მარი ქართულ ენას საინტერესო საკვლევ საგნად მიიჩნევს, მაგრამ მისთვის მიუღებელია ქართული ენა, როგორც მეცნიერებისა და განათლების ენა.

N. Marr considers the Georgian language as an interesting object of study, but Georgian as a language of science and education is unacceptable for him.

T. Putkaradze, I. Vashakidze

ივანე ჯავახიშვილი აგრძელებს დიდ წინაპართა გზას და ცდილობს, ააღორძინოს ქართული ენის მრავალ-საუკუნოვანი საგანმანათლებლო და სამეცნიერო ტრადიცია.

Ivane Javakhishvili continues the path of his great ancestors and tries to revive the centuries-old educational and scientific tradition of the Georgian language.

T. Putkaradze, I. Vashakidze

ქართველოლოგიის, ზოგადად, ქართულენოვანი მეცნიერებისა და განათლების ისტორია არაერთგზის გამხდარა სპეციალისტთა კვლევის საგანი. განსაკუთრებულ ინტერესს განაპირობებს ის, რომ მეცნიერებისა და განათლების დაგეგმვაში უშუალოდ აისახება სახელმწიფოს შენებისა და ეროვნული თვითმყოფადობისათვის ბრძოლის ტენდენციები.

1917 წლიდან განვითარებულმა მოვლენებმა, კერძოდ, მეფის რუსეთის პოლიტიკური სისტემის ნგრევამ საქართველოში ხელი შეუწყო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გაძლიერებას. დაჩქარდა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისაკენ მიმართული პროცესები. მოწინავე ქართველი საზოგადოების წინაშე ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანად დაისახა უმაღლესი ეროვნული სკოლის - უნივერსიტეტის - დაარსება.

ეს საპასუხისმგებლო საქმე იტვირთა ივანე ჯავახიშვილმა - ქართული ისტორიოგრაფიული სკოლის ფუძემდებელმა, რომელიც სამართლიანად ითვლება XIX საუკუნის II ნახევრიდან განვითარებული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა და 60-იანელთა იდეური წინამძღოლის ილია ჭავჭავაძის გზის გამგრძელებლად. ივ. ჯავახიშვილის თაოსნობით წარმატებით განხორციელდა ქართველი საზოგადოების დიდი ხნის ჩანაფიქრი.

თბილისის უნივერსიტეტის დაარსებამ გამოააშკარავა პროიმპერიული ძალებიც, რომელთაც ხელს არ აძლევდა მეცნიერული ქართველოლოგიის, ზოგადად, ქართულენოვანი მეცნიერების განვითარება, ამიტომ აქტიურად დაუპირისპირდნენ ქართული უნივერსიტეტის იდეას. ანტიქართული გამოსვლების მოთავედ წარმოჩნდა რუსეთის მეცნიერებათა აკადემია, კერძოდ, მისი წარმომადგენელი, წარმოშობით ქართველი მეცნიერი - ნიკო მარი.

თავისი დროის ორი დიდი მეცნიერის - ნიკო მარისა და ივანე ჯავახიშვილის - რადიკალურად განსხვავებული შეხედულებები გამოვლინდა ქართულ მეცნიერებასთან დაკავშირებული ისეთი აქტუალური საკითხების განხილვისას, როგორც იყო: 1. საკუთრივ,

ქართული უნივერსიტეტის დაარსება; 2. რუსეთის საცავებში არსებული ქართული ხელნაწერებისა და სიძველეების საქართველოსთვის გადმოცემა და 3. ამერიკელ არქეოლოგთა ექსპედიცია მცხეთასა და ნაქალაქევი. მათმა დაპირისპირებამ ცხადი გახადა რუსეთის იმპერიული ძალებისა და ეროვნული ტენდენციების მატარებელი ქართული მეცნიერების ურთიერთშეუთავსებლობა.

ნ. მარმა თავისი ოფიციალური გამოსვლებით /იხ. ჩვენს ნაშრომს დართული დოკუმენტური მასალა/ დიდი დაბრკოლება შეუქმნა ქართული მეცნიერული აზრის განვითარებას: **მან წმინდა მეცნიერული საკითხები პოლიტიკური დაპირისპირების თემად აქცია** და ამით ნიადაგი მოამზადა ქართველი მეცნიერების წინააღმდეგ მიმართული ბოლშევიკური რეპრესიებისათვის; კერძოდ, ანტისაუნივერსიტეტო კამპანიის ორგანიზატორებმა, გამოიყენეს რა ნ. მარის ავტორიტეტი, თანდათან გააფართოვეს ბრძოლა ქართული მეცნიერების წინააღმდეგ, რასაც შედეგად მოჰყვა ივანე ჯავახიშვილის რექტორობიდან გადაყენება და უნივერსიტეტის დაშლა.

ივ. ჯავახიშვილმა აკად. ნ. მარი ამხილა, როგორც იმპერიის იდეოლოგი მეცნიერი¹. ნ. მარის მკაცრი კრიტიკის დროს ის წერდა: **"დაე, მომავალმა ისტორიკოსმა პირუთვნელად განსაჯოს** და ღირსეული მსჯავრი დასდოს..."

საბჭოთა პერიოდის კონიუნქტურის გამო, ნ. მარისა და ივ. ჯავახიშვილის წერილების სრული ვერსიები ფართო საზოგადოებისთვის ნაკლებადაა ცნობილი. ამ დოკუმენტური მასალის გამოქვეყნებითა და ანალიზით, ვფიქრობთ, გაიოლდება როგორც წარსულის ობიექტური გააზრება და **"ღირსეული მსჯავრის დადება"**, ასევე - აწმყოში მიმდინარე მოვლენების რეალური არსის გაცნობიერება და სწორი სამომავლო ორიენტირების განსაზღვრა (სამწუხაროდ, საუკუნის შემდეგაც საფრთხეები იგივე რჩება).

¹ ამ კუთხით განსაკუთრებით მწვავე იყო მათი დაპირისპირება ქართველური ენობრივი სამყაროს კვალიფიკაციის საკითხში /იხ., მაგ., ივ. ჯავახიშვილი, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, თბ., 1992, გვ. 53-54/.

შესავალი

ივ. ჯავახიშვილი: "მგონია, ცხოვრებამ საკმაოდ გამოარკვია, ვინ გამოდგა უნიადაგო თეორეტიკოსად და კავკასიისა და საქართველოს პირობების უცოდინარად, რასაკვირველია, თუ **უხემ სამხედრო ძალას თავის** გაცრუებული იმედებისა და მართლაც რომ გეგმების განმამტკიცებელ და **გამამხნეველ გარემოებად არ მიიჩნევს**".

1801-1839 წლებში რუსეთის იმპერიამ ქართულ სამეფო-სამთავროებთან დადებული შეთანხმებების დარღვევითა და სამხედრო ძალის გამოყენებით განახორციელა საქართველოს ანექსია /"მოყვრად მოსული მტერი"/. 1940 წელს, მეფისნაცვლის ინსტიტუტის შემოღებით, იმპერიამ საქართველოში დაამყარა სამოქალაქო მმართველობა. ამის შემდეგ, ქართველი ერის კულტურული მემკვიდრეობის დაკნინებისა და ენობრივ-ეთნიკური ერთიანობის დანაწევრების მიზნით /"გათიშე და იბატონე"/, იმპერიის მესვეურებმა დაიწყეს მეცნიერებისა და განათლების სისტემის პოლიტიზება, კერძოდ, ცდილობდნენ, გაყალბებულად წარმოედგინათ საქართველოს ძველი თუ უახლესი ისტორია, **დაეკნინებინათ ქართული ენის ისტორიული ფუნქცია საქართველოში**, ზოგადად, **კავკასიაში**, დაემტკიცებინათ ქართული ენის ტერმინოლოგიური სიღარიბე და ქართული ეროვნული მეცნიერების უპერსპექტივობა. პარალელურად, ისინი ქმნიდნენ რუსულენოვან სკოლებს და ეკლესიიდანაც დევნიდნენ მრავალსაუკუნოვან ქართულ ენას.

იმპერიული პოლიტიკის საპირისპიროდ, ილია ჭავჭავაძის თაობამ აქტიურად დაიწყო ბრძოლა ქართველთა ეროვნული ღირსებისა და ქართული ენის უფლებების აღდგენისათვის. აქ მოკლედ მივუთითებთ რამდენიმე ასპექტს 60-იანელთა იდეური ხელმძღვანელის /ჩვენთვის წმიდა ილია მართლის/ მოღვაწეობიდან: - ილიასეული პერიოდული გამოცემები: „საქართველოს მოამბე“ (1863) და „ივერია“ (1877), მიუხედავად უმკაცრესი ცენზურული პირობებისა, იქცა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მძლავრ დასაყრდენად;

- ქართული პედაგოგიკის ფუნდამენტური დებულების გათვალისწინებით, ილია ჭავჭავაძემ განავითარა არგუმენტირებული მსჯელობა **მოზარდის დედაენაზე განათლების აუცილებლობის შესახებ**; თანამოაზრეების გარშემოკრების შემდეგ აქტიურად დაუპირისპირდა საიმპერიო ძალებს, რომელთაც სურდათ, ქართული ენა, როგორც დედაენა, გაეუცხოებინათ სხვადასხვა კუთხის ქართველებისათვის: მეგრელებისთვის, სვანებისთვის, ლაზებისთვის, აჭარლებისთვის, მესხებისთვის, ხევსურებისთვის, ინგილოებისთვის და სხვ.²; პარალელურად, ფართომასშტაბიანი კამპანია გააჩაღა ქართველთა დედაენის ისტორიული როლისა და უფლებების აღსადგენად, ქართული სამეცნიერო ენის ასაღორძინებლად³;

- ილია ჭავჭავაძემ დააარსა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“ (1879), რომლის მიზანსაც წარმოადგენდა მოსახლეობაში ქართული განათლების დანერგვა;

- ილია ჭავჭავაძემ თავის პუბლიცისტურ წერილებში, მეცნიერების სხვადასხვა სფეროს ამსახველი საკითხების განხილვისას, დაამუშავა მრავალდარგოვანი სპეციალური ლექსიკა და ტერმინოლოგიური სიტყვაწარმოების მეთოდოლოგია, რითაც მყარი საფუძველი შექმნა ეროვნული მეცნიერების შემდგომი განვითარებისათვის;

- არანაკლებ საყურადღებოა ი. ჭავჭავაძის მოღვაწეობა საქართველოში „პროფესიული და უმაღლესი განათლების ორგანიზაციისა და ქალთა უმაღლესი განათლების განხორციელების საქმეში“ ;

- ილიას აქტიური მონაწილეობით დაარსებული სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის (1875) შემოსავლების საფუძველზე შეიქმნა მნიშვნელოვანი მატერიალური ბაზა ქართული უნივერსიტეტის დასაარსებლად...

² ფსევდოლიბერალური იდეებით შეპყრობილი გარკვეული პირები დღესაც ცდილობენ, უარყონ ქართული ენის საგანმანათლებლო, სამეცნიერო და ტერმინოლოგიური პოტენცია და საქართველოში გააბატონონ უცხო ენა.

³ საბედნიეროდ, თანამედროვე ქართული საზოგადოების დიდი ნაწილისთვის **დედაენობრივი კულტურა** მეობის /იდენტობის/ ერთ-ერთი უმთავრესი განმსაზღვრელია, შესაბამისად, დღეს ბევრისთვის აქტუალურია თანამედროვეობის შესაბამისი ქართულენოვანი ტერმინოლოგიის შექმნა.

XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე კიდევ უფრო გაფართოვდა ეროვნული საგანმანათლებლო მუშაობა, რამდენადაც მასში ჩაერთვნენ ახალი ქართული ინტელიგენციის წარმომადგენლები. გააქტიურდა ზრუნვა უმაღლესი განათლების ცენტრის შესაქმნელად და ქართულენოვანი სასკოლო სწავლების გასაფართოებლად. **ინტენსიურად მუშავდებოდა ქართულენოვანი ტერმინოლოგიაც.** მაგ., XIX საუკუნის 90-იან წლებში ოდესის უნივერსიტეტში მოღვაწე პირველი ქართველი მეცნიერი ქიმიკოსი - ვასილ პეტრიაშვილი მშობლიურ ენაზე ქმნიდა ორიგინალურ გამოკვლევებს და ჟურნალ „მოამბის“ გამომცემლებს მითითებებს აძლევდა თავის ახალ ტერმინებთან დაკავშირებით (ვაშაკიძე 2009, 144). ამავე პერიოდის პრესაში ხშირად იბეჭდებოდა წერილები უცხოური სამეცნიერო ლიტერატურიდან თარგმნის საკითხებზე და აქტიურად მსჯელობდნენ ქართულენოვანი ტერმინოლოგიის შემუშავების აუცილებლობაზე⁴.

საინტერესოა იმის აღნიშვნაც, რომ ქართული ენის სამეცნიერო დანიშნულებით გააქტიურებამ თავისი მოღვაწეობის ადრეულ ეტაპზე პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორი ნიკო მარიც დააინტერესა; მაგ., ი. ვოსტორგოვის ანტიქართული გამოსვლის საპასუხოდ 1905 წელს დაწერილი ნაშრომის ქართულად მთარგმნელ კირილე ლორთქიფანიძეს იგი სწერდა: **„რასაკვირველია, ქართულ ენაზე შეუჩვეველი ვართ მეცნიერული ბაასის გაწყობას, მაგრამ თქვენი თარგმანიდან სჩანს, რომ არც ისე მწელია ძველებურად ქართული ენის სამეცნიერო იარაღად გადაჭახრაკება“** (მარი 79, 1).

1917 წლის თებერვალ-მარტიდან განვითარებულმა პოლიტიკურმა მოვლენებმა, კერძოდ, რევოლუციის გზით რუსეთის იმპერიის ნგრევამ დააჩქარა საქართველოში მიმდინარე ეროვნულ-განმათავისუფლებელი პროცესები.

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ (1917 წ. 12 მარტი) ეროვნულ მოღვაწეთათვის თითქმის თანაბრად აქტუალური გახდა, ერთი მხრივ, ქვეყნის „ტერიტორიულ-ნაციონალური ავტონომიის“, მეორე მხრივ, უმაღლესი ქართული განათლებისა და მეცნიერების ცენტრის შექმნის საკითხი. ამ უკანასკნელთან კავშირში ასევე გააქტიურდა მსჯელობა რუსული განათლების კურსის აღმოფხვრასა და მისგან პრინციპულად

⁴ დღესაც საშურია ამ ტენდენციის აღორძინება.

განსხვავებული „ევროპული მიმართულების“ დანერგვაზე ქართული განათლების სისტემაში (ჯავახიშვილი 1843).

1918 წლის 8 თებერვალს რეალობად იქცა ივ. ჯავახიშვილისა და მოწინავე ქართული საზოგადოების ჩანაფიქრი - დაარსდა ქართული უნივერსიტეტი. **ქართული უნივერსიტეტის უპირველეს მიზნად დაისახა მეცნიერული ქართველოლოგიის განვითარება.**

ქართული საგანმანათლებლო და სამეცნიერო კერის ამოქმედებას თავიდანვე წინ აღუდგა რუსეთის იმპერიის პოლიტიკური და სამეცნიერო ელიტა. **ანტიქართული გამოსვლების ცენტრად წარმოჩნდა რუსეთის მეცნიერებათა აკადემია;** მაგ., შალვა ნუცუბიძის მოგონებიდან ჩანს, რომ აკადემიის წევრები „ტრადიციულად“ შემუშავებული მეთოდებით განაგრძობდნენ ქართველ მეცნიერთა დარწმუნებას, ხელი აეღოთ „იმ უიმედო საქმის დაწყებაზე, რომელსაც საქართველოს უნივერსიტეტი ეწოდებოდა“, რომ თითქოსდა, ქართულ ენას "არ ჰქონდა არც მეცნიერული ტერმინოლოგია, არც მეცნიერული ტრადიცია, ყველა ამის შექმნა არათუ ძნელი, უიმედო საქმე იყო“ (ჯორბენაძე 1984, 210).

სინამდვილეში, იმპერიის მესვეურნი ობიექტურად აფასებდნენ ქართული უნივერსიტეტის, როგორც არა მხოლოდ მეცნიერებისა და განათლების ცენტრის, არამედ, **ქართველთა დედაენისა თუ კულტურის გადამრჩენის,** ზოგადად, ქართველთა ერთიანობის გადამრჩენი ფენომენის მნიშვნელობას. სწორედ ამიტომ მათ 1917 წლის სექტემბერ-ოქტომბერში პეტროგრადში გამართულ უმაღლეს სასწავლებელთა რეფორმების კომისიის სხდომებზე ოფიციალურად შეიმუშავეს **უარყოფითი დასკვნა ქართული უნივერსიტეტის დაარსების მიზანშეწონილობის შესახებ.**

კომისიის გადაწყვეტილებაზე არსებითი გავლენა იქონია პეტროგრადის უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის დეკანის, აკადემიკოს ნ. მარის მოხსენებამ, რომელიც ერთი წლის შემდეგ სათაურით: „О Кавказском Университете в Тифлисе“ დაიბეჭდა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის მოამბეში (მარი 1918)⁵.

I თავი

ქართული უნივერსიტეტი - ეროვნულ და ანტიეროვნულ ძალთა დაპირისპირების მთავარი თემა

1.1. ნ. მარი ქართული უნივერსიტეტის წინააღმდეგ

ნ. მარი ქართული უნივერსიტეტის საკითხს საიმპერიო /რუსული/ უნივერსიტეტის ინტერესების შესაბამისად განიხილავდა. შევეცდებით, წარმოვადგინოთ მისი მსჯელობის ძირითადი მიმართულებები.

ნ. მარის მოხსენების: „О Кавказском Университете в Тифлисе“ (მარი 1918, 1496-1516) პირველი ნაწილიდან ჩანს, მან ქართული უნივერსიტეტის დაარსების იდეა დაუკავშირა 1905-1906 წლების წარუმატებელი რევოლუციის შემდეგ განვითარებულ ქართულ საზოგადოებრივ მოძრაობას, რომელმაც მიიღო **„ავადმყოფური მწვავე ნაციონალისტური ხასიათი“** (მარი 1918, 1496). აღნიშნული მიმართულების გაძლიერების მიზეზებად მან დაასახელა:

ა) მეფის ხელისუფლების წარმომადგენელთა (გოლიცინი, ვორონცოვ-დაშკოვი...) პოლიტიკა, რომელსაც შედეგად მოჰყვა (ქართველ-სომეხთა ურთიერთობის მაგალითზე) კავკასიის ხალხებს შორის ნაციონალური დაპირისპირების გამწვავება;

ბ) მსოფლიო ომი, რომელმაც მძიმე დარტყმა მიაყენა ინტერნაციონალურ სოციალ-დემოკრატებს.

ნაციონალური ნაკადის გაძლიერებამ, ნ. მარის დაკვირვებით, გამოიწვია, ერთი მხრივ - სტუდენტთა მომრავლება აღმოსავლური ენების ფაკულტეტის სომხურ-ქართულ განყოფილებაზე პეტროგრადის უნივერსიტეტში, მეორე მხრივ - კავკასიის ყველა საშუალო სასწავლო დაწესებულების ნაციონალიზაცია.

ნ. მარის მტკიცებით, თითქოსდა, ამავე პერიოდში (1906) ქართული ეროვნული ძალების წარმომადგენლებმა თხოვნით

⁵ აღნიშნული ნომერი გვიან გამოვიდა, რასაც მოწმობს ნ. მარის 1920 წლის 28 ნოემბრის წერილი ივ. ჯავახიშვილისადმი.

მიმართეს მას, შეედგინა ქართული მეცნიერებათა აკადემიის წესდება, რომელიც უნიადაგო აღმოჩნდა⁶.

მოხსენების მეორე ნაწილში ნ. მარი ისე წარმოადგენს ვითარებას, რომ, თითქოს, კავკასიაში რუსული საიმპერიო ინტერესების დამცველი უმაღლესი სკოლის არარსებობის გამო გააქტიურდა საქართველოში ნაციონალური უნივერსიტეტის დაარსების საკითხი. ნ. მარის შენიშვნით, საკუთრივ იდეა და კონსტრუქცია ნაციონალური უნივერსიტეტისა თბილისში მოტანილი იყო მისი მოწაფეების მხრიდან, რომლებიც დასცილდნენ მას „არა მხოლოდ საქართველოს კულტურული ინტერესების გაგებაში, არამედ ჰუმანიტარული კავკასიათმცოდნეობის წმინდა სამეცნიერო ამოცანებშიც“ (მარი 1918, 1501-1502).

ნ. მარმა უარყოფითად შეაფასა ქართული უნივერსიტეტის ლექციების პროგრამა, ეჭვი შეიტანა მის ორიგინალობაში; კერძოდ, ქართველ მოწაფეებს დააბრალა პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლური ენების ფაკულტეტის პროგრამისა და პერსპექტიული გეგმის "გადაღება" გარკვეული დამახინჯებებით; მაგ., ნ. მარი დამახინჯებად თვლიდა ტერმინ "იაფეტურის" (გან)ღევენას და მის ნაცვლად "ქართულის" გამოყენებას (მარი 1918, 1502).

ნ. მარმა ასევე გააპროტესტა ამიერკავკასიის საგანგებო კომიტეტისაგან ქართული უნივერსიტეტის წესდების მხარდაჭერა, როგორც „საქართველოს მიერ ანგარიშის (პრეტენზიის) წაყენება ახალგაზრდა განახლებული რუსეთისადმი“. მისი მტკიცებით, ნაციონალურ მიმდინარეობას „თანამედროვე პირობებში არ ჰქონდა არავითარი რეალური გამართლება“ და „არავითარი საფუძველი“; რომ ეს მიმდინარეობა ეწინააღმდეგებოდა რუსეთის ინტერესებს.

ქართველ მოწაფეთაგან ნაციონალური უნივერსიტეტის დაარსების ფაქტი ნ. მარმა ახსნა, როგორც „განზრახული განხეთქილება“ აღმოსავლური ენების ფაკულტეტთან, მისგან

⁶ მოხსენების ამ ნაწილში, რომელიც თავისი არსით პრორუსული გეოპოლიტიკური ანალიზია, ნ. მარი ლანძღავს ქართულ ნაციონალიზმს, უარყოფით კონტექსტში იხსენიებს ილია ჭავჭავაძეს, აკაკი წერეთელს, კიტა აბაშიძეს... ეწინააღმდეგება საქართველოში არსებული გიმნაზიების ნაციონალიზაციასა და ქართულენოვან განათლებას.

„განდგომა“ და „დარტყმა მეცნიერულ კავკასიათმცოდნეობაზე“ (მარი 1918, 1504).

მოხსენების მესამე ნაწილში ნ. მარმა, ფაქტობრივად, გაამყდავანა ქართული ნაციონალური უნივერსიტეტისადმი პოლიტიკური აგრესიის ნამდვილი მიზეზი - უმაღლესი ქართული სკოლის გარშემო ეროვნულ ძალთა გაერთიანების „სამიშროება“; კერძოდ, ის წერს, რომ ქართული უნივერსიტეტის ამოცანები, პირველ რიგში, იქნება არა სამეცნიერო ხასიათისა, არამედ - ნაციონალური. ნ. მარის მოხსენების მესამე ნაწილიდან ჩანს, რომ მას განსაკუთრებით აღიზიანებდა მეცნიერული, ემპირიულ ფაქტებზე დაფუძნებული ქართველთმცოდნეობის /ქართველოლოგიის/ წინ წამოწევა.

აღსანიშნავია ისიც, რომ ნ. მარი კატეგორიულად უარყოფდა ქართული სამეცნიერო ენის როლს ქართველთმცოდნეობის განვითარებაში. ის აკრიტიკებდა „უკიდურეს ნაციონალისტებს“, რომელთაც სურდათ ქართულენოვანი განათლება და მეცნიერება; მეტიც, ნ. მარმა ქართულენოვანი მეცნიერება "თეორიულ უსუსურობად" მიიჩნია.

აქვე, ნ. მარმა უსაფუძვლო ბრალდება წაუყენა "ნაციონალისტებს" - ქართულენოვანი განათლებით დაინტერესებულ მოღვაწეებს, რომ თითქოსდა, მათი აზრით, "არაქართველებს არ შეეძლოთ ქართველთმცოდნეობით დაკავება". პარალელურად, ნ. მარმა წინ წამოსწია ევროპული და რუსული მეცნიერების დამსახურება და დააკნინა კავკასიელი კავკასიათმცოდნენი, რომლებიც, მისი დემაგოგიური განცხადებით, „მოცულნი იყვნენ თავიანთი ცხოვრებისეული პოლიტიკური პრობლემებით“ და თითქოს „ფსიქოლოგიურად არ შეეძლოთ დამდგარიყვნენ სრულ ობიექტურ სამეცნიერო თვალსაზრისზე თავიანთ სპეციალობებში“ (მარი 1918, 1504-1505).

ნიკო მარი ასევე წინააღმდეგი იყო სხვა ნაციონალური უნივერსიტეტების დაარსებისა. მაგ., სომხურ ნაციონალურ უნივერსიტეტზე მსჯელობისას იგი წერს: „სომხებს ადგილზე აღმოაჩნდათ ნაკლები სამეცნიერო ძალა ნაციონალურად კონსტრუირებული უმაღლესი სკოლის გასამართავად, ვიდრე ქართველებს, ... არ აღმოაჩნდათ რამდენადმე საკმარისი რაოდენობით მეცნიერი სპეციალისტები“ (მარი 1918, 1506).

ნაშრომის მეოთხე ნაწილში ნ. მარმა ყურადღება გაამახვილა ქართული უნივერსიტეტის წესდების მე-10 პუნქტზე: **მეცნიერისათვის დოქტორის ხარისხის მინიჭების შესახებ**, რითაც მიანიშნა ქართული უნივერსიტეტისაგან სახელმწიფო უნივერსიტეტის „ცარიელი“ ადგილის დაკავების მცდელობაზე თბილისში. „მაგრამ ქართველთა... თბილისისკენ კანონიერად მიზიდულობის იდეურ დასაბუთებაში“ მან დაინახა „ნაციონალისტური მისწრაფების დაპირისპირება უკვე არა ძველ რეჟიმთან, არამედ **რუსული რევოლუციით** აღიარებულ თავისუფლებებსა და მათგან გამომდინარე თავისუფალი სამოქალაქო ცხოვრების მოთხოვნებთან კავკასიაში“ (მარი 1918, 1506).

რევოლუციური პათოსით აღვსილი მეცნიერი ცდილობს, ქართული, ზოგადად, კავკასიური ნაციონალიზმის მოწინააღმდეგედ წარმოაჩინოს ქართველი გლეხები და მუშები; იგი წერს: „ამკარაა ქართველი მუშებისა და გლეხების შეგნებული ნაწილის“ უარყოფითი პოზიცია „კავკასიური ცხოვრების ნაციონალური კონსტრუქციის“, „საქართველოს ნაციონალური განკერძობის“ წინააღმდეგ; ამ ფონზე ნ. მარმა გამოკვეთა **რუსი ხალხის** განსაკუთრებული მოვალეობა „კავკასიის ხალხების შემდგომი კულტურული ზრდის მხარდაჭერაში“; მხოლოდ ამ გზით მიაჩნდა მას შესაძლებლად ნაციონალური ანუ ე.წ. **„გადმონაშთური ზოოლოგიური იდეოლოგიის შეცვლა“** (ასე უწოდა ნ. მარმა, მისი აზრით, „შუასაუკუნეობრივი რელიგიური აზროვნების ფორმაში მოქცეულ სამეცნიერო საზოგადოებრივ მსოფლმხედველობას“ (მარი 1918, 1508)⁷.

⁷ აქვე ის ძველი ბოლშევიკებისა თუ მაშინდელი კოსმოპოლიტების მსგავსად /შდრ., აგრეთვე, თანამედროვე ფსევდოლიბერალების დემაგოგია/ ამტკიცებს, რომ სოციალ-დემოკრატიის ზრუნვის ობიექტია უბრალო ქართველი ხალხი, ხოლო პატრიოტული ძალები ცდილობენ გაადვილონ ეთნიკური შუღლი... ქართული ეროვნული მეობის ქონას და ქართული კულტურისა თუ ტრადიციების შენარჩუნებისათვის ზრუნვას ნ. მარიც ნაციონალიზმის ცუდ გამოვლინებად თვლის.

შდრ., ვაჟა-ფშაველა: **"ჩვენი "ნაციონალიზმი" მუდამ იქნება ჯანსაღი და არასოდეს იქცევა შოვინიზმად... ჩვენდა სამწუხაროდ, [თქვენს ბანაკში] ვხედავთ კოსმოპოლიტიზმს, თავისი თავის, თავისი ერის უარყოფელს. ხოლო სხვა ერების ვითომდა მფარველს და მოსიყვარულეს. ვაი ამისთანა**

მოხსენების მეოთხე ნაწილში ნ. მარმა დაასრულა რუსეთისთვის კავკასიის გეოპოლიტიკურ მნიშვნელობაზე მსჯელობა, ხოლო ნაციონალური უნივერსიტეტების მიზანშეწონლობის შესახებ ჩამოაყალიბა შემდეგი შემაჯამებელი დებულებები:

ა) „...არც ქართველებს და არც სომხებს რეალურად ჯერ არა აქვთ სამეცნიერო ძალები, არც ნაციონალური სასწავლო დაწესებულებები, რომელთაც შეეძლებათ, რუსული ან დასავლეთევროპული მეცნიერების დამწერგავთაგან დამოუკიდებლად, ახლო მომავალში საკმარისი რაოდენობით შექმნან ეს ძალები უნივერსიტეტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად“;

ბ) „მაშინაც, როცა ამა თუ იმ გზით ჩნდება ეს სამეცნიერო ძალები, ნაციონალური უნივერსიტეტების კონსტრუქცია, გამორჩეულად ემსახურება, პირველ რიგში, არსებულ კავკასიურ ცნობიერებაში აღქმულ ნაციონალურ ამოცანებს და ამახინჯებს თვით საუნივერსიტეტო სწავლების აზრს;

გ) „[ნაციონალური უნივერსიტეტი], **ერთი მხრივ, დააკნინებს მეცნიერებას, ჩააყენებს რა მას არა მხოლოდ წარმავალი, არამედ გადმონაშთური წარმოდგენების სამსახურში**, ხოლო, მეორე მხრივ, დევნით დაემუქრება **ამა თუ იმ ეროვნების წარმომადგენლებს და ადგილობრივ ხალხებს შორის გააღრმავებს ურთიერთგანხეთქილებასა და ურთიერთგანდგომას**“ (მარი 1918, 1508-1509)⁸.

მოხსენების მეხუთე, ბოლო ნაწილში ნ. მარი შეეცადა, „მყარი“ წარმოდგენა შეექმნა ნაციონალურ უნივერსიტეტთა უარყოფით

სიყვარულს! სიყვარული ერთგვარი უნარია ცხოველთა ბუნებისა და, მით უმეტეს, ადამიანისათვის, ხოლო ვისაც თავისი მშობელი დედა არ უყვარს, იგი სხვას როგორ შეიყვარებს, სხვას როგორ მოეპყრობა, როგორც ნამდვილ დედას?... ამისთანა კოსმოპოლიტიზმი უფრო თავმომწონეობაა, ყოყლოჩინობაა, მიმბაძველობით გამოწყვეული...“ /ვაჟა-ფშაველა, მცირე შენიშვნა, თხზულებათა სრული კრებული 10 ტომად, თბ., 1964, გვ. 291/.

⁸ ბევრი სხვა ფაქტიდანაც ჩანს, ნ. მარი ერთნაირი მონდომებით იცავდა როგორც მეფის რუსეთის, ასევე, მენშევიკური თუ ბოლშევიკური რუსეთის იმპერიის ინტერესებს. ამგვარი "კონცეპტუალური" მიდგომის გამო იყო, რომ თავის მოხსენებაში /მეოთხე ნაწილში/ იგი არასასურველ კონტექსტში იხსენიებს ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიასაც კი.

მნიშვნელობაზე, თითქოს ქართველთა და სომეხთა უმაღლესი სამეცნიერო სკოლები:

ა) „კავკასიის სხვა დანარჩენ მოსახლეობას ჩააყენებენ მეორე და მესამე რანგის მოქალაქეთა მდგომარეობაში“;

ბ) ვერავის, თვით ნაციონალური უნივერსიტეტების მფლობელებსაც კი ვერ უზრუნველყოფენ „ნამდვილი საუნივერსიტეტო განათლებით“, არამედ გამოიწვევენ მათი დონის „დაქვეითებას“;

გ) განაპირობებენ კავკასიის ხალხთა შორის „მტრობის გაღვივებას (მარი 1918, 1509).

როგორც აღინიშნა, ნ. მარი მხარს ღიად უჭერდა კავკასიაში საიმპერიო-სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსებას; მისი მტკიცებით, ნაციონალურ უნივერსიტეტებს, „საქმის წმინდა მეცნიერული და არა ნაციონალისტური მოწყობით“, შეეძლოთ დიდხანს „კეთილი სამსახური გაეწიათ“ განათლებისა და მეცნიერების გავრცელებისათვის საზოგადოებაში მხოლოდ „სახელმწიფო უნივერსიტეტთან ერთად“. ნ. მარის აზრით, თუკი თბილისში დაარსდებოდა სახელმწიფო (რუსულენოვანი - ტ.ფ. ი.ვ) უნივერსიტეტი „კავკასიათმცოდნეობის ფართო სამეცნიერო ბაზაზე დაფუძნებით, უნივერსალიზმისა და საერთოკავკასიური კულტურული ინტერესების შესაბამისად“, ნაციონალური სკოლის მესვეურთ თბილისში „ფრთხილი დამოკიდებულება“ გაუჩნდებოდათ რუსული აღმოსავლეთმცოდნეობის ცენტრისადმი; შესაბამისად, სამინისტრო მოვალეც გახდებოდა, დაელოცა კერძო უმაღლესი სასწავლებელი, „შესაბამისი სამართლებრივი საზღვრების“ მითითებით (მარი 1918, 1509-1510).

ნ. მარის აზრით, უფრო აუცილებელი იყო სახელმწიფო /რუსულენოვანი/ უნივერსიტეტი, რომელიც, ერთი მხრივ, „კავკასიის მრავალტომიანი მოსახლეობის ინტერესებს“ ესაჭიროებოდა, მეორე მხრივ კი აუცილებელი იყო მდიდარი კავკასიური მასალის დამუშავებისთვის, რომ ამ საქმეს მხოლოდ კავკასიის ისტორიულ-არქეოლოგიური ინსტიტუტის დაფუძნება ვერ უშველიდა⁹.

⁹ 1918 წელს ნ. მარმა თბილისში დააარსა კავკასიის ისტორიულ-არქეოლოგიური ინსტიტუტი; იგი იყო მისი პირველი დირექტორიც.

ნ. მარს შეუმჩნეველი არ დარჩენია დასავლეთევროპელ და ამერიკელ მეცნიერთა დაინტერესება თბილისში უნივერსიტეტის ვაკანტური ადგილით; ამიტომ, მისი მტკიცებით, აუცილებელი იყო რუსული უნივერსიტეტის დაარსება, ვინაიდან „თვით კავკასიის ხალხთა ინტერესები მოითხოვდა კულტურული ორიენტაციის შენარჩუნებას რუსეთის მიხედვით“; გარდა ამისა, სწორედ „რუსულ მეცნიერებას“ შეეძლო, უზრუნველყო „კავკასიის ხალხთა დამოუკიდებელი სულიერი განვითარება“ (მარი 1918, 1514-1515). ნ. მარის აზრით, თუკი არ დაარსდებოდა რუსულენოვანი სახელმწიფო უნივერსიტეტი, რუსეთი დაკარგავს კავკასიას /"მზად უნდა ვიყოთ კავკასიის გარდაუვალი წასვლისათვის უცხო ბანაკში"/¹⁰.

ნაშრომის ავტორმა უნივერსიტეტის შესახებ მთავარი სათქმელი გამოხატა პირველ და მეორე დასკვნით დებულებებში; კერძოდ:

ა) ქართული უნივერსიტეტი იურიდიულად უნდა გაფორმდეს, როგორც მომავალი სასურველი თანამშრომელი სახელმწიფო /რუსულენოვანი - ი.ვ., ტ.ფ./ უნივერსიტეტისა;

ბ) დაუყოვნებლივ უნდა დაფუძნდეს თბილისში კავკასიის უნივერსიტეტი, რომელიც „კავკასიის უფრო კულტურული ხალხების ავადმყოფური ნაციონალური განწყობის გამო, ადგილობრივი ხალხის მატერიალური მხარდაჭერისათვის, ...პირველ ხანებში უზრუნველყოფილი იქნება ფულადი სახსრებით სახელმწიფო ხაზინიდან“ (მარი 1918, 1515-1516).

ნ. მარის მოხსენებას, რომელიც "ხალხის მასებზე ზრუნვითა" და მარქსისტული ინტერნაციონალიზმით /მდრ., თანამედროვე ფსევდოლიბერალიზმი/ იყო განმსჭვალული, 1922 წელს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი და ზოგადსაკაცობრიო მეცნიერულ-საგანმანათლებლო პოზიციებიდან მკაცრად უპასუხა ივ. ჯავახიშვილმა.

¹⁰ იმპერიული ინტერესებიდან გამომდინარე, განათლებისა და მეცნიერების დაგეგმვის /მართვის/ შესახებ ასეთი გულახდილი მეჯელობა იშვიათია!

1.2. ივ. ჯავახიშვილის პოზიცია ქართული უნივერსიტეტის დაარსებიდან ოთხი წლის შემდეგ

ნ. მარის მოხსენება /და პუბლიკაცია/ მოგვიანებით გახდა ცნობილი ქართული საზოგადოებისთვის; შესაბამისად, გვიან დაიწერა ივ. ჯავახიშვილის საპასუხო წერილიც, რომელიც სრულად დღემდე არ დაბეჭდილა. ამ წერილის ავტორისეული ხელნაწერის ფოტოკოპირები მოვიძიეთ საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალურ არქივში (სუიკა 471-1, N 25 ფ. 83-189)¹¹ და I თავის დანართში ვბეჭდავთ. აქ ვაანალიზებთ ივანე ჯავახიშვილის პასუხის ზოგიერთ მონაკვეთს.

ქართველმა მეცნიერმა აღშფოთება ვერ დამალა იმ ფაქტის გამო, რომ ნ. მარმა თბილისის უნივერსიტეტის დაარსება გამოაცხადა „ქართული საზოგადოებრივი აზრის ახალ ეროვნულ ავადმყოფობად“, „მწვავე ნაციონალისტურ მიმართულებად“ (სუიკა 471-1, N 25, ფ. 87) და ანტირუსულ ქმედებად, რომელსაც „რუსეთში თავისუფლების სულის ჩაქრობა შეეძლო“ (სუიკა 471-1, N 25, ფ. 108); ნ. მარმა, ასევე, „რუსეთის მონაპოვართა დამამხობელად“ ჩათვალა ქართველი ინტელიგენცია, რომელმაც უნივერსიტეტის დაარსებისათვის ბრძოლა თავის „ეროვნულ ვალდებულებად“ გაიხადა.

ივ. ჯავახიშვილმა ნ. მარის 1917 წლის ანტისაუნივერსიტეტო გამოსვლა შეუპირისპირა ნ. მისსავე ზრუნვას 1906 წელს ქართული სამეცნიერო აკადემიის დაარსებისათვის (რომლის იდეაც ნ. მარს ეკუთვნოდა და პროექტიც მას შეეძგინა). ეს მცდელობა, ნ. მარისავე სიტყვებით, „უნიადგაგო“ გამოდგა, მაგრამ ნ. მარი მაშინ ქართული მეცნიერების მხარდამჭერად მოგვევლინა. მის პიროვნებაში მომხდარი ცვლილება ივ. ჯავახიშვილმა **რუსეთის აკადემიის წევრად არჩევით ახსნა**; კერძოდ, 1906 წელს ნ. მარი „მხოლოდ პროფესორი იყო, [აკადემიაში] არჩევის იმედიც კი არ ჰქონდა“,¹² 1917 წლიდან კი არათუ

¹¹ მანქანაზე დაბეჭდილი ვარიანტი ინახება ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში.

¹² ნ. მარი 1912 წელს აირჩიეს რუსეთის აკადემიის წევრად.

„ქართული სამეცნიერო ტაძრის“ დაარსება არ მიიჩნია საჭიროდ, მის წინააღმდეგ „თავშეუკავებელი მრისხანებითაც“ კი განეწყო (სუიკა 471-1, N 25, ფ. 93, 100)¹³.

ივანე ჯავახიშვილმა დაგმო და საააშკარაოზე გამოიტანა ნ. მარის საუნივერსიტეტო „გეგმა“, რომელიც, ქართული და სომხური ეროვნული უნივერსიტეტების საპირისპიროდ, „დამოუკიდებელი და ფართოდ ორგანიზებული“ კავკასიის სახელმწიფო (რუსული) უნივერსიტეტის გახსნას ითვალისწინებდა. აღნიშნული გეგმის მიხედვით, შეზღუდული იყო ქართული უნივერსიტეტის უფლებები, კერძოდ, ქართული უნივერსიტეტი მუდამ უნდა დარჩენილიყო სახელმწიფო (რუსულ) უნივერსიტეტზე დამოკიდებულ კერძო სასწავლებლად, რომელსაც არ ექნებოდა მეცნიერისათვის ხარისხის მინიჭების უფლება.

ივანე ჯავახიშვილის ბიოგრაფიის ავტორი ს. ჯორბენაძე ნ. მარის დაუფარავ აგრესიას ქართული უნივერსიტეტისადმი¹⁴ ხსნის ამ უკანასკნელის „ადამიანური სისუსტითა და მეცნიერული მონოპოლიზმით“, რითაც არსებითად სცილდება ივ. ჯავახიშვილის შეფასებას (ჯორბენაძე 1984, 213)¹⁵.

¹³ აკადემიის წევრად არჩევამდე (კ. კეკელიძის ერთ-ერთი მოხსენების მოსმენის შემდეგ) ნ. მარი წუხდა, რომ „თბილისს არ ჰქონდა თავისი უნივერსიტეტი“ (ჯორბენაძე 1984, 211).

¹⁴ ნ. მარმა თავისი დაუსაბუთებელი შეხედულება, თითქოს ქართული უნივერსიტეტი ხელს შეუშლიდა „კავკასიის მეცნიერულ შესწავლას“, ექვთიმე თაყაიშვილსაც გაუზიარა ერთ-ერთ პირად წერილში და უსაყვედურა, „შენც თურმე წაძლოლილ ხარ ასეთ უნივერსიტეტის გამართვასო“ (მარი, თაყაიშვილი 1991, 292) - ექვთიმე თაყაიშვილი თავმჯდომარეობდა 1917 წლის 12 მაისის კრებას, რომელზეც ივ. ჯავახიშვილმა წაიკითხა მოხსენება „ქართული უნივერსიტეტის დაარსების აუცილებლობის შესახებ“ (ჯორბენაძე 1984, 189-190).

¹⁵ იხ., აგრეთვე, "ივანე ჯავახიშვილის ენციკლოპედიური ლექსიკონი": "ივ. ჯავახიშვილი თავისი მასწავლებლის ამ გაუგებარ პოზიციას არ გამოხმაურებია" (ენციკლოპედია, 2002, 431).

შდრ.:

ივ. ჯავახიშვილი, იშველიებს რა ცნობილ ქართულ ანდაზას: „გამჟღავნებული ჭირი სჯობია დაფარულსაო,“ შენიშნავს, რომ ნ. მარს, „**კარგა ხანია**“, „**პოლიტიკური მიდრეკილების ნიშნები ემჩნეოდა**“ (სუიცა 471-1, N 25, ფ. 135). აქვე, ივ. ჯავახიშვილი წერს: "მწელი წარმოსადგენელი იყო, რომ აკად. ნ. მარრი, რომელიც 1906-7 წლ. ვოსტორგოვის ამგვარს პროვოკაციას საჯაროდ ებრძოდა და ღირსეულს პასუხს აძლევდა, ათი წლის შემდგომ ისე **დაუხლოვდებოდა მას სულიერად**, რომ ვოსტორგოვის მსგავსი ენითა და იარაღით დაიწყებდა ჩვენ წინააღმდეგ თავგანწირულს წინამძღოლობას".

მართლაც, 1905 წელს დაწერილ ნაშრომში: „ქართველთა ეროვნება“ ნ. მარი საქართველოს განიხილავდა ერთიან ნაციონალურ-კულტურულ ერთეულად, რომელსაც ამყარებდა ეკლესია და სალიტერატურო ენა (მარი 1905, 8). ამ პოზიციიდან მისი რადიკალურად გადახრის მაჩვენებელია 1917 წლიდან ქართველი ინტელიგენციისათვის „ავადმყოფური ნაციონალისტობის“ დაბრალება (სუიცა 471-1, N 25, ფ. 179).

ივ. ჯავახიშვილი მიუთითებს ასევე, რომ ნ. მარი „თავის... გამამხნეველ გარემოებად“ მიიჩნევს რუსულ „უხემ სამხედრო ძალას“ და ამხელს მას „რუსეთის მთავრობის... წრეებთან“ საეჭვოდ დაახლოებაში (სუიცა 471-1, N 25, ფ. 134, 158).

1922 წელს დაწერილი პასუხიდან ნათლად ჩანს, რომ **ივანე ჯავახიშვილი ნიკო მარს რუსეთის იმპერიის ინტერესების დამცველ პოლიტიკურ მდებარეობად თვლის**. ივ. ჯავახიშვილის აზრით, ინტერნაციონალიზმსა და მსოფლიო კულტურაზე ვითომ მზრუნველი აკადემიკოსი სინამდვილეში რუსულ "პოლიტიკურ ნაციონალისტურ ინტერესებს" იცავს, რამდენადაც მისი /ნ. მარის/ მიზანია, თბილისში რუსულენოვანი უნივერსიტეტის დაარსებით **/რუსულენოვანი განათლებით/ შეადუღაბოს იმპერიის ამ რეგიონში /კავკასიაში/ მცხოვრები არარუსი ეთნოსები**. ივ. ჯავახიშვილი ნ. მარს უწოდებს „**რუსული გულმოდგინებით**“ **სავსე „უკიდურეს შოვინისტს**“, რომელიც, ამავდროულად, ეჭვის თვალთ უყურებს

ამერიკელთა და დასავლეთევროპელთაგან მოსალოდნელ სამეცნიერო კონტაქტებს საქართველოსთან.

აქვე, საინტერესოა ივ. ჯავახიშვილის მსჯელობა ნ. მარის ენისადმი დამოკიდებულების შესახებ; კერძოდ, ივანე ჯავახიშვილის ცნობით, ნ. მარი „ერთი იმ პირთაგანი ყოფილა“, რომელთაც რუსეთის სამეცნიერო აკადემიაში წინადადება შეიტანეს, „აკადემიკოსებისათვის სავალდებულოდ გაეხადათ რუსულად წერა, რომ მათ უცხო ენებზე წერის უფლება არ ჰქონოდათ“. ამ შემთხვევაში, ტერმინი **უცხო** არარუს მეცნიერთა მშობლიურ ენას მოიაზრებდა, რომლის სამეცნიერო დანიშნულებასაც ვერ ან არ აცნობიერებდა იმპერიის ერთგული ცნობილი მეცნიერი.

ივანე ჯავახიშვილი წერს:

„სწორედ რუს აკადემიკოსთა უმრავლესობისაგან ეს წინადადება უარყოფილი იქმნა და ...მისი [ნ. მარის] მისამართით მხოლოდ საყვედური ისმოდა“ (სუიცა 471-1, N 25, ფ. 179).

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ნ. მარი მიესალმებოდა სხვადასხვა უნივერსიტეტში ქართული ენის შემსწავლელი ცენტრების ფუნქციონირებას; მაგ., მან მიიღო მოწვევა დასავლეთ ევროპიდან ქართულ ენის კურსის წასაკითხად; ასევე, გაიგო რა ბერლინში მყოფი ივ. ჯავახიშვილისგან ქართულში სახელდახელო ლექციების მზადების შესახებ, მისწერა, რომ, აღნიშნული ცნობის წინასწარ შეტყობინების შემთხვევაში, შეეძლო დაეჩქარებინა თავისი გრამატიკის მოკლე კურსის გამოცემა (მარი, ჯავახიშვილი 1996, 17) და სხვ., მაგრამ, **რამდენადაც ქართული ენა ნ. მარისათვის მიმზიდველ და ამოუწურავ საკვლევ საგანს წარმოადგენდა, იმდენად მიუღებელი აღმოჩნდა მეცნიერული დანიშნულებით გამოყენებისათვის**.

ნიკო მარის საპირისპიროდ, ივ. ჯავახიშვილი მსჯელობს ქართველ მეცნიერთა განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე კავკასიის „ჰუმანური შესწავლის“ საქმეში (რუს და ევროპელ მკვლევარებთან შედარებით) და საგანგებოდ უსვამს ხაზს დედაენაზე - ქართულ ენაზე - მეცნიერების განვითარების აუცილებლობას (სუიცა 471-1, N 25, ფ. 113-114); ივანე ჯავახიშვილი აგრძელებს XIX საუკუნის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წარმომადგენელთა მიერ დასახულ

გზას ნაციონალური მეცნიერების, განათლებისა და კულტურის განვითარების საქმეში.

საყურადღებოდ მიგვაჩნია, ასევე, ივ. ჯავახიშვილის დაკვირვება სამეცნიერო ორიენტირების განსაზღვრისა და სამეცნიერო ცნებების სახელდების ნ. მარისეულ პრინციპზე. ამ უკანასკნელს თბილისის უნივერსიტეტის სამეცნიერო მიმართულება თავისი მსოფლმხედველობის ქართულ ნიადაგზე გადმონერგვის „უხეირო ცდად“ მიაჩნდა მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ აღმოსავლეთის ენების პროგრამაში მარისეული ტერმინი: „**იაფეტური**“ „**ქართული**“ შეიცვალა (ნ. მარი: „განზრახ ნაციონალური ზრახვების განსახორციელებლად“ - სუიცა 471-1, N 25, ფ. 119, 121).

ნ. მარის საპასუხოდ, ივ. ჯავახიშვილი მიუთითებს, რომ იაფეტურ თეორიასთან საერთო არაფერი აქვს ქართულ ენათმეცნიერებასა და დიალექტოლოგიას; მეტიც, იგი ამხელს ნ. მარს, რომელმაც განდევნა რეალურად არსებული ისტორიული ტერმინი „**ქართული**“ და შემოიღო თავისი „შეთხზული და მოგონილი, მარისთვისაც კი გამოურკვეველი ერთეულისა და ავადებადი ცნების გამომხატველი ტერმინი **იაფეტური**“. ამავე ნიშნით, ნ. მარმა იაფეტური ენათმეცნიერების მასალების სერიაში მოაქცია საკუთრივ „ქართული ენის შესახები შრომებიც“ - ი. ჭყონიას, ვ. ბერიძის და ა. შანიძის გამოკვლევები; ასევე, არ გაითვალისწინა აკადემიკოს კარლ ზალემანის რჩევა, რომ მათთვის ქართული ენათმეცნიერების სერია ეწოდებინა (სუიცა 471-1, N 25, ფ. 124-125).

ნ. მარის მცდარი პოზიციის გასაბათილებლად, ივ. ჯავახიშვილი მსჯელობს ქართული უნივერსიტეტის ორიგინალურ პროგრამაზე; იგი წარმოადგენს ქართველოლოგიური დისციპლინების სრულ ჩამონათვალს, რომელიც, ასეთი სახით, თბილისის უნივერსიტეტის გარდა, არცერთ უმაღლეს სასწავლებელში არ დანერგილა.

ივანე ჯავახიშვილი წერს თავისი და ნ. მარის სამეცნიერო ინტერესების „სრულ შეუთავსებლობაზე“; კერძოდ, 1915 წელს, როდესაც ქართველი ერის ისტორიის ახალი გამოცემის გამო ქართული და მისი მონათესავე კავკასიური ენების შესახებ

თეორიების მიმოხილვას შეუდგა და ნ. მარის ნაწერებს გულდასმით გაეცნო, ივ. ჯავახიშვილისათვის ცხადი გახდა, რომ ნ. მარის ამდენი ხნის მუშაობა „მირიანად უნდა შერყეულიყო“ და „სრული უარყოფით დამთავრებულიყო“. თავის მასწავლებელთან „ერთგვარ ნიადაგზე აღმოცენებული უთანხმოება“ ნ. მარის 1917-1918 წლების ნაწერების გადაკითხვის შემდეგ იქცა „სრულ უფსკრულად“.

ივ. ჯავახიშვილმა „ზნეობრივ მოვალეობად ჩათვალა“, უარეყო ნ. მარის „აზრების დაუდგრომელი ცვალებადობით“ დამძიმებული თეორია, რა დასკვნამდეც თვითონ ეს უკანასკნელი მივიდა 1920 წელს დაბეჭდილ ნაშრომში: „Яфетический Кавказ и третий этнический элемент в сознании средземлеморской культуры“ (სუიცა 471-1, N 25, ფ. 134-135, 141-143).

ივ. ჯავახიშვილის აზრით, „მოდვარ-მოწაფეთა სამეცნიერო სფერო სულიერ ნათესაობასა და თანამშობაზე“ უნდა ყოფილიყო დამყარებული, თუმცა ნ. მარის ნაწერები საწინააღმდეგოს ამტკიცებდა - მოწაფეთა „უწმინდესი სულისკვეთება და უძვირფასესი გულისნადები, ...წლობით ნაფიქრი ოცნება“ მისთვის „გაუგებარი“ და „ფეხქვეშ გასათელი...“ აღმოჩნდა (სუიცა 471-1, N 25, ფ. 135).

ივანე ჯავახიშვილსა და ნიკო მარს შორის "სულიერი ნათესაობა" რომ არ იყო, ეს დრომაც დაადასტურა:

დღეს ივ. ჯავახიშვილს ქართული ეროვნული მეცნიერების აღორძინებისათვის უპირველესი მეზრძოლის სახელი აქვს, ხოლო ნ. მარის შესახებ წინააღმდეგობრივი შეფასებები ისევ არსებობს; ვფიქრობთ, დანართში წარმოდგენილი დოკუმენტური მასალით უფრო გამოიკვეთება მისი, როგორც, საქართველოსა და ქართული მეცნიერების წინააღმდეგ მეზრძოლისა და რუსული პოლიტიკური ძალების დასაყრდენი მეცნიერის სახე.

ნ. მართან კონცეპტუალური დაპირისპირება ივ. ჯავახიშვილს თავიდანვე ჰქონდა გაცნობიერებული¹⁶. არსებით საკითხებზე

¹⁶ ამ თვალსაზრისით, საინტერესოა ივანე ჯავახიშვილი მამის - ალექსანდრეს - წერილი (22.10.1898), სადაც ის ივანეს სწერს: "შვილო, როგორც მამა, გირჩევ, შენი საკუთარი ჭეშმარიტი კრიტიკულის თვალით შეხედო ყველაფერს, სხვა ბევრი მასალების შესწავლით და არა მიეპყრო ...

მკვეთრად განსხვავებული პოზიციების დასაფიქსირებლად, „პირუთვნელად განსჯისა და ღირსეული მსჯავრის დადებისათვის“ დაწერა მან წარმოდგენილი საპასუხო წერილი, რომლის მთავარი მიზანი იყო მომავალი თაობების სწორი ორიენტირება; მოვიყვანთ ვრცელ ამონარიდს ამ წერილიდან:

"ვინც აკადემიკოს ნ. მარის მოხსენებას გადაიკითხავს, უმაღლესად შეამჩნევს მის აღმწერელის ზრახვასა და გრძნობას და თითონაც ადვილად დასდებს მსჯავრს, მაგრამ ვინ გაარჩევს ნებისათვისა და უნებლიეთს ცდომილებებს ამ მოხსენების იმ ნაწილში, სადაც ავტორი ისტორიული ძეგლის მწერლობას ჩემულობს, თუ თანამედროვე მკითხველს და მომავალ ისტორიკოსს ამ საკითხის შესახებ თანდამხატურთა, თვითმხილველთა და მონაწილეთაგან აღნუსხული უტყუარი ცნობებიც არ ექმნება ხელთ? სწორედ იმ გარემოებამ, რომ რუსულს ადგილობრივსა და პეტერბურგის დროგამოშვებითს გამოცემებში ჩვენი უნივერსიტეტის შესახებ ან გამო უკვე არა ერთი მტრული სულისკვეთებით განმსჭვალული ტენდენციური შინაარსის წერილები და მთელი მოხსენებაც კი დაიბეჭდა, თუ არ პასუხის გაცემა, საქმის ნამდვილი ვითარების აღნუსხვას მაინც აუცილებელ საჭიროებად ხდის. დაე, მომავალმა ისტორიკოსმა პირუთვნელად განსაჯოს და ღირსეული მსჯავრი დასდოს" (სრული ტექსტი იხ. დანართში).

მარის ქართულის საწინააღმდეგო მიმართულებას" (ჯავახიშვილი 2516, 3-4).

1.3. ნ. მარისა და ივ. ჯავახიშვილის პირადი მიმოწერა ქართულ უნივერსიტეტთან დაკავშირებით¹⁷

ნ. მარის პირადი წერილების მიხედვით, შეიძლება გვევარაუდა, რომ მან 1917-1918 წლების ანტისაუნივერსიტეტო მოხსენებისა და პუბლიკაციის შემდეგ შეცვალა თავისი პოზიცია ქართველი მეცნიერებისადმი; შესაძლოა, მასზე ემოქმედა მოწინავე საზოგადოების კეთილ განწყობას, რომელზეც მეტყველებს ექვთიმე თაყაიშვილის 1918 წლის 24 მარტის წერილი; კერძოდ, მასში ავტორმა ნ. მარს გაუზიარა ქართული უნივერსიტეტის ამოქმედებით, ივ. ჯავახიშვილისა და სხვა პროფესორთა ქართული ლექციებით გამოწვეული სიხარული, ასევე, გამოთქვა იმედიც, რომ „ბოლოს და ბოლოს“ ნ. მარიც „აქ, სამშობლოში მოკალათდებოდა“ და უნივერსიტეტს „დაამშვენებდა“ (მარი 190).

საინტერესოა, რომ მართლაც, ნ. მარმა 1920 წლის 28 ნოემბერს ლაიფციგიდან მოწერილ წერილში თავი მოვალედ შერაცხა, ივ. ჯავახიშვილისთვის ზოდში მოეხადა „პირველი მკაცრი მსჯელობისთვის, რაც გამოთქვა“ (მარი, ჯავახიშვილი, 1996, 25).

ნ. მარისა და ივ. ჯავახიშვილის 1920-1921 წლების პირადი მიმოწერის მიხედვით, ნ. მარსა და თბილისის უნივერსიტეტს შორის თითქოს მოწესრიგებული ჩანს ურთიერთობა (მარი, ჯავახიშვილი 1996, 25-26, 36-37); კერძოდ, ნ. მარი მოუწვევიათ თბილისის უნივერსიტეტში ლექციების წასაკითხად; საყურადღებოა ამ პერიოდში გამოხატული პოზიციაც ქართულ სალექციო კურსთან დაკავშირებით:

„...ენის შესახებადაც ვიტყვი: რა ქართველთა ქართული უნივერსიტეტია, რასაკვირველია ქართულად წავიკითხავ, გასაჭირი დროის უქონლობა... მე თუ ქართულად არ წავიკითხავ, მაშინ ვისდა დაევალება ამ პირველ ხანში ქართულად წავიკითხვა?“ (სუიცა 471-1, N 25, ფ. 79-3).

¹⁷ ეს მიმოწერა გამოქვეყნებულია, ამიტომ საკითხს მოკლედ განვიხილავთ /ისიც მხოლოდ ერთი ასპექტით/.

ნ. მარს თბილისის უნივერსიტეტში ლექციები არ წაუკითხავს - საზღვარგარეთიდან პირდაპირ დაბრუნდა პეტროგრადში. შემდგომ განვითარებულმა მოვლენებმა კი ცხადყო, რომ ნ. მარი ქართული უნივერსიტეტის პროფესორების წინააღმდეგ ოფიციალურად არჩეული კურსის ერთგული დარჩა - მისი მოთავეობით პოლიტიკური დაპირისპირების ახალი ტალღა აგორდა, როდესაც წამოიჭრა პეტერბურგის საჯარო ბიბლიოთეკასა და აზიის მუზეუმში არსებული ქართული ხელნაწერების სამშობლოში დაბრუნების საკითხი.

პირველ თავში გაანალიზებული დოკუმენტური მასალა

ა) ნ. მარის წერილი ქართული უნივერსიტეტის წინააღმდეგ

Н. И. Марр, О Кавказском Университете в Тифлисе

ИЗВЕСТИЯ РОССИЙСКОЙ АКАДЕМИИ НАУК. № 14, VI
СЕРИЯ, 15 ОКТЯБРЯ, 1918, ПЕТРОГРАД

BULLETIN DE L'ACADEMIE DES SCIENCES DE RUSSIE, VI
SERIE 15 OCTOBRE, 1918, PETROGRAD

Приложение к протоколу IX заседания, экстраординарного, Отделения Исторических Наук и Филологии Российской Академии Наук 6 июня (24 мая) 1918 года.

О Кавказском Университете в Тифлисе.

(Въ связи съ обсуждавшимся въ Комиссии по реформѣ высшей школы вопросомъ о Грузинскомъ Университетѣ въ Тифлисѣ).

Post ea, non propter ea.

I.

Учреждение Грузинского Университета можетъ получить осуществление въ революціонное время, проектъ его устава можетъ быть полонъ чертъ, внесенныхъ революціоннымъ настроеніемъ, но самая мысль объ учрежденіи національнаго Университета у грузинъ возникла до русской революціи и независимо отъ ея вѣяній. Она связана съ новымъ національнымъ, получившимъ, къ сожалѣнію, болѣзненный острый націоналистическій характеръ, уклономъ грузинской общественной мысли, начавшимся послѣ неуспѣха въ Грузіи общественнаго движенія 1905—1906 г. Движеніе было создано социалдемократической пропагандой и носило общерусскій, ярко-ненаціональный, даже, казалось, противонаціональный характеръ.

Нужно ли подсказывать, чью чужую помощь предполагает Адольф Диррь необходимой для компетентнаго рѣшенія «обширныхъ культурныхъ задачъ Кавказа».

Нѣмцы, къ типу университетовъ которыхъ, между прочимъ, приспособленъ по составу факультетовъ Обществомъ Грузинскаго Университета предполагаемый къ учрежденію Грузинскій Университетъ, едва ли перестанутъ вести начатую ими линію дѣйствія, доведенную еще до войны со стороны Турціи и со стороны Россіи до центра Кавказа. Линія эта состоитъ не въ однѣхъ научныхъ экспедиціяхъ, а и въ научномъ использованіи и мертвато матеріала и живыхъ силъ Кавказа въ основательномъ дѣловомъ расчетѣ, совершенно безошибочномъ Geschäft'ѣ, что это создастъ волну обратнаго культурнаго воздѣйствія на эту уже сейчасъ вступающую на путь культурнаго отхода отъ общенія съ нами нашу, казалось бы, родную русскимъ и по духу страну. Не менѣе чревато послѣдствіями, независимо отъ ученыхъ экспедицій, воздѣйствіе на армянъ западно-европейскихъ и американскихъ школъ, и до войны умѣвшихъ дѣлать свое дѣло въ Ванѣ въ условіяхъ даже турецкаго режима. И до войны въ интеллигенціи армянскаго народа, распадающагося на двѣ половины — восточную и западную, имѣлось культурное раздвоеніе, ориентация по Западной Европѣ и ориентация по Россіи. Во что выльется объединенная національная мысль русскихъ и турецкихъ армянъ послѣ войны, я не хочу сейчасъ гадать, но ясно одно, что при начатомъ задолго до войны изъ самаго центра турецкой Арменіи, Вана, культурномъ напорѣ западныхъ европейцевъ и американцевъ, который она сильно усилила за войну, а послѣ войны еще болѣе усиливать, и при полномъ изумительномъ ничегонедѣланіи съ нашей стороны, при оставленіи нами уготованнаго мѣста для университета вакантнымъ даже у себя въ Тифлисѣ, удивленіе будетъ неумѣстнымъ, если вскорѣ послѣ войны объединенная національная мысль армянъ культурно ориентируется не по Россіи.

Между тѣмъ глубокіе духовные интересы самихъ народовъ Кавказа требуютъ именно сохраненія культурной ориентации ихъ по Россіи и дальнѣйшаго ея развитія въ общее или взаимное сотрудничество.

Наконецъ, but not least надо вспомнить хоть теперь объ интересахъ русской науки, какъ общечеловѣческой, объ ея нуждахъ, въ частности о возрастающей ея потребности въ матеріалахъ и по многимъ причинамъ, именно въ тѣхъ матеріалахъ, которыми полонъ Кавказъ.

Возражать противъ большого, несомнѣнно, болѣе сложнаго, чѣмъ въ Иркутскѣ или Ташкентѣ, культурнаго предпріятія — университета въ Тифлисѣ — ссылокъ на условія нашего времени не приходится. Именно въ такія эпохи, какъ наша, можно закладывать основанія столь новыхъ и крупныхъ предпріятій или никогда. Напомню 1795 годъ, когда во Франціи была основана знаменитая впослѣдствіи Школа Живыхъ Восточныхъ языковъ. То было сто съ лишнимъ лѣтъ тому назадъ и то было въ странѣ съ однороднымъ населеніемъ. Въ Россійскомъ государствѣ иной масштабъ и иныя условія. Населеніе его лишено общей племенной спайки, и нуждается въ развитіи культурныхъ учреждений, содѣйствующихъ ей. Это неотложная не только госу-

дарственная, но общенаціональная, потребность, потребность всего реально-культурнаго, всего дѣйствительно прогрессивнаго населенія Россіи, и въ удовлетвореніи этой потребности — общечеловѣческая задача.

И когда дѣло касается Кавказа, я считаю совершенно излишнимъ теоретически обосновывать положеніе, что въ дѣлѣхъ взаимнаго сближенія нѣтъ лучшаго или иного орудія, какъ совершенно свободныя отъ утилитарныхъ заданій культурныя предпріятія, какъ чуждая націоналистическихъ цѣлей отвѣчающая прежде всего своему просвѣтительному назначенію школа, и самое могучее въ этомъ отношеніи орудіе — университетъ, удовлетворяющій духовнымъ запросамъ края. Мнѣ достаточно сослаться на факты — на руководящую роль Лазаревскаго Института Восточныхъ языковъ въ эпоху его развитія въ культурномъ сближеніи армянъ съ русскими, а въ дальнѣйшемъ, когда русскіе университеты не отвѣчали еще потребностямъ армянъ, возрастающее значеніе Дерптскаго, тогда нѣмецкаго университета, умѣвшаго приспособиться въ лицѣ своихъ дѣятелей, даже въ лицѣ геолога Абиха къ культурнымъ стремленіямъ армянскаго народа. Могу также констатировать, что появленіе одной книги подъ редакціею русскаго поэта Брюсова «Поэзія армянъ», приращеніемъ пути взаимнаго пониманія, больше посодѣйствовало упрощенію русской культурной ориентации армянъ на весь пространствѣ ихъ расселенія, чѣмъ всѣ обручительныя мѣры стараго режима, вмѣстѣ взятыя, въ предѣлахъ расселенія однихъ русскихъ армянъ.

На желательномъ для Кавказа типѣ университета я не буду останавливаться, если вопросъ этотъ рѣшается въ плоскости исканій новыхъ и лучшихъ типовъ. Лишь pro domo mea мнѣ да будетъ позволено устранить недоразумѣніе въ отношеніи мотивовъ, заставляющихъ меня относиться скептически къ политехническому, расширенному университетскими факультетами.

Будучи филологомъ-востоковѣдомъ, я, если не ошибаюсь, по своей дѣятельности имѣю право и какъ лингвистъ, и какъ археологъ причислить себя къ филологамъ-реалистамъ. Филологъ-реалистъ иначе и не представляетъ себѣ развитія своей теоретической науки, какъ въ союзѣ съ техникой. Какъ можно безъ техническаго знанія оборудовать кабинетъ экспериментальной фонетики и приспособить къ изслѣдовательскимъ нуждамъ профессора-лингвиста, преподающаго, допустимъ, общій курсъ сравнительной фонетики яфетическихъ языковъ и занимающагося спеціально, изъ многочисленныхъ относящихся сюда горекихъ языковъ Кавказа, хотя бы однимъ аварскимъ или абхазскимъ съ ихъ по сей день экспериментально неанализированными фонемами? По археологіи же едва ли какую-либо серьезную работу можно нынѣ вести безъ помощи техники. И вопросъ не только объ использованіи готовыхъ техническихъ приемовъ или инструментовъ, но и о постановкѣ въ ней новыхъ техническихъ вопросовъ по заданіямъ нашей теоретической науки. Вообще востоковѣды, а русскіе востоковѣды въ особенности не придерживаются отнюдь отрѣшенности науки отъ жизни, не могутъ придерживаться такой отрѣшенности именно востоковѣднія, по природѣ въ Россіи неизбежно прикладнаго къ жизни и не по ученыхъ винѣ систематически разлучаемаго съ нею; чтобы снять съ насъ подозрѣніе въ этомъ, доста-

точно, думается, сослаться на мѣсто изъ одной печатной записки за подписями девяти петроградскихъ ориенталистовъ, гдѣ читаемъ: «... разстояние между наукой и жизнью съ развитіемъ культуры не увеличивается, а сокращается. Ученые лингвисты въ настоящее время признаютъ, что вполне понять строй языка можетъ только тотъ, кто самъ имъ владѣетъ, ученые историки и археологи знаютъ, что для пониманія прошлаго страны необходимо знакомство съ ея современной жизнью» и т. д.¹. Никакихъ предрасудковъ ни противъ техническихъ наукъ, ни наукъ прикладного значенія, ни противъ сближенія съ жизнью у востоковѣдовъ нѣтъ. Я могу только приветствовать сочетаніе двухъ высшихъ школъ въ одинъ сложнаго типа университетъ.

Есть лишь одно сомнѣніе: сомнѣніе въ такой организаціи новаго сложнаго университета, которая обеспечивала бы одновременно и въ равной степени интересы и ученаго-теоретика и ученаго-практика, интересы специалиста по гуманитарнымъ наукамъ и специалиста-естественника, когда съ обѣихъ сторонъ будутъ эти интересы весьма сложны и расходны.

Примѣры заморскихъ странъ, конечно, показательны теоретически, но, признаюсь, для меня не вполне убѣдительны, когда рѣчь идетъ объ условіяхъ нашей жизни, особенно на Кавказѣ, гдѣ не сразу удастся заручиться первоклассными учеными съ широкими научными горизонтами.

Второе замѣчаніе привходящее.

Дѣло въ томъ, что Кавказъ давно домогался университета, но при старомъ режимѣ ему отказывали. Тогда высшая власть въ краѣ предложила просить политехникумъ.

Одна группа представителей мѣстнаго общества приняла такое предложеніе, но общаго согласія кавказцевъ не получилось. Въ обществѣ по обыкновенію пустили слухъ или сплетню, что политехникумъ — затѣя армянъ. И тогда грузины были въ общемъ за университетъ, армяне за политехникумъ.

Нынѣ же въ Тифлисѣ появится первымъ Грузинскій Университетъ; правда, онъ частный, но по существу въ смыслъ общественнаго впечатлѣнія это дѣла не измѣнитъ. Впечатлѣніе же получится такое, точно и при новомъ режимѣ не даютъ или не торопятся дать Кавказу университетъ и лишь для вида готовы приспособить политехникумъ, придать ему, уже основанному, университетскіе факультеты, тогда какъ настоящій университетъ, да еще на нѣмецкій ладъ, лишь грузинскій. Такіе разговоры, конечно, такъ же легко исчезнуть, какъ могутъ появиться, если давно жданннй государственный университетъ, учрежденный въ видѣ хотя бы новаго сложнаго типа, дѣйствительно будетъ организованъ и осуществленъ согласно предъявляемымъ къ нему разностороннимъ и высокимъ научно-учебнымъ требованіямъ.

Тогда можно бы воскликнуть безъ тяжести на сердцѣ fiat justitia, но не pereat mundus, a salvus sit mundus, ибо такой университетъ обеспечилъ бы сохранность культурныхъ стяжаній Кавказа за время русскаго правленія, за сто съ лишнимъ лѣтъ, и дальнѣйшій ихъ ростъ, такой университетъ явился бы могучимъ орудіемъ для ду-

¹ О проектѣ «Практической Восточной Академіи» (Записка группы востоковѣдовъ), стр. 14.

ховнаго упроченія общественной солидарности какъ проживающихъ на Кавказѣ народовъ, такъ всѣхъ ихъ выстѣтъ съ русскимъ народомъ, и въ немъ мы получили бы новый рычагъ для развитія міровой науки въ путяхъ культурнаго воспріятія новыхъ свободъ на пользу всѣмъ живущимъ въ краѣ народамъ.

Это я говорю въ качествѣ рядового работника русскаго ученаго міра, несмотря на хорошо извѣстныя и мнѣ слабыя или отрицательныя стороны русской ученой жизни, съ глубокимъ убѣжденіемъ, что въ русской наукѣ давно уже творятся міровыя цѣнности, она — большой факторъ въ міровой наукѣ, ея задачи и цѣли міровыя, общечеловѣческія. Это же я утверждаю, какъ родной сынъ Кавказа, со столь же глубокимъ непоколебимымъ убѣжденіемъ, что изъ міровыхъ наукъ именно русская наука наиболее призвана и способна по народно-психологическимъ и культурно-историческимъ основаніямъ обеспечить независимое духовное развитіе народовъ Кавказа. Сомнѣваюсь, чтобы это убѣжденіе не вытекало у меня изъ того факта, что я имѣлъ возможность за всю свою научную жизнь вчитаться довольно внимательно въ подлинныя страницы живой книги кавказскихъ народовъ. Еще менѣ сомнѣваюсь въ томъ, чтобы оно реально противорѣчило здоровымъ національнымъ чувствамъ сознательнаго грузина XX-го вѣка, поскольку и во мнѣ, предполагаю, жива его природа, его народная психологія.

Объединеніе, обоснованное на крѣпко сложеной въ кулакѣ державной дешифтѣ, кому бы ни принадлежала эта рука, большому или малому народу, должно замѣниться объединеніемъ на синтезѣ родственныхъ культуръ, и мы или должны немедленно приступить къ работѣ по этому объединенію на новыхъ началахъ закладкой университета въ Тифлисѣ, или быть готовыми къ неизбежному отходу Кавказа въ чужой станъ.

Свою все сказанное къ слѣдующимъ положеніямъ:

1. Грузинскій Университетъ, понятно, оформивъ его юридически, слѣдуетъ безпрепятственно разрѣшить, какъ будущій желанный сотрудникъ государственнаго Университета, проводникъ научнаго мншенія въ грузинскія народныя массы.

2. Въ интересахъ съ одной стороны міровой науки, съ другой — какъ разноплеменнаго кавказскаго населенія, такъ вообще Россійскаго государства, въ интересахъ закрѣпленія свободъ, провозглашенныхъ русской революціею, необходимо немедленно учредить Кавказскій Университетъ въ Тифлисѣ съ соблюденіемъ двухъ условій:

а) во-первыхъ, въ Кавказскомъ Университетѣ гуманитарные факультеты организовать на особыхъ началахъ, объединяющихъ въ стройную систему науки соответственныхъ факультетовъ обычнаго простаго типа съ циклами востоковѣднхъ наукъ по роднымъ народамъ Кавказа культурамъ и языкамъ¹;

¹ Это положеніе развито мною въ запискѣ о Кавказскомъ Университетѣ съ изложеніемъ организаціи его историко-филологическаго факультета. Въ ней въ цѣляхъ практическаго осуществленія перехода отъ односторонняго европейскаго гуманизма къ универсальному классическій языкъ культурнаго мусульманскаго Востока получаетъ право гражданства наравнѣ съ латинскимъ, а новому персидскому языку удѣляется мѣсто въ специальныхъ отдѣленіяхъ, аналогичное съ мѣстомъ классическаго греческаго, такъ какъ этотъ новый языкъ Ирана сыгралъ громадную роль въ возрожденіи восточнаго гуманизма не только у мусульманъ, но и у обѣихъ національностей, представляющихъ на Кавказѣ народно-христіанскій Востокъ.

6) во-вторых, въ виду болѣзненнаго состоянія національнаго настроенія наиболѣе культурныхъ народовъ Кавказа, обезпечить Кавказскій Университетъ денежными средствами изъ государственнаго казначейства безъ обращенія на первыхъ порахъ къ мѣстнымъ людямъ за матеріальной поддержкой.

3. Если бы Комиссія признала и для Тифлиса необходимымъ созданіе новаго сложнаго типа университета съ техническими факультетами, то соблюсти два слѣдующихъ условія, именно:

а) во-первыхъ, декретъ Временнаго Правительства редактировать такъ, чтобы не оставалось мѣста для сомнѣнія въ томъ, что въ учреждаемомъ сложномъ университетѣ новаго типа университетскіе факультеты являются базой, на которой строятся техническіе факультеты, что университетъ — основа всего комплекса;

б) во-вторыхъ, обезпечить самой организаціей автономность преслѣдующихъ одинаково научными путями, но различныя съ одной стороны теоретическія, съ другою техническія и прикладнаго значенія задачи факультетовъ, чтобы максимальное использованіе нашихъ количественно и матеріально сейчасъ слабыхъ силъ шло въ прокъ обѣимъ сторонамъ въ одинаковой степени.

1917.

ქართული თარგმანი¹⁸:

ნიკო მარი, თბილისში კავკასიის უნივერსიტეტის შესახებ

ტფილისის ქართული უნივერსიტეტის საკითხის განხილვასთან დაკავშირებით უმაღლესი სკოლების რეფორმების კომისიაში

Post en, non fropter ea.

ქართული უნივერსიტეტის დაარსება შეიძლება მოხდეს რევოლუციურ პერიოდში, მისი წესდების პროექტი შეიძლება სავსე იყოს რევოლუციური განწყობით გამოწვეული მახასიათებლებით, მაგრამ თვითონ ქართველთა ნაციონალური უნივერსიტეტის დაარსების იდეა წარმოიშვა რუსულ რევოლუციამდე, მისი გავლენისგან დამოუკიდებლად. ის დაკავშირებულია საქართველოში 1905-1906 წლების მოძრაობის წარუმატებლობის შემდეგ განვითარებულ ახალ ქართულ საზოგადოებრივ აზრთან, რომელმაც, სამწუხაროდ, მიიღო ავადმყოფური მწვავე ნაციონალისტური ხასიათი¹⁹. მოძრაობა გამოწვეული იყო სოციალ-დემოკრატიული პროპაგანდით და ატარებდა საერთო რუსულ, აშკარად არანაციონალურ, როგორც ჩანს, ანტინაციონალურ ხასიათსაც კი.

მაშინ შუა ქართულ სოფელში, წმინდა სისხლის ქართველები, სწორედ ასეთივე ქართველებისაგან შემდგარ ხალხმრავალ მიტინგებზე, თავიანთ ქართულ სიტყვას აპლოდისმენტის გრიალში ამთავრებდნენ შეძახილებით: „ძირს საქართველო! გაუმარჯოს რუსულ სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას!“ იშვიათ მამაცებს, რომლებიც გადაწყვეტდნენ ნაციონალური აზრის ასეთი უარყოფის წინააღმდეგ გამოსვლას, იმხანად გაბატონებული სოციალ-დემოკრატები, მენშევიკები, არ აძლევდნენ აზრის გამოხატვის საშუალებას, ხოლო წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში,

¹⁸ ნ.მარის ტექსტი საქმაოდ არქაიზებულია, მსჯელობა კი რთულია. ჩვენ თარგმანში შევეცადეთ დაგვეცვა ავტორისეული მსჯელობის ხასიათი. ამდენად თარგმანი დაზღვეული არ არის სტილური ხარვეზებისგან.

¹⁹ აქაც და ქვემოთაც თარგმანში ხაზგასმა ჩვენია (ტ.ფ., ი.ვ.).

უცერემონიოდ ჩამოაგდებდნენ ხოლმე ღია ცის ქვეშ სოფლის მინდვრებსა თუ მოედნებზე მოწყობილი ტრიბუნებიდან.

ასეთი მოვლენების მოწმე მე თავად ვიყავი 1905 წელს.

ნაციონალური იდეის სხვადასხვა გამოვლინებას, ლიბერალურიდან უკიდურეს შოვინისტურამდე, მაშინაც ჰყავდა თავისი მიმდევრები ქართული საზოგადოების სხვადასხვა ფენაში: ან მსხვილ თავადებში, განსაკუთრებით, მთავრებში, ან წვრილმემამულურ და ბურჟუაზიულ ელემენტებში, ან კიდევ ამა თუ იმ ჯგუფთან მიკედლებული ქართული დიდგვაროვანი ინტელიგენციის წარმომადგენლებში, მაგრამ მათ იმდენად არ აერთიანებდა ნაციონალური იდეა, რამდენადაც თიშავდა მისი კლასობრივი, უფრო სწორად, წოდებრივ-გადმონაშთური გაგება.

ქართული ნაციონალური აზრი მაშინ მძიმე განსაცდელის წინაშე აღმოჩნდა. მისმა უფრო აშკარა მატარებლებმა სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობაში დაინახეს ახალი ძალა, რომელიც ემუქრებოდა ქართველი ხალხის ნაციონალურ ყოფას და მომდინარეობდა იმავე რუსული წყაროდან, საიდანაც მოდიოდნენ ნაციონალური ცხოვრების ყველაზე კანონიერ გამოვლინებათა ჩამხშობი რუსი ჩინოვნიკები. საქართველოში მზად იყვნენ, სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის მოღვაწეებში დაენახათ კვლავ რუსული წყაროებიდან მოგზავნილი გამცემები - და ყველაფერი რუსული ხდებოდა საეჭვო, არასაიმედო და მტრული განცდის გამომწვევი.

ქართული ნაციონალური აზრი, იგრძნო რა თავი რუსებისგან იმედგაცრუებულად, თავისთვის ჩაიკეტა. მისთვის, როგორც არასდროს, კავშირი გაწყვეტილი აღმოჩნდა მეზობლებთანაც და დარჩა იდეურად სრულიად იზოლირებული კავკასიაში. ამგვარად, ჯანსაღ ნაციონალურ მოძრაობაში დაილექა ავადმყოფური ქაფი.

ფართო წრეებში გაძლიერდა ნაციონალიზმის კულტი, ნაციონალური მეძიებლობის დემონსტრაციულად გამოვლენით გატაცება. მხოლოდ, უფრო განათლებულ წრეებშიც, უფრო სწორად, სერიოზული სულიერი მოთხოვნილებების მქონე წრეებში დაიწყო მუშაობა ნაციონალურ კულტურაში, ხოლო მასთან ერთად, გაიზარდა

ნამდვილი ინტერესი მშობლიური წარსულის მეცნიერული შესწავლისა.

ვორონცოვ-დაშკოვის დროს დამყარებულმა სახელისუფლებო მიმართულებამ იმოქმედა ნაციონალიზმის ავადმყოფური, დამახინჯებული გაგების გაძლიერებასა და, ამასთან ერთად, დიდი ხნიდან - ჯერ კიდევ გოლიცინის დროიდან - ქართველ-სომეხთა გამწვავებული ურთიერთობის გაღრმავებაზე, ასევე გამწვავდა ქართველ-რუსთა ურთიერთობა და რამდენადმე დაახლოვდნენ ქართველები და თურქები. ესენი, არსებითად, გაერთიანდნენ მხოლოდ ერთი, წმინდა კლასობრივი ნიშნით, რომელმაც მიიღო სომხების მიმართ საერთონაციონალური, მტრულ-უარყოფითი ან გულგრილი და აგდებული დამოკიდებულების სახე.

საგრძნობი გახდა სასახლის პოლიტიკაც, რომელიც მეფისნაცვალთან გარს შემოკრებილ ცალკეულ ადამიანთა პიროვნული სიმპათიებით იყო მართული - ჭეშმარიტი სახელმწიფოებრივი მშენებლობისათვის უსუსური და კავკასიისთვის დამღუპველი; მას ჰქონდა სომხებისთვის სასიკეთო და ქართველებისთვის არახელსაყრელი კურსის დემონსტრაციული ჩვენება. მართალია, ის არ იყო, რაც გოლიცინის დროს ხდებოდა სომხებთან დამოკიდებულებაში. მაშინ რუსები ოფიციალურ გაზეთ „კავკასიაში“, უმაღლესი ხელისუფლების კეთილგანწყობით, წამლავდნენ მთელ სომეხ ხალხს. არ იყო სიბინძურე, რომელსაც არ ბეჭდავდნენ, განსაკუთრებით, მისი ბურჟუაზიული კლასისა და ინტელიგენციის წინააღმდეგ. „კავკაზის“ რედაქტორი, რუსი პოეტი ველიჩკო, ათავსებდა რა თავის პოეტურ ქმნილებებს ლიბერალურ **ევროპის მოამბეში** და სარგებლობდა ქართველი ხალხის ნაციონალისტური ნაწილის დამოკიდებულებით, (რასაც ჰქონდა მრავალსაუკუნოვან მეზობელთან - ხალხთან - ბრძოლის სოციალურ-ეკონომიკური საფუძველი), კავკასიაში პროვოცირებდა ქართველებს სომხების წინააღმდეგ. საკმარისია ითქვას, რომ ისეთი გამოჩენილი ქართველი პოეტები, როგორიცაა: აკაკი წერეთელი, ილია ჭავჭავაძე (ისინი ხომ ნაციონალისტური წრეების საზოგადო მოღვაწენი არიან), მთელი ძალით იყენებდნენ თავიანთ ლიტერატურულ ტალანტს იმავე

დენის კამპანიაში მთელი ხალხის წინააღმდეგ. კავკასიაში შეიქმნა საზოგადოებრივი ატმოსფერო, რომელშიც უმაღლესი ხელისუფლება დროისა და ადგილის რეალურ პირობებში თავისუფლად დგამდა საბედისწერო ნაბიჯს - ართმევდა სომხებს საეკლესიო ქონებას. მაგრამ ქართველებთან დამოკიდებულებაში უარესი მოხდა ვორონცოვ-დაშკოვის დროს.

ვორონცოვ-დაშკოვმა, არაერთგზის ისარგებლა რა ქართველ სოციალ-დემოკრატთა უმწეობით კრიტიკულ მომენტში (რუსული სამოქალაქო მმართველობის განაპირა რეგიონში უიარაღოდ წესრიგის შენარჩუნებისათვის), საქართველოს სოციალ-დემოკრატიულად განწყობილ მხარეში დაუშვა დამსჯელი ექსპედიციები. სხვათა შორის, სოციალ-დემოკრატიული ქსელით დაფარულ გურიაში რაზმი, ალიხანოვის სარდლობით, განუკითხავად წვადა სახლებსა და ნათესებს; მაშინ ჩემს მშობლიურ სოფელშიც გადაწვეს სოფლის სამაგალითო კერძო სკოლა, მსხმოიარე ვენახით; სრულიად უდანაშაულო ორგანიზატორები - მასწავლებლები, რომლებიც საერთოდ არ ეკუთვნოდნენ სოციალ-დემოკრატიულ პარტიას, იძულებულნი გახდნენ სამუდამოდ მიეტოვებინათ მათთვის ძვირფასი და სოფლისთვის მნიშვნელოვანი საქმე. ამავე დროს, მეფისნაცვლის სასახლეში, სომეხი ბურჟუაზიული არისტოკრატისადმი საჩვენებელი თავაზიანობითა და ქართველი საზოგადოების წარმომადგენლებისადმი უყურადღებობით გამოძწევდა ალიხანებდნენ ქართველი ხალხის წოდებრივ ფენებს. მშვიდობიანი ქართველი მღვდლების ცემით საქართველოს ისტორიული დედაქალაქის მოედანზე, შეიძლება ითქვას, სასახლიდან ორ ნაბიჯზე, საფუძვლიანად აღაშფოთეს მთელი ქართველი საზოგადოება და თვით მშობლიური ეკლესიისადმი გულგრილად განწყობილი საზოგადოებრივი წრეებიც, ხოლო ხალხში ცნობილი გახდა, რომ არა თუნდაც ოფიციალური გაზეთის რედაქტორი, არამედ ბევრად საპასუხისმგებლო მოღვაწე - მთელი მხარის უფროსი - ყველა დოკუმენტში ხაზს უსვამდა ქართველთა პოლიტიკურ არასაიმედოობას.

ღრმა სახალხო მღელვარებას, რომელმაც ვერ ნახა კანონიერი გამოსავალი, სხვადასხვა მომენტთან მიმართებით ქრონოლოგიურად დაემთხვა გაუხსნელი მკვლევლობები: ერთი მხრივ, გურიის სადამსჯელო რაზმის უფროსის - ალიხანოვისა (სომხურ ქალაქ ალექსანდროპოლში) და საქართველოს ეგზარქოსისა (თბილისში), მეორე მხრივ - ქართული ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი მოთავის - პოეტ ი. ჭავჭავაძისა.

ზოგადად, მოვლენებმა, კერძოდ, პოეტის მკვლელობამ, გაუძლიერა ქართველებს ნაციონალური დინების ავადმყოფურობა და ნაციონალური აგზნებადობა. ამ უკანასკნელს მეფისნაცვლის კარზე იყენებდნენ ქართველების სომხებთან დასაპირისპირებლად საზოგადოებრივ საკითხებში. ასეთ ვითარებაში იქნა ინსცენირებული ჯერ უმაღლესი სასწავლებლის საკითხის განხილვა, ხოლო როცა საკითხი არ გადაწყდა პოლიტექნიკუმის სასარგებლოდ, მაშინ იკამათეს სასწავლებლის შენობისათვის მიწის ნაკვეთის შერჩევაზე თბილისში. ეს ახალი საზრდო აღმოჩნდა ქართველებისა და სომხების ურთიერთგაღიზიანებისა და ქართველებში ნაციონალური შეურაცხყოფის გრძნობის გაძლიერებისათვის.

მსოფლიო ომმა, რომელმაც გამოიწვია საერთორუსული გამოცოცხლება და ნაციონალური აღმავლობა, საქართველოშიც გააძლიერა ნაციონალური ნაკადი, ხელი შეუწყო ქართული ნაციონალიზმის ზრდას და მძიმე დარტყმა მიაყენა ინტერნაციონალურ სოციალ-დემოკრატებს. სოციალ-დემოკრატიულმა ორგანიზაციებმა შეინარჩუნეს თავიანთი ძალა, მაგრამ ქართულ, თვით დემოკრატიულ წრეშიც კი აღარ იწვევდა ყოფილ აღფრთოვანებას მოწოდება, რომელიც აშშ-მხარეობდა 1905-1906 წლების ქართული საზოგადოებრივი მოძრაობის ყველა დროშას: „პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“ საქართველოში აშკარად შესამჩნევი გახდა დევიზი: „ყველა სახის ნაციონალისტებო, გაერთიანდით!“ თვითონ სოციალ-დემოკრატის განსაზღვრულმა ნაკადმა და მისმა ცალკეულმა წარმომადგენლებმა დაიწყეს ქართული ნაციონალიზმის ელემენტების ჩართვა თავიანთ მოძღვრებაში.

დიდი მთავრის მოვლინებამ მეფისნაცვლის წოდებით ახალი საბაბი წარმოშვა, რომ მასში დაენახათ შესაძლო დასაყრდენი ქართული ნაციონალიზმის გაძლიერებისათვის. დიდი მთავრის სასახლეში, როგორც ჩანს, ვარაუდობდნენ მეტ სიახლოვეს ქართული წრის თვალსაზრისთან, რომლის წარმომადგენლებმაც სასახლის წრეში დაინახეს მეტი გულისხმიერება ქართველი ხალხის დაგროვილი წყენის გამომხატველი საჩივრებისადმი და თანდათან დაიწყეს ნაციონალური მოთხოვნის უმაღლეს ხელისუფლებამდე მიტანა; ეს ეხებოდა: ეკლესიას, სკოლას, საზოგადოებრივ თვითმმართველობას. მეორე მხრივ, დიდი მთავრის მარჯვენა ხელმა, გენერალმა იანუშკევიჩმა, რომელსაც ჰქონდა განსაკუთრებული ანტისემიტური რეპუტაცია, სხვადასხვა საზოგადოებრივ წრეში გავრცელებული ცნობის თანახმად, თავისი დამოკიდებულება ებრაელებთან გადაიტანა სომხებზე; ამის შემდეგ, არაჩვეულებრივი სისწრაფით, მთელ სომხურ დასახლებაში, რუსული ჯარების მიერ განმათავისუფლებელი მისიით დაკავებულ თურქეთის სომხეთშიც კი, საგრძნობი გახდა ანტისომხური პოლიტიკა.

მალე საქართველოს ეგზარქოსად დანიშნულმა პიტირიმმა გამოავლინა ეგზარქოსობის ასი წლის განმავლობაში არნახული, აშკარად დემონსტრაციული ყურადღება და ლაცივი ქართული სამწყსოსადმი; საქართველოს რუსმა ეგზარქოსმა ისწავლა ქართულად ღვთისმსახურება; თავისი ინიციატივით ხშირად ჩნდებოდა ქართულ ნაციონალურ ჭირსა თუ ლხინში პანაშვიდისა თუ ლოცვის აღსავლენად.

საქართველოდან წასვლისას პიტირიმმა აღუთქვა ქართველებს, რომ დაიცავდა მათ მოთხოვნას ავტოკეფალიაზე; პეტერბურგში ჩასვლის შემდეგ მან მალევე დართო ნება, ჰქონოდათ კარის ეკლესია ქართული ღვთისმსახურებისათვის. ქართული საზოგადოების ნაციონალისტურად განწყობილმა ნაწილმა, რომელმაც კარგად იცოდა პიტირიმის კავშირები და მნიშვნელობა, თავისი ღრმა პატივისცემის ნიშნად, მას მთავარი მეცხვარის ნაბადი. ფრთაშესხმულმა ნაციონალურმა აზრმა გაუცნობიერებლად დაიწყო განვითარება დრომოჭმული, როგორც ჩანს, მოწინავე, რეალურ-

დემოკრატიულად განწყობილი ქართველების აზროვნების რესტავრაციის გზით.

ქართველი ხალხის ყურადღების საგნად იქცა ნაციონალური ინტერესები; კერძოდ, მაშინ როცა 1905-1906 წლებში კავკასიაში გავრცელდა რუსული განმათავისუფლებელი მოძრაობა, საქართველოში მან პოვა ძლიერი მხარდაჭერა არა მხოლოდ მუშათა ფართო ფენებში, არამედ იატაკქვეშა სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციებიდან გამოსულ გლეხებშიც. განმათავისუფლებელი მოძრაობის მხარდამჭერად მოგვევლინა ნაციონალისტურად განწყობილი ქართული არისტოკრატიაც, რომელშიც დანავარდობდა აზრი ნაციონალურ ქართულ მეცნიერებაზე. ამ ჯგუფის წევრებმა, მათ შორის, თავადმა ნ. თავდგირიძემ მომმართველ პეტერბურგში და მთხოვეს, შემედგინა ქართული მეცნიერებათა აკადემიის წესდება, მაგრამ ეს წამოწყება უნიადაგო აღმოჩნდა მაშინდელი საზოგადოებრივი მოძრაობის პირობებში. მას შემდეგ ფიქრი ქართული მეცნიერების ნაციონალურ დაწესებულებაზე და, მისი მეშვეობით, ქართული სამეცნიერო ენის განვითარებაზე არ შეწყვეტილა. ნაციონალური კულტურისა და, მასთან ერთად, წარსულის შესწავლის ინტერესი არა მხოლოდ გაიზარდა, არამედ მოედო უფრო ფართო წრეებსაც. ეს, როგორც ბარომეტრზე, ისე აისახა აღმოსავლური ენების ფაკულტეტის მსმენელთა შემადგენლობაზე. ქართველი სტუდენტები მომრავლდნენ სომხურ-ქართულ განყოფილებაზე და შეადგინეს მთავარი კონტინგენტი, საერთოდ, არამრავალრიცხოვანი აუდიტორიისა. ფაკულტეტთან არსებულმა ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრემ, ჩემი ქართველი მოწაფეების აქტიური მონაწილეობით, გააჩადა ინტენსიური მოღვაწეობა მშობლიური კულტურის შესასწავლად, რაც აღინიშნა ყველა ფაკულტეტიდან და ქალთა უმაღლესი კურსებიდანაც კი ქართველი სტუდენტების მომრავლებით კავკასიათმცოდნეობის, უმეტესწილად კი ქართველთმცოდნეობის ლექციებზე. ამის გამო მეც მომიწია, ზოგიერთი ლექცია გადამეტანა, მაქსიმუმ, ათ სხვა სტუდენტზე გათვლილი, თითქმის ცარიელი აუდიტორიიდან სავსე აუდიტორიაში, რომელიც ათეულობით სტუდენტს იტევს.

ტფილისში წარმოიშვა ქართული კულტურის მოყვარეთა საზოგადოება, მაგრამ პრაქტიკული სამეცნიერო მუშაობა საქართველოში განხორციელდა რამდენიმე სწავლულისა და ენთუზიასტის ვიწრო წრეში, რომელიც, ძირითადად, ქართული ისტორიისა და ეთნოგრაფიის საზოგადოებასთან ჩამოყალიბდა. გიმნაზიაში მუდმივად განიხილებოდა მშობლიური ენის სწავლების სწორად წარმართვის, უფრო მეცნიერულად დასაბუთებული მართლწერისა და სხვა საკითხები.

უკანასკნელ ხანს თბილისში ბევრს მუშაობდნენ ქართულ გიმნაზიებში სწავლების სრული ნაციონალიზაციის საკითხზე. რევოლუციამ ქართველებს მოუსწრო ცხარე კამათში: დაეშვათ თუ არა ქართულ გიმნაზიებში ქართველი ბავშვების გადმოყვანა იმ გიმნაზიებიდან, სადაც ქართული სწავლების ენა არ იყო? რევოლუციის პირველივე დღეებიდან მასწავლებელთა ყრილობამ დაადგინა საქართველოს დაწყებითი სკოლების ნაციონალიზაცია, ასევე, მიიღო გადაწყვეტილება, ყველა საშუალო-სასწავლო დაწესებულებაში შემოეღოთ სწავლების ნაციონალიზაციის ის ფორმა, რომელიც რევოლუციამდე ჰქონდათ მხედველობაში, განეხორციელებინათ თავიანთ გიმნაზიებში, იმ ქართველი დიდკაცობის გიმნაზიებში, რომელიც თავისი ისტორიული ფსიქოლოგიით ბუნებრივად შეადგენდა ყველა ტიპის ნაციონალური პარტიების ბირთვს.

მშობლიური მხარის საერთო ნაციონალური დინებით გართულმა სოციალ-დემოკრატებმა ძლიერ გაიმყარა თავისი ნაციონალური საზოგადოებრივი მსოფლმხედველობა. ეს სიცხადე, პირველ რიგში, აისახა კავკასიის უმაღლესი რევოლუციური ხელისუფლების ფორმირებაში - ამიერკავკასიის საგანგებო კომიტეტში - გედის, კიბოსა და ქარიყლაპიას, კერძოდ, ქართული სოციალ-დემოკრატის, სომეხთა ნაციონალური პარტიისა („დამნაკების“) და კავკასიური საერთომუსულმანური ორგანიზაციის კავშირში იმ რელიგიური დროშით, რომლითაც შესაძლებელია მხოლოდ თურქეთის ჰეგემონიის გატარება კავკასიის ყველა მუსლიმან, უმეტესად არათურქ ხალხზე.

ქართული სოციალ-დემოკრატის ცნობილმა მოთავეებმა, ფართო განათლების არარსებობის, განსაკუთრებით, კავკასიელ ხალხთა მრავალსაუკუნოვანი რთული კულტურულ-ისტორიული ურთიერთობის არცოდნის გამო, ადგილობრივი საერთო-სამხარეო საკითხების განხილვა დაიწყეს მათთვის ბუნებრივად დამახასიათებელი ნაციონალური თვალთახედვით, როგორც კი ცხოვრებამ მათ დააკისრა ნაციონალური უთანხმოების მოწესრიგება. კავკასიის საზღვრებს გარეთ უდავო ინტერნაციონალისტები, კავკასიაში, მათთვისვე შუმჩნევლად, თავიდან იზადებოდნენ ნაციონალისტ-ქართველებად. თავიანთი პარტიის შინაური წარმატებით დაბრმავებულები, თავიანთ სამშობლოში ვერ ამჩნევდნენ და შეიძლება ახლაც ვერ ხედავენ, რომ კავკასიის ხალხთა ურთიერთშუღლი ძველი რეჟიმის არანაირი მიმართულების დროს არ გამწვავებულა იმ სიღრმემდე, საფრთხე არ მოუტანია კავკასიისთვისაც და, საერთოდ, რუსეთის სახელმწიფოსთვისაც მთელი სერიოზულობით, როგორც - ახლა, როცა რუსული რევოლუციური დროშის ქვეშ ამიერკავკასიის საგანგებო კომიტეტმა ფართოდ გაუღო კარი მოქმედების რევოლუციურ ხერხებს - არა კავკასიაში საერთო-სამოქალაქო თავისუფლების გამყარებისათვის, არამედ ამა თუ იმ ნაციის წარმატების უზრუნველსაყოფად კავკასიის ჰეგემონიისათვის ბრძოლაში, ძველი ნაციონალური ინსტიტუტების რესტავრაციის გზით, თუნდაც მათი ყოფილი რეალობის აჩრდილითა და, მათი გაძლიერების ხარჯზე, ახლის შექმნით.

თუ სოციალ-დემოკრატებმა ვერ შეძლეს ნაციონალიზმისაგან თავის დაღწევა, ეს პროცესი უფრო ძლიერი ბუნებრიობით უნდა განეცადა სოციალისტ-ფედერალისტებს, რომლებმაც ფედერალიზმის ცენტრი თვითმმართველობის პრინციპიდან გადაიტანეს რუსული რევოლუციის მიერ საჯაროდ აღიარებული დემოკრატიული თავისუფლების ნიადაგზე.

ნაციონალური მოძრაობის ქართული ფრთა გაძლიერდა: პირველივე ნაბიჯებიდან გაძლიერება გამოიხატა ამიერკავკასიის საგანგებო კომიტეტის შემადგენლობაში ფედერალისტ-ნაციონალისტის - კიტა აბაშიძის შესვლით. მას გადასცეს კავკასიის

სახალხო განათლების უწყება, რამაც განაპირობა ყველა სკოლის ნაციონალიზაცია ქართულ ტერიტორიაზე, ტფილისის ჩათვლით. სიმნელეს შეიძლება წავწყდომოდით, როგორც ჩანს, საქართველოს პერიფერიაში, მისი ტერიტორიის საზღვართან დაკავშირებით. 12 სექტემბრის ადგილობრივ გაზეთებში მოთავსებულია უმაღლესი ადგილობრივი ხელისუფლების დადგენილება კავკასიის ყველა საშუალო სასწავლო დაწესებულების ფაქტობრივი ნაციონალიზაციის შესახებ.

II.

სასწავლო საქმეში ასეთი სწრაფი და თვალსაჩინო წარმატების ვითარებაში, ნაციონალიზაცია ლოგიკურად უნდა გატარებულიყო უმაღლეს სკოლაშიც, მაგრამ უმაღლესი სახელმწიფო სკოლა არ აღმოჩნდა ადგილზე. ამიტომ ქართულ ნაციონალისტურ საზოგადოებრივ ჯგუფებს შეეძლოთ მეტად გულთბილად და არა სხვაგვარად მოჰკიდებოდნენ ნაციონალური უნივერსიტეტის დაარსების იდეას. პროგრამის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, თვით იდეა და კონსტრუქცია ქართული უნივერსიტეტისა, თუ მთლიანად არა, მისი ძირითადი ორიგინალური ნაწილი მაინც ტფილისში ჩატანილია ჩემი ქართველი მოწაფეების წრიდან. ისინი იდეალისტურად, ან, უფრო ზუსტად, ნაციონალურ-რომანტიკულად არიან განწყობილნი, მაგრამ მკაცრი თეორეტიკოსები არიან, ცუდად იციან კავკასიის რეალური ცხოვრება თავისი საერთაშორისო მასშტაბით და ჩვენ დაგვცილდნენ არა მარტო საქართველოს კულტურული ინტერესების გაგებაში, არამედ ჰუმანიტარული კავკასიათმცოდნეობის წმინდა სამეცნიერო ამოცანებშიც. ამას ხელი არ შეუშლია, რომ ქართული უნივერსიტეტის წესდების მიხედვით, აღნიშნული სამეცნიერო მიმართულების მთელი ზოგადი სქემა ფორმალურად წარმოადგენს ჩვენი გაგების გატარების ცდას ქართულ გარემოში. მე კი ვიტყვი, რომ ეს არის წინააზიური სამყაროს რეალურ-ფილოლოგიური შესწავლის რუსული სამეცნიერო გაგება, მხოლოდ - დამახინჯებებით, საზოგადოებრივი და სამეცნიერო მიღწევებისთვის ასეთ ვითომ არაარსებით დამახინჯებათა დამღუპველობის გაცნობიერების გარეშე. ქართული უნივერსიტეტის

სამეცნიერო ხედვა აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკ-ის ნახევარსაუკუნოვანი მუშაობის ზუსტი გამეორებაა, რისი რეალურად შესრულებაც მოხერხდა, ან დასახელებული ფაკულტეტის პროგრამით გათვალისწინებულია უახლოეს მომავალში განსახორციელებლად. ამიტომაც დიდი გაოცებით წავიკითხე განმარტებითი ბარათის შემდეგი შესავალი ნაწილი ქართული უნივერსიტეტის წესდების ძირითად დებულებებზე: „ქართულმა უნივერსიტეტმა თავისი მომავალი მოღვაწეობისათვის წინასწარ დასახა ის სამეცნიერო ამოცანები, რომლებიც საერთოა ყველა ქვეყნისა და ხალხის უნივერსიტეტებისათვის. მაგრამ, ამის გარდა, ქართული უნივერსიტეტი თავის უპირველეს და უახლოეს ამოცანად თვლის საქართველოს, კავკასიისა და ახლო აღმოსავლეთის ადამიანისა და ბუნების წარსულისა და თანამედროვეობის ყოველმხრივ სამეცნიერო შესწავლას. ამ მიზეზით, ქართული უნივერსიტეტის ლექციების პროგრამა ცოდნის ზემოხსენებულ უბნებში შესაბამისად ფართო იქნება, ჩაირთავს რა იმ დისციპლინებს, რომელთა ერთობლიობაც ამ სახითა და თვალსაზრისით არცერთ სხვა უნივერსიტეტში არ იყო მითითებული სამეცნიერო შესწავლისა და საუნივერსიტეტო სწავლების ხარისხში. განსაკუთრებით ფართოდ არის წარმოდგენილი ქართველთმცოდნეობა, მაგ., ქართული ენათმეცნიერება, ქართული დიალექტოლოგიისა და კავკასიათმცოდნეობის შესწავლა, წაკითხული იქნება ლექციები: ქართულ არქეოლოგიაში, ეპიგრაფიკასა და პალეოგრაფიაში, საქართველოს ეკონომიკურ ისტორიაში, საქართველოს, კავკასიისა და ახლო აღმოსავლეთის თანამედროვე ეკონომიკურ მდგომარეობაზე, აგრარულ საკითხზე საქართველოში, საქართველოს ეკლესიის ისტორიაში, ქართული საერო მწერლობის ისტორიაში, ქართული ხელოვნების ისტორიაში. ჩვეულებრივი ლექციების გარდა, თანდათანობით გათვალისწინებულია ლექციების ორგანიზება სპარსულ-ქართულ, ბიზანტიურ-ქართულ, სომხურ-ქართულ, თურქულ-ქართულ ლიტერატურასა და ისტორიაში და სხვ.“

თუ გამოვრიცხავთ ჩამონათვალის ზოგიერთ რედაქციულ უწყესრიგობას, რომელშიც ცალკეული სამეცნიერო უბნები და

სამეცნიერო დისციპლინები არეულია ერთმანეთში, სპეცკურსებთან და მათ ნაწილებთანაც, აღმოსავლეთმცოდნეობის ამა თუ იმ დისციპლინის თემების მიხედვით, ყველაფერი, რაც მოწოდებულია არნახულ სიახლედ, დიდი ხანია, არა მარტო დასახული, არამედ - განხორციელებულიცაა და კვლავ ხორციელდება პეტროგრადში აღმოსავლური ენების ფაკულტეტზე. ფაკულტეტის პროგრამიდან და სწავლების მიმოხილვიდანაა ნასესხები ყველა ტერმინი, ერთის გარდა: განდევნილია ტერმინი „იაფეტური“ და მის ნაცვლად შემოტანილია „ქართული“, რომ ნაციონალისტური მიზნებისათვის გამოსადეგ ტერმინს: „ქართული“ მისცენ ისეთივე მნიშვნელობა, როგორც თუნდაც რუსულ სკოლასა და რუსულ მეცნიერებაში დაადგინონ, ტერმინი „რუსული“ გამოიყენონ, ნაცვლად ტერმინისა: „სლავური“, მით უფრო - ნაცვლად ტერმინისა - „ინდოევროპული“. შეიძლება ვიფიქროთ, რომ არც წესდება, არც, განსაკუთრებით, მისი განმარტებითი ბარათი არ იყო გათვლილი ამიერკავკასიის საგანგებო კომიტეტზე შორს სამოქმედოდ. კომიტეტმა ამჯერად არ იტვირთა დამტკიცების პასუხისმგებლობა, მაგრამ თავი ცნო საკმაოდ კომპეტენტურად, რომ მხარი დაეჭირა მისი საკითხის დადებითად გადაწყვეტისათვის. ქართული უნივერსიტეტის იმ სახით დაარსებაში, როგორც ამას ითვალისწინებს ქართული უნივერსიტეტის საზოგადოება, ამიერკავკასიის საგანგებო კომიტეტი ხედავს განახლებული რუსეთის მოვალეობას.

იძულებული ვარ, გავაპროტესტო ეს, როგორც აშკარა სიცრუე ან გაუგებრობა. ამიერკავკასიის საგანგებო კომიტეტი მიუთითებს ქართული უნივერსიტეტის საზოგადოების სავსებით ღირსეულ შემადგენლობაზე; ეს უდავოდ ასეა და უსაფუძვლოა ქართულ სინამდვილეში მათი მნიშვნელობის დაკნინება. დასახელებულთა შორის, შესანიშნავი სპეციალისტის, ისტორიკოს ე. თაყაიშვილის გვერდით, არიან ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწენი: ჟურული და თავადი აფხაზი. ისინი, სრულიად საფუძვლიანად, დიდი გავლენით სარგებლობენ ქართული მოსახლეობის გარკვეულ წრეებში. თვითონ ამ ღონისძიებამ წინ წამოსწია **ნაციონალური ნაკადი, რომელიც გაგებულია ყოველივე ცოცხალის ჩამხშობი წინა**

რეჟიმის პროტესტად, მაგრამ თანამედროვე ცხოვრების პირობებში მას არა აქვს არავითარი რეალური გამართლება, არავითარი საფუძველი, საქართველოს ანგარიში (პრეტენზია - ი.ვ., ტ.ფ.) წაუყენოს ახალგაზრდა განახლებულ რუსეთს. რუსეთის ცხოვრებაც ნამდვილად ახალ, თავისუფალ საწყისებზეა და არ უნდა ჩავახშოთ მასში ახალი თავისუფალი სული.

ამიერკავკასიის საგანგებო კომიტეტი, დაუჯერა რა განმარტებით ბარათს, აღძრავს შუამდგომლობას ქართულ უნივერსიტეტში კავკასიათმცოდნეობის დისციპლინათა ორიგინალურობაზე მითითებით; ასევე შენიშნავს, რომ ზოგიერთი ამ დისციპლინათაგანი ქართულ უნივერსიტეტში „წაიკითხება იმ სახით, რომლითაც არ იკითხება არცერთ სხვა აქამდე არსებულ უნივერსიტეტში“.

სინამდვილესთან შეუსაბამოა ის სევდიანი სიმართლე, რომელსაც შეიცავს ეს სტრიქონები და მათი წყარო ჩვენ მიერ უკვე მოყვანილი განმარტებითი ბარათის ნაწყვეტიდან, ვითომ არსად წაკითხულ და არც კი ნავარაუდევ ახალ კურსებზე და ა. შ. საქმე ისაა, რომ მთელ კავკასიაში და, საერთოდ, პეტროგრადის გარეთ არავინ არის, ვინც მომზადებული იქნებოდა ამ კურსების წასაკითხად. ამდენად, მაქვს საფუძველი არ ვირწმუნო, რომ ეს კურსები კეთილსინდისიერად მაინც წაიკითხება ტფილისის ქართულ უნივერსიტეტში; მაშასადამე, საუბარია აღმოსავლური ენების ფაკულტეტიდან იმ ერთეული სპეციალისტების წასვლაზე, რომლებსაც შეუძლიათ წაკითხვა და კითხულობენ კიდევ სწორედ ამ კურსებს.

ჭორები ამ სპეციალისტთა წასვლაზე მოდიოდა ჩემამდე, მაგრამ მე არ მჯეროდა, რომ თუნდაც ვინმეს საზოგადოებრივ-საგანმანათლებლო ინტერესებში ყოფილიყო იმ ერთადერთი მუხის მოჭრის მცდელობა, რომლის ნაყოფითაც ჩვენ ყველა, ორიენტალისტი-კავკასიათმცოდნეები, ნაციონალიზმისა და მიმართულების განურჩევლად, ერთნაირად გამოვიკვებეთ და ვიკვებებით.

განსაკუთრებულად ვეხები რა ასეთი ნაბიჯის საქმიანი მხარის შეფასებას, სრული დარწმუნებით შემიძლია დავამტკიცო, რომ ეს მოწმობს წინასწარგანზრახულ განხეთქილებას აღმოსავლური ენების ფაკ-თან, ასევე - სურვილს, არ გააცნობიერონ, რომ აღმოსავლური ენების ფაკულტეტთან მჭიდრო ურთიერთობის გარეშე, ერთი მდიდარი პროგრამით ქართული უნივერსიტეტი თავის ორიგინალურ კავკასიათმცოდნეობაში მიზანს ვერ მიაღწევს: მუშაობა სამეცნიერო გარემოს, მომიჯნავე ისტორიულ-ფილოლოგიურ და აღმოსავლეთმცოდნეობის მეცნიერებათა შეხამების გარეშე, რასაც ჩვენ ვითვალისწინებთ პეტროგრადის უნივერსიტეტში, არა მხოლოდ ნაკლებნაყოფიერი აღმოჩნდება, არამედ, წვალებით მიღწეული სამეცნიერო ატმოსფეროს მწვერვალიდან მალე ჩამოაქვეითებს სპეციალისტებს, რომლებმაც თავი მოიყარეს ერთგვარი „განდგომის“ მოსაწყობად.

ასე რომ, ახლანდელი ღონისძიებით, არსებულ რეალურ პირობებში, ხორციელდება **დარტყმა მეცნიერულ კავკასიათმცოდნეობაზე**, შესაბამისად - სწორედ იმ საქმის ინტერესებზეც, რომლის განვითარებისთვისაც, როგორც ჩანს, ყალიბდება ქართული უნივერსიტეტის შესაბამისი ნაწილი.

III

ფიქრიც არ შემიძლია დავუშვა, რომ ქართული უნ-ტის ორგანიზატორებს სინამდვილეში არ ესმოდათ, რას აკეთებენ. მრჩება ვალიარო: ახალი დაწესებულება აგრძელებს ქართული სასწავლო საქმის ნაციონალიზაციის იდეით უკიდურეს გატაცებას, ამ უმაღლესი ქართული სკოლის ამოცანები, პირველ რიგში, არის არა სამეცნიერო, არამედ - ნაციონალური. მოქმედების ხერხი შეიძლება გამომდინარეობდეს იმავე წრეში არსებული სრულიად გაუგებარი შეხედულებიდან, რომ ქართველთმცოდნეობის დისციპლინების სამეცნიერო შრომებში არაქართული ენის გამოყენება, კერძოდ, ლექსიკონში ქართული სიტყვების რუსულით ახსნაც კი აზნელებს ქართველი ხალხის ენობრივ ფსიქოლოგიას. **თუ საუბარი იქნებოდა სწავლების არამშობლიურ ენაზე, აქ საკამათო არაფერი იქნებოდა, მაგრამ ხსენებული თეზა უმაღლესი სკოლისთვის გამოსაყენებლად,**

განსაკუთრებით სამეცნიერო კვლევის უბანზე, გარდა იმისა, რომ თეორიულად უსუსურია, ამტკიცებს რაღაც სრულიად საწინააღმდეგო სინამდვილეს, ეს თეზა მიდის საგანთა რეალური ვითარების სრულ დამახინჯებამდე, კერძოდ, მტკიცებამდე, რომ არაქართველებს არ შეუძლიათ ქართველთმცოდნეობით დაკავება, მაშინ როცა აღმოსავლეთმცოდნეობის ყველა თანამედროვე სამეცნიერო მიღწევას, მის შემოქმედებით მომენტებს, უნდა ვუმაღლოდეთ სწორედ ევროპულ მეცნიერებას, საერთოდ, ევროპელებს, მათ რიცხვში, რუსებსაც. ამ ურთიერთობაში კავკასიათმცოდნეობის დისციპლინები არ წარმოადგენს გამონაკლისს; პირიქით, თუკი სომხური და ქართული მასალების დამუშავებით დაკავებულ ისტორიულ-ფილოლოგიურ დისციპლინებს არ გამოსდით განვითარების იმ დონემდე მისვლა, რომელსაც ეს მასალები იმსახურებენ და რომელსაც მიაღწიეს აღმოსავლეთმცოდნეობის სხვა უბნებმა, ამაში მნიშვნელოვნად დამნაშავეა (როგორც მომიხდა ამაზე ფაქტობრივი დასკვნებით პრესაში აზრის გამოხატვა), კარგად ცნობილი ვითარება:

კავკასიათმცოდნეობაში მომუშავეთა უმრავლესობა ხალხის - კვლევის ობიექტის - წარმომადგენელია; ისინი /კავკასიელები/, თვითდაკვირვებისა და თვითშეფასების, საერთოდ, „თავის შეცნობის“ ბუნებრივი სიძნელის გამო, გამოუვალ მდგომარეობაში ვარდებიან; კავკასიელი მკვლევრები ერთიანად მოცულნი არიან თავიანთი ცხოვრებისეული პოლიტიკური პრობლემებით: **რადგან კავკასიური ნაციონალური ურთიერთობები მწვავედბა მეტისმეტი დახლართულობის გამო, მათ, ბუნებრივია, ფსიქოლოგიურად არ შეუძლიათ დადგნენ სრულ ობიექტურ სამეცნიერო თვალსაზრისზე თავიანთ სპეციალობებში; დღემდე არა აქვთ, კავკასიის მიხედვით, აღმოსავლეთმცოდნეობის საკუთარი ისტორიულ-ფილოლოგიური უბანი, მაგრამ მოცემული ხალხის ნაციონალისტური in majorem gloriam არის არმენტმცოდნეობა და ქართველთმცოდნეობა.**

ამიტომაც დასაარსებლად განზრახულ ქართულ უნივერსიტეტში ჩვენ ვაკვირდებით **ქართველთმცოდნეობის ნაწილების გამოყოფას კავკასიათმცოდნეობიდან;** უპირატესია სამეცნიერო აზრების მიმართვა ნაციონალური მიზნებისათვის,

განსაკუთრებით, შეიძლება ითქვას, ქართველი ხალხის ცხოვრების კულტურულ მხარეებზე. ე. ი. სრულიად აშკარად ხდება კავკასიისადმი მიძღვნილი ისტორიულ-ფილოლოგიური დისციპლინების სამეცნიერო კლასიფიკაციის შეცვლა საკვლევი მასალის ნაციონალურ ნიშნებად დაყოფით. ქართული უნივერსიტეტის ნაციონალისტური ამოცანების თვალსაზრისით, საქმის ასეთი ვითარება გასაგებია, მაგრამ მეცნიერულად მისი გამართლება არ შეიძლება: **ქართული უნივერსიტეტის პროგრამის მითითებულ ნაკვეთში ნაბიჯით უკან დახევას აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტზე არსებული საქმის ვითარებიდან და აქაც არის რესტავრაცია, უკვე მეცნიერებაში, საგნების ნაციონალისტური კლასიფიკაციის გადმონაშთებისა, რომლებიც შემოტანილია ჩვენს სამეცნიერო გეგმებში, რომლებსაც იცავენ ნაციონალისტურად მოაზროვნე კავკასიელი კავკასიათმცოდნეები.**

ქართველების გვერდით, სომხებიც არიან დაკავებულნი უნივერსიტეტის დაარსებით ტფილისში. მართალია, რომ ახლა **რუსეთის სომხები** მათთვის სამკვდრო-სასიცოცხლო, ყოფილი **თურქეთის არმენიის** საკითხის გამო არიან მოწყვეტილნი შინაურ საქმეებს და მათ უმთავრეს კულტურულ მოთხოვნილებებზე ზრუნვასაც. ასევე მართალია, რომ უცნობია, თუ სად იქნება ომის შემდეგ სომხური კულტურული ცხოვრების ცენტრი, ვანში ხომ არა? მაგრამ, გაკვრით, პრესის ცალკეული ორგანოები და ცხელ, ტრაგიკულად დატრიალებულ ნაციონალურ საქმესთან არც ისე ძალიან დაახლოებული სომეხთა ჯგუფები გვთავაზობენ ორგანიზებას, ან უკვე გეგმავენ ჩვენთვის საინტერესო რიგის ზოგიერთ ღონისძიებას. მაგალითად, ახლახან სომხურ პრესაში შემოთავაზებული იყო წინადადება, ლაზარევსკის აღმოსავლური ენების ინსტიტუტი გადაეტანათ კავკასიაში ძირეული სომხური დასახლების რაიონში, თუმცა, იმავდროულად, ისევ სომხებს გაუჩნდათ საწინააღმდეგო აზრი, რომ **ლაზარევსკის ინსტიტუტის გადასვლა კულტურული ცენტრიდან (როგორც მოსკოვია), ერევანში (კულტურული თვალსაზრისით - უდაბნოში), დაამდაბლებს**

საგანმანათლებლო მუშაობის დონეს და მოსპობს ინსტიტუტის დიდ მნიშვნელობას სომხებისათვის.

მეორე მხრივ, ზაფხულის დასაწყისში, იენისში, სომხები ტფილისში განიხილავდნენ სომხური უნივერსიტეტის, პირველ რიგში, აღმოსავლურ ენათა ფაკ-ის, უფრო სწორად, არმენთმცოდნეობის განყოფილების დაარსების საკითხს კავკასიის დედაქალაქში. ისინი, როგორც ორ სხდომაზე (რომლებზეც მიმიწვიეს) არსებული აზრთა გაცვლა-გამოცვლიდან შევძელი გამერკვია, ასევე ითვალისწინებენ სწავლებას არა სამეცნიერო კლასიფიკაციით, არამედ კავკასიათმცოდნეობის დისციპლინათა ნაციონალისტური შერჩევით. სხვათა შორის, აქ გზადაგზა გამოირკვა მეტად **საგულისხმო მოვლენა:**

სომხებს, თავიანთი ძველი ავტონომიური უფლებებით ნაციონალურ სკოლასა და ქსელზე, რომელიც აგებულია სემინარიებად და სხვადასხვა ტიპის სასწავლებლებად სახელდებულ საშუალო-სასწავლო დაწესებულებათა ე.წ. ნაციონალურ საწყისებზე და ნაციონალური სასულიერო აკადემიით ექმიანობაში (რომლებიც იდეურად სრულად და განუსაზღვრელად იმართება თვით სომეხი ხალხისაგან), ადგილზე აღმოაჩნდათ ნაკლები სამეცნიერო ძალა ნაციონალურად კონსტრუირებული უმაღლესი სკოლის გასამართავად, ვიდრე ქართველებს, რომლებიც მთავარ მასად ჩვეულებრივი ტიპის რუსულ სკოლებში და თავის სულ რაღაც ორ ნაციონალურ გიმნაზიაში არიან გამოზრდილნი - ქართველი თავადაზნაურობის გიმნაზიებში, რომლებიც იტანდნენ სახელმწიფო კონტროლისა და სწავლების ენად აღიარებული სახელმწიფო ენის სიმძიმეს. **სომხებს ნაციონალურ დისციპლინებშიც არ აღმოაჩნდათ, რამდენადმე საკმარისი რაოდენობით, მეცნიერი სპეციალისტები.**

IV.

ამავე დროს, კავკასიაში ყველა მშვენივრად ხედავს ერთ ვაკანტურ ადგილს; ეს ადგილი ცარიელია, ტფილისში სახელმწიფო უნივერსიტეტის არარსებობის გამო და ითხოვს განწყობას. მის დაკავებას ბუნებრივად ესწრაფვის ქართული უნივერსიტეტიც, როგორც ჩანს მისი წესდების ზოგიერთი პუნქტიდან; ასეთია, მაგ., მე-

10 პუნქტიდან უფლება მეცნიერისათვის დოქტორის ხარისხის მინიჭების შესახებ. ქართველთა ნაციონალური მოძრაობის განვითარების ხაზით, ეს სრულიად გასაგებია. ტფილისი - კავკასიის ცენტრია, მაგრამ ტფილისი, ამავე დროს, ისტორიულად უდავოდ ქართული ქალაქია. აქედან გამომდინარე, ქართული ნაციონალური აზრი, ყოველგვარი სამეცნიერო ამოცანისაგან დამოუკიდებლად და სამეცნიერო პასუხისმგებლობის გარეშე, ჩქარობს, როგორც ახლაც სუვერენი (თავისი რწმენით - ქალაქის ბატონ-პატრონი), რომ აქ თავი წარმოადგინოს სკოლის უმაღლესი ფორმით - უნივერსიტეტით, ისევე როგორც არ კარგავს დროს, რომ უზრუნველყოს თავისთან, აქვე, შესაბამისი პირველი ადგილი მართლმადიდებელი ეკლესიის უმაღლესი წარმომადგენლით, სრულიად საქართველოს კათოლიკოსით და, ასევე, ტფილისის მიტროპოლიტით.

როცა საუბარია ეკლესიაზე, ქართველების ასეთ სწრაფვას დღესაც აქვს საფუძველი იმდენად, რამდენადაც საქმე ეხება ნაციონალურად გაგებული ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაურობას.

მაგრამ ქართველთა თბილისისკენ ახლაც კანონიერად სწრაფვის იდეურ დასაბუთებაში, მით უმეტეს, იქ სრული ბატონობის მეძიებლობაში ივარება ძირეული გაუგებრობა, პოლიტიკური ანაქრონიზმი, რომელიც ნაციონალურ, უფრო სწორად, ნაციონალისტურ მისწრაფებას დაუპირისპირებს უკვე არა მველ რეჟიმს, არამედ რუსული რევოლუციით აღიარებულ თავისუფლებებსა და მათგან გამომდინარე თავისუფალი სამოქალაქო ცხოვრების მოთხოვნებს კავკასიაში.

რუსული საზოგადოების წარმოდგენებში არსებული მრავალრიცხოვანი გაუგებრობიდან ერთ-ერთის მიხედვით, კავკასია არის რუსული ბიუროკრატის მიერ ხალხებისა და ტომების შემთხვევითი კონგლომერატისგან ხელოვნურად შეკოწიწებული მხარე. ამგვარადვე ფიქრობს ცალკეული კავკასიელი ხალხის თანამედროვე წარმომადგენელთა უმრავლესობაც, კერძოდ, ქართველობაც. სინამდვილეში, კავკასიას, როგორც ერთიანს, აქვს თავისი ხანგრძლივი რუსეთამდელი ისტორია და

მწიგნობრობამდელი ისტორიის პერიოდიც კი. არსს არ ცვლის, რომ ძველად ეს რეალური კავკასია გამოდის ამა თუ იმ ტომის სახელით. ამ სახელწოდებებს ყოველთვის არა აქვთ შიშველი ანუ ერთი ეთნიკური მნიშვნელობა, როგორც, მაგ., არც ტერმინ **ქართველს (qartvel)**, არც ტერმინ **სომეხს (hay)** ძველად არ ჰქონდა წმინდა ეთნიკურ-ნაციონალური მნიშვნელობა, არამედ - რელიგიურ-ნაციონალური, შემდეგ - კულტურულ-ნაციონალური და პოლიტიკურ-ნაციონალური. კერძოდ, **Qartvel**-ი რეალურად აღნიშნავდა არა მხოლოდ ქართველებსა და მათ მონათესავე ტომებსა თუ ხალხებს ერთად, არამედ - არამონათესავესაც, როგორც კი შევიდოდნენ ზოგჯერ - პოლიტიკურად, ზოგჯერ - მხოლოდ კულტურულად, მაგრამ არასოდეს - მხოლოდ ეთნიკურად ქართული კოლექტივის შემადგენლობაში. საქართველოს ისტორიის ბრწყინვალე პერიოდებში ტერმინი **saqartvelo** მოიცავდა მთელ კავკასიას, და თუ ჩრდილოეთში ვერ აღწევდა თანამედროვე კავკასიის საზღვრებს, სამხრეთსა და სამხრეთ-დასავლეთში შორს გადიოდა ყოფილი სამეფისნაცვლოს საზღვრებიდან. ქართული ნაციონალური აზრი, ვსაუბრობთ რა საქართველოზე, ახლაც გულისხმობს ქვეყანას ძველ მასშტაბში - მითითებულ საზღვრებში, ე.ი., არსებითად, **ჩვენს კავკასიას**.

მე არ ვეხები ისტორიულ ანაქრონიზმს, კერძოდ, იმას, რომ **რუსეთს საქართველოს ნებაყოფლობითი შეერთებით** სულაც არ მიუღია ქართველი მეფისგან ასეთი ვრცელი მხარე საქართველოს სახელწოდებით. მაგრამ ახლა ჩვენთვის მთავარია აღვნიშნოთ, რომ იმავე ვრცელმა მხარემ რუსული მმართველობის ასი წლის განმავლობაში არამარტო შეიცვალა სახელწოდება, არამედ, კავკასიის ქედის მიმართულებით გაფართოებული, და, ამის გამო, “კავკასიად” მონათლული, გარდაიქმნა შინაგანადაც, პირველ რიგში - ადგილობრივი ხალხის ურთიერთობებში; მნიშვნელოვნად განვითარდა დემოკრატიულ შრეებში და ჯერ კიდევ რევოლუციამდე გრძნობდა ახალი საზოგადოებრივი წყობილების, მის პროგრესულ საწყისებზე გარდაქმნის, სასკოლო საქმის შესაბამისად გამართვისა და არა რემინისცენციის საფუძველზე დიდი ხნის წინ გამოვლილი რუსეთამდელი მმართველობის რესტავრაციის მოთხოვნილებას.

მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ ამ სრულიად რეალური მოვლენითა და მასთან დაკავშირებული ფაქტებით, და არა - ქართულ მასებში მარქსის მოძღვრების იდეების შეღწევით არის შენარჩუნებული **სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმატება საქართველოში და მჭიდრო, ორგანულად დაურღვეველი მუშაობა შეგნებული და გულახდილი ქართველი სოციალ-დემოკრატებისა რუს სოციალ-დემოკრატებთან.**

ქართველი მუშებისა და გლეხობის, საერთოდ, **ქართველ გლეხთა მასების შეგნებული ნაწილი წინააღმდეგია კავკასიური ცხოვრების ნაციონალისტური კონსტრუქციისა, წინააღმდეგია საქართველოს ნაციონალური განკერძოებისა.** ამავე დროს, რუსული მმართველობის ასი წლის განმავლობაში, ერთი მხრივ - სამხრეთში დიდ განვითარებას მიაღწია სომეხი გლეხების, საერთოდ, სომეხი ხალხის მართლშეგნებამ, ხოლო, მეორე მხრივ - ჩრდილოეთში მთის სხვადასხვატომიანი მოსახლეობა, ოთხი-ხუთი ჯგუფით: დაღესტნურით, ჩეჩნურით, ოსურითა და აფხაზურ-ჩერქეზულით წარმოდგენილი, დაადგა საკუთარი ნაციონალური თვითგამორკვევის გზას. მე არ დამვიწყებია, არამედ განსაკუთრებულად ვახსენებ მრავალტომიან და მრავალრიცხოვან თურქ ხალხს, რომელიც კავკასიის ბიუროკრატის წარუმატებელმა მეტყველებამ და კავკასიის ეთნოგრაფიის ობივატელურმა გაგებამ გადაფარა ტერმინით: „მუსულმანები“; ეს საბაბს იძლევა გაუგებრობათა რიგის წარმოსაქმნელად, კერძოდ, სასკოლო საქმის ორგანიზაციის საკითხშიც. განზრახ არაფერს ვამბობ რუსებზე.

ასე რომ, ტფილისი, უდავოდ ისტორიული ქართული ქალაქი, რუსული მმართველობის ასი წლის განმავლობაში, გაიზარდა ასევე უდავოდ კავკასიის ცენტრში, რომელიც ახლა, არავითარი საფუძველი არა გვაქვს, გავაიგივოთ საქართველოსთან. ტფილისი, ამავე დროს, არა მხოლოდ ადმინისტრაციული, არამედ კულტურული ცენტრიცაა მთელი კავკასიისა. შეიძლება ეს რეალობა სხვამ დაივიწყოს, მაგრამ რუსმა ხალხმა - არა. **რუს ხალხს** უფლება არა აქვს, ეს დაივიწყოს ახლაც, თავისუფლების საჯაროდ აღიარების დროს; მას **უფრო მეტად, ვიდრე სხვას, აძევს ვალი საზოგადოებრივი ცხოვრების შემდგომი**

დემოკრატიზაციის საქმეში იმ ხალხთა სასარგებლოდ, რომელნიც დიდი ხანია, ნაციონალურად თვითგამოერკვენენ, მიიღეს თავისუფლება ან მუსლიმანების - სპარსელებისა თუ თურქების - უღლისგან, ან ღვიძლი მებატონეებისაგან რუსული მმართველობის დროს. მასვე აძევს ვალი, მხარი დაუჭიროს შემდგომ კულტურულ ზრდაში კავკასიის იმ ხალხებს, რომლებიც ჯერ კიდევ რუსული მმართველობის პერიოდში კულტურულად თვითგამოერკვენენ, მას აძევს ვალი, ნამდვილ უმაღლეს სკოლას აზიაროს ყველა, კავკასიის რომელიმე ხალხის გამოუკლებლად. ამაში და მხოლოდ ამაში არის ნამდვილი გარანტია, რომ კულტურული დამოუკიდებლობის შეგნება დაინერგება მოსახლეობაში, ბოლოს და ბოლოს - **გარანტია გადმონაშთური ზოოლოგიური იდეოლოგიის შეცვლისა,** რომელიც შუასაუკუნეობრივი რელიგიური აზროვნების ფორმაშია მოქცეული სამეცნიერო საზოგადოებრივი მსოფლმხედველობის მიერ. ამ შეცვლის გარეშე არ არის და არც იქნება მხარეში ახალი თავისუფლების განმტკიცება, არც - კავკასიის ხალხთა დაცვა ყველაზე აუტანელი სულიერი ბატონყმური ხელყოფისაგან, ვისგანაც არ უნდა მოდიოდეს. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ყველა ეს მთის ხალხი საერთო სირთულეშია, რიცხოზრივად კავკასიის არცერთ ადგილობრივ ქრისტიანულ ნაციას არ ჩამოუვარდებიან მუსულმანები, გარდა აფხაზების - თავიანთი რელიგიური და საზოგადოებრივი ყოფით კავკასიისთვისაც კი განსაკუთრებულად თავისებური ხალხისა.

ახლა დეტალებზე შეჩერების დრო არ არის, მაგრამ შეიძლება, ზოგადად, წარმოვიდგინოთ, სასწავლო საქმის როგორ გამართვის ვალდებულებებს შეიცავს, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მიხედვით, კავკასიის ერთაშორის ურთიერთობათა მითითებები სათანადო უნივერსიტეტში, რომელსაც აქვს გამართლება და მთელი კავკასიის კულტურულ ცენტრში მოთავსების საფუძველი; მნიშვნელობა არა აქვს, ეს უნივერსიტეტი ძველი მარტივი ტიპის იქნება, თუ ახალი - რთული.

ამგვარად, განვიხილავთ რა უნივერსიტეტის საკითხს ტფილისში კავკასიის მრავალტომიანი მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით, ვხედავთ, რომ, პირველ რიგში, **არც ქართველებს**

და არც სომხებს რეალურად ჯერ არა აქვთ სამეცნიერო ძალები, არც ნაციონალური სასწავლო დაწესებულებები, რომელთაც შეეძლებათ, რუსული ან დასავლეთევროპული მეცნიერების დამწერგავთაგან დამოუკიდებლად, ახლო მომავალში საკმარისი რაოდენობით შექმნან ეს ძალები უნივერსიტეტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად; მეორე მხრივ, მაშინაც, როცა ამა თუ იმ გზით ჩნდება ეს სამეცნიერო ძალები, ნაციონალური უნივერსიტეტების კონსტრუქცია გამორჩეულად ემსახურება, პირველ რიგში, ნაციონალურ ამოცანებს და ამახინჯებს თვით საუნივერსიტეტო სწავლების აზრს; ის, ერთი მხრივ, დააკნინებს მეცნიერებას, მასა და მის მიმდევრებს დააყენებს ხალხის კეთილდღეობაზე მალა, წარმავალი და გადმონაშთური წარმოდგენების სამსახურში, ხოლო, მეორე მხრივ, განავითარებს რა სამეცნიერო მიმართულებებს (რომლებიც, თავის მხრივ, გარდაუვალად მოქმედებენ ისტორიული თვითგამორკვევის შემუშავებაზე), დევნით დაემუქრება ამა თუ იმ ეროვნების წარმომადგენლებს და ადგილობრივ ხალხებს შორის გააღრმავებს ურთიერთგანხეთქილებასა და ურთიერთგანდგომას.

V

მამასადამე, პრობლემა მხოლოდ ის კი არ არის, რომ ქართული თუ სომხური მოსახლეობისთვის ხელმისაწვდომი ნაციონალური უნივერსიტეტები სხვა დანარჩენ მოსახლეობას დატოვებენ უმადლესი განათლების გარეშე, ჩააყენებენ მას მეორე და თითქმის მესამე რანგის მოქალაქეთა მდგომარეობაში, არამედ, უფრო არსებითი ისაა, რომ ნაციონალური უნივერსიტეტები ვერავის, ნაციონალური უნივერსიტეტების მფლობელებსაც კი ვერ უზრუნველყოფენ ნამდვილი უმაღლესი საუნივერსიტეტო განათლებით; პირიქით, "უზრუნველყოფენ" მათი დონის დაქვეითებას და, საერთოდ, ატმოსფეროს შედედებს ურთიერთგაუგებრობისა და ურთიერთმტრობის შხამიანი ნაყოფით.

საქმის სხვა, წმინდა მეცნიერული და არა ნაციონალისტური მოწყობით, ნაციონალურ უნივერსიტეტებს შეეძლოთ ჯერ კიდევ დიდხანს კეთილი სამსახური გაეწიათ განათლებისა და კვლევადიებისათვის მეცნიერული აზროვნების გავრცელებით ფართო

წრეებში, ხალხის მასებშიც კი, რაც კავკასიაში შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ხალხთა ენებზე, მხოლოდ ნაციონალურ უნივერსიტეტებში. ამ მიმართებით სახელმწიფო კულტურული მეურნეობის სწორად გაგებული ინტერესები მოითხოვდა ნაციონალურ უნივერსიტეტთა, როგორც უმადლეს სახალხო განათლების ორგანოთა, როგორც ხალხთა მასებში სამეცნიერო აზროვნებისა და სამეცნიერო იდეების გამტარებელთა მხარდაჭერას, იმისგან დამოუკიდებლად, ისინი კერძო სასწავლებლები იქნება თუ რუსეთის ახალი ცხოვრება მათთვის მომეზნის განსაკუთრებულ სახელმწიფო-სამართლებრივ მდგომარეობას; მეორე მხრივ, კავკასიის ნაციონალურ უნივერსიტეტთა სწორად გაგებული ინტერესები დაავალდებულებდა მათ მეურვეებს, სახელმწიფო უნივერსიტეტთან ერთად თანაემოქმედათ ტფილისში კავკასიათმცოდნეობის ფართო სამეცნიერო ბაზაზე დაფუძნებით, უნივერსალიზმისა და საერთოკავკასიური კულტურული ინტერესების შესაბამისად.

გასაგებია, რომ კავკასიის ამ ტიპის სამეცნიერო-ნაციონალური სკოლის მშრომელებს ტფილისში გაუჩნდებოდათ ფრთხილი დამოკიდებულება პეტროგრადში აღმოსავლეთმცოდნეობის მოთავე ცოცხალი ძალების, რამდენიმე თაობის გაწეული შრომისადმი. მის აღზრდილებს აზრად არ უნდა მოსვლოდათ თავიანთი უეცარი წასვლით ჩაექროთ სამეცნიერო სინათლის ეს წყარო - კავკასიათმცოდნეობის სისრულის მიხედვით, ერთადერთი არა მხოლოდ რუსეთში, არამედ ევროპაშიც, საერთოდ, დაეპირისპირებინათ ალმა მატერისთვის, უნივერსიტეტისთვის, ალმა მატერი საქართველოში, როგორც იმავე რიგის ფასეულობა.

აღნიშნული ვითარების მიხედვით, ფიქრშიც არ მოგვდის უახლოეს დროში ქართულ უნივერსიტეტთან ნაყოფიერი თანამშრომლობა. საფუძველი გვაქვს, ვივარაუდოთ, რომ ქართული უნივერსიტეტის რომანტიკოს-ინიციატორთა მაქსიმალისტური ოცნებები, რომლებიც შეიძლება რეალურად ახდეს, შესაბამისობაში ვერ მოვა ქართული საზოგადოების გონივრულ და ნამდვილად სამეცნიერო შეხედულებებთან. თვითონ ქართველი ხალხი, რომელიც დიდი ხანია აქტიურადაა გამოსული თავისი ნაციონალური

ცხოვრებიდან დემოკრატიზაციის ფართო გზაზე, **არასდროს შეეგუება სკოლის სექტანტურად ნაციონალისტურ სულისკვეთებასა და წყობას.** სამინისტროს, ამ შემთხვევაში, არა მხოლოდ უფლება აქვს, არამედ მოვალეობაც აკისრია, დალოცოს უმაღლესი კერძო სასწავლებელი, როგორც ქართული უნივერსიტეტის საზოგადოების წამოწყება, მხოლოდ მიუთითებს რა მის შესაბამის სამართლებრივ საზღვრებს.

და მაინც რჩება ცარიელი ადგილი, დიდი ხანია რომ ელოდება განწყობას - **ადგილი ნამდვილი უნივერსიტეტისა.** აი, სწორედ ეს ადგილი დაუყოვნებლად უნდა დაკავდეს. კავკასიის ცოცხალი მრავალტომიანი მოსახლეობის ინტერესების გარდა, უნივერსიტეტის მოთხოვნა ამ მხარეში გამოწვეულია მასალის უზარმაზარი სიმდიდრითაც, რომელსაც შეუძლია და უნდა იყოს კიდევ ობიექტი უნივერსიტეტის კვლევითი დაწესებულების მეცნიერთა შრომებისა.

კავკასიის ისტორიულ-არქეოლოგიური ინსტიტუტის დაფუძნება, თავისი ოთხი მეცნიერ-მუშაკის შემადგენლობით, ზღვაში წვეთია იმ ძალებისა, რომლებიც საჭიროა მხოლოდ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მასალების დასამუშავებლად. ამ ახალი დაწესებულების შრომისნაყოფიერებაც მაშინ აღინიშნება, როდესაც მის მკვლევართა და, განსაკუთრებით, ადგილებზე აუცილებელ მრავალრიცხოვან თანამშრომელთა კადრების შევსება შესაძლებელი იქნება აღმოსავლურ ენათა ფაკ-ის მიერ აღზრდილი ძალებითა და, საერთოდ, კავკასიის უნივერსიტეტის მიერ გამოზრდილი ცენტრალური უმაღლესი სასწავლო დაწესებულებებით.

ამ მდიდარი კავკასიური მასალის დასამუშავებლად **რუსულ მეცნიერებას,** დასავლეთ-ევროპული მეცნიერების მსგავსად უნივერსალურს, **აქვს განსაკუთრებული უფლება,** ისე როგორც ბევრ სხვა შემთხვევაში - **განსაკუთრებული მზადყოფნა, დამოუკიდებლად და კომპეტენტურად განიხილოს სამეცნიერო ამოცანები და სწორად გადაწყვიტოს.** ეს ამოცანები დგას მსოფლიო მეცნიერების წინაშე კავკასიის შესწავლასთან დაკავშირებით; ასეთია, მაგ., კაცობრიობის კულტურულ ისტორიაში რუსეთის ყორღანული სამხრეთიდან ასურეთ-ბაბილონამდე და ხეთების ქვეყნამდე სივრცე.

სხვათა შორის, ყველასათვის აშკარა საუნივერსიტეტო ვაკანტურ ადგილს თბილისში ეტანებიან სამეცნიერო მოღვაწეობისთვის ქართველებსა და სომხებზე უკეთესად მომზადებული უცხო სახელმწიფოები. გასაგებია, რომ მათ ეს შეუძლიათ შემოვლითი გზითაც: არ შეეხებიან კავკასიის საზღვრებს და თავიანთ წისქვილზე დაასხამენ წყალს კავკასიის ნაციონალურ სამეცნიერო დაწესებულებებთან კულტურული თანამშრომლობით. კავკასიის ისტორიულ-არქეოლოგიური ინსტიტუტის ჩანაწერში მე მოვახერხე საკმარისი სიცხადით გამომერკვია, სამეცნიერო ღონისძიებათა როგორი წრით, კავკასიის სამეცნიერო ძალთა გამოყენებით დასავლეთ-ევროპელებმა, განსაკუთრებით სისტემატურად კი, გერმანელებმა, თავისთან - ევროპაში და თურქეთიდან კავკასიასა თუ შიგ კავკასიაში ექსპედიციებით დაიკავეს სამეცნიერო მასალების ეს თითქმის ხელუხლებელი საგანძური. ომის შემდეგ გარეგნულად - შესახედავად - დასვამენ საკითხს გარანტირებულ საერთო მშვიდობიან შეთანხმებაზე რუსეთსა და თურქეთს შორის, რომელიც, ცხადია, იაპონია არ არის და არ შეუძლია კონკურენცია გაგვიწიოს საგანმანათლებლო დაწესებულებებში. მაგრამ თურქეთისთვის იმუშავებს ნებისმიერი კულტურული სახელმწიფო; ერთი მათგანის აჩრდილი ახლაც იგრძნობა.

ამა წლის (1917) მარტის ნომერში ისეთ სერიოზულ ორგანოში, როგორიც არის Peterman's Mitteilungen-ი, გაჩნდა აღნიშნული თვალსაზრისით საინტერესო რეცენზია Bork-ის წიგნაკზე: „ქართველი ხალხი“. რეცენზია ეკუთვნის კავკასიათმცოდნე დირს, რომელიც თავისი შრომებით კარგად არის ცნობილი კავკასიური ენების შესწავლასა და, განსაკუთრებით, მთის კავკასიურ ენათა მასალების შეგროვებაში, კავკასიის სასწავლო ოლქის მხარდაჭერით. ის ცხოვრობდა და მუშაობდა კავკასიაში. მისი შრომები ერთიანად დაჯილდოვდა ჩვენი მეცნიერებათა აკადემიის მსხვილი პრემიით. ომის წინ დირი წავიდა გერმანიაში და იქ დარჩა. ის წერს ქართველ ხალხზე გერმანული ბროშურის ავტორის - ბორკის შესახებ:

„ბორკი ითვალისწინებს, რომ საქართველოს შეეძლო შეექმნა ნეიტრალური ზონა რუსეთსა და თურქეთს შორის ბუფერული სახელმწიფოს სახით; ის გაერთიანდებოდა მუსულმანურ კავკასიასთან, რომელსაც ჯერ კიდევ შეუძლია ჩამოყალიბება. როგორი ძველიც არ უნდა იყოს კავკასიის ავტონომიის იდეა, მოგვიწევს ვინანოთ, რომ ავტორმა (ბ. ბორკმა) უფრო დაწვრილებით არ გამოხატა თავისი აზრი. ყოველ შემთხვევაში, ამ ბუფერულ სახელმწიფოს უნდა მოეცვა ახლანდელ ამიერკავკასიას დამატებული კავკასიის ქედი, თავისი ჩრდილოეთის კალთებით; სხვა შემთხვევაში, ეს სახელმწიფო მძიმე გამოცდის წინაშე აღმოჩნდებოდა. გარდა ამისა, ამ სახელმწიფოში წარმოიშობოდა (ამის დამტკიცება დარწმუნებით შემძლია), ნაციონალური ხასიათის ყველაზე საშიში დაპირისპირებები. ახალი მაკედონია რომ არ წარმოიქმნას, რომელიც დაუსრულებელი შეხლა-შემოხლის ცენტრად გადაიქცა და თავის თავში კვებავდა ახალი ევროპული გართულებების შესაძლებლობას, საჭირო იქნებოდა დავმდგარიყავით სხვა გზაზე, ვიდრე არის მხარის უბრალო გამიჯვნა რუსეთისაგან და მისთვის დამოუკიდებლობის წარდგენა. კულტურული ამოცანები, რომლებიც კავკასიას აქვს დასახული, იმდენად ფართოა, რომ **ავტონომიური კავკასია სხვისი დახმარების გარეშე ვერ შეძლებს მათ გადაწყვეტას**”²⁰.

საჭიროა გიკარნახოთ, თუ ვის უცხო დახმარებას თვლის აუცილებლად ადოლფ დირი „კავკასიის ფართო კულტურული ამოცანების“ კომპეტენტურად გადაწყვეტისათვის.

გერმანელები, რომელთა უნივერსიტეტის ტიპიც, სხვათა შორის, ქართული უნივერსიტეტის ფაკულტეტების შემადგენლობაში გამოიყენა ქართული უნივერსიტეტის საზოგადოებამ, არ შეწყვეტენ დაწყებული მოქმედების კურსს, რომელიც ჯერ კიდევ რუსეთ-თურქეთის ომამდე რუსეთის მხრიდან და თურქეთის მხრიდან კავკასიის ცენტრამდე იყო მიყვანილი. ეს კურსი მდგომარეობს არა

²⁰ შდრ., რუსული იმპერიული ინტერესების შესაბამისად დღეს მსგავს გეოპოლიტიკურ ანალიზს აკეთებს ალ. დუგინი - კრემლის ერთ-ერთი იდეოლოგი.

მხოლოდ სამეცნიერო ექსპედიციებში, არამედ მათ სამეცნიერო გამოყენებასა და კავკასიის მკვდარი მასალისა თუ ცოცხალი ძალების საფუძვლიან საქმიან გათვლაში, სრულიად შეუმცდარ *Geschäft*-ში. ეს გამოიწვევს კულტურულ უკუხემოქმედებას ამ, **ჩვენთან ურთიერთობაში** უკვე კულტურული დაშორების გზაზე დამდგარ, რუსებისთვის, შეიძლება ითქვას, სულისკვეთებითაც ღვიძლ ქვეყანაზე. არანაკლები შედეგები შეიძლება მოჰყვეს (სამეცნიერო ექსპედიციებისაგან დამოუკიდებლად) დასავლეთევროპული და ამერიკული სკოლების სომხებზე ზემოქმედებას, რომლებსაც ჯერ კიდევ ომამდე შეეძლოთ თავიანთი საქმე ეკეთებინათ ვანში თურქული რეჟიმის პირობებშიც. ომამდეც სომეხი ხალხის ორ - აღმოსავლურ და დასავლურ ნაწილად გაყოფილ ინტელიგენციაში იყო კულტურული გაორება, **ორიენტაცია დასავლეთ ევროპის მიხედვით და ორიენტაცია რუსეთის მიხედვით**. რაში გამოიქროლებს რუსი და თურქი სომხების გაერთიანებული ნაციონალური აზრი ომის შემდეგ, ახლა არ მინდა გამოვიცნო, მაგრამ ერთი რამ ნათელია: ომამდე დიდი ხნის წინ თვით თურქეთის სომხეთის ცენტრიდან - ვანიდან დაწყებულ დასავლეთევროპელთა თუ ამერიკელთა კულტურულ ნაკადში, რომელიც ომის დროს მეტად გაძლიერდა და ომის შემდეგ კიდევ უფრო გაძლიერდება, ასევე, **ჩვენი მხრიდან სრულიად გასაოცარი უმოქმედობის, ჩვენშივე - თბილისში, საუნივერსიტეტო ვაკანტური ადგილის დატოვების პირობებში, გაკვირვება უადგილო იქნება, თუკი ომის შემდეგ, მალევე, სომეხთა გაერთიანებული ნაციონალური აზრი კულტურულად ორიენტირდება არა რუსეთის მიხედვით**.

სხვათა შორის, თვით კავკასიის ხალხთა ღრმა სულიერი ინტერესები მოითხოვს სწორედ კულტურული ორიენტაციის შენარჩუნებას რუსეთის მიხედვით და შემდგომში მის განვითარებას საერთო თუ საურთიერთო თანამშრომლობაში.

და ბოლოს, but not least, თუნდაც ახლა, უნდა გავიხსენოთ რუსული მეცნიერების ზოგადსაკაცობრიო ინტერესები, მისი საჭიროებები, კერძოდ, მასალებზე გაზრდილი მოთხოვნილებები და, ბევრი მიზეზით - სწორედ იმ მასალებზე, რომლებითაც სავსეა კავკასია.

აზრის გამოხატვა დიდი, უდავოდ, ბევრად რთული, ვიდრე ირკუტსკსა თუ ტაშკენტში, კულტურული ღონისძიების - თბილისის

უნივერსიტეტის წინააღმდეგ - არ მიწევს ჩვენი დროის პირობებზე მითითებით. სწორედ ისეთ ეპოქაში, როგორც ჩვენი, შეიძლება ან ახლა ჩავუყაროთ საფუძველი ახალ და მსხვილ დაწესებულებებს ან - არასოდეს. შეგახსენებთ 1795 წელს, როდესაც საფრანგეთში დააარსეს შემდეგში ცნობილი **ცოცხალი აღმოსავლური ენების სკოლა**. ეს მოხდა ას წელზე მეტი ხნის წინ და ერთგვაროვანი მოსახლეობის ქვეყანაში. **რუსეთის სახელმწიფოში სხვა მასშტაბი და სხვა პირობებია**. მისი მოსახლეობა მოწყვეტილია საერთო ტომობრივ კავშირს და საჭიროებს მასთან თანამოქმედი კულტურული დაწესებულებების განვითარებას. ეს გადაუდებელია, როგორც არა მხოლოდ სახელმწიფოებრივი, არამედ საერთონაციონალური მოთხოვნილება რუსეთის მთელი რეალურ-კულტურული, **ქემშარიტად პროგრესული მოსახლეობისა**. ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილებაში მდგომარეობს **ზოგადადამიანური ამოცანა**.

როცა საქმე ეხება კავკასიას, მე სრულიად ზედმეტად ვთვლი, თეორიულად დავასაბუთო მდგომარეობა, რომ ურთიერთდაახლოებისათვის უკეთესი იარაღი სხვა არა არის რა, თუ არა უტილიტარული დავალებებისაგან სრულიად თავისუფალი კულტურული ღონისძიებები. ასეთივეა ნაციონალისტური მიზნებისთვის უცხო სკოლა, რომელიც, პირველ რიგში, შეესაბამება თავის საგანმანათლებლო დანიშნულებას. ამ თვალსაზრისით, ყველაზე ძლიერი იარაღია უნივერსიტეტი, რომელიც პასუხობს მხარის სულიერ მოთხოვნილებებს. ჩემთვის საკმარისია, მივუთითო ფაქტები - აღმოსავლურ ენათა ლაზარევსკის ინსტიტუტის ხელმძღვანელი როლი თავისი გაფურჩქვნის პერიოდში **სომხების რუსებთან დაახლოებაში**, ხოლო შემდეგ, როცა რუსული უნივერსიტეტები ვერ პასუხობდა სომეხთა მოთხოვნილებებს, დერპტის, მაშინდელი გერმანული უნივერსიტეტის მხარედი მნიშვნელობა გამოიყენეს მის მოღვაწეთა სახით, ასევე, გეოლოგ აბიხის მაგალითზეც, რომელიც გამოხატავდა სომეხი ხალხის კულტურულ მისწრაფებებს. ასევე მინდა დავადასტურო, რომ რუს პოეტ ბრიუსოვის რედაქციით ერთი წიგნის - ურთიერთგაგების ნაყოფის - „სომხური პოეზიის“ გამოჩენამ, უფრო მეტად იმოქმედა სომხებში **რუსული კულტურული ორიენტაციის** განმტკიცებაზე მათი განსახლების მთელ სივრცეში, ვიდრე ძველი რეჟიმის ყველა

გამარუსებელმა ზომამ მხოლოდ რუსეთის სომხების განსახლების საზღვრებში.

მე არ შევჩერდები კავკასიისთვის სასურველი უნივერსიტეტის ტიპზე, თუკი ეს საკითხი წყდება ახალი და უკეთესი ტიპების ძიების სიბრტყეზე. მხოლოდ pro domo mea დაე, შესაძლებელი იყოს გაუგებრობის აცილება იმ მოტივებთან მიმართებით, რომლებიც მაიძულებენ სკეპტიკურად განვეწყო უნივერსიტეტის ფაკულტეტებით გაფართოებული პოლიტექნიკუმისადმი.

როგორც ფილოლოგ-აღმოსავლეთმცოდნეს, ჩემი მოღვაწეობის მიხედვით, თუ არ ვცდები, ლინგვისტა და არქეოლოგსაც, მაქვს უფლება, თავი მივათვალო ფილოლოგ-რეალისტებს. ფილოლოგ-რეალისტი სხვანაირად ვერც წარმოიდგენს თავისი თეორიული მეცნიერების განვითარებას, თუ არა - ტექნიკასთან კავშირში. როგორ შეიძლება ტექნიკური ცოდნის გარეშე ექსპერიმენტული ფონეტიკის კაბინეტის აღჭურვა და იმ პროფესორ-ლინგვისტის კვლევითი საჭიროებებისთვის გამოყენება, რომელიც ასწავლის, დავუშვათ, შედარებითი ფონეტიკის ზოგად კურსს იაფეტურ ენებში და სპეციალურად დაკავებულია, ამასთან კავშირში, კავკასიის მთიანეთის მრავალრიცხოვანი ენებით, თუნდაც მხოლოდ ავარულით ან აფხაზურით, მათი დღემდე ექსპერიმენტულად გაუანალიზებელი ფონემებით?! არქეოლოგიაში ძნელად თუ მოხერხდება დღეს რაიმე სერიოზული მუშაობის ჩატარება ტექნიკის დახმარების გარეშე. საქმე ეხება არა მხოლოდ მზა ტექნიკური ხერხებისა ან ინსტრუმენტების გამოყენებას, არამედ მასში, ჩვენი თეორიული მეცნიერების ამოცანათა მიხედვით, ახალი ტექნიკური საკითხების წამოჭრას. საერთოდ, აღმოსავლეთმცოდნეები, განსაკუთრებით კი რუსი აღმოსავლეთმცოდნეები სრულიადაც არ განიხილავენ მეცნიერებას ცხოვრებისგან მოწყვეტით, არ შეუძლიათ მისდიონ აღმოსავლეთმცოდნეობის ასეთ განკერძოებას, რომელიც, ბუნებრივად, რუსეთის ცხოვრებასთან არის გადაჯაჭვული და, არა მეცნიერთა მიზეზით - სისტემატურად მისგან გათიშული; ჩვენზე ეჭვი რომ მოიხსნას ამაში, ვფიქრობ, საკმარისია, მივუთითო ერთ ადგილზე ათობით პეტერბურგელი ორიენტალისტის ხელმოწერით დაბეჭდილი ჩანაწერიდან, რომელშიც ვკითხულობთ: „დამორება მეცნიერებასა და ცხოვრებას შორის კულტურის განვითარებით არ იზრდება, არამედ მცირდება. მეცნიერი ლინგვისტები თანამედროვე

ეტაპზე აღიარებენ, რომ ენის წყობის სრულად გაგებას შეძლებს მხოლოდ ის, ვინც თვითონ ფლობს მას. მეცნიერმა ისტორიკოსებმა და არქეოლოგებმა იციან, რომ ქვეყნის წარსულის გასაგებად აუცილებელია მისი თანამედროვე ცხოვრების გაცნობა“ და ა.შ. არავითარი ცრურწმენა ტექნიკურ მეცნიერებათა წინააღმდეგ, ან მეცნიერების გამოყენებითი მნიშვნელობისა თუ მისი ცხოვრებასთან დაახლოების საწინააღმდეგო აღმოსავლეთმცოდნეებს არა აქვთ. მე შემიძლია მხოლოდ მივესალმო ორი უმაღლესი სკოლის შეთავსებას, ოღონდ რთული ტიპის უნივერსიტეტში.

არის მხოლოდ ერთი ეჭვი: ეჭვი ასეთი ახალი რთული უნივერსიტეტის ორგანიზაციაში, რომელიც უზრუნველყოფდა ერთდროულად თანაბარი ხარისხით მეცნიერ-თეორეტიკოსისა და მეცნიერ-პრაქტიკოსის, ასევე ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სპეციალისტისა და ბუნებისმეტყველი სპეციალისტის ინტერესებს, როცა ეს ინტერესები ძალიან რთული და განსხვავებული იქნება ორივე მხრიდან.

ზღვისპირეთის ქვეყნების მაგალითები, რა თქმა უნდა, თეორიულად სანიმუშოა, მაგრამ, ვაღიარებ, ჩემთვის, პირადად, არც თუ მთლად დამაჯერებელია, როცა საუბარია ჩვენი ცხოვრების პირობებზე, განსაკუთრებით, კავკასიაში, სადაც მაშინვე არ ხდება პირველხარისხოვან მეცნიერთაგან სამეცნიერო ჰორიზონტების შეჯერება.

მეორე შენიშვნა მეორეხარისხოვანია.

საქმე ისაა, რომ კავკასია დიდი ხანია ესწრაფოდა უნივერსიტეტის შექმნას, მაგრამ ძველი რეჟიმის დროს მას უარს უცხადებდნენ. მაშინ მხარის უმაღლესმა ხელისუფლებამ შესთავაზა მოეთხოვათ პოლიტექნიკუმი.

ადგილობრივი საზოგადოების წარმომადგენელთა ერთმა ჯგუფმა მიიღო ასეთი წინადადება, მაგრამ კავკასიელთა საერთო შეთანხმება არ მოხერხდა. საზოგადოებაში, ჩვეულებრივ, დაყარეს ხმა თუ ჭორი, რომ პოლიტექნიკუმი სომეხთა წამოწყებაა. მაშინ ქართველები იყვნენ, ზოგადად, უნივერსიტეტის მხარეზე, სომხები კი - პოლიტექნიკუმის.

ახლა ტფილისში პირველი ქართული უნივერსიტეტი გაჩნდება; მართალია, ის კერძოა, მაგრამ, არსებითად, საზოგადოებრივი შთაბეჭდილებისათვის ეს საქმეს არ შეცვლის.

შთაბეჭდილება შეიქმნება ისეთი, თითქოს ახალი ხელისუფლების წარმომადგენლები არ იძლევიან, ან არ ჩქარობენ, მისცენ კავკასიას უნივერსიტეტი; მხოლოდ დასანახად, მზად არიან, გამოიყენონ პოლიტექნიკუმი, მისცენ მას, უკვე დაფუძნებულს, უნივერსიტეტის ფაკულტეტები, მაშინ როცა ნამდვილი უნივერსიტეტი, მხოლოდ ქართული, გერმანულ ყაიდაზეა აწყობილი. ასეთი საუბრები, რა თქმა უნდა, როგორც გაჩნდა, ისევე იოლად გაქრება, თუკი **ახალი რთული ტიპის სახით დაფუძნებული სახელმწიფო უნივერსიტეტი** (რომელსაც დიდი ხანია ველოდებით), ნამდვილად გაართმევს თავს მისდამი წაყენებულ მრავალმხრივ და მაღალ სამეცნიერო-სასწავლო მოთხოვნებს.

მაშინ შეიძლებოდა, თავისუფლად წამოგვეძახა fiat justitia, მაგრამ არა pereat mundus, არამედ salvus sit mundus, ვინაიდან ასეთი უნივერსიტეტი უზრუნველყოფდა კავკასიის კულტურული მონაგარის დაცვა-შენახვას რუსული მმართველობის ას წელზე მეტ ხანში და შემდგომში მის გაზრდას; ასეთი უნივერსიტეტი აღმოჩნდებოდა **მძლავრი იარაღი საზოგადოებრივი სოლიდარობის განსამტკიცებლად როგორც კავკასიაში მცხოვრები ხალხისათვის, ისე ყველასი, რუს ხალხთან ერთად**; მისი სახით ჩვენ მივიღებდით ახალ ბერკეტს მსოფლიო მეცნიერების განვითარებისათვის ახალი თავისუფლების კულტურულად აღქმით, **ამ მხარეში მცხოვრები ყველა ხალხის სასარგებლოდ.**

ამას მე ვამბობ, როგორც რუსული სამეცნიერო სამყაროს რიგითი მშრომელი. მიუხედავად ჩემთვისაც კარგად ცნობილი რუსული სამეცნიერო ცხოვრების სუსტი და უარყოფითი მხარეებისა, ღრმად მწამს, რომ **რუსულ მეცნიერებაში უკვე დიდი ხანია ქმნიან მსოფლიო ფასეულობებს**, ის დიდი ფაქტორია მსოფლიო კულტურაში, მისი ამოცანები და მიზნები მსოფლიო მნიშვნელობისაა და ზოგადად ადამიანურია. ამას მე ვამტკიცებ, როგორც კავკასიის ღვიძლი შვილი²¹, ასეთივე ღრმა ურყევი რწმენით, რომ მსოფლიო

²¹ ივ. ჯავახიშვილი: ნ. მარი რუს ხალხს შეახსენებს, "არ დაივიწყოს" საქართველოსა და მისი დედაქალაქის - თბილისის ისტორიული როლი კავკასიაში და "როგორც კავკასიის ღვიძლ შვილს", აზრად არ მოსდის, შეახსენოს რუსეთის დროებით მთავრობას "გატეხილი ფიცისა და

მეცნიერებებიდან, ხალხურ-ფსიქოლოგიური და კულტურულ-ისტორიული საფუძვლების მიხედვით, სწორედ **რუსული მეცნიერება** ყველაზე მეტად **მოწოდებული და უნარიანი, რომ უზრუნველყოს კავკასიის ხალხთა დამოუკიდებელი სულიერი განვითარება**. ვეჭვობ, რომ ეს ჩემი რწმენა არ გამომდინარეობს იმ ფაქტიდან, თითქოს, მქონდა შესაძლებლობა, მთელს ჩემს სამეცნიერო ცხოვრებაში საკმარისი ყურადღებით ჩავეწვდომოდი კავკასიის ხალხთა ცოცხალი წიგნის ჭეშმარიტ ფურცლებს. უფრო ნაკლებად ვეჭვობ იმას, რომ ის რეალურად ეწინააღმდეგებოდა XX საუკუნის შეგნებული ქართველის ჯანსაღ ნაციონალისტურ გრძნობებს, რამდენადაც ჩემშიც, ვითვალისწინებ, ცოცხალია მისი ბუნება, მისი ხალხური ფსიქოლოგია.

გაერთიანება, რომელიც დაფუძნებულია ხელისუფლების მოღერებულ მუშტზე (ვისაც არ უნდა ეკუთვნოდეს ეს ხელი - დიდ თუ პატარა ხალხს), უნდა შეიცვალოს მონათესავე კულტურათა სინთეზის საფუძველზე გაერთიანებით. საამისოდ ჩვენ ან დაუყოვნებლად უნდა შევუდგეთ მუშაობას ტფილისში უნივერსიტეტისათვის სამირკვლის ჩასაყრელად ახალ საწყისებზე, ან **მზად უნდა ვიყოთ კავკასიის გარდაუვალი წასვლისათვის უცხო ბანაკში**.

ჩემს ნათქვამს შემდეგ დებულებებზე ჩამოვყალიბებ:

1. დაუბრკოლებლად უნდა გადაწყდეს, რომ ქართული უნივერსიტეტი იურიდიულად გაფორმდება, როგორც მომავალი სასურველი თანამშრომელი სახელმწიფო უნივერსიტეტისა, სამეცნიერო აზროვნების გამტარებელი ქართველი ხალხის მასებში.

2. ერთი მხრივ, მსოფლიო მეცნიერების, მეორე მხრივ - როგორც მრავალტომიანი კავკასიური დასახლების, ისე, საერთოდ, რუსეთის სახელმწიფოს ინტერესებში, **რუსული რევოლუციის მიერ აღიარებული თავისუფლების გასამყარებლად**, აუცილებელია დაუყოვნებლად დაფუძნდეს ტფილისში კავკასიის უნივერსიტეტი ორი პირობის დაცვით:

ა) პირველ რიგში, კავკასიის უნივერსიტეტში ჰუმანიტარული ფაკულტეტები უნდა ჩამოყალიბდეს განსაკუთრებულ საწყისებზე,

რომლებიც მეცნიერების მწყობრ სისტემაში გააერთიანებენ ჩვეულებრივი მარტივი ტიპის შესაბამის ფაკულტეტებს აღმოსავლეთმცოდნეობის მეცნიერებათა ციკლებით კავკასიის ხალხთა მონათესავე კულტურებსა და ენებში;

ბ) მეორე, კავკასიის უფრო კულტურული ხალხების ავადმყოფური ნაციონალური განწყობის გამო, ადგილობრივი ხალხის მატერიალური მხარდაჭერისათვის, კავკასიის უნივერსიტეტი პირველ ხანებში **უზრუნველყოფილ-იქნეს ფულადი სახსრებით სახელმწიფო ხაზინიდან**.

3. თუ კომისიამ აუცილებლად ცნო ტფილისისთვისაც ახალი რთული ტიპის უნივერსიტეტი ტექნიკური ფაკულტეტებით, მაშინ დაცულ იქნას შემდეგი ორი პირობა, კერძოდ:

ა) პირველი, მოხდეს დროებითი მთავრობის დეკრეტის რედაქტირება და არ იყოს საეჭვო, რომ დასაფუძნებელ რთულ უნივერსიტეტში ახალი ტიპის საუნივერსიტეტო ფაკულტეტები ითვლება ბაზად, რომელზეც შენდება ტექნიკური ფაკულტეტები; რომ უნივერსიტეტი მთელი კომპლექსის საფუძველია;

ბ) მეორე, თვითონ ორგანიზაციამ უზრუნველყოს ავტონომიურობა (მეცნიერული თვალსაზრისით) თანაბრად განვითარებული, თუმცა განსხვავებული ფაკულტეტების თეორიული, ტექნიკური და დარგთა შორის მომიჯნავე ამოცანებისა, რათა ორივე მხრიდან თანაბრად ავამოქმედოთ ჩვენი რაოდენობრივად მცირე და ახლა მატერიალურადაც სუსტი ძალები.

1917.

დარღვეული ხელშეკრულების აღდგენა", რომ საქართველოს ისიც არ დაეკარგა, რაც ჰქონდა "რუსეთთან ტრაქტატამდე".

ბ) ივ. ჯავახიშვილის მოხსენება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების ოთხი წლის თავთან დაკავშირებით წარმოშობისა და დაარსების მოკლე ისტორიით

(ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ივ. ჯავახიშვილის ფონდი N 872)

უკვე ოთხი წელიწადია დღეს, რაც ჩვენი უნივერსიტეტი გაიხსნა. ჩვეულებრივ სამეცნიერო ტაძრის არსებობისათვის ეს ისეთ მცირე დროდ უნდა ჩაითვალოს, რომ ასეთ ჟამს წარსულზე ფიქრისა და წარსულის მოგონების მაგიერ მთელი ჩვენი აზრი და გონება მომავალისაკენ უნდა ყოფილიყო მიპყრობილი და მომავალ სამუშაო გეგმებზე და წინამდებარე საქმეზე უნდა გვესაუბრა. რასაკვირველია, ჩვენც მომავალზე ვფიქრობთ (ამ ოცნებით ვიქარწყლებთ ჩვენ თანამედროვე ცხოვრების პირობებით გამოწვეულ დარდებს), მაგრამ ჩვენ მაინც იძულებული ვართ, ჩვენი ნორჩი უნივერსიტეტის ახლობელი წარსული მოვიგონოთ და მისი წარმოშობისა და დაარსების მოკლე ამბავის მოთხრობით შეგაწუხოთ. თუმცა ისტორიკოსს თქვენს უმორჩილეს მონას ამ შემთხვევაში ისტორიკოსობა არ ჰსურდა და, მეტსაც მოგახსენებთ, არ შეჰშვენიდა, ყველაზე ნაკლებ მე ამაზე მიფიქრია, მაგრამ ერთმა სამწუხარო გარემოებამ მაიძულა დუმილი დამერღვია და ხელში კალამი ამეღო. პროფესორს აკადემიკოსს ნ. მარსს, თუმცა ენათმეცნიერს, მაინც უკისრნია უკვე ჩვენი უნივერსიტეტის ისტორიკოსობა და რუსეთის განათლებული საზოგადოებისა და სამეცნიერო აკადემიისათვის შეუთხზავს კიდევ ამის შესახები მოხსენება, რომელიც ვითარცა წარსულის ძეგლის წერა მისივე თხოვნით სამეცნიერო აკადემიის უწყებებში დართული და დასტამბულია: ჯერ კიდევ ძველმა ქართველმა მეცნიერმა სამართლიანად აღნიშნა, რომ „ყოველი წერილი ძეგლი არს მეტყველი, გამომაჩინებელი აღმწერელისაჲ საუკუნოდ“ (არსენი, ქადაგებები II, 109), და ვინც აკადემიკოს ნ. მარსის მოხსენებას გადაიკითხავს, უმალ შეამჩნევს მის აღმწერელის ზრახვასა და გრძნობას და თითონაც ადვილად დასდებს მსჯავრს, მაგრამ ვინ გაარჩევს ნებსითსა და უნებლიეთს ცდომილებებს ამ მოხსენების

იმ ნაწილში, სადაც ავტორი ისტორიული ძეგლის მწერლობას ჩემულობს, თუ თანამედროვე მკითხველს და მომავალ ისტორიკოსს ამ საკითხის შესახებ თანდამხეთურთა, თვითმხილველთა და მონაწილეთაგან აღნუსხული უტყუარი ცნობებიც არ ექმნება ხელთ? სწორედ იმ გარემოებამ, რომ რუსულს ადგილობრივსა და პეტერბურგის დროგამოშვებითს გამოცემებში ჩვენი უნივერსიტეტის შესახებ ან გამო უკვე არა ერთი მტრული სულისკვეთებით განმსჭვალული ტენდენციური შინაარსის წერილები და მთელი მოხსენებაც კი დაიბეჭდა, თუ არ პასუხის გაცემა, საქმის ნამდვილი ვითარების აღნუსხვას მაინც აუცილებელ საჭიროებად ხდის. დაე, მომავალმა ისტორიკოსმა პირუთვნელად განსაჯოს და ღირსეული მსჯავრი დასდოს. ქვემოთ მოყვანილი მოგონება ამ სტრიქონების ავტორს მიაჩნია მხოლოდ ერთ-ერთ იმ მასალათაგანად, რომელნიც ჩვენი სამეცნიერო ტაძრის მომავალს ისტორიკოსს სხვათა შორის უნდა ჰქონდეს ხელთ. საითგან, როგორ და როდის წარმოიშვა ჩვენი უნივერსიტეტი, რომელსაც ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ეწოდება: აკად. ნ. მარსი რუსეთის დროებითს მთავრობასა და შემდეგ სამეცნიერო აკადემიას უმტკიცებდა, ვითომც აზრი მისი დაარსების შესახებ 1906 წ. შემდგომ რუსეთის რევოლუციის იმედების გაცრუების უმალ დაბადებულიყოს, თურმე ნუ იტყვიოთ, იგი დაკავშირებული ყოფილა ქართული საზოგადოებრივი აზრის ახალ ეროვნულ ავადმყოფურ, მწვავე ნაციონალისტურ მიმართულებასთან²².

1906 წ., ნ. მარსის სიტყვით, ეროვნულად მოაზროვნე ქართველ ინტელიგენტთა წრეში დაბადებულა აზრი ქართულ ეროვნულ მეცნიერების შესახებ. ამ, როგორც ეტყობა, უმწეო მდგომარეობაში მყოფს ჯგუფს ნ. მარსისათვის მიუმართავს, რომლისთვისაც მათი სახელით ნ. თავდგირიძეს უთხოვნია ქართული სამეცნიერო

²² „Она связана с новым национальным, получившим, к сожалению, болезненный острый националистический характер, уклоном грузинской общественной мысли“ /стр. 1496/.

აკადემიის წესდება შეგვიდგინეთ. ნ. მარრი სდუმს იმის შესახებ, აასრულა თუ არა ეს თხოვნა, მხოლოდ ბუნდოვანად აქვს ნათქვამი, რომ განზრახვა უნიადაგო გამოადგაო:

„Группа лиц из этой среды, в числе их князь Н. Тавдгиридзе, обратились ко мне в Петрограде с просьбой составить проект устава Грузинской Академии Наук, но начинание оказалось беспочвенным в условиях общественного движения того времени“ /стр. 1499-1500/.

„Грузинская национальная мысль подверглась тогда тяжкому испытанию ... почувствовав себя разочарованной в русских, ушла в себя В широких кругах усилился культ национализма, страсть к преувеличенному демонстративному проявлению национального домогательства. Лишь в кружках с серьезными духовными запросами началась работа по национальной культуре, а с ней возрос действительный интерес к научному изучению родного прошлого“ /стр. 1497/ ¹“когда в 1905-1906 годах на Кавказе перебрислось движение в Грузии сословные ... слои, националистически настроенные, оказались как бы не у дела. И однако в их среде витали мысли о национальной грузинской науке“ /стр. 1499/.

„Волна интереса к национальной культуре, а с ним вместе и к изучению прошлого не только увеличивалась, но и развилась по более широкому кругу. Это отразилось точно на барометре на составе слушателей факультета Восточных языков: грузины-студенты умножились на армяно-грузинском разряде и составляли главный контингент вообще немногочисленной аудитории, грузинский студенческий научный кружок при факультете под руководством и при живом участии моих учеников – грузин развил интенсивную деятельность по изучению родной культуры, что сказалось на приливе студентов – грузин со всех факультетов и даже студентов грузинок с Высш. женск. курсов на Кавказоведения, но преимущественно грузиноведческие лекции, почему чтение некоторых лекций и мне пришлось перенести из почти пустой аудитории, рассчитанной максимум на десяток другой студентов, в полную аудиторию, вмещавшую десятки слушателей и слушательниц“ /стр. 1500/.

„Если социалдемократы не могли избавиться от крещения в духе национализма, то этот процесс еще сильнее естественно должны были пережить социалисты – федералитсы, перенесшие центр федерализма с принципа самоуправления способного дойти до форм самой широкой автономии, на национальное начало, обосновавшее самоуправление на исторических правах, на известном трактате, и ведущее неминуемо или к разделению Грузии из общекавказского комплекса или в восстановлению былой гегемонии груз. народа над Кавказом вообще. Груз. крыло национального движения усилилось в факте вступления в состав Особого Закавказского Комитета федералиста Киты Абашидзе 12 сент. в местных газетах оповещено утверждение высшей властью фактической национализации всех средне – учебных заведений Кавказа“ /стр. 1501/.

ნ. მარრს უნდა მოვავონო, რომ ამ საქმის დამსწრეთა უმრავლესობა ცოცხალია და შუძლიათ დაწვრილებით აღადგინონ ყველაფერი. აკად. მარრს ბევრი რამ დავიწყებია, თორემ მისი მოგონება სულ სხვას გვამცნებდა. ნ. მარრისაგან მოხსენებულ ნ. თავდგირიძის გარდა, ამ საქმის თანდამხთური და თვითმხილველი ვიყავით მე და აწ განსვენებული ალ. ყიფშიძე. თავდგირიძესაცა და მეც შეგვიძლიან ნ. მარრს მოვავონოთ ის, რაც მას ასე მალე ამოუშვია მეხსიერებიდან. ეს ამბავი სულ სხვანაირად იყო. ნ. თავდგირიძესა და ალ. ყიფშიძეს ნ. მარრთან სადარბაზოდ მისვლა და ნახვა უნდოდათ. მეც გავყევი და ნ. მარრთან მივიყვანე, რომელიც მაშინ ვასილის კუნძულის მე-4 ხაზზე ცხოვრობდა, ლაპარაკის დროს საუბარი ჩვენი საზოგადოებრივი და სამეცნიერო აზრის სიღარიბეზე ჩამოვარდა. ნ. მარრმა ქართული სამეცნიერო აკადემიის დაარსების აუცილობლობაზე დაიწყო ლაპარაკი: ყველას აქვს სამეცნიერო აკადემია, სომხებსაც კი ლაზარაანთ მონასტერში ერთგვარი აკადემიის მსგავსი დაწესებულება მოეპოვებათ. მარტო ქართველებს არა აქვთ ამნაირი ცენტრიო. ნ. მარრმა დაუმატა, რასაკვირველია, ამას ქონებრივი სახსარი ესაჭიროება, მაგრამ ნუთუ ქართველთა შეძლებული წრეები ასეთი დაწესებულებებისათვის საკმაო ფულს ვერ გამოიღებენო? ნ. თავდგირიძეს ეს აზრი მოეწონა და

სთქვა ფულების შოვნა მოხერხდებაო. მაშინ ნ. მარმა განაცხადა, თუ ეს ქონებრივად მოსახერხებელია, მე ინგლისის სამეცნიერო აკადემიის წესდება მაქვს შინ და იმის მიხედვით ქართულ სამეცნიერო აკადემიის წესდების შედგენას შევუდგებიო. ალ. ყიფშიძეს და ნ. თავდგირიძეს გაეხარდათ და ნ. მარს წესდების დაწერა სთხოვეს. ჩემთვის მთელი ეს საუბარი მოულოდნელი იყო და თუმცა ნ. მარის პროექტი სრულებით განუხორციელებელად და უნიადაგო ოცნებად მიმაჩნდა, მაგრამ მაინც მიამა, როდესაც დავინახე, რომ ნ. მარის ქართული სამეცნიერო ცენტრის შექმნაზე ოცნებობდა, და ამიტომ გაჩუმებული უსმენდი ამ საუბარს და საწინააღმდეგო არა მითქვამს რა. ხოლო როდესაც აღიძრა, სად შევკრებილიყავით და მოგვესმინა ნ. მარის მიერ შედგენილი ქართული სამეცნიერო აკადემიის წესდება, მე ჩემი ბინა შევთავაზე იმ იმედით, რომ ჩემთან გარეშე მოულოდნელი სტუმარი ვერავინ შეგვიშლიდა საუბარს, და ასეც გადაწყდა. დანიშნულ დღესა და საათზე ნ. მარმა, ნ. თავდგირიძემ და ალ. ყიფშიძემ ჩემთან სერგიევის ქუჩაზე მოიყარეს თავი. ნ. მარის პორტფელით მოვიდა და თან ქართულად დაწერილი სამეცნიერო აკადემიის წესდების პროექტი და ინგლისური სამეცნიერო აკადემიის დაბეჭდილი წესდებაც მოიტანა. საკმარისი იყო ამის თაობაზე დამშვიდებული საქმითი მსჯელობა დაწყობილიყო, რომ საქართველოში სამეცნიერო აკადემიის არსებობის შეუძლებლობა ცხადი გამხდარიყო და თვით ნ. თავდგირიძესაც ამ დაწესებულებისათვის საჭირო თანხის ჩვენში ერთდროულად შეგროვებისა და კერძო თაოსნობით ყოველ წლიურად გამოღების შეუძლებლობა აღეარებინა. ამნაირად ჯერ კიდევ ქართული სამეცნიერო აკადემიის დაარსების შესაძლებლობის შესახებ მსჯელობის დაწყებამდე ამ პროექტის უნიადაგობა ცხადი შეიქმნა. რაკი აკადემიის ქონებრივად არსებობის უზრუნველყოფის შეუძლებლობა გამოირკვა, სხვა თვალსაზრისით ეს საკითხი უკვე აღარ განხილულა და ნ. მარმა თავისი პროექტი და წიგნი ისევ აბგაში ჩაალაგა. თუ ამ უქალაქობის დროს ის ფურცლები, რომელზედაც ეს წესდება ეწერა, სხვა მიზნით არ გამოიყენა, შემდგენელი პროექტს თავის ქალაქებში, უეჭველია, იპოვის.

ზემო ნათქვამითგან ცხადია, რომ აზრი ქართულ სამეცნიერო აკადემიის დაარსების შესახებ ქართველ ინტელიგენტთა ერთ ჯგუფს კი არ ეკუთვნის, როგორც შეცდომით ნათქვამი აქვს ნ. მარს, არამედ სწორედ მისივე საკუთარი აზრია და მისივე თაოსნობა, ამის დადასტურება, დარწმუნებული ვარ, ნ. თავდგირიძესაც შეუძლიან. ეს ამბავი შემდეგში ჩემ მახლობელ მოწაფე სტუდენტებისათვის არა ერთხელ მიამბნია და როდესაც 1917 წ. სექტემბერში პეტერბურგიდან ცნობა მოგვივიდა, რომ აკად. ნ. მარის ჩვენი უნივერსიტეტის მოწინააღმდეგეთა - ბანაკის ბელადად არის, მე უნებლიეთ გამახსენდა ზემომოთხრობილი ამბავი ჩვენ პროფესორთა წრეში და გოცებული ვიყავ, რომ ის ადამიანი, რომელმაც 1906 წ. ქართულ სამეცნიერო აკადემიის დაარსება იკისრა, ათი წლის შემდგომ ქართული უნივერსიტეტის დაარსების გააფთრებულ მოწინააღმდეგედ იქცა. ისეთი რა მოხდა ამ ხნის განმავლობაში, რომ ნ. მარის აზროვნება ასე ძირიანად შესცვალა? შეუძლებელია ეს გარემოება მარტო 1917 წ. რევოლუციის შედეგი იყოს. 1906 წ., როდესაც ნ. მარს ქართული სამეცნიერო აკადემიის დაარსება საჭიროებად მიაჩნდა, ის რუსეთის სამეცნიერო აკადემიის წევრად არ ითვლებოდა, არამედ მხოლოდ პროფესორად. მაშინ მას აკადემიკოსად არჩევის იმედიც - კი არ ჰქონდა და ამ აკადემიას თავისებური ენამახვილობით დასცინოდა. ამ დროს ქართულ სამეცნიერო აკადემიის არსებობასაც მისთვის მნიშვნელობა ჰქონდა. შემდეგ კი, როდესაც დიდი ხნის ნატვრა აუსრულდა და აკადემიკოსობას ეღირსა, ეხლა ქართულ სამეცნიერო ტაძრის დაარსება უკვე მას არამც თუ საჭიროდ არ მიაჩნია, მის თავშეუკავებელ მრისხანებასაც კი იწვევს. ჩვენი უნივერსიტეტის დაარსების აზრს მაშინ არაფერი საერთო არ ჰქონია იმ მართლაც სრულებით უნიადაგო წინადადებასა და პროექტთან, რომელიც თვით პროფ. ნ. მარს ეკუთვნოდა.

საკმარისი იყო ტფილისში ყური მოეკრათ ქ-ლ კერძო უ-ტის დაარსებაზე საუბრისა და ხმებისათვის, რომ მაშინვე ადგილობრივს არა ქართულს წრეებში და დროგამოშვებით გამოცემებში ალიაქოთი ატეხილიყო. 18 ივნისს, 1917 წ. რუსულ გაზეთ „რესპუბლიკა“-ში (№16) ჯერ ხელმოწერილი მეთაური გაურკვეველი და ბუნდოვანი

შინაარსის წერილი „Практические планы, науки и национальный вопрос“ - დაიბეჭდა, რომელიც შორითგან უვლიდა საკითხს. ერთი დღის შემდგომ მოთავსებული იყო უკვე სრულებით გარკვეული შინაარსის წერილი ალ. სელიხანოვიჩისა, რომელიც ტფილისის ქალთა კურსებზე კითხულობდა ლექციებს „Проблема Высшего образования на Кавказе“ (№17, 19 ივლისს, 1917 წ.), სადაც ნათქვამი იყო: „У“-т на Кавказе должен идти навстречу национальным стремлениям народностей Кавказа. Школа и национальность теснейшим образом связаны. В школе изучается родной язык, усваивается начала национальной культуры и разрабатывает национальное самосознание. Естественно, что всякая национальность хочет иметь свою школу: свои нач. училища, свои гимназии и свой университет. Мы знаем, что грузинские ученые озабочены немедленным открытием груз. университета в Тифлисе, учреждается в Тифлисе и армянский научный институт, который может стать основой для будущего армянского университета. Эти стремления ...нужно приветствовать и всячески поддерживать. Но ...должны ли быть эти национальные школы обособленными ...нет,первый Кавказский университет должен стать федеративной республикой всех ученых и всего учащегося юношества Кавказа“ / Республика 1917 г. № 17/.

იმავე გაზეთის № 20-ში (22 ივლისს) კვლავ მეთაური წერილი იყო „Высшая школа на Кавказе“, რომელშიაც უცნობი ავტორი ამტკიცებდა, რომ ტფილისის ქალთა კურსები, უნივერსიტეტად გადაკეთებული, უნდა არსებობდეს, იმის და მიუხედავად, რომ ტფილისში ახალი უმაღლესი სასწავლებელი არსდებო. ყველანი და, მათ შორის, პოლიტიკური პარტიებიც მოვალენი არიან მას დაეხმარნენო. ახმაურდა ქართულ უ-ტის დაარსების განზრახვის გამო აკად. ნ. მარრიც, რომელმაც იმავე გაზეთში (№ 29) მოათავსა წერილი „Без университета Кавказское будущее в опасности“.

ხოლო 9 აგვისტოს იმავე Республика-ში (№ 31) მისივე მეორე წერილის გაგრძელება დაიბეჭდა: „От далекого прошлого Кавказа к его будущему П. О родном Восточном гуманизме“.

აკად. ნ. მარრმა რუს. გაზეთ „რესპუბლიკაში“-ში (1917წ. 9 აგვ. № 31) მოათავსა ანისის ნაქალაქევეში 24 ივლისს დაწერილი მეორე წერილი: „О родном Восточном гуманизме“ / От далекого прошлого Кавказа к его будущему/, რომელშიაც თუმცა ქართული უნ-ტის დაარსების აკვარგიალობის შესახებ კრინტიც - კი არ იყო დამრული, მაგრამ მაინც ცხადად ეტყობა, რომ მხოლოდ ამით არის გამოწვეული.

„Прошлое Кавказа очень сложно. Будущее его еще более сложная загадка: оно усложнено вкладом XIX-го и переживаемого нами момента XX-ти веков принесших в дополнение и развитие основ Кавказских цивилизаций вместе со многими сейчас не учитываемыми положительными явлениями новые общественно – творческие начала. Первые из низ – демократизация просвещения и свобода самоопределения. Однако для исторических народов Кавказа самоопределение в условиях нового времени сводится к трудной задаче, к необходимости сопредельить свои национальные идеалы, переоценить свое прошлое и построить свою новую жизнь не на местных реставрационных основаниях, не с возвратом к прошлому, а с неослабным устремлением вперед к общечеловеческому идеалу, к широким и светлым перспективам будущего. Реальные условия, сложившиеся на Кавказе и укрепившиеся за XIX в. Также не могут быть отброшены, и следовательно, игнорируемы как и культурные стяжения Кавказских народов за ту же эпоху“.

„Надо считаться с историческими реальностями. Культурная история Кавказа не только существует, не только может быть безнаказанно отрицаема и отвергаема, как это делала бюрократия нашего режима, она вовсе не так проста, чтобы, не дав удовлетворения реальным запросам, направлять судьбы края по чьему велению, как повидимому, рисуется это наличным общественным организациям в свете тех или иных религиозных учений, националистических построений или специально экономических доктрин. Сведение строительства Кавказа до простых шаблонных формул приведет к катастрофическим разочарованиям.“ / Н. „Марр, там-же „Республика“ 1917 г. № 31 „О родном Восточном гуманизме“ /. „Республика“ აზ

სცხრებოდა და 26 აგვისტოს № 45-ში ლ. ლ. წერილი იყო მოთავსებული: „Новый тип высшей школы на Кавказе в связи с ролью Тифлиса в будущем“, სადაც ავტორი ამტკიცებდა, რომ კავკასიისათვის საუკეთესო იქნებოდა შეერთებული პოლიტეხნიკუმ - უ-ტი გახსნილიყო.

აზრი ქართული უნივერსიტეტის დაარსების შესახებ ნ. მარრის ფიქრით იმ ნაციონალისტური მიმართულების წაყოფია, რომელსაც, თუმცა არავითარი საფუძველი არ ჰქონდა, მაგრამ მაინც ჰსურდა განახლებულ რუსეთისათვის ანგარიშის მოთხოვნა, რომელსაც თურმე რუსეთში თავისუფლების სულის ჩაქრობა შეეძლო²³. რატომ?- უნებლიეთ იკითხავს ადამიანი. ნუთუ ქართული უნივერსიტეტის დაარსება რუსეთისათვის ასეთი საბედისწერო რამე უნდა ყოფილიყო? ქართული უნივერსიტეტის დაარსება მას ქართველთა ავადმყოფური ეროვნული გრძნობის წარმონაშობად ეჩვენებოდა, იმ უკიდურეს ნაციონალისტთა საქმედ, რომელთაც სასწავლებელში უცხო ენის ბატონობა ერისათვის გადამაგვარებელ გარემოებად მიაჩნდათ და სასურველად სთვლიდნენ, მეცნირებაც დედაენაზე შეეთვისებინათ, რომელთაც ლექსიკონშიაც - კი ქართული სიტყვების განსამარტავად რუსულის ხმარება ქართული აზროვნობისათვის მავნებლად მიაჩნდათ.

„В начале лета, в июне, армяне обсуждали в Тифлисе вопрос об учреждении армянского Университета в столице Кавказа, в первую голову факультета Восточных языков или, вернее, разряда армяноведение. И у них поскольку я мог разъяснить себе из обмена мнений на двух совещаниях на котором я был приглашен, также имеются в виду постанова преподавания не по научной

²³ „Само предприятие возникло в линии того националистического течения, которое не имеет никакого основания предъявлять счет молодой Грузии к обновленной России, если нам желательно строить ее, в следовательно и её жизнь действительно на новых началах и не погашать новый свободный дух“ /стр. 1503/.

классификации а по националистическому подбору кавказоведных дисциплин” /стр. 1505 – 1506/.

Рядом с грузинами взяться за учреждение Университета в Тифлисе склонны и армяне ... правда также, что неизвестно и то, где будет после войны центр армянской культурной жизни, не в Ване – ли? Но мимоходом отдельные органы и отдельные не особенно близко у национального дела стоящие группы армян предлагают организовать или организуют уже некоторые предприятия интересующагося нас порядка. Так, недавно в армянской печати было сделано предложение перенести на Кавказ в район коренного армянского населения Лазаревский институт из такого культурного центра, как Москва, в Эривань, пустыню в культурном отношении, понизить уровень его просветительной работы и лишить его благотворного ... значения для армян” /стр. 1505/.

6 июня (24 мая) 1918 года, IX заседание экстраординарное: „я считаю своим долгом указать ... на необходимость скорейшего создания в России университета с новым типом историко-филологического факультета, раз этого нельзя сделать в Тифлисе, по видимому представляемом реставрации грузинского традицион-национального строительства до русского владычества, то в каком либо центральном пункте предкавказья, легко доступном для всего действительно прогрессивно настроенного населения Кавказа, интересующее более развитием налаженного уже приобщену к культуре и его углублением...”

“здесь попутно выяснилось чрезвычайно показательное явление у армян с их давнишними автономными правами на национальную школу и сеть построенных на так называемых национальных началах средних учебных заведений, именуемых семинариями и училищами разных типов, с национальной Духовной Академией в Эчмиадзине, находившихся по идее в полном и неограниченном управлении самого армянского народа, оказалось меньше научных сил на месте для ведения национально конструированной высшей школы, чем у грузин, главной массой воспитывавшихся в русской школе обычного типа и в

своих даже всего на всего двух национальных гимназиях груз. дворянство, терпевших гнет государственного контроля и государственного языка в качестве, преподавательского. У армян не оказалось специалистов ученых в сколько нибудь достаточном числе даже по национальным дисциплинам“ / стр. 1506/.

სწორედ მათი საქმე ყოფილა, რომ საშუალო სასწავლებლების გაეროვნულება ქართული უნივერსიტეტის დაარსებით უნდა დამთავრებულიყო. აკად. ნ. მარს ნაგულისხმევი ჰყავს ამ შემთხვევაში ის პატარა, 9 კაცისაგან შემდგარი ჯგუფი, რომელმაც პატარა საპროგრამო წიგნაკი დაბეჭდა „ქართული ლექსიკონის შესახებ“, სადაც, სხვათა შორის, ნათქვამი იყო: „ლექსიკონი ყოველი ქართველისათვის უნდა იყოს გასაგები, ისეთისათვისაც - კი, რომელმაც ქართულის მეტი სხვა ენა არ იცის. რუს. - ქართული, ფრანგ. - ქართული, გერმ. - ქართული მხოლოდ მცირე რიცხვან მუშაკთა ჯგუფისათვის არის საჭირო, ხოლო თუ იგი საყოველთაო სახმარებლად იქნება განკუთვნილი, ჩვენი გადაგვარების იარაღად იქცევა იმიტომ, რომ მკითხველს უცხო ენაზე შეაჩვევს აზროვნებას და ადამიანს მეტად მავნებელსა და ყალბს შეხედულებას ჩაუნერგავს გულში, თითქოს დედაენის შეგნებისათვის უცხო ენის ხმარება აუცილებელი იყოს“ (გვ. 5). ეს დებულება ნ. მარს სრულ შეცდომად მიაჩნია. ის თანახმაა კიდევ ქართველებს ეროვნული დაწყებითი სკოლები მისცეს.²⁴

უმაღლეს სასწავლებელში დედაენის ხმარება მაინც და მაინც საჭიროდ არ მიაჩნია, რომ ზემომოყვანილი აზრი უფრო

²⁴ „Способ действия может вытекать из существующего по глубокому недоразумению в той – же среде убеждения, что пользование не грузинской речью в научном изложении грузиноведных дисциплин... затемняет языковую психологию грузинского народа. Если – бы речь была о преподавании не на родном языке в начальных школах, то спора здесь не могло быть, но упомянутая теза в применении к высшей школе... мало того, что теоретически несостоятельна, ...приводит к полному извращению истинного положения вещей.“ /стр. 1504/.

შეუწყნარებლად წარმოედგინა რუსეთის უმაღლეს წრეებისათვის. ის ამ აზრს ამახინჯებს და ამტკიცებს, ვითომც მას ადამიანი იმ დასკვნამდის მიჰყავდეს, რომ არა ქართველს ქართულის შესწავლა არ შეეძლოსო.

ასეთ დებულებას ის, რასაკვირველია, დიდის რიხითა და ძლევამოსილებით არღვევს, თითქოს ამით ახალს რამეს მეტყველებდეს: მთელ თანამედროვე წარმატებას აღმოსავლეთის შესწავლაში ევროპიელებსა და მათ შორის რუსებსაც უნდა ვუმაღლოდეთ და ამ მხრივ არც კავკასიის შესწავლის სფერო წარმოადგენს გამონაკლისსო. საითგან და როგორ გამომდინარეობს ესოდენ უცნაური დასკვნა, როდესაც იმ ჯგუფს ნათლად აქვს ნათქვამი, რომ „ადამიანს ... ყალბს შეხედულებას ჩაუნერგავს გულში, თითქოს დედაენის შეგნებისათვის უცხო ენის ხმარება აუცილებლად საჭირო იყოსო. ეს ალბად აკად. ნ. მარსის ლოდიკური მსჯელობის საიდუმლოებას შეადგენს. სხვა არა იყოს რა, მე თითონ მისწავლებია გერმანიაში გერმანელისათვის ქართული და ეს აკად. ნ. მარსმაც იცის იმიტომ, რომ ჩემმა ნამოწაფარმა იოანე საბანისძის თხზულების გერმანული თარგმანი დაბეჭდა კიდევ და ასეთი უგუნურების თქმა რომელს ჩვენგანს შეეძლო? თუ ამის და მიუხედავად ის სხვის აზრის დამახინჯებას კადრულობდა, ალბად სხვა საბუთიანობის ნაკლებობით უნდა აიხსნებოდეს.

მაგრამ რამდენადაც ცხადია, არც ერთს შეგნებულს ქართველს და მით უმეტეს ჩვენი უნივერსიტეტის აღმშენებლობის რომელსამე მონაწილეთაგანს ფიქრადაც არ მოუვიდოდა ეთქვა, რომ არა ქართველს ქართულის კვლევა-ძიება არ ძალუძსო, ამდენად, სამართლიანობა გვავალებს აღვნიშნოთ, რომ ნ. მარსი მართალს არ ბრძანებს, როდესაც კავკასიის ჰუმანიტარულ შესწავლას ევროპიელებსა და მათ შორის რუსეთსაც მიაწერს. ცოტაოდნად ამის თქმა კიდევ სომხეთისა და სომხურის დასავლეთ ევროპიელთა მიერ შესწავლის შესახებ შეიძლება, მაგრამ რუსებს აქაც არა გაუკეთებიათ რა, ქართული ენისა და ისტორიის შესახებ - კი შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ დაუვიწყარ ფრანგ მეცნიერ აკად. მარსი ბროსეს გარდა, არც დასავლეთელს და მით უმეტეს რუს მეცნიერთაგანს არავის არა

გაუკეთებია რა. კარგა ხანია უკვე რაც აღნიშნული აქვს ეს პროფ. აკად. ვ. ზარტკოლდს, რომლის პირუთვნელობის ეჭვი რასაკვირველია არც ნ. მარრს ექმნება, რომ:

„Обзор русских трудов по изучению Востока показывает, что русской наукой в этом отношении достигнуты, особенно в XIX веке, значительные успехи, но что эти успехи большей частью все-таки далеко не соответствуют тем ожиданиям, на которые, казалось бы, дают право географическое положение России, состав её населения и труд длинного ряда поколений со времени Петра Великого. Несмотря на достигнутые успехи, состояние русского востоковедения, как и русской науки вообще, все-таки является красноречивым доказательством общей усталости русской культуры” / История изучения Востока в Европе и в России. СПб 1911г. стр. 256/. „Заключение истории Грузии митроп. Евгения, составленноепо сведениям... находившихся в то время в Петербурге „грузинских посланников и депутатов” Броневского,А.Н. Муравьева и некоторых других трудов, работы по Кавказоведению в России следующих десятилетий производилось главным образом иностранными учеными”/Там же, 254/; „Преподавателями языков армянского и грузинского в университетах со времени кафедры этих языков, всегда были природные армяне и грузины.... Ученым армянского и грузинского происхождения русская наука обязана как распространением в России научных взглядов, выработанных в армянских и грузинских кругах, так и впоследствии исправлением этих взглядов, на основании методов Европейской науки. Ими же были определены новые научные задачи грузиноведения и армяноведения” / там же, стр. 255/.

„Если историко-филологические дисциплины, занимающиеся разработкой армянских и грузинских материалов, не удастся довести до той ступени развития, какой эти материалы заслуживают и какой достигли другие Востоковедные области, то в значительной степени повинно в этом, как не раз приходилось высказываться печатно с фактическими доводами, хорошо известное обстоятельство: большинство работников по Кавказоведению – представители народов,

объектов исследования, и они независимо от трудности по существу самонаблюдения и самооценки – вообще „познания себя”, попадают в безвыходное положение, в виду как общего современного культурного состояния Кавказских народов, так особенно захватывающих их целиком жизненных политических проблем: и раз обостряются национальные отношения Кавказской жизни в условиях чрезвычайной запутанности, они, естественно, психологически не способны стать на вполне объективную научную точку зрения в разрабатываемых ими специальностях, до сих пор для них нет собственно историко – филологической области Востоковедения по Кавказу, а националистически *in majorem gloriam* данного народа воспринимаемые: армяноведение и грузиноведение”. /стр. 1504 - 1505/.

თუ ისტორიკოს ნ. მარრს დაუჯერებთ იმ გვარადვე, როგორც ქართულ სამეცნიერო აკადემიის დაარსებისათვის ქართველ უსაქმურ ინტელიგენტთა ჯგუფს ნ. მარრისათვის უნდა მიემართათ, ამგვარადვე ქართული უნივერსიტეტის დაარსებისა და აგებულობის დედა აზრი უნებლიეთ მის, აკად. ნ. მარრის პიროვნებასთანვე ყოფილა დაკავშირებული. მისი სიტყვით, ამ დედა აზრის ძირითადი და ორიგინალური ნაწილი თურმე მის ქართველ მოწაფეებს ჩამოუტანიათ ტფილისში. უნივერსიტეტის სამეცნიერო მხარე მხოლოდ და მხოლოდ მისი, ნ. მარრის სამეცნიერო მსოფლმხედველობის ქართულ ნიადაგზე გადმონერგვის უხეირო ცდა ყოფილა. როგორც მოსალოდნელიც იყო, ეს ნ. მარრის მსოფლმხედველობა რასაკვირველია რუსული სამეცნიერო მსოფლმხედველობა ყოფილა და რაც ქართულ უნივერსიტეტს თავის მომავალი მოღვაწეობის გეგმაში შეტანილი აქვს, პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლეთის ენათა ფაკულტეტზე ვითომც დიდი ხანია უკვე განხორციელებული ყოფილა.²⁵ იხ. გვ. 1501 – 1502.

²⁵ „Идея же сама и конструкция грузинского университета, если не вся, то в основной оригинальной её части, принесена в Тифлис, судя по программе, из Петербурга, из круга моих учеников грузин /стр. 1501/.

ყველაფერი, რაც ჩვენი უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის პროგრამაშია შეტანილი, ვითომც აღმოსავლეთ ენების ფაკულტეტზე უკვე წაკითხული ყოფილიყო. თუნდაც რომ ასეც იყოს საქმე. განა კარგი საქმის მიზანია ცუდი რამეა? მაგრამ საქმეც ის არის, რომ ნ. მარრის სიტყვები მართალი არ არის და ამას ვერც როდის ვერ დაამტკიცებს.

ნ. მარრი ბრძანებს, ვითომც ჩვენი პროგრამის დებულებანი პეტერბურგის უნივერსიტეტის იმავე ფაკულტეტის სასწავლო გეგმისა და მიმოხილვისაგან ყოფილიყოს ნასესხები იმ განსხვავებით, რომ აღმოსავლეთ ენების ფაკულტეტის პროგრამაში ყველგან ნახმარი „იაფეტურის“ მაგიერ განზრახ ნაციონალისტური ზრახვების განსახორციელებლად „ქართული“ ყოფილიყო აღნიშნული.²⁶

ეს ისეთივე საქციელია, რუსულ სასწავლებლებში რომ სლავურის ან ინდოევროპულის მაგიერ ყველგან რუსული ეხმარათო (იქვე). ნ. მარრის უკანასკნელი სიტყვები სრულს გაუგებრობას

„Формально вся схема общей постановки этой части научного дела по уставу грузинского университета представляет попытку провести в жизнь в грузинской среде наше понимание, я бы сказал, русское научное понимание реально – филологического изучения переднеазиатского мира Это научное понимание возможно в более, чем полувековой работе факультета Восточных языков, является сколком того, что удалось осуществить реально или наметить программно для ближайшего осуществления на названном факультете” /стр. 1502/.

²⁶ *„Все, выдаваемое за неслыханную новость, давно не только намечено, но осуществлено и осуществляется в Петрограде на факультете Восточных языков, из программы которого и обзрений преподавания и заимствованы все термины, кроме одного. Изгнан термин „яфетический” и вместо него введен „грузинский”, чтобы в националистических целях придать видовому термину „ грузинский ” такое родовое значение, как если бы в русской школе и в русской науке установили термин „русский” употреблять вместо термина „славянский”, более того – вместо термина „индоевропейский” /стр. 1502 - 3/.*

წარმოადგენს და სწორედ გასაოცარია, რომ მას ასეთი რამის დაწერა შეეძლო. ჩვენი უნივერსიტეტის წესდების განმარტებით მოხსენებაში, როგორც ნ. მარრსაც აღნიშნული აქვს, ეწერა, რომ სიბრძნისმეტყველების ფ-ტზე თანდათანობით მოეწყობა ლექციები ქართული ენათმეცნიერების, ქართული დიალექტოლოგიისა და კავკასიის მეცნიერების შესახებ, ქართული არქეოლოგიისა, ეპიგრაფიკისა და პალეოგრაფიისა, საქართველოს ეკონომიკური ისტორიისა, საქართველოს საეკლესიო ისტორიისა, ქართული ხელოვნების ისტორიისა, სპარსულ- ქართულის, ბერძნულ-ქართული, სომხურ-ქართული და ოსმალურ-ქართული მწერლობის ისტორიის შესახებ. სად შეიძლება ყოფილიყო აღმოსავლეთ ენების ფ-ტის პროგრამაში იაფეტური ნახმარი, რომელიც ჩვენს პროგრამაში ქართულად ყოფილა მონათლული? მხოლოდ იაფეტურ ენათმეცნიერებასა და დიალექტოლოგიაში. მაგრამ საითგან წარმოიდგინა ბ-ნმა მარრმა, რომ ქართულ ენათმეცნიერებასა და დიალექტოლოგიას ნ. მარრისებურ იაფეტურ ენათმეცნიერებასა და დიალექტოლოგიასთან რამე საერთო ექმნება? ხოლო თუ სიმართლის გაგონება ჰსურს ნ. მარრს, ჩვენ კი არ განგვიდევნია ტერმინი იაფეტური, არამედ სწორედ მან განდევნა და სდევნიდა, რეალური ერთეული, ისტორიულად და ეხლაც არსებული ტერმინი ქართული და თავისი ჩვეულებრივი ჟინიანობით ყველგან ქართულის მაგიერ შემოიღო თავისგან შეთხზული და მოგონილი, მის ავტორისათვისაც - კი გამოურკვეველი ერთეულისა და ავადებადი ცნების გამომხატველი ტერმინი იაფეტური. ქართული ენის შესახები შრომებიც - კი, როგორიც ი. ჭყონიას და ვ. ბერიძის სიტყვის კონები და აკ. შანიძის ხევსურული კილოა, მან იაფეტურ ენათმეცნიერების მასალების სერიაში მოაქცია, როდესაც მხოლოდ და მხოლოდ ქართული ენათმეცნიერების მასალები იყო. მოვაგონებ, რომ ამ საკითხში მას მართა ჩვენისთანა, „ნაციონალიტები” - კი არ ეკამათებოდნენ, არამედ თვით სხვა აკადემიკოსებიც, რომელთაგან კარლ ზალემანი ურჩევდა მას ქართული ენათმეცნიერების სერია ეწოდებინა. მაგრამ მან ჟინიანობით თავისი გაიყვანა და სწორედ მანვე და არა ჩვენ ხშირად ნამდვილი ტერმინი ქართულის მაგიერ

იაფეტური შემოიღო და ქართული განდევნა. იაფეტური ენათმეცნიერება ნ. მარრის პირადი მონოპოლიაა და დამშვიდებული ბრძანდებოდეს ბ-ნი აკადემიკოსი; არც ერთ ჩვენგანს ქართული ენათმეცნიერება და დიალექტოლოგია მარისებურ იაფეტურ ენათმეცნიერებად არ ჰქონია განზრახული.

მართალი არ არის ნ. მარრი, როდესაც ამტკიცებს, ვითომც ჩვენი უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფ-ტის პროგრამა სწორედ მის რუსულ მსოფლმხედველობისა და აღმოსავლური ენების ფ-ტის გეგმის მითვისება იყოს მის ყოფილ მოწაფეთაგან. ჯერ ერთი, ახალი გაგონებაა რომ ყველაფერი, რაც აღმოს. ენების ფ-ტზეა, ნ. მარრის მსოფლმხედველობა ყოფილიყო. არც მისია და არც განსაკუთრებული რუსული რამეა ამ პროგრამაში იმ გვარადვე, როგორც ჩვენ ფიქრად არ მოგვსვლია იგი ქართულ მსოფლმხედველობად მიგვეჩნია და მით უმეტეს გაგვესაღებინა. მას რომ ჩვენი სიბრძნისმეტყველების ფ-ტის სასწავლო გეგმა გადაეკითხა, თავის თვალთ დარწმუნდებოდა, რომ აღმოსავლური ენების ფ-ტზე ამის მსგავსი არაფერია. ამით მე იმის თქმა არ მსურს, რომ ჩვენ ვისიმე გაკვირვება გვსურდეს, ლაპარაკი აქ მხოლოდ პროგრამის ერთგვარ თავისებურებაზეა. ის ზოგიერთი მსგავსება, რომელიც ჩვენს პროგრამასა და აღმოს. ენების პროგრამასა და კურსებს შორის არის, იმით აიხსნება, რომ აღმოს. ენების ფ-ტმა თავის დაძველებულს გეგმაში ზოგიერთი ცვლილება შეიტანა 1906-7 წ. ამავე ფ-ტის პრივანტ დოცენტთა წრის მიერ შემუშავებული გეგმისა და პროგრამის თანახმად. ამ წრეში ნ. მარრი, ვითარცა პროფესორი, არც წევრად ითვლებოდა და არც რაიმე მონაწილეობა მიუღია მის მუშაობაში. არც განსაკუთრებით რუსული ელფერი ჰქონია ამ წრის მუშაობას, რათგან 2-3 რუსის გარდა, პოლონელი და ერთი ქართველიც მხურვალე მონაწილეობას იღებდენ ამ პროგრამებისა და გეგმების შემუშავებაში. როდესაც ეს გეგმა ფ-ტში იყო შეტანილი, პროფ. ნ. მარრი, მართალია, მისი სხვებზე უფრო მეტი მომხრე და მოსარჩლე გამოვიდა და მის ნაწილობრივ მიღებას ხელი შეუწყო, მაგრამ ფ-ტის ამ კრებების დამსწრეთ და მათ შორის ყველაზე მეტად ნ. მარრს კარგად ეხსომებათ, რაოდენი წინააღმდეგობა გაუწია ფ-ტის

პროფესორ წევრთა უმრავლესობამ ამ გეგმას და რამდენი ბრძოლა იყო საჭირო, რომ გეგმის ზოგიერთი რამე მაინც ფ-ტს დაედასტურებინა. 1917 წ. გაზაფხულამდე, როდესაც მე პეტერბურგითგან წამოვედი, ფ-ტის პროგრამა და სასწავლო გეგმა ჯერ კიდევ დაუშთავრებელ და ჭრელ სურათს წარმოადგენდა.

მეორეს მხრით თუ ზოგიერთი (და არა ყველა, როგორც ნ. მარრი ბრძანებს) კურსთაგანი ჩვენს უნივერსიტეტში წაიკითხებოდა და იკითხება კიდევ, აღმოს. ენების ფ-ტეტის მიმოხილვაშიც შეიძლება ადამიანს ენახა და თვით ლექციებიც იკითხებოდა, ეს გარემოება იმით აიხსნება, რომ ამ ლექციების პეტერბურგში მკითხველნი სწორედ ის პირნი იყვნენ, რომელნიც ჩვენი უ-ტის სიბრძნისმეტყველების ფ-ტის წევრად გახდნენ და მის აღმშენებლობაში მხურვალე მონაწილეობა მიიღეს და, რასაკვირველია, ისინი ჩვენს უ-ტში სხვათა შორის ამ ლექციებსაც წაიკითხავდენ. თვით რუსეთში - კი და არა სხვაგან სადმე ამ ლექციებს ახლო მომავალში მაინც ვერავინ წაიკითხავდა.

ეს მშვენივრად იცის ნ. მარრმაც და თვით მასაც აღნიშნული აქვს, რომ ამ კურსების წაკითხვა არც კავკასიაში და არც სხვაგან სადმე შეუძლიან ვისმე იმათ გარდა, რომელნიც ქართული უნივერსიტეტის აღმშენებლობაში მონაწილეობას იღებდენ, წინათ - კი პეტერბურგში მუშაობდენ აღმოსავლეთ ენების ფ-ტზე.

„Грустная правда содержится в строках уже приведенных нами in extenso отрывке из объяснительной записки о якобы нигде не читавшихся и даже не намечавшихся новых курсах и т.п. Дело в том, что на всем Кавказе и вообще вне Петрограда нет никого, кто бы был подготовлен читать эти курсы. И так как я не имею основания не верить, что курсы эти все таки будут добросовестно читаться в грузинском университете в Тифлиссе, то следовательно речь идет об исходе из факультета Восточных языков тех единственных пока специалистов, которые могут читать и читают эти именно курсы на нем” /стр. 1503/.

მაგრამ ნ. მარრი სცდება, როდესაც ფიქრობს და წერს, ვითომც ჩვენს უ-ტში ყველაფერი მის ყოფილ მოწაფეების მოწყობილი იყოს და

სიბრძნისმეტყველების ფ-ტზეც მხოლოდ ის იკითხებოდეს, რაც პეტერბურგში. მე მგონია, ნ. მარრიც ვერ უარჰყოფს, ჯერ ეს ერთი, რომ აღმოს. ენების ფ-ტზე არას დროს საქართველოს საეკლესიო ისტორია, ქართული სასულიერო მწერლობის ისტორია, ქართული ხელოვნების ისტორია, ქართული პალეოგრაფია, დიპლომატიკა, მეტროლოგია, ნუმიზმატიკა და ქრონოლოგია, სომხური საისტორიო მწერლობის ისტორია, ოსური ენათმეცნიერება და ბევრი სხვაც, რაც ეხლა ჩვენთან იკითხება, არას დროს ჯერ არ წაკითხულა. მეორეც ისა, რომ პროფესორთაგანი არა ერთი და ორია ისეთი, რომელიც არც მისი მოწაფეა და საზოგადოდ პეტერბურგის უ-ტშიაც არ უსწავლიათ.

აკად. ნ. მარრი ბრძანებს, რომ ვითომც და მისი მსოფლმხედველობის მიმთვისებელი და საქართველოში გადმოსული მოწაფეები ნაციონალისტ-რომანტიკოსები და უნიადაგო თეორეტიკოსები ყოფილიყვნენ, რომელთაც კავკასიის ცხოვრების საერთაშორისო საზომით გათვალისწინებულ პირობებისა თურმე ცოტა რამ გაეგებათ. ისინი თავის მასწავლებელს დაჰპირებიან როგორც საქართველოს კულტურული ინტერესების საკითხში, ისევე წმინდა მეცნიერულ ნიადაგზეო (გვ.1501-1502).²⁷

მე მგონია ცხოვრებამ საკმაოდ გამოარკვია, ვინ გამოდგა უნიადაგო თეორეტიკოსად და კავკასიისა და საქართველოს პირობების უცოდინარად, რასაკვირველია, თუ უხემ სამხედრო ძალას თავის გაცრუებული იმედებისა და მართლაც რომ გეგმების განმამტკიცებელ და გამამხნეველ გარემოებად არ მიიჩნევს. ხოლო მასა და ჩვენ შორის მომხდარს პრინციპიალურს უთანხმოებასა და განსხვავებების შესახებ, შემძლია მოვახსენო, რაკი ამაზე საუბარი

²⁷ „Из круга моих учеников грузин идеалистически или точнее национально-романтически настроенных, но жестоких теоретиков, плохо знающих реальную жизнь Кавказа, в ее международном масштабе и разошедшихся с нами не только в понимании культурных интересов Грузии, но и чисто научных задач гуманитарного Кавказоведения“ /стр. 1502/.

საჯაროდ თვით ინება, რომ ჩვენ შორის მართლაც დიდი ხანია ერთგვარ ნიადაგზე აღმოცენებული შეუთანხმებლობა იყო, მაგრამ მხოლოდ ეხლა, როდესაც ჩვენ, სამწუხაროდ, დაგვიანებით მისი უკანასკნელი 1917-1918 წ. მოღვაწეობის ძეგლები გადავიკითხეთ, ცხადი შეიქმნა, რომ ჩვენსა და ნ. მარრს შუა სრული უფსკრული ყოფილა და მიკვირს, რომ იმის შემდგომ, რის დაწერაც მან იკადრა, ჩვენ, თბილისის სახელმწიფო უ-ტის აღმშენებლობის მონაწილენი, თავის მოწაფეებად, ხოლო თავისი თავი მოძღვრად მიიჩნია. მოძღვარ-მოწაფეობა სამეცნიერო სფეროში სულიერ ნათესაობასა და თანხმობაზე უნდა იყოს დამყარებული. ნ. მარრის ნაწერებთგან კი ცხადადა ჩანს, რომ ჩვენი უწმინდესი სულისკვეთება და უძვირფასესი გულისნადები, ჩვენი წლობით ნაფიქრი ოცნება მისთვის გაუგებარი ყოფილა და ფეხქვეშ გასათელი. სამწუხაროა ეს, მაგრამ ქართული ანდაზისა არ იყოს, მაინც „გამჟღავნებული ჭირი სჯობია დაფარულსა“. რათგან კარგა ხანია, რაც ნ. მარრს ამ გვარი პოლიტიკური მიდრეკილების ნიშნები ემჩნეოდა, ყოველი პირუთენელი მკითხველი მიხვდება, თუ რამდენად ბუნებრივია, რომ ჩვენ ამ ნიადაგზე ერთი ერთმანეთს დავშორებოდით.

თუ ეხლა წმინდა მეცნიერულ ნიადაგზე აღმოცენებულ უთანხმოებას შევხებით, აქაც ბევრი რამის თქმა შეიძლება, მაგრამ ვეცდებით სიტყვა მოკლედ მოვჭრათ. ჩვენ პატივს ვცემდით ნ. მარრს და ვაფასებდით მარტო მისი დიდი ნიჭისა და დაუღალავი შრომის მოყვარეობის გამო კი არა, რითაც იგი ეხლაც უხვად არის შემკული, არამედ იმ მეთოდური, დინჯი სამეცნიერო ფილოლოგიური კვლევა ძიებისათვის, ტექსტების გულდასმითი შესწავლისა და საუცხოვო გამომცემლობისათვის, რომლითაც ქართულსა და სომხურს ფილოლოგიას მტკიცე საძირკველს უყრიდა. არა ერთხელ ამ ხანაში მას ზოგიერთ ქართველ მოღვაწეთაგან საყვედური გაუგონია და უსიამოვნებაც მისდგომია. მაგრამ რადგან, ერთის მხრით, განმარტოებულად იდგა ის - ნ. მარრი, დამოუკიდებელ თავისუფალ სამეცნიერო კვლევა-ძიების თავგამოდებული მიმდევარი, მეორეს მხრით - ფილოლოგიურ მეცნიერებაში უცოდინარი, მარტოდენ ყალბი მამულიშვილური თავმოყვარეობით აღტყინებული მცირედი

მოღვაწეები და ქართული საზოგადოების ერთი ნაწილი, ჩვენ, თუმცა ეს მაშინდელ პირობებში ადვილი არ იყო და პირადად უსიამოვნების მეტს არას გვიქადდა, უყოყმანოთ საჯაროდ მის დასაცავად გამოვედით (იხ. „მამულიშვილობა და მეცნიერება“, ტფილისი). ვგონებ არ უნდა ვცდებოდე, თუ ვიტყვი, რომ არა ერთს ქართველ ინტელიგენტს ამ ჩემმა წერილმა და წიგნაკმა ნ. მარრისაკენ გული მოუბრუნა და თანდათან გაფანტა ის გაუგებრობა, რომელიც ქართველ საზოგადოებაში ნ. მარრის შესახებ სუფევდა.

მაგრამ, აი, ნ. მარრი თავის ყრმობის ხანის ნამუშევარს საენათმეცნიერო შრომებს დაუბრუნდა და გამოქვეყნებას შეუდგა. პირველი წინაწარი უწყებულემა ბევრს რამეს ახალს გვპირდებოდა. მას უნდა მოჰყოლოდა საკითხი ქართულ-სემიანთა ენების მონათესავეობის შესახებ, არა ერთი და ორი საფუძვლიანი, მრავალ უცილობელ ფაქტსა და დაკვირვებაზე დამყარებული გამოკვლევა. მაგრამ დრო გადიოდა, წელიწადი წელიწადს მისდევდა და შეპირებული შედარებითი გრამატიკის არც ფონეტიკა და არც მორფოლოგია არ გამოქვეყნებულა. სამაგიეროდ, ის, ერთის მხრით, პატარ-პატარა, კერძო საკითხების შესახებ გამოკვლევების ბეჭდვას იწყებს, მეორეს მხრით - სწრაფი და გამარტივებული საშუალებით ის ორი-სამი კვირის განმავლობაში სულ ახალ და ახალ ენებს სწავლობს და უმაღლ, თუმცა წინასწარს, მაგრამ მრავალს ისტორიულს, ეთნოლოგიურსა და საენათმეცნიერო პირველხარისხოვან საკითხების თითო ოროლა მაგალითების საშუალებით გადამწყვეტ მოხსენებებს კითხულობს და ბეჭდავს. თეორია თეორიას მისდევს და ხშირად იცვლება ისეთი სისწრაფით, რომ თვით მათ ავტორს, აკად. ნ. მარრსაც წინათქმული ხეირიანად აღარ ახსოვს და ერთისა და იმავე საკითხის შესახებ ზოგჯერ სულ მოკლე ხანში რამდენიმე სხვადასხვა თეორია აქვს გამოქვეყნებული, ისე - კი, რომ წინანდელი მერმინდელ თეორიის გამოქვეყნების დროს თვით ავტორისაგან არც მოხსენებულა და არც უარყოფილა, თუმცა ყოველ თავის თეორიას მის გამოქვეყნების დროს იცავდა ხოლმე, როგორც უცილობელსა და შეურყეველ ჭეშმარიტებას. ამგვარად, თვით ნ. მარრმავე ისე არია საქმე, რომ განსვენებულ აკად. კარლ ზალემანის მარრის ერთ-ერთი მოხსენების დროს ნათქვამი

სამართლიანი სიტყვით, მარრის თეორიის გაგება შეუძლებელი ხდებოდა. ის, რასაც აკად. ნ. მარრი იაფეტურ ენათმეცნიერებად ასალებდა, რომ მართლა ენათმეცნიერება ყოფილიყო და იყოს, ადამიანს ყოველგვარი პატივისცემა უნდა დაეკარგოს ენათმეცნიერებისადმი და უნიადაგო თეორიად და თვალთმაქცობად უნდა მიიჩნიოს.

კარგა ხანია, რაც გარემოება თანდათან, ნ. მარრის ამგვარი მოღვაწეობის თანდათან გაძლიერებისთანავე, ჩემთვის ცხადი შეიქმნა. ის წინააღმდეგობა, რომელსაც მას უწევდნენ, ნ. მარრს მისი ყოფილი ქართველი მოწაფეების ნაციონალისტობად ეჩვენებოდა. 1915 წელს, როდესაც ქართველი ერის ისტორიის წიგნის ახალი გამოცემისათვის შესავსები ნაწილების, მათ შორის ქართულისა და მის მონათესავე ენების შესახები თეორიების მიმოხილვის წერას შევუდექი და ნ. მარრის ყველა ნაწერებიც გულდასმით თავითგან ბოლომდის გადავიკითხე, მაშინ ჩემთვის სრული უეჭველობით ცხადი შეიქმნა, რომ ნ. მარრის მთელი თეორია, მრავალი წლების ლინგვისტური მუშაობა ძირიანად უნდა შერყეულიყო და მის სრულის უარყოფით უნდა დამთავრებულიყო. ასეთი დასკვნის შემდგომ მე ზნეობრივ მოვალეობად ჩავთვალე ეს გამომეკვყენებინა და მთელი ეს მიმოხილვა წავუკითხე კიდეც ჩემ მსმენელ სტუდენტებს, ხოლო შემდეგ უნდა დაბეჭდილიყო. სამწუხაროდ, წიგნების გამომცემლობის შეფერხების გამო, „ქართველი ერის ისტორიის“ ახალი გამოცემის დაბეჭდვა შეუძლებელი შეიქმნა და აქამდის ეს მიმოხილვა გამოუქვეყნებული დამრჩა.

ეხლა აკად. ნ. მარრი თითონაც დაახლოვებით იმავე დასკვნამდის მისულა, რაც ჩვენთვის კარგა ხანია ცხადი იყო. აი, რასა სწერს იგი თავის 1920 წ. დაბეჭდილს შრომაში „Яфетический Кавказ и третий этнический элемент в создании Средиземноморской культуры“²⁸.

²⁸ „Для ученого в моем возрасте и положении, ведь в порядке вещей, сугубо надлежит твердо отстаивать то и неизменно держаться того, что он давно открыл и усвоил и что он защищал и укреплял десятки лет. В этом смысле

„Для ученого в моем возрасте и положении, ведь в порядке вещей, сугубо надлежит твердо отстаивать то и неизменно держаться того, что он давно открыл и усвоил и что он защищал и укреплял десятки лет. В этом смысле мой сегодняшний доклад может вызвать разочарование. Если бы я разделял точку зрения незыблемости раз установленных когда-то совершенно правильных научных достижений, то это было бы убийственным ударом по всему научному прошлому. Я вынужден сам изменить всю основу, если не выбросить, то перевернуть и переместить тот фундамент, на котором возводились стены нового здания – яфетического языкознания. В этом смысле сегодня если я не вынимаю из всей моей 30-летней научной работы душу, то разрушаю все ее одухотворенное, архитектурно сотворенное, опрокидываю все построение, как оказывающееся несостоятельным; неадекватным полноте знания ставших впоследствии известными афетидологических материалов”/стр. 8/.

მამასადაძმე, თვით აკად. ნ. მარრი იძულებულია გამოტყდეს, რომ მას სხვა აღარა დარჩენია თავისი, მისი სიტყვით, ოცდაათი წლის განმავლობაში აგებული შენობის იაფეტური თეორიის საფუძველი და საძირკველი გადააბრუნოს. ადვილი წარმოსადგენელია თუ რა დაემართებოდა მისი ხუროთმოძღვრებით აგებულს შენობას. დღეს ვანგრევ მთელ ჩემს შენობასო. როდესაც სახლს საძირკველს გამოაცლით ან გამოეცლება, ის სხვის დაუხმარებლივ თითონაც დაინგრევა. მართალია, აკად. ნ. მარრი გულს არ იტეხს და გვარწმუნებს, ვითომც ეს იმიტომ მომხდარიყოს, რომ ახალი წინათ უცნობი მასალები აღმოჩენილიყოს, მაგრამ არა მგონია ვინმე იმდენად გულუბრყვილო აღმოჩნდეს, რომ ბასკური ენა ახალ, ჯერ აქამდის

мой сегодняшний доклад может вызвать разочарование. Если бы я разделял точку зрения незыблемости раз установленных когда-то совершенно правильных научных достижений, то это было бы убийственным ударом по всему научному прошлому. Я вынужден сам изменить всю основу, если не выбросить, то перевернуть и переместить тот фундамент, на котором возводились стены нового здания – яфетического языкознания. В этом смысле сегодня если я не вынимаю из всей моей 30-летней научной работы душу, то разрушаю все ее одухотворенное, архитектурно сотворенное, опрокидываю все построение, как оказывающееся несостоятельным; неадекватным полноте знания ставших впоследствии известными афетидологических материалов”/стр. 8/.

უცნობ ენად მიიჩნიოს. ამასთანავე, ყოველმა ენათმეცნიერების თეორიებში ჩახედულმა ადამიანმა იცის, რომ ბასკურისა და ქართულის მონათესავეობის აზრი დიდი ხანია ნ. მარრზე უწინარეს იყო გამოთქმული და აქ ახალი არაფერია.

გასაოცარია, რომ აკად. ნ. მარრს არ ესმის, რომ მისი მთელისა თუ არა, ვითარცა ენათმეცნიერ-აღმომჩენელის წარსულის გამანიავებელი ის კი არ არის, ვითომც ვისმეს ფიქრად მოსვლოდეს მოძველებულ სამეცნიერო დებულებათა დაცვას მიჰყოს ხელი, არამედ ის, რასაც იგი 30 წლის განმავლობაში გააფთრებული იცავდა სხვათა მცირეოდენი ეჭვისაგან და ყველა მისი თეორიის უარმყოფელთ უვიცად და უგუნურად სთვლიდა. ის, რასაც თავითგან ბოლომდის მეცნიერების უკანასკნელ და უცილობელ ჭეშმარიტებად ასაღებდა, თურმე უნიადაგო თეორია ყოფილა, რომლის საძირკველის დანგრევა თვით მასვე წილად ხვდა. არა მგონია, რომელსამე აღმაშენებელს ხუროთმოძღვარს ასეთი რამით არამც თუ ეამაყნა, გულ დამშვიდებულსაც - კი აეტანა იმგვარადვე, როგორც ვეჭვობ, ბევრი აღმოჩნდეს ისეთი მეცნიერი, რომელიც ნ. მარრით გულ-დამშვიდებულად აიტანდა თავისი მრავალ წლოვანი ნამუშევარის, ახალ პირველხარისხოვან აღმოჩენად გასაღებული თეორიის საფუძვლისა და საძირკველის შენობითურთ დანგრევას. ბედნიერი კაცი ყოფილა აკად. ნ. მარრი, რომ ამის შემდგომ მაინც გულს არ იტეხს და თავის თეორიის სრულიადი გადახალისების თავი აქვს. ყოველმა მეცნიერმა კარგად იცის რამდენად ძნელია შეცდომის თავითგან აცდენა, მაგრამ მით უმეტეს ყოველი ჩვენგანი უნდა გრძნობდეს იმ დიდ ზნეობრივ პასუხისმგებლობას, რომელიც მას, ვითარცა მოძღვარსა და მეცნიერს, აწევს გამოკვლევებისა და ახალი თეორიების გამოქვეყნების დროს, და მთელი თავისი ძალ-ღონით ბრძნული სიფრთხილითა და მეცნიერული წინდახედულობით შეძლებისდაგვარად შეცდომები თავიდან აიციდინოს. ნ. მარრს - კი თავის ენათმეცნიერულს გამოკვლევებში თავისი აზრების დაუდგრომელი ცვალებადობა თითქოს პრინციპად აქვს გადაქცეული და რასაც ის ეხლა ვითარცა ჭეშმარიტებას თავგამოდებით იცავს, ორიოდ წლის შემდგომ თვითვე ავიწყდება და მის მაგიერ ახალსა

სთხზავს და იმავე გულმოდგინებით ფიცულობს და იცავს მის ჭეშმარიტებას. ყველა დამეთანხმება, რომ ასეთი რამ მეცნიერებაში სრულებით შეუწყნარებელია და არც ჩვენ შეგვეძლო ამის შეწყნარება. აი, სწორედ ამ ნიადაგზეც ჩვენი შეთანხმება შეუძლებელი იყო და ერთი მეორეს დავშორდით. ჩვენ შეგნებულად და გადაჭრით უარყოფთ ამ გვარს უ. გზასა და ამ ნაირს მიმართულებას ენათმეცნიერებაში და არც გვსურს, რომ ქართული ენათმეცნიერება მეთოდური, დინჯი და საფუძვლიანი კვლევა მიების მაგიერ ბრჭყვიალა და ფართო, მაგრამ ხანმოკლე და უნიდაგო თეორიების ტურფა საბადნაროდ იქცეს.

ნ. მარრი აღშფოთებული იყო იმ სრულებით ბუნებრივი გარემოებითაც, რომ ჩვენ ქართველ მეცნიერებმა მშობელი ერის კეთილდღეობის და წარმატებისათვის ხელისშესაწყობად აღმოსავლეთ ენების ფ-ტს თავი მივანებეთ და სამშობლოში წამოვედით ქართული უმაღლესი სასწავლებლის შესაქმნელად. მას თურმე არ სჯეროდა და ვერც წარმოიდგენდა,²⁹ რომ ვისიმე საზოგადოებრივ საგანმანათლებლო მიზნების გულისათვის ჩვენ იმ მარტოდ მარტო მუხის ფესვებისა და ძირის გამოთხრას ვიკადრებდით, რომლითაც ჩვენ ორიენტალისტი კავკასიის მკვლევარნი ეროვნებისა და მიმართულების და მიუხედავად გამოკვებილი ვართ. არა მგონია აკად. ნ. მარრის რომელიმე პოეტური შედარება რომელიმე ორიენტალისტისათვის შესაწყნარებელი იყოს და თავისი თავი იმ სულდგმულად ჩასთვალოს, რომელიც მუხის ნაყოფით იკვებება ხოლმე. ნ. მარრს ვერას გზით ვერ გაუგია, როგორ შეგვეძლო ჩვენ ფიქრად მოგვსლოდა აღმოს. ენების ფ-ტისათვის უეცრად თავი მიგვენებებინა და სამეცნიერო სინათლის ნაკადულის დავსება გვეკადრა, საზოგადოდ პეტერბურგის უნივერსიტეტისათვის

²⁹ «Слухи об этом исходе до меня доходили, но мне не верилось, что в чьих-либо общественно-просветительных интересах может произойти покушение на подрывание того одинокого дуба, плодами которого мы все ориенталисты-кавказоведы, без различия национальности и направления одинаково вскормлены и кормимся.» / стр. 1503./

almam matrem საქართველო დაგვეპირისპირებინა და ერთნაირ ღირებულებად მიგვეჩნია.³⁰

უცნაურია რომ ასეთი რამ ვერ გაუგია აკად. ნ. მარრს, რათგან ყოველი ადამიანისათვის, რომელსაც საზოგადოებრივი ალლო აქვს, ეროვნული შეგნება მოეპოვება და მთლად გადაგვარებული არ არის, ჩვენი ნაბიჯი სრულებით ადვილი გასაგები უნდა იყოს. მიკვირს სწორედ და ვერც წარმოვიდგენდი, თუ შეეძლო როგორმე ეფიქრა, რომ ჩვენ, ქართველი მეცნიერები ჩვენი გინდაც პატარა და დაჩაგრული სამშობლოსი, ერის ინტერესებსა და სამსახურს კულტურული, უჩვენოდაც მდიდარი დიდი რუსეთის უნივერსიტეტების კეთილდღეობას ვანაცვალეზდით და რომელსამე ჩვენგანს თავისი ეროვნული და საზოგადოებრივი მოვალეობისათვის ელაღატა! რაღა ჩვენზე მოიცალა ბ-ნმა აკადემიკოსმა, რატომ პოლონელი, უკრაინელი, ესტონელი, ლატვიელი და სხვა პროფესორებიც არ დაარიგა და ჭკვა არ ასწავლა, განა მათი მრავალრიცხოვანი წასვლა რუსეთის უ-ტებითგან უფრო სახიფათო არ იყო რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებსათვის? მაშინ მათგან მიიღებდა ღირსეულს პასუხს და დარწმუნებოდა, რომ ჩვენ გარდა სხვებიც ყველანი არა-რუსები სწორედ ასევე ფიქრობდენ და ფიქრობენ. სამწუხაროა, რომ ასეთი მარტივი საზოგადოებრივი ეროვნული ვალდებულების გრძნობის ბუნებრივობა ვერ გაუგია და თანაგრძნობის მაგიერ საყვედურს გვითვლიდა. ერთი რამ მაკვირვებს მხოლოდ, თუ აკად. ნ. მარრი მართლაც იმ აზრისა იყო, რომ ქართველ და სომეხ მეცნიერებს ობიექტივობის დაცვა არ ძალუძთ და სხვათა შორის ვითომც

³⁰ «У работников научно – национальной школы этого типа на Кавказе проявилось бы враждебное отношение к живым силам организации главного у нас расадника Востоковедения, сложившейся работой нескольких поколений, его питомцам не могло бы прийти в голову погашать своим внезапным уходом этот источник научного света именно по полноте Кавказоведения, единственный не только в России, но и в Европе, вообще противопоставить almae matri, университету almam matrem Грузию как ценность одного порядка.» / стр. 1509./

იმიტომ იყოს ჩვენი დარგები ჩამორჩენილი, მაშინ ჩვენი აღმ. ენების ფ-ტიტგან წამოსვლა რაღად აწუხებდა? ეს საქმე უეჭველია მისთვის ადვილი გამოსასწორებელი იქნებოდა და იქმნება იმ ერისაგან, რომელსაც მხოლოდ და მხოლოდ ობიექტივობის ნიჭი და მარტოდენ საზოგადო კაცობრიობის ინტერესების სამსახური დაუსახავს მიზნად, ადვილად შეავსებდა დანაკლისს და ჩვენზე უფრო ღირსეულს და პირუთვნელ მეცნიერებს მოამზადებდა.

ჩვენი წამოსვლით აღმოს. ენების ფ-ტიტგან ჩვენ თურმე კავკასიის მეცნიერული კვლევა-ძიების საქმისათვის მახვილი ჩაგვიცია. მაგრამ თუ ნ. მარს ჰკითხავთ, ასეთი საქციელი ჩვენ ძვირად უნდა დაგვჯდომოდა და ის პირნი, რომელთაც პეტერბურგის მინებება გაბედეს, ვითომც დიდის გაჭირვებით მიღწეულის სამეცნიერო დონის სიმადლითგან აუცილებლად უნდა ჩამოქვეითებულიყვნ ტფილისში შესაფერისი სამეცნიერო ნიადაგისა და გარემოს უქონლობის გამოისობით.³¹

აკად. ნ. მარს კარგად ესმოდა, რომ ცოტა რამე იმ საკითხების შესახებ, რაზედაც ასე გაცხარებით სწერდა და ჰკვას გვასწავლიდა, ჩვენც გაგვეგებოდა. არც ისე იყო საქმე, რომ ვერ გაგვეგო რას ჩავდიოდით. თუ ამისდა მიუხედავად მაინც ჩვენსას არ ვიშლიდით და მოურიდებლივ ვიქცეოდით, ამის მიზეზი ისააო, ამცნებდა ბ-ნი აკადემიკოსი რუსეთის მთავრობის მაშინდელ წრეებს,

³¹ „Он свидетельствует о намеренном разрыве с факультетом Восточных языков, о желании не понимать того, что без тесного с ним общения одной богатой программой Грузинский университет в его официальной Кавказоведной части цели не достигнет: Работа без научного антуража, подбор в смежных историко-филологических и востоковедных наук, которым располагаем мы, университете, не только окажется сама по себе малопродуктивной, но скоро низведет специалистов, собравшихся устроить своего рода „сецессию“, с уровня с трудом достигнутой высоты научной атмосферы. И так, настоящий предприятием наносится удар научном Кавказоведению”/стр. 1504/.

რომ ქართულ უმაღლეს სასწავლებელს იმდენად სამეცნიერო მიზნები არა აქვს, რამდენადაც ეროვნულიო.³²

ეს ნ. მარსის აზრით, საშინელი და მომაკვდინებელი ცოდვა და გარემოება ვითომც იმითაც მტკიცდებოდა,³³ რომ ქართული უნივერსიტეტი ცდილობს სახელმწიფო უ-ტის ადგილი დაიკავოს. რაკი ტფილისი, რომელიც ეხლა კავკასიის ტერიტორიაზეა, ისტორიულად ქართული ქალაქი იყო, ქართველ ნაციონალისტებს ამ ჟამადაც იქ ქართველთა ბატონობის მოსაპოვებლად და განსამტკიცებლად ტფილისში ქართული უმაღლესი სასწავლებლის გახსნა ეშურებათო. მაგრამ ქართველთა ამ გვარი პრეტენზიები და

³² „Не могу допустить и мысли, чтобы организаторы Груз. университета действительно не понимали того, что они делают. Новое учреждение ... не только возникает в линии крайнего увлечения идею национализации грузинского учебного дела, как венчание его высшей школой, но и задачи её, этой грузинской высшей школы, в первую голову не научные, а национальные”/стр. 1504/.

³³ „Место, пустующее в Тифлисе за отсутствием государственного университета занятьстремится и Грузинский университет, как видно из некоторых статей его устава, так напр., из статьи 10 о праве выдавать ученую степень доктора. В линии развития национального движения грузин это вполне понятно. Тифлис центр Кавказа, но Тифлис в то же время исторически бесспорно грузинский город. Отсюда последовательно грузинская национальная мысльбез страха перед научной ответственностью, спешит, как суверенный и ныне, хозяин города, представит себя в нем высшей в крае школой, университетом, как не теряет она времени, чтобы обеспечить за собой там же соответственно первое место ... Каталикосом всея Грузии, и кроме того, Тифлисским митрополитом Но в идейном обосновании даже законного и ныне тяготения грузин к Тифлису, тем более домогательства к полному в нем господству, кроется коренное недоразумение, политический анахронизм, приводящий в столкновение националистические стремленияс провозглашенными русской революцией свободами”/стр. 1506/.

წადილი სრული გაუგებრობის ნაყოფი და ანაქრონიზმი ყოფილა, რომელიც თურმე რუსეთის რევოლუციის მიერ აღიარებულ თავისუფლებასაც კი ეწინააღმდეგებოდა. ანაქრონიზმი იყო იმიტომ, რომ ტფილისი, ისტორიულად უცილობლად ქართული ქალაქი, რუსთა ასი წლის მმართველობის დროს მთელი კავკასიის ცენტრად იქცა, რომელიც, რასაკვირველია, საქართველოდ ვერ ჩაითვლებოდა. ამასთანავე, ტფილისი მთელ კავკასიის მართო ადმინისტრაციული კი არა, კულტურული ცენტრიც არის. ეს გარემოება შეიძლება ყველამ დაივიწყოს, რუსის ხალხის გარდა: რუსის ხალხს უფლება არა აქვს ეს დაივიწყოს! ბრძანებს აკად. ნ. მარრი.³⁴

ნუთუ იმ დროს, როდესაც იგი ამ მუქართა და ღვარძლით სავსე სტრიქონებს სწერდა, ოდნავად მაინც ხელი არ აუკანკალდა და თავში რაიმე ეჭვმა არ გაუელვა? ბატონებო, თუ უზარმაზარ მიწა-წყლის მფლობელებს რუსის ხალხს, რომლის მთავრობამაც ამ ასი წლის წინათ ქართველთა მოკავშირედ და მფარველად შემოშვებულმა ვერაგობით თავისუფლება მოგვისპო და თბილისი და საქართველო ხელში ჩაიგდო, ამ ერთი საუკუნის ძალმომრეობით მონაპოვარის დავიწყება არც შეუძლიან და არც უფლება აქვს, რა უფლება აქვს და როგორ უნდა დაივიწყოს ჩვენმა პატარა ერმა თავისი მრავალსაუკუნოვანი წარსული, მამა-პაპათა შრომითა და გამჭრიახობით მონაპოვარი და მათი თავგანწირული მამაცობითა და სისხლით დაცული თავისი პატარა სამშობლოს დედაქალაქი, რომელიც ყოველთვის ქართული იყო და ურომლოდაც

³⁴ „Тифлис, исторически бесспорно грузинский город, за сто лет рус. правления вырос столь же бесспорно в центре всего Кавказа, который нет никакой возможности отождествить ныне с Грузией. Тифлис при этом центр не только административный, но и культурный всего Кавказа. И если эту реальность кто либо может забыть, то не русский народ: русский народ не имеет права этого забывать” /стр. 1508/.

საქართველოს წესიერი არც პოლიტიკური და არც კულტურული ცხოვრება არ შეუძლიან. ერეკლე მეფეს იმისთვის არ დაუდვია რუსეთთან ხელშეკრულობა, რომ საქართველოს ისიც დაეკარგა, რაც მას აუცილებლად ჰქონდა და თუ აკად. ნ. მარრი თავისთავი რუსის ხალხის მესაიდუმლე მრჩეველად და მოძღვრად მიუჩნევია და თავის პოლიტიკურს მრწამსსა და ზნეობას ძალასა და ძალმომრეობაზე არ ამყარებდეს, მას რუსეთის დროებითი მთავრობისათვის უნდა მოეგონებინა სწორედ ის, რის დავიწყების არც პოლიტიკური და არც ზნეობრივი უფლება მართლაც რომ არ ჰქონდა: გატეხილი ფიცისა და დარღვეული ხელშეკრულების აღდგენა!..

მაგრამ საითგან წარმოიდგინა ნ. მარრმა, რომ მაშინ, როდესაც რუსეთის დროებითი მთავრობისაგან ჩვენი უნივერსიტეტის დაარსებისათვის ნებართვას ვიღებდით, ჩვენ სახელმწიფო უ-ტის უფლებების მითვისება გვსურდა და ჩვენს გარდა სხვის გაჭაჭანებას არ ვაპირებდით. ამგვარი აზრი მას მხოლოდ იმიტომ დაჰბადნია, რომ ჩვენ წესდებაში შეტანილი იყო მუხლი სამეცნიერო ხარისხის მინიჭების უფლების შესახებ. ჩვენი უ-ტის პირველს აღმშენებლობაში ყოველ მონაწილეს კარგად მოეხსენება, რომ ჩვენ ამგვარი აზრი ფიქრადაც არ მოგვსვლია და ჩვენი უ-ტის სახელმწიფო უ-ად ქცევაზე მაშინ არ ვოცნებობდით. მაშინაც კი, როდესაც საქართველოს დამოუკიდებლობა გამოცხადდა, მთელი ერთი სემესტრის განმავლობაში ჩვენ ენკენისთვემდის კერძო უ-ტად გვქონდა და მის გასახელმწიფოებრივებაზე არ ვცდილვართ; მით უმეტეს ამგვარი წადილი და ზრახვა არ შეიძლებოდა გვქონოდა მაშინ, როდესაც ჩვენ პირველად ნებართვას ვიღებდით, რათგან კარგად ვიცოდით რა სულის კვეთებისა და მიმართულების ხალხთან გვქონდა საქმე. მუხლი სამეცნიერო ხარისხის მინიჭების უფლების შესახებ ჩვენი უ-ტის წესდებაში იმიტომ იყო შეტანილი, რომ ჩვენი უ-ტის ბუნებრივი წარმატება და ზრდა შესაძლებელი ყოფილიყო

მომავალშიაც, რათგან ეჭვი გვექონდა, რომ რუსეთის უ-ტებს თუნდაც მთავრობის ზეგავლენით, პოლიტიკური მოსაზრებებით, რომელსამე ქართველი მეცნიერისათვის სამეცნიერო ხარისხი მიენიჭებინათ. არა მგონია, რომ ეს შიში მაშინ სრულებით უსაფუძვლო ყოფილიყოს და ნ. მარრის მოხსენების მთელი შინაარსი ხომ ცხადად მოწმობს, რანაირი დაუნდობელი ბრძოლის გამართვას აპირებდენ ის და მისი თანამოაზრენი ჩვენი უ-ტის წინააღმდეგ. სწორედ ამიტომ აუცილებლად საჭირო იყო, რომ ჩვენს უ-ტს მხოლოდ ქართველი ღირსეული მეცნიერებისათვის სამეცნიერო ხარისხის მინიჭების უფლება ჰქონოდა. განრისხებული აკად. ნ. მარრი და სიძულვილით დაბრმავებული როგორ არ მოსძებნიდა და აღმოაჩენდა ჩვენ ქართველთა აგრესიული პოლიტიკის კვალს ისეთ წმინდა საქმეში, როგორც უმაღლეს სასწავლებლის დაარსების განზრახვაა, როდესაც იგი ქართველ ინტელეგენციასა და ყველა პოლიტიკურ პარტიებს სხვა და სხვა მომაკვდინებელ ცოდვებს აბრალებდა, რუსეთის რევოლუციის მონაპოვართა დამახშობელად სთვლიდა და კავკასიაში მცხოვრებს ერთა შორის უკიდურეს მტრობისა და მძულვარების ჩამომგდებლად და გამაღვივებლად მიაჩნდა. ამაში თურმე ქართველი სოციალ დემოკრატებიც - კი ყოფილან დამნაშავენი, რომელნიც, სხვაგან თავიანთ თავის აუცილებელ ინტერნაციონალისტად მომჩვენებელნი, კავკასიაში თავის და შეუმჩნეველად ქართველ ნაციონალისტებად ქცეულან და, თავის დასის გარეგნული გამარჯვებით დაბრმავებულნი, თურმე ვერ ხედავდენ, რომ არას დროს თვით ძველი რეჟიმის ხანაშიაც ეროვნული შუღლი კავკასიაში ისე გამწვავებული არ ყოფილიყოს და რუსეთის სახელმწიფოსთვისაც - კი საშიში არ შექმნილიყოს, როგორც მათ ბატონობის დროს.³⁵

³⁵ „Социалдемократия, увлекаемая общим националистическим течением родного края, сильно накрепилась в сторону национального общественного мирозерцания ... Но отсутствие широкого образования и

წინანდელი, „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“ ძახილის მაგიერ საქართველოში გაისმა „ყოველგვარ მიმართულების ნაციონალისტებო, შეერთდით“ო და თვით ქართველმა სოციალდემოკრატებმა შეითვისეს თურმე ნაციონალისტების ეს მოძღვრება.³⁶

აკად. ნ. მარრი იმასაც - კი უმტკიცებდა რუსეთის მაშინდელ მთავრობას, რომ ქართველები საქართველოთიც აღარ კმაყოფილდებიან და მთელი კავკასიის ხელში ჩაგდება და ბატონობა

особенно знания сложных в течение веков слагавшиеся культурно-исторических взаимоотношений Кавказских народов, выдающиеся вожаки груз. социалдемократии к решению местных общекраевых вопросов стали подходить, естественно, с присущей им природно национальной точки зрения, как только жизнь возложила на них бремя улаживания национальных трений. Безспорные интернационалисты вне пределов Кавказа, на Кавказе незаметно для себя переродились в националистов Грузин. Ослепленные внешним успехом своей партии на родине, они не замечали, то и быть может не видят и теперь, что обострение взаимной розни народов Кавказа ни при каком направлении старого режима не достигло той глубины и угрожающей самыми роковыми последствиями и Кавказу и вообще Российскому государству, серьезности, как ныне” /стр. 1500 - 1501/.

³⁶ *Мировая война, вызвавшая в момент возникновения общероссийское воодушевление и национальный подъем, усилив и в Грузии национальное течение, дала перевес идеологии нарастающего груз. национализма и нанесла тяжкий удар интернациональной социалдемократии. Социалдемократические организации сохранили свою силу, но в груз. среде, даже демократической, перестал вызывать былое воодушевление призыв, красовавшийся на всех флагах груз. общественного движения 1905 – 1906 г.г.: „пролетарий всех стран соединяйтесь”. В Грузии стал ярко намечаться девиз: „националисты всех оттенков объединяйтесь”. Сама социалдемократия в лице определенного течения и отдельные ее представители стали вкрапывать в свое учение элементы груз. Национализма”/стр. 1499/.*

ჰსურთო.³⁷ საქართველოს ისტორიის ბრწყინვალე ხანებში, ჩასძახოდა იგი რუსთა მაშინდელ მმართველ პოლიტიკოსებს, საქართველოს მთელი კავკასია ეპყრა და თუ ჩრდილოეთით ის თანამედროვე კავკასიის საზღვრებს არ გასცილებია, სამხრეთითა და სამხრეთ-დასავლეთით მისი სახელმწიფოებრივი საზღვრები კავკასიის ყოფილ სამეფისმოადგილეს საზღვრებზე გაცილებით უფრო შორს მიდიოდა. ქართული ნაციონალისტური მსოფლმხედველობა საქართველოზე ლაპარაკის დროს ეხლაც ძველებურად ამგვარ ფართოდ შემოფარგლულ მიწაწყალზე „ჩვენ კავკასია“ზე ფიქრობსო. ეს ისტორიული ანაქრონიზმიაო, ბრძანებს ბატონი მარრი, რათგან რუსეთს საქართველოს ნებაყოფლობით შემოერთების დროს ქართველთა მეფისაგან სრულებით ასეთი დიდი ქვეყანა არ

³⁷ „Qartvel означал реально всю совокупность не только грузинских и родственным грузинам племен и народов, но и неродственных, лишь бы они входили в состав грузин. коллектива, иногда политического, иногда культурного, но никогда не этнически лишь грузинского. В блестящие периоды истории Грузии термин „Saqartvelo“, т.е. обнимал весь Кавказ, и, если на Севере он достигал пределов современного Кавказа, то на юге и юго-западе находил далеко за пределы бывшего наместничества. Грузинская националистическая мысль, говоря о Грузии, о „Saqartvelo“, и ныне мыслит о стране в древнем масштабе – в указанных пределах, т.е. по существу о нашей Кавказе. Я не касаюсь исторического анахронизма, именно того, что Россия добровольным присоединением в ней Грузии вовсе не получала из рук грузинского царя под названием Грузии столь обширного края. Но что для нас важнее отметить, тот же обширный край за сто лет русского правления не только переменил название, расширившись по сию сторону Кавказского хребта и в связи с этим окрещенный в „Кавказ“, но преобразился и внутри... в части взаимоотношений местных народови еще до революции чувствовал потребность в новом общественном укладе... а никак не на реставрации давно пережитого, на основании реминисценций, до русского правления” /стр. 1507/.

ჩაუბარებიაო. ამასთანავე ჩვენთვის უფრო იმასა აქვს მნიშვნელობა, რომ ასი წლის განმავლობაში, რუსთ მმართველობის წყალობით, კავკასია შეიცვალა და საზოგადოებრივი ცხოვრების განახლებაზე ოცნებობდა და არა ძველისა და დრომოქმულის აღდგენაზეო. ასეთი ცილის წამება ქართველთა წინააღმდეგ არა მგონია ბევრს ვისმეს ეკადროს წინათაც, როდესაც სუვორინის გაზეთის ბელადის - მენშიკოვისა და შავრაზმელ „ჭემმარიტ-რუსთა“ პოლიტიკოსის, განთქმულ მღვდელ ვოსტორგოვის გარდა, პატიოსან ადამიანს პოლიტიკურ საკითხებზე წერა არ შეეძლო. ყველამ კარგად იცის და მით უმეტეს აკად. ნ. მარრს ეცოდინებოდა, რომ საქართველოში არ მოიპოვება არც ერთი პოლიტიკური პარტია, გინდ ჯგუფიც, არც ერთი მოღვაწე თუნდაც უკიდურესი ნაციონალისტი, რომელიც საქართველოს ხსენების დროს კავკასიაზე ფიქრობდეს და მით უმეტეს კავკასია საქართველოდ მიაჩნდეს. ძნელი წარმოსადგენელი იყო, რომ აკად. ნ. მარრი, რომელიც 1906-7 წლ. ვოსტორგოვის ამგვარს პროვოკაციას საჯაროდ ებრძოდა და ღირსეულს პასუხს აძლევდა, ათი წლის შემდგომ ისე დაუხლოვდებოდა მას სულიერად, რომ ვოსტორგოვის მსგავსი ენითა და იარაღით დაიწყებდა ჩვენ წინააღმდეგ თავგანწირულს წინამძღოლობას.

ნ. მარრი არც ამით კმაყოფილდება და ქართველებს გვიკვირებს, რომ ჩვენ მაგარი მუშტის საშუალებით სხვების შემოერთება და გაერთიანება გვსურს. პატარა საქართველო მისი მოღერებული მუშტით რუსეთის მთლიანობის დამამხობელი, ერთის მხრით, და, მეორეს მხრით - დიდი რუსეთი, საქართველოს მომგერიებელი, აკად. ნ. მარრის წაქეზებითა და წინამძღოლობით, - რა უნდა იყოს ამ აკად. ნ. მარრის ფანტაზიით შეთხზულ ზღაპარზე უცნაური!..

მამასადამე, ჩვენ უკიდურესი ნაციონალისტები ვყოფილვართ, მეცნიერების დაქვეითებასა და პეტერბურგის აღმ. ენების ფ-ტზე ნ. მარრის მიერ ანთებული ჩირაღდანის ჩაქრობას ხელი შევეუწყეთ და

ქართული უ-ტის დაარსების დროს იმდენად მეცნიერება არ გვანტერესებდა, რამდენადაც ეროვნულ-პოლიტიკური მიზნები.

ეხლა ვიკითხოთ, თითონ აკად. ნ. მარრი ვინ ბრძანდება, რა სწადიან და რა მიზნებს ემსახურება? მას რომ კითხოთ, ის ინტერნაციონალისტია, მსოფლიო კულტურას ემსახურება, ჩვენსავით განხეთქილებაზე - კი არა, გაერთიანებაზე³⁸ ოცნებობს და ფიქრადაც არ მოსვლია უ-ტს, კულტურულის გარდა, პოლიტიკური დანიშნულება დააკისროს. მაგრამ ეს მხოლოდ სიტყვიერადაა, საქმითა და მისი ნაწერებითგან კი სულ სხვა გამოდის. ცნობილია ისედაც და ქვემოთაც იქნება ამაზე საუბარი საგანგებოდ, რომ აკად. ნ. მარრმა იმ დროს, როდესაც ჩვენი ქართული უნ-ტის გახსნის ნებართვას ვთხოვლობდით, რუსეთის მაშინდელ მთავრობაში წინადადება შეიტანა, რომ თბილისში საჯაროდ რუსული სახელმწიფო უ-ტი გახსნილიყო. რა მიზნით? იმ მიზნით,³⁹ რომ, რათგან რუსეთის

³⁸ „Объединение, обоснованное на крепко сложенной в кулак державной деснице, кому бы не принадлежала это рука, большому или малому народу, должно замениться объединением на синтезе родственных культур, и мы или должны немедленно приступить к работе по этому объединению на новых началах закладкой университета в Тифлисе, или быть готовыми к неизбежному отходу Кавказа в чужой стань” /стр. 1515/.

³⁹ „При оставлении нами уютовонного места для университета вакантным даже у себя в Тифлисе, удивление будет неуместное, если ...объединенная мысль армян культурно ориентируется не по России... В Россиском государстве... население его лишено общей племенной спайки, и нуждается в развитии культурных учреждений, содействующих ей” /стр. 1512/.

რუსული სახელმწიფო „университет явился бы могучим орудием для духовного упрочения... солидарности, как проживающих на Кавказе народов, так всех их вместе с русским народом.” /стр. 1514 - 1515/.

„...в целях взаимного сближения нет лучшего или иного орудия... как чуждая националистических целей... школа, и самое могучее в этом отношении орудие – университет... появление одной книги под редакцию русского поэта Брюсова „Поэзия армян”... больше подействовало русской

სახელმწიფოში მცხოვრები ერნი საერთო ეროვნულ-ნათესაობრივ კავშირსა და შედუღებას მოკლებულნი არიან, მათ ისეთი კულტურული დაწესებულებანი ესაჭიროებათ, რომელნიც ამ შედუღებას ხელს შეუწყობენ. ამ გვარ რუსეთში მცხოვრებ სხვა და სხვა ეროვნებათა შემაკავშირებელ უუძლიერეს იარაღად სკოლა და უნივერსიტეტიაო. რასაკვირველია, ნ. მარრის შეხედულებით ასეთ სკოლად მხოლოდ ნაციონალისტურ მიზნებს მოკლებული ე.ი., მისი თეორიით, მარტო რუსული სასწავლებელი გამოდგებოდა. გასაოცარია, რომ აკად. ნ. მარრს იმდენი არ ესმის, რომ უნივერსიტეტის საშუალებით რუსეთის ერთა შედუღება და სახელმწიფოს შერყეული მთლიანობის განმტკიცება იგივე პოლიტიკურ-ნაციონალისტური მიზნებია, მხოლოდ დიდი რუსეთის და რუსის მრავალრიცხოვანი ერის სასარგებლოდ და გასაძლიერებლად და პატარა ერების შთანსათქავად მიმართული. თბილისში რომ რუსული სახელმწიფო უნივერსიტეტი არ დაარსდეს, მაშინ შესაძლებელია სომხებმაც რუსეთის ორიენტაციას ზურგი შეაქციონო, ჩასჩიჩინებდა აკად. ნ. მარრი რუსეთის დროებითს მთავრობას და ყველა ამის მთქმელი და მქადაგებელი გაუწითლებლივ ჩვენა გვდებს ბრალს, ქართული უ-ტის დამაარსებელთ პოლიტიკურ-ნაციონალისტური მიზნები დაუსახავთ და მეცნიერების ტამარი თავიანთ ეროვნული გეგმის განსახორციელებლად იარაღად უქცევიათო. ვნახოთ ეხლა როგორი ინტერნაციონალისტიც ბრძანდება აკად. ნ. მარრი? ინტერნაციონალისტისათვის ხომ სულ ერთი უნდა ყოფილიყო, ვისგან მომდინარეობდა განათლების სხივი და ვინ აწარმოებდა სამეცნიერო კვლევა-ძიებას, ოღონდ განათლება მოფენილიყო და მეცნიერება წარმატებით გზას დასდგომოდა. აბა, გადაიკითხეთ მისი

ориентации армян на всем пространстве их расселения, чем всеобрусительныя меры старого режима... в пределах расселения одних русских армян“ /стр. 1513/.

ნაწერები, გინდ იგივე მისი მოხსენება ჩვენი უ-ტის გამო და წერილი⁴⁰ და თქვენ დარწმუნდებით, რომ მას არამც თუ ინტერნაციონალისტებისა არა სცხია რა, მხოლოდ უკიდურეს შოვინისტს შეეძლო იმის თქმა და დაწერა, რასაც იგი სწერდა⁴¹: არიქათ, ევროპიელნი და ამერიკელნი სამეცნიერო კვლევა-ძიებასა და ექპედიციებს აწყობენ კავკასიაში, გერმანელები და ამერიკელნი გულმოდგინედ მუშაობენ საქართველოსა და სომხეთში და ფხიზლად იყავით, კავკასია შეიძლება ევროპისა და ამერიკის კულტურულ ორიენტაციას დაადგესო. იმ დროს, როდესაც აკად. ნ. მარმა რუსულ

⁴⁰ „Между тем на всем видное вакантное место университета в Тифлисе притязают другие бесспорно лучше, чем грузинский или армянский народ, подготовленные для развития научной деятельности иностранные государства. Понятно, они могут сделать это ... отнюдь не внедряясь в пределы Кавказа, - отводом на свою мельницу культурного сотрудничества кавказских национальных научных учреждений мне удалось выяснить с достаточной ясностью, каким кольцом научных предприятий, использованием Кавказских научных сил у себя в Европе, и экспедициями к Кавказу из Турции и внутрь самого Кавказа, западные европейцы особенно же систематически немцы охватили эту почти непочатую сокровищницу научных материалов.”/стр. 1510 - 1511/.

⁴¹ „Немцы... едвали – ли перестанут вести начатую им линию действия... Линия эта состоит не в одних научных экспедициях, а и в научном использовании и мертвого материала и живых сил Кавказа в основательном деловом разсчете... что это создаст волну обратного культурного воздействия на эту уже сейчас вступающую на путь культурного отхода от общения с нами нашу, казалось бы родную русским и по духу страну... При начатом задолго до войны из... Вана, культурном напоре западных европейцев и американцев, который они сильно усилили за войну, а после войны еще более усилят, и при полном изумительном ничегонеделании с нашей стороны... удивление будет неуместное, если объединенная национальная мысль армян культурно ориентируется не по России” /стр. 1512/.

სამეცნიერო ყოფაცხოვრების სუსტი და უარყოფითი მხარეები თითონაც კარგად იცოდა, როდესაც, მისივე სიტყვით, რუსეთი და რუსული მეცნიერება გასაოცარს უმოქმედობას იჩენდა,⁴² ასი წლის განმავლობაში ერთი უმაღლესი სასწავლებლის დაარსება ვერ მოახერხა, ან არ მოიწადინა, ევროპელთა და ამერიკელთა კულტურული და სამეცნიერო მოღვაწეობა, ქართველთა ბუნებრივი წადილი და ცდა საკუთარი უნ-ტის დაარსების შესახებ მის გულში სიხარულისა და თანაგრძნობის მაგიერ სიძულვილსა და მტრობას იწვევს და ეს ადამიანი რაღაც მანქანებით თავისთავს მსოფლიო კულტურის ინტერესების დამცველად ასაღებს.

იგივე აკად. ნ. მარრი, რომელიც ქართველ ინტელეგენციას ავადმყოფურ ნაციონალისტობას სწამებდა და უკიჟინებდა, სწორედ ერთი იმ პირთაგანია, რომელთაც ომის გამოცხადების შემდგომ რუსეთის სამეცნიერო აკადემიაში წინადადება შეიტანეს, რომ აკადემიკოსებისათვის სავალდებულოთ გაეხადათ რუსულად წერა, რომ მათ უცხო ენებზე წერის უფლება არ ჰქონოდათ. სწორედ რუს აკადემიკოსთა უმრავლესობისაგან ეს წინადადება უარყოფილი იქმნა და ნ. მარრის უცნაურ საქციელზე და ჭეშმარიტ რუსულ გულმოდგინეობაზე აკადემიურსა და უ-ტის წრეებში ლაპარაკი და საყვედური ისმოდა. მაგრამ რაკი შუამდგომლობა ქ-ლი უ-ტის დაარსების შესახებ აღძრული იყო და საქმის ასე თუ ისე გადაწყვეტა საჭირო იყო, როცა ნ. მარრს შეეკითხენ გახსნის ნება მივცეთ თუ არაო, უპასუხნია⁴³ გახსნის ნება უნდა მიეცეს, მხოლოდ განსაზღვრულ

⁴² „При полном ничегонеделании с нашей стороны.”/стр. 1512/ „несмотря на хорошо известные и мне слабые или отрицательные стороны русской ученой жизни”/стр. 1515/.

⁴³ „Ныне... в Тифлисе появится первым Грузинский университет; правда он частный, но по существу в смысле общественного впечатления это дела не

პირობით. მართალია, პირველი უ-ტი ტფილისში ქართული იქმნება, ამასთანავე, გერმანულ გეგმაზე აგებული და ეს, რასაკვირველია, იქ დიდ შთაბეჭდილებას მოახდენსო, მაგრამ ეგ არაფერია, ოღონდ იქვე საჩქაროდ რუსული სახელმწიფო უ-ტი გავხსნათ, საუკეთესოდ მოვაწყოთ და მაშინ ქართული უ-ტის მადიდებელნი მალე ჩაჩუმდებიანო. ალბად მორცხვობით არ აქვს ნათქვამი, რომ ამით თვით ქართული უ-ტის დადუმების იმედიც უღვიოდათ გულში მას და მის თანამოაზრეებს. ქ-ლი უ-ტი, რასაკვირველია, იურიდიულად უნდა შემოიფარგლოს, ვითარცა კერძო უმაღლესი სასწავლებელი და გახსნის ნებართვა მიეცეს როგორც სახელმწიფო უ-ტის მომავალ სასურველ თანამშრომელსო⁴⁴. ეს იმასა ნიშნავდა, რომ ჩვენს უ-ტს სამეცნიერო ხარისხის მინიჭების უფლება არ უნდა ქონოდა და სამუდამოდ რუსულ უ-ტის შემაცქერალი უნდა ყოფილიყო. ცხადია, თუ რა დაემართებოდა ჩვენ უ-ტს, აკად. ნ. მარრის გეგმა რომ განხორციელებულიყო.

изменит. Впечатление же получится такое, точно и при новом режиме не дают... Кавказу университет и лишь для вида готовы приспособить политехникум..., тогда как настоящий университет, да еще на немецкий лад, лишь грузинский, Такие разговоры, конечно также легко исчезнут, как могут появиться, если давно жданный государственный университет... действительно будет организован и осуществлен согласно предъявляемым к нему разносторонним и высоким научно-учебным требованиям ...такой университет явился бы могучим орудием для духовного упрочениясолидарности как проживающих на Кавказе народов, так всех их вместе с русским народом”/стр. 1514 - 1515/.

⁴⁴ „Грузинский университет, понятно, оформив его юридически, следует беспрепятственно разрешить, как будущий желанный сотрудник государственного университета, проводник научного мышления в груз. народные массы“ /стр. 1515/.

მაგრამ თუ ვინცობაა მისი და მის თანამოაზრეების იმედი არ გამართლდებოდა და ჩვენი უ-ტი მაინც იარსებებდა, მაშინაც ის გულს არ იტეხდა, რათგან, მისი სიტყვით, ქ-ლ მუშათა და გლეხთა შეგნებული ნაწილი და, საზოგადოდ, გლეხოზა გაეროვნულებისა და საქართველოს გამოყოფის მოწინააღმდეგე უნდა ყოფილიყო.⁴⁵

აკად. ნ. მარრი ეტყობა სიამოვნებით იგონებდა იმ წუთებს, როდესაც, მისი სიტყვით, ქართულ სოფლებში მრავალრიცხოვან ქართველთა თანდასწრებით გამართულ მიტინგებზე ქართველი მოლაპარაკენი თავიანთ სიტყვებს ათავებდნენ ხოლმე ძახილით: „ძირს საქართველო! გაუმარჯოს რუსულ სოციალ დემოკრატიულ მუშათა პარტიას“-ო, როდესაც ეროვნულ იდეის მცირე რიცხოვან წევრებს ლაპარაკის ნებას არ აძლევდენ და თუ ვინმე გამოსვლას გაბედავდა, კათედრიტგან ჩამოათრევდენ ხოლმეო.⁴⁶

აი, ასეთი სულისკვეთების იმედი ქონდა აკად. ნ. მარრს და ღრმად იყო დარწმუნებული, რომ თვით ქართველი ხალხი ხმას არ მისცემდა და ქართული უ-ტის დაარსების ინიციატორებს ვითომც მაქსიმალისტური ოცნებების სიზმარეთიტგან გამოავხიზლებდა და არა დროს არ შეურიგდებოდა თავისი სკოლის მწვალებლურ-

⁴⁵ „Сознательная часть грузинских рабочих и крестьянство, вообще груз. крестьянской массы против националистической конструкции уклада Кавказской жизни, против национального обособления Грузии“ /стр. 1507/.

⁴⁶ „Тогда в самой гуще сельского населения ораторы, чистокровные грузины, на многотысячных митингах, сплошь из таких же грузин, свои речи на грузинском языке заключали при громе аплодисментов выкриками: „Долой Грузию! Да здравствует русская социал-демократическая рабочая партия!“ Редким смельчакам, решавшимся выступать против такого отрицания национальной идеи, всецело господствовавшие тогда социал-демократы, меньшевики, не давали высказаться и в случае упорства без церемонии стаскивали из с импровизованных под открытым небом... Грибун. Свидетелем таких явлений лично я был в 1905 году /см. брошюрку мою „Из гурийских наблюдений и впечатлений 1905 г.“, стр. 1496/.

ნაციონალისტურ სულსა და წესწყობილებას. სწორედ ამის მოლოდინში, ნ. მარრის აზრით, რუსეთის განათლების სამინისტროს უნდა ქ-ლი უ-ტის გახსნის ნებართვა მიეცა.⁴⁷ იქნებ მას და მის თანამოაზრე მკითხველებს თვალზე წინ ეხატებოდათ სურათი, როდესაც ქ-ლი უ-ტის დამაარსებელ „ნაციონალისტ“ პროფესორებს კათედრებითგან ჩამოათრევდნენ და „ძირს საქართველოს!“ შეჰყვირებდნენ, მაგრამ ცხოვრების სინამდვილემ მათ იმედები გაუცრუა.

ვგონებ, თვით აკად. ნ. მარრსაც ამისი ეჭვი ქონდა. ამიტომ ის რუსეთის მთავრობას დაჟინებით ურჩევდა⁴⁸ რუსული სახელმწიფო უ-ტი გაეხსნა თბილისში. გარეგნულად ამის საბუთად ის მოსაზრება მოჰყავდა, რომ ეროვნული ქართული და სომხური უ-ტები ვითომც

⁴⁷ „Нет однако основания отрицать, что максималистические мечты романтиков-инициаторов Груз. университета имеющее наступить спокойное время реальной жизнью будут приведены к трезвым и действительно научным взглядом груз. общества на задачи национального их университета. Сам грузинский народ, давно и действительно выступающий на широкий путь демократизации реальных устоев своей национальной жизни, никогда не примирится с сектантско-националистическим духом и строим школы. Министерство в этих видах имеет не только право, но и долг благословить начинание общества груз. университета, как частного высшего учебного заведения, указав однако соответственно его правовые пределы“ /стр. 1510/.

⁴⁸ „Дело по существу вовсе не в том, что национальные университеты на Кавказе, доступные лишь говорящим или по-грузински, или по-армянски, оставят остальное население обойденным в заботах государства о высшем образовании, поставят его в положение граждан второго и даже третьего ранга. А дело в том, что они никому, и обладателям таких национальных университетов не обеспечивают действительно высшего университетского образования, наоборот, обеспечивают понижение его уровня и вообще сгущение атмосферы ядоносным чадом взаимного непонимания и взаимной вражды“ /стр. 1509/.

ნამდვილ უმაღლეს განათლებას ვერ მიანიჭებდნენ სტუდენტებს და შურსა და მტრობას ჩაუნერგავდნენ. მაგრამ ის სისწრაფე, რომლითაც რუსული უ-ტი უნდა გაეხსნათ თბილისში,⁴⁹ და ის მიზნები, რომელიც მას, როგორც დავრწმუნდით, აკად. ნ. მარრის ლოცვა-კურთხევით უნდა დაკისრებოდა, ცხად-ჰყოფენ, თუ ნამდვილად რისთვის უნდა დაარსებულიყო იგი.

აკად. ნ. მარრი მაინც იმდენად დარწმუნებული არ იყო, რომ მისგან ასე შექმნილი და ცამდე აღზევებული უნივერსალური მიზნების განმახორციელებელი რუსული სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებელი ქართველთა და სომეხთა შორის თანაგრძნობას მოიხვეჭდა და მოხიბლავდა, რომ რუსეთის მთავრობას ურჩევდა, მის შესანახად სახელმწიფო ხაზინითგან გამოეღოთ ხოლმე ფული და პირველ ხანებში მაინც ადგილობრივ მკვიდრთა ანაზარად არ დაეტოვებიათ⁵⁰.

⁴⁹ „Но все-таки остается пустое место, давно ожидающее замещения - место для подлинного университета. И вот это то место немедленно должно быть занято.“ /стр 1510/. “На разработку... богатых Кавказских материалов русская наука, универсальная как и западно-европейская, имеет особые права, так как во многих случаях у нее исключительная подготовка для независимого компетентного суждения, для правильного решения научных задач, стоящих в мировой науке в связи с изучением Кавказа” /стр. 1510/.

⁵⁰ „В виду болезненного состояния национального настроения наиболее культурных народов Кавказа, обеспечить Кавказский университет денежными средствами из государственного назначейства без обращения на первых порах к местным людям за материальной поддержкой“ /стр. 1516/.

II თავი

რუსეთის საცავებში არსებული ქართული ხელნაწერებისა და სიძველეების საქართველოსთვის გადმოცემა

2.1. საკითხის ისტორიისთვის

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმმა 1922 წლის 20 ივნისს მიიღო დადგენილება N 48 (4), რომლის საფუძველზეც საქართველოს გადაეცა რუსეთში სხვადასხვა დროს გატანილი სამუზეუმო და საარქივო კოლექციები. შეიქმნა საგანგებო კომისია რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის, რუსეთის ფედერაციის განათლების სახალხო კომისარიატისა და საქართველოს მეცნიერთა მონაწილეობით (ნ. ი. მარი, ს. თ. ოლდენბურგი, ვ. ვ. ბარტოლდი, ი. ნ. მარი; მ. ნ. პოკროვსკი... ვ. კეკელიძე, ა. შანიძე, პ. ინგოროყვა, ს. კაკაბაძე), რომელმაც 1922 წლის 29 აგვისტოს მიიღო შესაბამისი დადგენილება (ოქმი N 57-ე, პ. 12); შედგა ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკასა და რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის სააზიო მუზეუმში არსებულ ძირითად კოლექციათა სიები, რომლებიც გადაეცა საქართველოს 1923 წლის 24, 25, 26, 30, 31 მაისსა და 1 ივნისს (ამირანაშვილი 1968, 3-4).

ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულ ივანე ჯავახიშვილის პირად არქივში ინახება პეტროგრადში შემდგარი ე.წ. სრულუფლებიანი კომისიის მუშაობის ამსახველი მასალა, კერძოდ, 1923 წლის 9 იანვრიდან 20 მარტამდე ჩატარებული სხდომების 7 ოქმი, რომლებშიც დეტალურადაა ასახული ქართველ და რუს ექსპერტთა მუშაობა ქართული ხელნაწერების სამშობლოში დაბრუნების საკითხის „დეტალური და საბოლოო განხილვისათვის“ (ჯავახიშვილი 2985, 1). აქვე მითითებულია ინსტრუქციაც, რომელიც შეუმუშავებიათ 1922 წლის 10 და 22 ოქტომბერს გამართულ სხდომებზე (ჯავახიშვილი 2985, 1-2, 18-22, 23-26).

აღნიშნულ პერიოდში ნ. მარი საზღვარგარეთ მივლინებაში იმყოფებოდა, თუმცა რუსული მხარის წარმომადგენლები მის

ავტორიტეტს აქტიურად იყენებდნენ სხდომის წინააღმდეგ. მაგ., წარმოადგინეს რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის „მოტივირებული განცხადება“, საქმის განხილვა გადაედო ნ. მარის („единственного в РСФСР вполне компетентного и высокоавторитетного эксперта по данному делу“) დაბრუნებამდე (ჯავახიშვილი 2985, 1); ასევე, მოითხოვეს რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წარმომადგენელთა კომისიიდან განთავისუფლება მათთვის მორალური პასუხისმგებლობის მოხსნის მოტივაციით იმ გადაწყვეტილებისაგან, რომელსაც კომისია მიიღებდა „რუსეთში ქართველთმცოდნეობის სკოლის მოთავის“ - ნ. მარის არყოფნის დროს (ოქმი N 2-ე).

რუსული მხარის მოთხოვნები არ დაკმაყოფილდა, რამდენადაც საკითხი უკვე გადაწყვეტილი იყო - მოსკოვმა ცნო „ქართველთმცოდნეობის ორი ცენტრი თბილისსა და პეტროგრადში“, რომელთაგანაც „პირველი დომინირებდა მეორეზე“ როგორც „მომუშავე პირთა რაოდენობის“, ისე „მასშტაბების მხრივ“ და, აქედან გამომდინარე, კომისიას მხოლოდ ტექნიკური ხასიათის პუნქტები უნდა განეხილა (ჯავახიშვილი 2985, 2-4, 19-20).

სხდომებზე განსაზღვრეს ქართულ ხელნაწერთა უნიკალურობის საკითხი, განიხილეს ინსტრუქცია მხატვრულ-ისტორიულ ძეგლთა დროებით დატოვების შესახებ დაწყებული კვლევითი მუშაობის დასრულებამდე (ოქმი N 3-ე); გამოიყო საჯარო ბიბლიოთეკისა და აზიის მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა 4 კატეგორია:

- ა) სავალდებულო საქართველოსთვის გადმოსაცემად;
- ბ) რუსეთში დასატოვებელი;
- გ) ხელნაწერები, რომელთა შესახებაც ჯერ თანხმობა არ იყო მიღწეული;
- დ) მეცნიერული თვალსაზრისით გაურკვეველი ხელნაწერები, რომელთა დატოვებაც შეიძლებოდა და გადაცემაც (ოქმი N 4-ე).

ცხარე კამათის თემად იქცა სადავო 27 ხელნაწერი (ოქმი N 5-ე, N 6-ე), რომელთა საბაბითაც რუსული მხარის წარმომადგენლები აშკარად დაუპირისპირდნენ ქართველ მეცნიერებს. მათი მტკიცებით, სადავო ხელნაწერების პეტროგრადიდან გატანა დააკნინებდა

რუსული სამეცნიერო სკოლის მსოფლიო მნიშვნელობას, რომელსაც ქართველები უნდა გაფრთხილებოდნენ. ს. ფ. ოლდენბურგმა განმარტებაც კი მოსთხოვა თავის კოლეგას - აზიის მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომელ ა. ნ. გენკოს, თუ, რის საფუძველზე წყვეტდა, რამდენიმე იშვიათი ხელნაწერი დაეთმო ქართველი ექსპერტებისათვის (ჯავახიშვილი 2985, 11); მან ქართველ მეცნიერთა სამართლიანი მოთხოვნის გასაბათილებლად გამოიყენა შემთხვევა, როცა ნ. მარისაგან 1917 წელს კავკასიის ისტორიულ-არქეოლოგიური ინსტიტუტისათვის გაგზავნილი მასალა დაიკარგა და სხვ.

ქართულმა მხარემ მკაფიოდ გამოხატა თბილისის უნივერსიტეტის სამეცნიერო სკოლის პოზიცია, რომ „სრულიად თანაუგრძნობდა პეტროგრადში ქართველთმცოდნეობის მუშაობის გაგრძელებას და, თავისი მხრიდან, მზად იყო ყოველგვარი თანამოქმედებისთვის“, ქართველმა ექსპერტებმა ობიექტურად შეაფასეს კავკასიის ისტორიულ-არქეოლოგიური ინსტიტუტისათვის გაგზავნილი მასალის დაკარგვის ფაქტი, როგორც 1917 წელს ქვეყანაში არსებული არასტაბილური ვითარების შედეგი, როცა რკინიგზა „უსაფრთხო არ იყო“ (ჯავახიშვილი 2985, 3-4; 11-17).

საყურადღებოა რუსეთის ფედერაციულ რესპუბლიკაში „აკადემიური საქმეების განხრით“ საქართველოს წარმომადგენლის - დ. ჯგუშას დაკვირვება სადავო ხელნაწერების სამშობლოში დაბრუნების აუცილებლობაზე; კერძოდ, მისი ხედვით:

ა) სადავო ხელნაწერების გადაუცემლობა მეტისმეტად აფერხებდა თბილისის უნივერსიტეტის მუშაობას;

ბ) 100 წელზე მეტი იყო, რაც ხელნაწერები აზიის მუზეუმში მოეთავსებინათ და სრული სამეცნიერო განხილვის საგნად მაინც ვერ ქცეულიყო; ასეთ შემთხვევაში, თბილისის სამეცნიერო სკოლა წარმოადგენდა მათი სათანადოდ შესწავლის რეალურ შესაძლებლობას (ჯავახიშვილი 2985, 22).

აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად, მხარეებმა ბოლოს მიაღწიეს გარკვეულ შეთანხმებას (ოქმი N 7-ე) და შეიმუშავეს რამდენიმე დოკუმენტი:

ა) საექსპერტო კომისიის წევრის - ა. შანიძის მიერ სრულუფლებიანი კომისიის სახელზე დაწერილი მოხსენებითი ბარათი, დათარიღებული 18 მარტით. ბარათში განსახილველად წარმოდგენილია სადავო ხელნაწერთა სამი ჯგუფი:

I. ეპისკოპოს პორფირი უსპენსკის მიერ აღმოსავლეთიდან წამოღებული ხელნაწერები (საჯარო ბიბლ.);

II. გიორგი ავალიშვილის მიერ 1820 წელს იერუსალიმის ჯვრის მონასტრიდან გამოტანილი ცხრა ხელნაწერი, რომლებიც 1941 წელს აზიის მუზეუმს დაუთმო და

III. ტიმენდორფის შეკრებილი ხელნაწერები (საჯარო ბიბლ.);

ბ) რუსი ექსპერტებისაგან შედგენილი სია, რომლიდანაც აშკარაა მხარეთა შორის შეთანხმება სადავო ხელნაწერთა ორიგინალებისა და ფოტოპირების განაწილებაზე. დოკუმენტს ხელს აწერენ ა. შანიძე და ა. ნ. გენკო (ჯავახიშვილი 2985, 32-43);

გ) ა. შანიძის 19 მარტით დათარიღებული მიმართვა სრულუფლებიანი კომისიისადმი ხელნაწერთა ფოტოპირების საქართველოში დამზადების შესახებ, რადგანაც თბილისის უნივერსიტეტს ჰქონდა თანამედროვე სპეციალური ილობის აპარატი;

დ) საქართველოში დასაბრუნებელი ნაწილიდან დროებით რუსეთში დასატოვებელი 14 ხელნაწერის სია. აქვე მითითებულია, რომ საქართველოს სსრ ვალდებულებას იღებდა, აკად. ნ. მარის სამეცნიერო ინტერესების თანახმად, რუსეთისთვის დაებრუნებინა საჭირო ხელნაწერები. დოკუმენტი დათარიღებულია 20 მარტით. ხელს აწერს ა. ნ. გენკო (ჯავახიშვილი 2985, 37).

ერთია ის შედეგი, რომელიც სრულუფლებიანი კომისიის მუშაობას უნდა მოჰყოლოდა და მეორე - რაც სინამდვილეში მოხდა. აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით, საყურადღებოა საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალურ არქივში დაცული დოკუმენტები, კერძოდ, ა. შანიძის წერილობითი მიმართვა თბილისის უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტისა და გამგეობისადმი, რომელიც დათარიღებულია 1923 წლის 27 აპრილით და დანართი:

ა) პირი ა. შანიძის მიერ აღძრული შუამდგომლობისა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წინაშე და

ბ) სამეცნიერო აკადემიის პასუხი (სუიცა 471-1, N 138, ფ. 243-247).

როგორც ამ მასალებიდან ირკვევა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ჯერ კიდევ 1920 წლის შემოდგომაზე აღუძრავს შუამდგომლობა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წინაშე ათონის ბიბლიის (X ს.) ფოტოპირთა ასლების დამზადების ნებართვაზე, თუმცა უშედეგოდ. 1923 წლის 26 იანვარს, ზემოაღნიშნული კომისიის მუშაობის პერიოდში, ა. შანიძეს განმეორებით აღუძრავს თბილისის უნივერსიტეტის შუამდგომლობა, ასაბუთებდა რა ათონის ბიბლიის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ისტორიულ-ლიტერატურული, ლინგვისტური და პალეოგრაფიული ხასიათის საკითხების დამუშავებისათვის, როცა ათონის მთაზე დაცული ორიგინალიდან ასლების გადაღება უკიდურესად გამწვანებული იყო და დიდ ხარჯებსაც უკავშირდებოდა. ამავე წლის 26 აპრილს მან უარი მიიღო სამეცნიერო აკადემიისაგან, რის შესახებაც მეორე დღესვე აცნობა თბილისის უნივერსიტეტის პედაგოგიურ ფაკულტეტსა და გამგეობას.

აკადემიის მუდმივი მდივნის ხელმოწერილ პასუხში ხაზგასმული იყო, რომ მეცნიერებათა აკადემია, ნ. მარის 26 მარტის პასუხის თანახმად, „არ თვლიდა შესაძლებლად აზიის მუზეუმში არსებული ათონის ქართული ბიბლიის ფოტოპირთა სრული სახით მოცემას“, რამდენადაც, განყოფილების 1922 წლის 12 აპრილის დადგენილების თანახმად, აკადემია მას გამოსაცემად ამზადებდა. სინამდვილეში, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის უარყოფითი პასუხი განაპირობა ნ. მარის 1923 წლის 26 მარტის წერილმა (ჯავახიშვილი, 2986), რომლითაც ავტორმა გააპროტესტა ქართული ხელნაწერების თბილისის უნივერსიტეტისათვის გადმოცემა.

2.2. ნიკო მარი ქართული ხელნაწერების თბილისის უნივერსიტეტისათვის გადმოცემის წინააღმდეგ. ნ. მარის საპროტესტო წერილის შემდეგ განვითარებული მოვლენები

ნ. მარმა საპროტესტო წერილი რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის უცვლელი მდივნის სახელზე შეადგინა. როგორც აღნიშნული დოკუმენტიდან ჩანს:

ა) ნ. მარი არავითარ კოლეგიალურ პასუხისმგებლობას არ გრძნობს ქართული სამეცნიერო სკოლის წარმომადგენლთა წინაშე; პირიქით, მათ სამართლიან მოთხოვნას დაუფარავი აგრესიით პასუხობს და აფასებს, როგორც „დაუჯერებელ“, „სრულიად არაგონივრულ“, „გაუმართლებელ“, „მეცნიერულად უსაფუძვლო აქტს“; უწოდებს: „აკადემიისთვის თავსმოხვეულ ძალადობას“, „უფუნურ ნგრევას“, რომელიც „სამაგელ ბურანად“ და „კომმარად“ ესახება;

ბ) ნ. მარი შეურაცხყოფას აყენებს საქართველოს; მას უწოდებს „მეცნიერული შემოქმედებისთვის უნაყოფო ქვეყანას“, სადაც მხოლოდ „უმდაბლესი ზოოლოგიური ნაციონალისტური გრძნობები ბატონობენ“. ეს ნაციონალისტური გრძნობები, ანუ „წინა (ბურჟუაზიულ-მემამულური - ი.ვ., ტ.ფ.) რეჟიმის“ „უარესი მემკვიდრეობა“, ნ. მარს მიაჩნია „სრულიად დამღუპველად“ საბჭოთა „ნაციონალური წყობისათვის“;

გ) ქართული მეცნიერების განვითარებაში ნ. მარი ხედავს პეტროგრადელ სწავლულთა კოლექტიური მუშაობისა და თავისი პირადი სამეცნიერო მოღვაწეობის დასასრულს.

ნ. მარის 1923 წლის 26 მარტის წერილისა და 1918 წლის მოხსენების შეპირისპირებამ ცხადყო, რომ სხვადასხვა დროსა და განსხვავებული მიზეზით შექმნილ „ნაშრომთა“ პოლიტიზებული დებულებები და ფრაზებიც კი ერთგვარია; მაგ.:

„[რუსი ხალხის მოქმედებაში]...არის გარანტია გადმონაშთური ზოოლოგიური იდეოლოგიის შეცვლისა“ (1918), შდრ.: ქვეყანა, სადაც

„უმაღლესი ზოოლოგიური ნაციონალისტური გრძნობები ბატონობენ“ (1923);

„არც ქართველებს და არც სომხებს რეალურად ჯერ არა აქვთ სამეცნიერო ძალები, არც ნაციონალური სასწავლო დაწესებულებები“ (1918), შდრ.: საქართველო „მეცნიერული შემოქმედებისთვის უნაყოფო“ ქვეყანაა (1923)...

აღნიშნული მსგავსება მოწმობს იმ ფაქტს, რომ ნ. მარი 1923 წელსაც ისეთივე აგრესიით უყურებდა ქართულ უნივერსიტეტსა და ქართულენოვან მეცნიერებასა თუ განათლებას, როგორც 1918 წელს. მან, როგორც ქართულ ხელნაწერებთან დაკავშირებული „ყოველგვარი საქმიანობის ერთადერთმა ხელმძღვანელმა“ – „**რსფსრ-ს მშრომელმა**“ ქართველ და რუს ექსპერტთა შორის „ტექნიკური ხასიათის პუნქტებამდე“ გარკვეული **წმინდა მეცნიერული საკითხი ანტიქართული მიმართულების პოლიტიკურ თემად აქცია.**

გასათვალისწინებელია კიდევ ერთი მომენტი: ნ. მარმა 1923 წლის წერილში გარკვევით მიუთითა თავის მხარდამჭერზე, რომლისგანაც „ვერბალური რწმუნება ჰქონდა“ - ეს არის „ხელისუფლების წარმომადგენელი ამხ. მ. ნ. პოკროვსკი“ (მიხეილ ნიკოლოზის ძე) - კომუნისტური პარტიის მაღალჩინოსანი⁵¹ და საბჭოთა ისტორიოგრაფიის მამამთავარი, პასუხისმგებელი პირი რსფსრ სახალხო კომისარიატში მეცნიერებისა და უმაღლესი განათლების სფეროებში.

როგორც ივ. ჯავახიშვილის ფონდში დაცული მასალებიდან ჩანს, მ. ნ. პოკროვსკი ესწრებოდა ექსპერტთა მუშაობას პეტროგრადში. ის ფაქტი, რომ, მიუხედავად სრულუფლებიანი კომისიის

⁵¹ მ.ნ. პოკროვსკი (1868-1932) 1918 წლიდან სიკვდილამდე იყო რსფსრ განათლების სახალხო კომისრის მოადგილე, სხვადასხვა დროს - სოციალისტური (1924 წ. - კომუნისტური) აკადემიის პრეზიდიუმის თავმჯდომარე, წითელი პროფესურის ინსტიტუტის ხელმძღვანელი, ცენტრალური არქივის დირექტორი და სხვ. ის, ასევე, ცნობილია, როგორც აკადემიაში „წმინდის“ - არამაქსისტ ისტორიკოსთა რეპრესიების ინიციატორი.

გადაწყვეტილებისა (იხ. ზემოთ), ხელნაწერთა გადმოცემის საკითხი გაიწელა ნ. მარის საზღვარგარეთიდან დაბრუნებასა და მისი საბოლოო აზრის გათვალისწინებამდე, მეტყველებს, თუ რა მნიშვნელოვან ფიგურას წარმოადგენდა ნ. მარი საბჭოთა იმპერიის სახელისუფლებო ელიტისთვის.

ნ. მარის 1923 წლის 26 მარტის საპროტესტო წერილის საფუძველზე, რუს მეცნიერთა დაპირისპირება ქართულ მხარესთან გაგრძელდა და უფრო გამწვავდა. ამას მოწმობს საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალურ არქივში დაცული დოკუმენტი - დ. ჯგუშიას მიერ 1923 წლის 17 ოქტომბერს პეტროგრადიდან გამოგზავნილი ტელეგრამა თბილისის უნივერსიტეტის რექტორის სახელზე (სუიცა 471-1, N 138, ფ. 393).

აღნიშნული დოკუმენტი საყურადღებოა იმ თვალსაზრისითაც, რომ მისი საშუალებით ვეცნობით რუსულ სამეცნიერო წრეში შემუშავებულ აზრს ქართველ მეცნიერებზე; კერძოდ, პეტროგრადელ მკვლევართა აზრით:

ა) ქართველ მეცნიერებს ჯერ იმდენად ცოტა აქვთ გაკეთებული, რომ მათ პრეტენზია არ უნდა ჰქონდეთ ქართველთმცოდნეობის ცენტრის თბილისში გადმოტანისა;

ბ) პეტროგრადის სკოლამ ბევრი ქართველთმცოდნე გამოზარდა, რომლებიც ადრეც და ახლაც მუშაობენ ხელნაწერთა კოლექციებზე; აქედან გამომდინარე, ქართველი მეცნიერები დანაშაულს ჩადიან, რომ შლიან პეტროგრადელთა მუშაობას...

ვერ გავიზიარებთ პეტროგრადელ მეცნიერთა „ბრალდების“ პირველ პუნქტს, რამდენადაც ქართული უნივერსიტეტის დამარსებლები თავიანთ სფეროში უკვე გამოცდილი სპეციალისტები იყვნენ. მაგალითისათვის, თვით ივ. ჯავახიშვილის მიერ V-VI საუკუნეების ხანმეტი პალიმფსესტის აღმოჩენა (1923), ან ა. შანიძისაგან ტერმინ „ხანმეტის“ განმარტებაც კმარა, რომ არაფერი ვთქვათ მათ ფუნდამენტურ ნაშრომებზე. სამეცნიერო ლიტერატურაში შენიშნულია, რომ ქართულ მეცნიერულ სიახლეებს პეტროგრადში დიდი აღფრთოვანებით არ ხვდებოდნენ, რაც ტენდენციურობით უნდა აიხსნას (ჯორბენაძე 1984, 309-310).

ჩვენთვის ასევე მიუღებელია მეორე პუნქტის მეორე ნაწილი - ქართული მხარისაგან რუს მეცნიერთა მუშაობის ჩაშლის მცდელობა, რადგან ქართველ პროფესორთა წამოწყება, წმინდა მეცნიერული თვალსაზრისით, იყო ქართველთმცოდნეობის ცენტრის გაფართოება და ბუნებრივად მყარ ნიადაგზე გადატანა. „კავკასიის ჰუმანურ შესწავლაში“ ქართველ მეცნიერთა განუსაზღვრელ მნიშვნელობაზე ივ. ჯავახიშვილი 1922 წლის წერილში საგანგებოდ ამახვილებდა ყურადღებას. სწორედ ქართული უნივერსიტეტის მკვლევართა დამსახურებაა ქართველოლოგიასა და კავკასიოლოგიაში სამეცნიერო მუშაობის უფრო სისტემურად და ფართოდ წარმართვა, დანარჩენი ცენტრებისაგან განსხვავებით.

ნ. მარის საპროტესტო წერილის შემდეგ განვითარებულმა მოვლენებმა ცხადყო, რომ დაირღვა ქართველ და რუს ექსპერტთა შეთანხმება (იხ. ზემოთ) ქართული ხელნაწერების სამშობლოში დაბრუნებასთან დაკავშირებით. ნ. მარის ფონდში დაცული კ. კეკელიძის წერილი მოწმობს, რომ პრობლემა საბოლოოდ 1924 წლისთვისაც არ გადაჭრილა (მარი 235).

ასევე ჩაიშალა ორიგინალის მიხედვით ხელნაწერთა ფოტოპირების დამზადების საქმეც, რასაც მოწმობს საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალურ არქივში დაცული დოკუმენტი - პროფ. ა. შანიძის 1923 წლის 24 მარტის განცხადება პეტერბურგში საქართველოს აკადემიურ საქმეთა წარმომადგენლის რწმუნებულის სახელზე: ა. შანიძე ითხოვს, იმავე წლის 25 იანვარს „ათონის დაბადების ფოტოგრაფიული სურათების კოპიების დასამზადებლად შექმნილი“ მასალები, „რამდენადაც თავის დანიშნულებას არ მოჰხმარდა“, გაუგზავნონ „ტფილისის უნივერსიტეტის ფოტოგრაფიულ კაბინეტს მიმდინარე საჭიროებისათვის“ (სუიცა, 471- 1, N 138, ფ. 283).

აღნიშნული შეთანხმების დარღვევის უარყოფითმა შედეგებმა მალე იჩინა თავი, თუმცა პეტროგრადის სამეცნიერო სკოლის მუშაობაში არსებულ ხარვეზებზე ქართული მხარე ჯერ კიდევ 1923 წლის იანვარ-მარტში მიმდინარე სხდომებზე მიუთითებდა (იხ. ზემოთ). ხარვეზებისგან დაზღვეული, ბუნებრივია, არავინ არის,

მაგრამ განსაკუთრებით სამძიმოა, როცა საქმე უცხო გარემოში დარჩენილ იშვიათ ძეგლებს ეხება. მაგ., რუსეთის წიგნთსაცავებში ქართულ ხელნაწერთა არასახარბიელო მდგომარეობაზე მიაწინებულ. ლეონიძის 1929 წლის 22 მარტს ლენინგრადიდან გამოგზავნილი წერილი ივ. ჯავახიშვილისადმი; კერძოდ, ლ. ლეონიძეს ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკაში მიუგნია ხუცური ხელნაწერისთვის - ეს იყო პერგამენტი, „სავსე მშვენიერ მინიატურებით“, რომლის ნახევარიც ბერძნულად ყოფილა დაწერილი და, „ქართულის მაგიერ, მოეთავსებინათ „разноязычное“⁵²-ს კატალოგში“⁵³ (ჯავახიშვილი 1939). წერილის ავტორი ქართველ ექსპერტებს სდებდა ბრალს „ბედოვლათობაში“.

ანალოგიურია ამავე ბიბლიოთეკაში არსებული ეპისკოპოს პორფირი უსპენსკის კოლექციიდან⁵⁴ „დავით აღმაშენებლის სურათის კალკით გაკეთებული პირის“ დაკარგვის ფაქტი, რის გამოც ივ. ჯავახიშვილი წუხს 1937 წლის 28 ივნისის წერილში ვ. დონდუასადმი. ამ დანაკარგმა ივ. ჯავახიშვილს ხელი შეუშალა სამეცნიერო ჩანაფიქრის განხორციელებაშიც (ვაჩნაძე, გურული 2004, 402).

აღნიშნულ საკითხს ეხება ივ. ჯავახიშვილის შენიშვნა რუსული ორიენტალისტიკის მოთავის დამოკიდებულებაზე ქართული ხელნაწერებისადმი. კერძოდ, „ქართულ-ქართველურისა

⁵² იგულისხმება სალტიკოვ-შჩედრინის სახ. სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკის ბიზანტიური განყოფილება (ვაჩნაძე, გურული 2004, 428).

⁵³ მინიატურებიან ხელნაწერთან დაკავშირებით, ივ. ჯავახიშვილი 1937 წლის 2 ივნისის წერილში სთხოვდა ლენინგრადის უნივერსიტეტში მოღვაწე ვ. დონდუას „საჯარო სამკითხველოში“, ხელნაწერთა განყოფილების ბიზანტიურ სექტორში „განზრახ გადატანილი“, „ბიზანტიურ-ქართულ ხელნაწერად წოდებული“ „ნასურათები მინიატურებით სავსე კრებულის“ მოძიებას და რამდენიმე მინიატურის („მხვნელისა“ და „სახვნელის“) ფერადი პირის გამოგზავნას მუზეუმის საჭიროებისათვის (ვაჩნაძე, გურული 2004, 401).

⁵⁴ აღნიშნული კოლექცია ქართველმა და რუსმა ექსპერტებმა 1923 წლის იანვარ-მარტში მიმდინარე სხდომებზე ე.წ. „სადავო ხელნაწერთა“ რიცხვს მიაკუთვნეს (იხ. ზემოთ), რომელიც რუსეთში დარჩა (იხ. ზემოთ).

და ე.წ. კავკასიის ენების მოკლე მიმოხილვაში“ იგი წერს, რომ ნ. მარს (მოუცლელობის გამო) გამოუქვეყნებელი ეწყო „ძველი ქართული მწერლობის ის ძვირფასი, დიდძალი, პირველხარისხოვანი ძეგლები, რომლებიც ათონში, სინას მთაზე და პალესტინაში ყოფნის დროს გადმოწერილი და გამოსაცემად განზრახული ჰქონდა“ (ჯავახიშვილი 1992, 62, 77). ამავე თემას აგრძელებს ე. თაყაიშვილის 1931 წლის წერილიც ნ. მარისადმი; კერძოდ, ექვთიმემ, რომელმაც რ. ბლეიკისაგან შეიტყო, რომ სინის მთისა და იერუსალიმის ხელნაწერთა ნ. მარისეული „აწერილობა“ იბეჭდებოდა, თავისი ემოცია არ დაფარა და ნ. მარს უსაყვედურა ძეგლის დაგვიანებით გამოცემა, „დანაშაულობა იყო, რომ ამდენხანს არ გამოეცია“ (მარი 207).

1923 წლის 26 მარტის საპროტესტო წერილის დაწერიდან რამდენიმე თვეში (ისევე როგორც 1917-1918 წლებში ოფიციალურად გამოხატული პოზიციის შემდეგ) ნ. მარმა კვლავ შეარბილა თავისი დამოკიდებულება თბილისის უნივერსიტეტისადმი; კერძოდ, 14 ოქტომბერს მან პეტროგრადიდან მოსწერა ივ. ჯავახიშვილს, სასურველი იქნებოდა თუ არა „იაფეტური ენათმეცნიერების ერთ და ერთ მიწვენილებაზე“ ლექცია წაეკითხა თბილისის უნივერსიტეტში; იგი ფიქრობდა „მსმენელთა მომზადებულობაზე“, სამომავლო გეგმებზე კურსთან დაკავშირებით და სხვ. (მარი, ჯავახიშვილი 1996, 27). ამ დროს ნ. მარს არ შეიძლებოდა არ სცოდნოდა უნივერსიტეტსა და პეტროგრადის სამეცნიერო სკოლას შორის ვითარების დამაბვის შესახებ, რომელსაც ასახავს 17 ოქტომბრის ტელეგრამა.

უთუოდ ჩნდება კითხვა: ქართულენოვანი მეცნიერებისა და განათლების წინააღმდეგ მებრძოლი ნ. მარი ზოგჯერ რატომ ცდილობდა პოზიციების შერბილებას? როგორც არ უნდა იყოს ამ კითხვაზე პასუხი, ვერ გაბათილდება ნ. მარის ანტიქართული ქმედება.

2.3. უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს გადაწყვეტილება

თბილისის უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭომ სათანადოდ შეაფასა ნ. მარის ანტიეროვნული ქმედება ქართული მეცნიერების წინააღმდეგ. ივ. ჯავახიშვილის 1923 წლის 7 დეკემბრის საპასუხო წერილი მაშინ დაიწერა, როდესაც თბილისის უნივერსიტეტის გამგეობისათვის ცნობილი გახდა ნ. მარის მიერ რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის მოამბეში დაბეჭდილი ნაშრომიცა (იხ. ზემოთ) და აკადემიის უცვლელი მდივნის სახელზე დაწერილი პროტესტიც.

აღნიშნულ წერილში ივ. ჯავახიშვილმა ამხილა ნ. მარის ანტიეროვნული საქმიანობა, გამოაშკარავა „იაფეტური ენათმეცნიერების წარმომშობელის გულში“ აღძრული „განუსაზღვრელი სიძულვილი“ და „სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის“ სურვილი საქართველოსა და სომხეთის ახლად დაარსებული უნივერსიტეტების მიმართ, „ნაცვლად სიხარულისა და თანადგომისა“.

ივ. ჯავახიშვილმა ობიექტურად განსაზღვრა ნ. მარის მოქმედების მიზანი - „წმინდა კულტურული საქმის პოლიტიკურ საკითხად გადაქცევა“ და საამისოდ „თავგამოდებით“ ბრძოლა „სათანადო წრეებში“ - ქართული უნივერსიტეტის დაუძინებელი მტრების წისქვილზე წყლის დასხმა (მარი, ჯავახიშვილი 1996, 37-38, 39). ასეთ შეფასებამდე ივ. ჯავახიშვილი მიიყვანა ნ. მარის მიერ თანმიმდევრულად შემუშავებულმა ანტიქართულმა ოფიციალურმა დოკუმენტებმა.

ივ. ჯავახიშვილის მსჯელობის თანახმად, ნ. მარის 1920 წლის 28 ნოემბრის წერილმა დროებით დაარწმუნა ქართული უნივერსიტეტის პროფესორთა კოლეგია, თითქოს მან დათმო თავისი ადრინდელი პოზიცია და სურდა მონაწილეობა მიეღო უნივერსიტეტის აღმშენებლობის საქმეში, მაგრამ „ქართულ სიძველეთა საქართველოში უკან დასაბრუნებლად მოწყობილმა რუსეთ-საქართველოს მეცნიერთ-წარმომადგენელთა თათბირმა ცხადჰყო“, რომ ნ. მარის ხედვა უცვლელი იყო - მან თავისი

შეურაცხყოფელი სიტყვებით ჩრდილი მიაყენა საქართველოს და ეროვნული საქმისათვის მეზრძოლ ქართველ მეცნიერებს.

ივ. ჯავახიშვილმა გამოხატა თავისი მოქალაქეობრივი პოზიცია, როდესაც გააცხადა უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს უარყოფითი გადაწყვეტილება (შექმნილი პირობების მიხედვით) ნ. მართან „რაიმე თანამშრომლობაზე“ (მარი, ჯავახიშვილი, 1996, 38-39).

ივ. ჯავახიშვილის წერილში საგანგებოდაა აღნიშნული ქართველ მეცნიერთა კეთილი განწყობა პეტროგრადის სამეცნიერო სკოლისადმი. ეს კიდევ ერთი დადასტურებაა ხელნაწერების გადაცემასთან დაკავშირებით გამართულ სხდომებზე ქართული მხარის მიერ გამოხატული პოზიციისა, რომ თბილისის უნივერსიტეტის სამეცნიერო სკოლის შექმნა არ ნიშნავდა პეტროგრადის სკოლის მნიშვნელობის დაკნინებას, არამედ ქართველოლოგიური კვლევის გაძლიერებას სამეცნიერო ცენტრების მომრავლების საფუძველზე.

მეორე თავში გაანალიზებული დოკუმენტური მასალა

ა) ნიკო მარის 1923 წლის 26 მარტის საპროტესტო წერილი ქართული ხელნაწერების თბილისის უნივერსიტეტისათვის გადაცემის წინააღმდეგ
(ივ. ჯავახიშვილის ფონდი N 2986)

Непременному секретарю Академии Наук

Только что вернувшись из заграничной научной командировки с новыми материалами и наметившимися новыми задачами по яфетической теории, я оказался перед разбитым корытом, перед невероятным фактом, издали представлявшимся неимеющим оправдаться скверным сном и кошмаром, разрушением возможностей дальнейшего углубления планомерной коллективной работы, имеющих общечеловеческое значение проблем, над изучением накопленных петроградскими учеными разнообразных кавказских материалов, в частности и грузинских рукописей, ни на чем разумном необоснованным отнятием у нас коллекций грузинских рукописей в их цельности. Немощный что-либо сделать положительное при виде разрушения одной из основ, на которых базируется дальнейшее развитие моей деятельности, вообще дальнейшая моя деятельность в Академии Наук и потрясенный душевно бессилием Академии отстоять в полной мере интересы научной работы своего действительного члена и в связи с ним представляемой им области знания, насильственно обрекаемой на захорение, я прежде всего формулирую настоящий свой протест и прошу довести о нем до сведения нашего отделения Академии Наук и незамедлительно до сведения Комиссии, работающей над осуществлением этого навязанного Академии самонасилия: я протестую с несказанным возмущением против безумного разрушения не перестававшего органически строиться у нас и в самые тяжкие у нас моменты Российской жизни большого научного дела, в момент, когда

оно приобретает, осязательно, размах предприятия с широким (?) значением; утверждаю, что безумие, когда это дело предполагают таким насильственным путем пересадить на общественную почву страны, бесплодной для научного творчества, в данный момент господством низменных зоологических националистических чувств, безумное самопотакание (?) этому худшему наследию от прежнего режима, не имеющему ничего общего с истинным чувством национального достоинства грузинского народа и совершенно гибельному для нашего научного построения и наконец, вопиющая несправедливость вынуждать хотя бы одного из работников РСФСР, в разгар развертывающегося в Петрограде и обладающего только в нем, в пределах подлунного мира, условиями для такого развертывания дела, прекращать его изятием теперь именно нужных рукописей, как напр. N171 и 255 коллекции Иоанна грузинского и десятка других, тем более вопиющая несправедливость, что этот “один работник “ в данном деле отнюдь никому непокорный слуга, единственный руководитель всех связанных с этим делом занятий и как таковой перед отъездом получил от ответственного председателя власти т. М. Н. Покровского лично вербальное заверение, ныне несдержанное слово, что до его, пишущего эти строки, возвращения из заграницы к осуществлению этого несостоятельного в научном отношении акта не будет приступлено.

В бессильном негодовании беззащитно насилуемый действительный член Российской Академии Наук Н. Марр

ქართული თარგმანი

მეცნიერებათა აკადემიის უცვლელ მდივანს

ეს-ეს არის დავბრუნდი საზღვარგარეთის სამეცნიერო მივლინებიდან ახალი მასალებითა და იაფეტური თეორიის ახალი ამოცანებით. ნათქვამია, ბევრის მდომი ცოტასაც დაკარგავსო - **აღმოვჩნდი დაუჯერებელი ფაქტის წინაშე, რომელიც შორიდან გაუმართლებელ, საძაგელ ბურანად და კომშარად ჩანს;** ის არღვევს

ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის პრობლემებზე გეგმაზომიერი, კოლექტიური მუშაობის შემდგომი გაღრმავების, პეტროგრაფულ მკვლევართა შეგროვებული სხვადასხვა კავკასიური მასალის, კერძოდ, ქართული ხელნაწერების შესწავლის შესაძლებლობებს, **ყოვლად არაგონივრულად, უსაფუძვლოდ გვაცლის ხელიდან (ქართულ ხელნაწერთა) მთელ კოლექციებს.** არ შემიძლია რამე ვიღონო იმ ერთი საფუძველთაგანის მოსპობის გამო, რომელზეც დამყარებულია ჩემი შემდგომი მოღვაწეობა, საერთოდ, ჩემი მოღვაწეობა მეცნიერებათა აკადემიაში. **ვარ სულიერად შეძრული, რადგან აკადემია უმწეოა, დაიცვას თავისი ნამდვილი წევრის კვლევითი მუშაობის ინტერესები და, ასევე, მისგან წარმოდგენილი, იძულებით დასასამარებლად განწირული მეცნიერების დარგიც;** მე, უწინარეს, ვაყალიბებ ჩემს ნამდვილ პროტესტს და გთხოვთ ამის შესახებ აცნობოთ ჩვენს მეცნიერებათა აკადემიის განყოფილებას, დაუყოვნებლად აცნობოთ კომისიასაც, რომელიც მუშაობს ამ, **აკადემიისთვის თავსმოხვეული ძალადობის განსახორციელებლად: მე გამოუთქმელი აღმფოთებით ვაცხადებ პროტესტს უგუნური ნგრევის წინააღმდეგ;** ის რუსეთის ცხოვრებისათვის ყველაზე მძიმე მომენტში აფერხებს დიდ სამეცნიერო საქმეს, როცა ეს უკანასკნელი თვალსაჩინოდ პოვებს ფართო გასაქანს; მე ვამტკიცებ, რომ **უგუნურებაა, როცა ვარაუდობენ, ეს საქმე ძალდატანებით გადაიტანონ იმ ქვეყნის საზოგადოებრივ ნიადაგზე, რომელიც უნაყოფოა მეცნიერული შემოქმედებისათვის (მოცემულ მომენტში), უმდაბლესი ზოოლოგიური ნაციონალისტური გრძნობების ბატონობის გამო;** ეს არის უგუნური თვითწაქეზება წინა რეჟიმის იმ უარესი მემკვიდრეობისკენ, რომელსაც არაფერი აქვს საერთო ქართველი ხალხის ნაციონალური ღირსების ჭეშმარიტ გრძნობასთან და სრულიად დამღუპველია ჩვენი ნაციონალური წყობისათვის. და ბოლოს, აღმამფოთებელი უსამართლობაა, რსფრს-ს თუნდ ერთი მშრომელთაგანი, პეტერბურგში გაჩაღებულ და ცისქვეშეთში მხოლოდ იქ არსებულ კამათში პირობებით ისე აიძულონ, რომ საქმე დასრულდეს სწორედ საჭირო კოლექციების ჩამორთმევით, როგორცაა: იოანე ქართველის N 171-ე და N 255-ე, ასევე, ათობით

სხვა კოლექცია; კიდევ უფრო აღმაშფოთებელი უსამართლობაა, რომ „ერთმა მშრომელმა“, მოცემულ საქმეში არავის მორჩილმა მსახურმა, ამ საქმესთან დაკავშირებული ყოველგვარი საქმიანობის ერთადერთმა ხელმძღვანელმა, ჯერ კიდევ გამგზავრებამდე ხელისუფლების წარმომადგენელ ამხ. მ. ნ. პოკროვსკისგან, პირადად, მიიღო ვერბალური რწმუნება, ამჟამად გატეხილი სიტყვა, რომ მისი, ამ სტრიქონების დამწერის, საზღვარგარეთიდან დაბრუნებამდე ამ მეცნიერულად უსაფუძვლო აქტის განხორციელება არ შედგებოდა.

უღონოდ აღშფოთებული, ძალადობის უმწეო მსხვერპლი, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი ნ. მარი.

ბ) პროფ. ა. შანიძის 1923 წლის 24 მარტის განცხადება

(საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივის ფონდი N 471, აღწერა 1, საქმე N 138, ფურც. 283)

საქართველოს აკადემიურ საქმეთა წარმომადგენლის რწმუნებულს პეტერბურგში

ვინაიდან 25 იანვარს 1923 წელს ნაყიდი მასალები, ათონის დაბადების ფოტოგრაფიული სურათების კოპიების დასამზადებლედ შეძენილი, თავის დანიშნულებას არ მოჰხმარდა, ამიტომ გთხოვთ ეს მასალა გაუგზავნოთ ტფილისის უნივერსიტეტის ფოტოგრაფიულ კაბინეტს მიმდინარე საქიროებისათვის.

24/II-923

პროფ. ა. შანიძე პეტერბურგს

გ) პროფ. ა. შანიძის 1923 წლის 27 აპრილის განცხადება

(საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივის ფონდი N 471, აღ. 1, საქმე N 138, ფურც. 243)

ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიურ ფაკულტეტსა და გამგეობას

ჩემს პეტერბურგში ყოფნის დროს ტფილისის უნივერსიტეტის სახელით აღძმარი შუამდგომლობა სამეცნიერო აკადემიის წინაშე, რათა ნება დაერთოთ ჩვენთვის ათონის დაბადების ფოტოგრაფიული

სურათების კოპიების დასამზადებლად. როგორც გუშინ ფოსტით მიღებული პასუხიდან ჩანს, ჩვენი შუამდგომლობა უარუყვიათ.

საჭიროდ ვთვლი წარმოგიდგინოთ მიწერ-მოწერა ამ საგნის შესახებ.

პროფ. ა. შანიძე
27/ IV - 923 ტფილისს.

დანართი:

- 1) პირი ჩემ მიერ აღძრული შუამდგომლობისა აკადემიის წინაშე
- 2) სამეცნიერო აკადემიის პასუხი

დ) ა. შანიძის მიერ აღძრული შუამდგომლობა სამეცნიერო აკადემიის წინაშე

(საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივის ფონდი N 471, აღ. 1, საქმე N 138, ფურც. 247)

Осень 1920 года Тифлисский Государственный Университет возбудил ходатайство перед Российской Академией Наук о разрешении изготовить копии с фотографических снимков афонского списка грузинской библии X-го века, но, как оказалось, ходатайство это затерялось в дороге и до Академии не дошло.

В виду того, что, с одной стороны, афонский список грузинской библии является весьма важным памятником, без которого трудно обойтись при разработке многих вопросов в историко-литературного, лингвистического и палеографического характера, и что, с другой стороны, получение фотографических снимков с оригинала, находящегося на Афонской горе, крайне затруднено и сопряжено с большими расходами, считаю нужным и более целесообразным повторить ходатайство Тифлисского Государственного Университета о разрешении изготовить полностью копии со снимков, принадлежащих Азиатскому Музею Российской Академии Наук.

Проф. А. Шанидзе

26 января 1923 г.
г. Петроград

ქართული თარგმანი:

1920 წლის შემოდგომაზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა შუამდგომლობა აღძრა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წინაშე, რომ ნებართვა მიეღო ათონის ქართული ბიბლიის X საუკუნის ხელნაწერის ფოტოპირთა ასლების დამზადებაზე, მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, ეს შუამდგომლობა გზაში დაიკარგა და აკადემიამდე ვერ მივიდა.

იმის გამო, რომ, ერთი მხრივ, ათონის ქართული ბიბლია ითვლება ფრიად მნიშვნელოვან ძეგლად, რომლის გარეშეც ძნელია ბევრი ისტორიულ-ლიტერატურული, ლინგვისტური და პალეოგრაფიული ხასიათის საკითხისათვის თავის გართმევა, ხოლო მეორე მხრივ, ათონის მთაზე არსებული ორიგინალიდან ფოტოპირების მიღება უკიდურესად გართულებულია და დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული, საჭიროდ და უფრო მიზანშეწონილად მიმაჩნია, გავიმეორო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შუამდგომლობა ასლების სრულად დამზადების ნებართვაზე იმ ფოტოპირების მიხედვით, რომლებიც ეკუთვნის რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აზიის მუზეუმს.

პროფ. ა. შანიძე

26 იანვარი, 1923 წელი

ქ. პეტროგრადი

ე) რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის პასუხი

(საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივის ფონდი N 471, აღ. 1, საქმე N 138, ფურც. 246)

Российская
Академия Наук

Профессору А. Г. Шанидзе

Непременный Секретарь
12 апреля 1923 г.
N 685

Петроград

На основании постановления Отделения Исторических наук и Филологии Российской Академии Наук от 11 сего апреля, сообщаю, что Академия Наук, согласно ответа академика Н. Я. Марра от 26 марта с.г., не считает возможным предоставить полную фотографическую копию со снимков Афонского списка грузинской библии, находящейся в Азиатском Музее, т. к. издание этого памятника уже начато и подготавливается к печати Академией, о чем уже было указано в постановлении Отделения от 12 апреля 1922 года

За Непременного Секретаря,

Академик -

Управляющий Делами Конференции -

ქართული თარგმანი:

რუსეთის აკადემია
პროფ. ა. შანიძეს
უცვლელი მდივანი
12 აპრილი, 1923 წელი
N 685

პეტროგრადი

რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის მეცნიერებათა და ფილოლოგიის განყოფილების ა/წ 11 აპრილის დადგენილების საფუძველზე გაცნობებთ, რომ მეცნიერებათა აკადემია, ნ. ი. მარის ა/წ 26 მარტის პასუხის თანახმად, არ თვლის შესაძლებლად, მოგცეთ აზიის მუზეუმში არსებული ათონის ქართული ბიბლიის სრული ფოტოგრაფიული ასლი, რამდენადაც ამ ძეგლის გამოცემა უკვე დაწყებულია და მზადდება აკადემიისგან დასაბეჭდად; ამაზე უკვე მითითებული იყო განყოფილების 1922 წლის 12 აპრილის დადგენილებაში.

უცვლელი მდივნის ნაცვლად
აკადემიკოსი -
კონფერენციის საქმეთა
მმართველი -

ვ) რუსეთის ფედერაციულ რესპუბლიკაში „აკადემიური საქმეების განხრით“ საქართველოს წარმომადგენლის - დ. ჯგუმიას 1923 წლის 17 ოქტომბრის ტელეგრამა თბილისის უნივერსიტეტის რექტორის სახელზე

(საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივის ფონდი N 471, აღ. 1, საქმე N 138, ფურც. 393)

ученые опротестовали моем отсутствии **передачу нам древностей**. . . решено пригласить в особую комиссию по два представителя ученых Грузии и России для доказательства своих научных прав на указанные 150 коллекции. **Русские ученые доказывают, что грузинскими учеными пока очень мало сделано, чтобы они имели право претендовать на переход центра грузиноведения в тифлис.** Они доказывают что **целый ряд грузиноведов работали и работают в Петрограде над указанными коллекциями и грузинские ученые совершают преступление, разрушая петроградскую работу.** Олденбург заявил мне что они выступят на этот раз с фактами, документами и цифрами на руках и для подготовки просил месяц в срок. Необходимо и вам подготовить двоих с тем, чтобы один мог остаться здес на время для экспертной и технической работы. Выставленные вами кандидаты будут утверждены правительством. О времени работы комиссии сообщу телеграфно, подробности письмом.

ქართული თარგმანი:

მეცნიერებმა ჩემი არყოფნისას გააპროტესტეს ჩვენთვის სიძველეთა გადმოცემა... გადაწყვეტილია განსაკუთრებულ კომისიაში საქართველოსა და რუსეთის მეცნიერთა ორ-ორი წარმომადგენლის მოწვევა, რომ დაამტკიცონ თავიანთი სამეცნიერო უფლებები მითითებულ 150 კოლექციაზე. **რუსი მეცნიერები ამტკიცებენ, რომ ქართველ მეცნიერებს ჯერ ცოტა აქვთ გაკეთებული, რომ ჰქონდეთ**

ქართველთმცოდნეობის ცენტრის თბილისში გადატანის პროტენზია. ისინი ამტკიცებენ, რომ ქართველთმცოდნეთა მთელი რიგი მუშაობდა და მუშაობს მითითებულ კოლექციებზე პეტროგრადში და ქართველი მეცნიერები დანაშაულს ჩადიან, როცა შლიან პეტროგრადის მუშაობას. ოლდენბურგმა გამომიცხადა, რომ ისინი ამჯერად გამოვლენ ფაქტებით, დოკუმენტებით და ციფრებით ხელში და მოსამზადებელ ვადად ითხოვა ერთი თვე. აუცილებელია თქვენც მოამზადოთ ორი წევრი იმ განზრახვით, რომ ერთმა შეძლოს დროებით აქ დარჩენა საექსპერტო და ტექნიკური მუშაობისათვის. თქვენგან წარმოდგენილი კანდიდატები ხელისუფლების მიერ უნდა იყონ დამტკიცებულნი. კომისიის მუშაობის დროზე ტელეგრაფით შეგატყობინებთ, დაწვრილებით კი წერილში.

III თავი

მცხეთასა და ნაქალაქევაში ამერიკელ არქეოლოგთა არშემდგარი ექსპედიცია

3.1. საკითხის ისტორიისათვის

ქართული უნივერსიტეტის დაარსებასა და ქართული მეცნიერების განვითარების პერსპექტივებთან მჭიდრო კავშირშია ნ. მარის მორიგი ოფიციალური წერილი იმ ქართველ მეცნიერთა წინააღმდეგ, რომელთაც სურდათ მცხეთასა და ნაქალაქევაში არქეოლოგიური გათხრების დაწყება.

1923 წლიდან, საქართველოში პირველი მძლავრი ჰიდროელექტროსადგურის - ზაჰესის მშენებლობასთან დაკავშირებით, მეცნიერთა წინაშე მწვავედ წამოიჭრა მცხეთის არქეოლოგიური შესწავლის საკითხი; დაყოვნება მართლაც არ შეიძლებოდა: დაწყებული მშენებლობის დასრულების შემდეგ მოსალოდნელი იყო ისტორიული ტერიტორიის წყლით დაფარვა, რაც შეუძლებელს გახდიდა მიწაში დამარხული „დიდი კულტურული განძეულის“ (ივ. ჯავახიშვილი) მოპოვებას. ამ თემას ეხება ივ. ჯავახიშვილის ფონდში დაცული წერილები, რომელთაც შემოგვინახეს 1924 წლის მარტში პროფ. ნიორამის ხელმძღვანელობით მცხეთაში მიმდინარე არქეოლოგიური გათხრების ამსახველი მასალები (ჯავახიშვილი 2098, 2099).

მცხეთის არქეოლოგიური გათხრების საკითხი არანაკლებ აღელვებდა ემიგრაციაში მყოფ ქართველებს, რომლებიც მთელი თავიანთი შეგნებული ცხოვრებით დაკავშირებულნი იყვნენ სამშობლოს ბედთან. ასეთად შეგვიძლია დავასახელოთ პროფ. ზურაბ ავალიშვილი - მკვლევარი და პოლიტიკოსი⁵⁵. ორიოდე სიტყვით,

⁵⁵ დროებითი მთავრობის ემიგრაციაში წასვლის პირველივე დღეებში, ზ. ავალიშვილი ე. თაყაიშვილთან ერთად მონაწილეობდა 4 წევრისაგან შემდგარ კომისიაში, რომელმაც აღნუსხა საფრანგეთში გატანილი

მასზე შეეჩერდებით, რადგან იგი უშუალოდ იყო ჩართული აღნიშნულ გათხრებთან დაკავშირებულ მოვლენებში:

ზ. ავალიშვილის სამეცნიერო შემოქმედება პეტერბურგის უნივერსიტეტთან იყო დაკავშირებული, რასაც ნ. მარისა და ივ. ჯავახიშვილის პირადი მიმოწერაც მოწმობს. ნ. მარი უარყოფითად იყო განწყობილი ზ. ავალიშვილის მიმართ; კერძოდ, 1901 წლის 25 ნოემბრის წერილში მკაცრად გააკრიტიკა მისი ახალი გამოცემული ისტორიულ-სამართლებრივი ხასიათის ნაშრომი: „საქართველოს შეერთება რუსეთთან“. ნ. მარი წერს:

„...ახლა კიდევ ავალოვის წიგნის შესახებ. რა ვქნა, არ მომწონს. ძალიან მწყინს, რომ არ მომწონს, რადგან **თქვენგანაც და სხვათაგანაც კარგის მეტი არა მსმენია რა მის შესახებ**, და თან სწორედაც მიტომ არ მომწონს, კარგისაგან კარგს, ნამდვილ მეცნიერულს ველოდი, ეგ კი გრძელი, ვრცელი ფელეტონია. აგეთია ჩემი შთაბეჭდილება. ჩემი აზრი პირველი ნახევრისგან წიგნის...“ (მარი, ჯავახიშვილი, 1996, 14).

ნ. მარს 1902 წლის 4 იანვრის წერილი დაუწერია ზ. ავალიშვილის წიგნის შესახებ ივ. ჯავახიშვილის დასაბუთებული წერილობითი აზრის გაცნობის შემდეგ. იგი აღშფოთებას ვერ მალავს ნაშრომის ავტორის „შეუნიღობელი სტრიქონების“ გამო, რომლებსაც ივ. ჯავახიშვილის „თაყვანისცემა“ დაემსახურებინა (მარი, ჯავახიშვილი, 1996, 20-21).

მიმოწერიდან აშკარად ჩანს (და ივ. ჯავახიშვილის მიერ მოწონებული ნაშრომიც გვარწმუნებს), რომ „ევროპული ორიენტაციის“ ზ. ავალიშვილსა და რუსეთის იმპერიის იდეოლოგიური სქემების მხარდამჭერ ნიკო მარის პოზიციათა შორის „პრინციპიალური“ განსხვავებაა; შესაძლოა, ამ ფაქტმა გარკვეული როლიც ითამაშა მცხეთის არქეოლოგიურ გათხრებთან დაკავშირებულ მოვლენებშიც.

საქართველოს განძი (სულ 39 ყუთი) და, დროებითი მთავრობის გადაწყვეტილებით, შესანახად ჩააბარა საფრანგეთის ბანკის მარსელის განყოფილებას (ამირანაშვილი 1968, 7-8).

ხელნაწერთა ეროვნულ ფონდში დაცულია ზ. ავალიშვილის წერილები ივ ჯავახიშვილისადმი საქართველოში ამერიკელი არქეოლოგების ჩამოყვანასთან დაკავშირებით. როგორც მოძიებული მასალიდან ირკვევა, მას აღნიშნულ თემაზე პირველი წერილი 1923 წლის 4 დეკემბერს გამოუგზავნია ივ. ჯავახიშვილისათვის, თუმცა პასუხი არ მიუღია. ზ. ავალიშვილმა განმეორებით 1924 წლის 16 თებერვალს მოსწერა ივანეს პარიზიდან, რომ დაახლოვებოდა მესოპოტამიაში, ეგვიპტესა და პალესტინაში „საარქეოლოგიო მუშაობით“ ცნობილ პენსილვანიის (ამერიკა) უნივერსიტეტთან დაკავშირებულ პირს. მოვლენების დადებითად განვითარების შემთხვევაში, არქეოლოგიური ექსპედიცია თბილისის უნივერსიტეტის მფარველობის ქვეშ უნდა ჩატარებულიყო; ამ უკანასკნელს ნებართვა უნდა აეღო საქართველოს მთავრობისაგან, რადგან ფორმალურ მხარეს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. წერილის ბოლოს ავტორი ადრესატს სთხოვდა, არ გაეხმაურებინა ეს საქმე (ალბათ, მოსალოდნელ ხელისშემშლელ გარემოებათა თავიდან აცილების მიზნით) და არც დაეყოვნებინა (ჯავახიშვილი 1588).

ივ. ჯავახიშვილს 30 აპრილს პასუხი გაუგზავნია ზ. ავალიშვილისთვის, რასაც ამ უკანასკნელის მორიგი, 20 მაისის წერილი მოწმობს. აღნიშნული დოკუმენტიდან ჩანს, თუ როგორ იბრძოდა ივ. ჯავახიშვილი ემიგრაციაში მყოფ ეროვნულ ძალთა შემოკრებისათვის ქართულ უნივერსიტეტში; კერძოდ, ზ. ავალიშვილი მადლობას სწირავს ივ. ჯავახიშვილსა და შ. ნუცუბიძეს, რომ ზრუნავენ მისი საქართველოში დაბრუნებისა და უნივერსიტეტში დასაქმებისათვის, თუმცა თავად ამას შეუძლებლად მიიჩნევს ამერიკელთა ექსპედიციის საკითხის გარკვევამდე - ამ საქმით დაინტერესებულმა უცხოელებმა მას მაისის პირველ რიცხვებში შეატყობინეს, რომ სურვილი ჰქონდათ, სექტემბერში საქართველოსკენ გამომგზავრებულყვნენ.

ამერიკელ მეცნიერებთან დაკავშირებით, ზ. ავალიშვილი მიუთითებდა, რომ ეს იყო არა ნამდვილი საარქეოლოგიო ექსპედიცია, არამედ - „ერთნაირი წინასწარი ნიადაგის გამოკვლევა“. სავარაუდოდ,

ივნისის დამდეგს იყო მოსალოდნელი ამერიკელთა საბოლოო პასუხი (ჯავახიშვილი 1589).

ჩვენთვის საყურადღებოა წერილის ავტორისეული დაკვირვება არქეოლოგიური ექსპედიციის მხარდამჭერ და ხელისშემშლელ მომენტებზე; მაგ., ზ. ავალიშვილის აზრით, დაწყებულ საქმეს ბევრად წაადგებოდა საბჭოთა წარმომადგენლობის გახსნა პარიზში, თუმცა შეაფერხებდა ამერიკის მიერ „საბჭოთა არცნობა“; ასევე - „მოსკოვის მთავრობის ერთნაირი თანხმობის საჭიროება“, განსაკუთრებით თუ რუსეთის აკადემიის დასკვნა დასჭირდებოდათ.

აღსანიშნავია, რომ ემიგრაციაში მყოფი ქართველი მოღვაწე ზედმიწევნით ერკვევა ახალშექმნილი საბჭოთა იმპერიის შინაურ ატმოსფეროში; ვგულისხმობთ მეცნიერებათა აკადემიის დასკვნისა და (მოსკოვის) მთავრობის პასუხის ურთიერთდამოკიდებულებას, ანუ საბჭოთა სტრუქტურის სამეცნიერო და პოლიტიკური ინტერესების სრულ შესაბამისობას. ვერც იმას გამოვრიცხავთ, რომ საბჭოთა პოლიტიკოსებს, რომლებიც საგანგებოდ მუშაობდნენ სხვა ეროვნების წარმომადგენელთა შორის განსხვავებული პრივილეგიურობით გამორჩეულ ქართველ ემიგრანტთა დაქსაქსვასა თუ „შემორიგებაზე“ (ვაჩნაძე, გურული 2004, 326-329), ყურადღების მიღმა დარჩენოდათ ზურაბ ავალიშვილის ეროვნული ინტერესები.

ზემოაღნიშნულ გათხრებთან დაკავშირებით, უნივერსიტეტმა, განათლების სახალხო კომისარიატის შუამდგომლობით, საქართველოს ბოლშევიკური მთავრობის წინაშე აღძრა საკითხი. **საქართველოს სახალხო კომისარიატის საბჭომ, „კომპარტიის ცეკას დასტურით“, მიიღო დადებითი გადაწყვეტილება.** რჩებოდა ბოლო ეტაპი: საქართველოს საბჭოთა ხელისუფლებას დასტური უნდა მიეღო ცენტრალური ხელისუფლებისგან და ამერიკელი არქეოლოგებისათვის საქართველოში ჩამოსვლის ნებართვა უნდა მიეცა საკავშირო საგარეო საქმეთა კომისარიატს.

3.2. ნ. მარის ამერიკელ არქეოლოგთა წინააღმდეგ.

ნ. მარის მხარდაჭერი პოლიტიზებული პუბლიკაცია

მცხეთასა და ნაქალაქევში ამერიკელ არქეოლოგთა ექსპედიციის შესახებ ინფორმაციის პრესაში გახმაურებისთანავე დაიბეჭდა მეცნიერებათა აკადემიის მატერიალური კულტურის ისტორიის ინსტიტუტის **დირექტორის - აკად. ნიკო მარის საპროტესტო განცხადება**, რომელშიც მან ქართველ მეცნიერებს კვლავ საჯაროდ მიაყენა შეურაცხყოფა; ქართველ მეცნიერთა ეს ახალი წამოწყება **„დაუჯერებლად ბარბაროსულ ღონისძიებად“** შეაფასა.

ამერიკელ არქეოლოგთა ექსპედიცია, ბუნებრივია, ჩაიშალა. ნ. მარს სხვა დროსაც გამოუყენებია თავისი გავლენა ქართველ მეცნიერთა ინიციატივისა თუ კვლევის წინააღმდეგ. მოგვიანებით (1930 წლის 20 აგვისტოს) ამაზე მეტყველებს ლ. მუსხელიშვილის წერილიც ივ. ჯავახიშვილისადმი, რომელშიც ვკითხულობთ:

„...არხეოლოგების იმედი კი ცოტაა თუ მივიღეთ მხედველობაში ნ. მარის პოზიცია. საცა ა. შანიძის ექსპედიციას დაადო ყადაღა, აქაც ეცდება თავისი ხალხი ჩააყენოს. ალბათ ხელიც მიუწვდება“ (ჯავახიშვილი 2044, 2).

ამკარაა, რომ ნ. მარმა თავისი საზოგადოებრივი მდგომარეობა და პოლიტიკური გავლენა ქართველ მკვლევართა გადაწყვეტილების, მათი არჩევანის საწინააღმდეგოდ გამოიყენა და მცხეთის არქეოლოგიური გათხრების საკითხი თბილისის უნივერსიტეტის მიმართ პოლიტიკური დაპირისპირების თემად აქცია.

ნ. მარს საჯაროდ მხარი დაუჭირა საბჭოთა იმპერიის ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ.

მეცნიერებათა აკადემიისა და ხელისუფლების ინტერესთა სრულ თანხმობაზე მეტყველებს ცენტრალურ პრესაში, კერძოდ, 1924 წლის 2 ივლისის „ზარია ვოსტოკასა“ და „კომუნისტში“ **„ჩვენის“** ფსევდონიმით დაბეჭდილი წერილი: **„პროფესორი, რომელმაც სთქვა სიმართლე შოვინისტ პროფესორებზე“**. ავტორმა, არაენათმეცნიერმა (როგორც თავად შენიშნა), დასაწყისში მოკლედ მიუთითა ნ. მარის დამსახურება იაფეტური (კავკასიასა და პირინეის ნახევარკუნძულზე გავრცელებული) ენების კვლევაში, მთავარი ყურადღება დაუთმო მის „მვირფას“ „საბჭოთა მეცნიერად“ წარმოჩენას და ეს გააკეთა ქართველ პროფესორთა დაუმსახურებელი ლანძღვის ფონზე („ჩვენი“ 1924, 1).

თავისი ჩანაფიქრის განსახორციელებლად, ავტორმა თავიდანვე გამოკვეთა ნ. მარის თეორიის მარქსიზმის პრინციპებთან სიახლოვე და ბურჟუაზიულ იდეოლოგიასთან დაპირისპირებულობა. მან მსჯელობა დაახლოებით ასე განავითარა:

ა) ნ. მარმა, რომელიც „არ იცნობდა მარქსიზმს“, თავისი მეცნიერული დასკვნით ერთხელ „კიდევ დაადასტურა ეკონომიური მატერიალიზმის სისწორე და მარქსისტული მეთოდის ხმარების ნაყოფიერება მეცნიერების ახალ დარგში (ფილოლოგია-ენათმეცნიერება)“, სადაც „მეცნიერ-მარქსისტებს ჯერ კიდევ არ ემუშავათ“;

ბ) ნ. მარის დამსახურება და მეცნიერული აღმოჩენა არ გაიზიარეს „გაბატონებულ კლასების“, „იმპერიალიზმის და ეროვნულ კარჩაკეტილობის“ იდეოლოგიაში „ცოტად თუ ბევრად ჩაფლულმა“ „ბურჟუაზიულმა მეცნიერებმა“. აქ ავტორი ორ ქვეჯგუფს განიხილავს:

I. „ევროპის მეცნიერები“, რომელთაც „ზრდილობა“ აღმოაჩნდათ - „არ დაუწყიათ მარის წინააღმდეგ შუღლის თესვა“; მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში აღნიშნავდნენ, რომ ნ. მარის შრომას ჰქონდა უფრო „ბრიყვული, ვიდრე მეცნიერული ინტერესი“ (ევროპელთაგან საბჭოთა მეცნიერის ასე დამცირებას ავტორი დიდად არ გაუღიზიანებია, რამდენადაც ეს „ბურჟუაზიული იდეოლოგიის“ ტიპურ გამოვლინებად ჩათვალა - ი.ვ. ტ.ფ.);

II. ქართველი მეცნიერები, რომელთაც ბოიკოტი გამოუცხადეს „მსოფლიო მასშტაბით განთმულ მეცნიერს“; არ მისცეს უნივერსიტეტში ლექციების წაკითხვის ნება (იხ. ივ. ჯავახიშვილის 1923 წლის 7 დეკემბრის წერილი ნ. მარისადმი - მარი, ჯავახიშვილი 1996, 37-39) და თავადაც „დემონსტრაციულად“ არ დაესწრნენ თბილისში ჩამოსული აკადემიკოსის საჯარო ლექციას, რადგან ამ უკანასკნელმა, „რადაც მიზეზით“, „არა სავსებით პატივისცემით მოიხსენია“ ქართველი პროფესორები და მათ „სამოქალაქო სიმამაცეს“ **„ზოოლოგიური შოვინიზმი“** უწოდა (იხ. ზემოთ ნ. მარის 1923 წლის 26 მარტის საპროტესტო წერილი).

წერილის ავტორმა დაუფარავი აგრესია გამოავლინა ქართველი პროფესორებისადმი; უწოდა „პროვინციალურ რუტინიორებაში და ეროვნულ კარჩაკეტილებაში ჩაფლული

ადამიანები⁵⁶, „პროფესორულ ნაციონალიზმის ტროგლოდიტები“, „დახვსებული, სასიკვდილოთ განმზადილი ხალხი“, რომელთა ადგილიც მხოლოდ „სიძველეთა მუზეუმში“ შეიძლება ყოფილიყო (ე.წ. სიძველეთა მუზეუმი, რომელშიც თავმოყრილი იყო იშვიათი ქართული ხელნაწერები და სხვა ისტორიული მასალა, უნივერსიტეტის ამჟამინდელი პირველი კორპუსის მესამე სართულზე მდებარეობდა. სამწუხაროდ, საბჭოთა რეჟიმის იდეოლოგებმა შესიტყვება „სიძველეთა მუზეუმი“ „მშრომელთა მასისგან“ „მავნებლების“ იზოლაციისათვის გამოიყენეს).

წერილის ავტორის განსაკუთრებული გაღიზიანება გამოიწვია ქართველ მეცნიერთა ნაციონალურმა ტენდენციებმა, მათ მიერ ეროვნულ ფასეულობათა წინ წამოწევამ, როცა, ავტორის მტკიცებით, „კულტურული ღირებულებებისათვის“ არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა, „რამდენი ეროვნული ხიშტი იცავდა მათ“. ამ ფონზე, წერილის ავტორმა ხაზგასმით აღნიშნა ნ. მარის უპირატესობა - ეს უკანასკნელი „იმპერიალისტურ და ნაციონალისტურ ცრუმორწმუნეობის გადალახვით“ „გზას უკავავდა იმ აზრს მეცნიერებაში, რომელიც ახლოს იყო საბჭოთა ხელისუფლებისა და კომპარტიის პოლიტიკურ მსოფლ-მხედველობასთან“. ბუნებრივია, სწორედ ეს „სიახლოვე“ გახდა საფუძველი საბჭოთა მეცნიერების საწყის ეტაპზე ნ. მარის აღზევებისა. ამას ადასტურებს ავტორის მომდევნო სტრიქონები:

„მარმა თავისი მოღვაწეობით ქართველი ხალხის ცოდნის საგანძურს შემატა გაცილებით მეტი, ვიდრე... ათეულმა ქართველმა პროფესორმა, რომელთაც რამდენიმე ათეული შარვალი გაცვითეს,

⁵⁶ მსგავსი გამონათქვამები ხშირია თანამედროვე ფსევდოლიბერალების პუბლიკაციებშიც; მათი სახით დღევანდელ საქართველოშიც აქტიურობენ ე.წ. "ზეეროვნული" "იდეალების" მქონე ჯგუფები, რომლებიც, „თავისუფლებისა“ და „დემოკრატიის“ ლოზუნგებით შენიღბულნი, დაუნდობლად ებრძვიან მეცნიერულ ქართველოლოგიას, აკნინებენ ქართულ ენას და მარგინალურად აცხადებენ ქართულ კულტურას; ნებისთ თუ უნებურად ისინი ებრძვიან ქართულ ეროვნულ ცნობიერებას და ცდილობენ, დაანაწევრებულად წარმოადგინონ ქართველი ერის ენობრივ-ეთნიკური ერთობა (რაც, საბოლოო ჯამში, გამოიწვევს საქართველოს გაქრობას ეთნიკური თუ პოლიტიკური რუკიდან).

წიკითხეს ასეული წიგნები და ვერ გამოსთქვეს ვერც ერთი ცოცხალი აზრი“ („ჩვენი“ 1924, 1).

წერილის ავტორის პოზიციით, ქართველ მეცნიერებთან დაპირისპირებაში „მარის ფიგურამ კიდევ მოიგო“ - გამოირკვა, რომ იგი „არ არის შოვინისტი და ჰკიცხავს ყოველ შოვინისტს, თუნდაც ესენი იყონ ქართული უნივერსიტეტის პროფესორები“; თითქოს, ამ უკანასკნელებმა ნ. მარის საწინააღმდეგო „სამარცხვინო საქციელში“ მონაწილეობით დაამტკიცეს, რომ „მათ დასახასიათებლად სიტყვები „ზოოლოგიური შოვინიზმი“ ძალიან რბილად იყო ნათქვამი“.

ავტორმა წერილი დაასრულა მუქარით; კერძოდ, მან მიმართა საქართველოს სახალხო განათლების კომისარიატს, „დაენახვებინა პროფესორებისათვის“, რომ საქართველოში არა - მათი („დახვსებულ პროფესორების“), არამედ „რევოლიუციონურ მუშათა“ დიქტატურა იყო („ჩვენი“ 1924, 1).

ცენტრალურ პრესაში გახმაურებული ზემოაღნიშნული პუბლიკაცია თავისი ტენდენციური შეფასებებით სახელმწიფო პოლიტიკის ნაწილს წარმოადგენს. მასში მკაფიოდაა გამოხატული ხელისუფლების პოზიციის ორი ასპექტი:

ა) მხარდაჭერა ბოლშევიკური იდეოლოგიის სამსახურში მყოფი მეცნიერისა, რომელიც თავის გამოსვლებში ქართულ მეცნიერულ სიახლეებს არ „სწყალობდა“ და უნივერსიტეტის პროფესორთა ღირსების შეურაცხყოფით ქართული საქმის მოწინააღმდეგეებს აძლიერებდა. ასეთ ადამიანს შეეძლო არა მხოლოდ მხარდაჭერა მოეპოვებინა მმართველი წრეებისაგან, არამედ გარკვეული „კორექტივაც“ შეეტანა მათ მიერ შემუშავებულ კურსში. ამის მაგალითია, ნ. მარის ჩარევით, მცხეთის ზემოხსენებულ არქეოლოგიურ გათხრებზე საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების გაუქმება ან თუნდაც, ხელნაწერების გადაცემასთან დაკავშირებით - საქართველოსა და რუსეთის მთავრობათა შორის შეთანხმების დაბრკოლება და, ნაწილობრივ, ჩაშლა (იხ. ზემოთ);

ბ) აშკარა ომის გამოცხადება უნივერსიტეტში თავმოყრილ ეროვნული მეცნიერებისა და კულტურის მუშაკთა წინააღმდეგ; წინაპირობების შექმნა სამომავლოდ მათი დევნა-შევიწროებისათვის. იხ. საარქივო მასალები (ვაჩნაძე, გურული, 2004; საარქივო მოამბე, N 10, 2011).

3.3. ივ. ჯავახიშვილის მოქალაქეობრივი გამბედაობა 1924 წელს

მიუხედავად ამკარა თუ ფარული პოლიტიკური ზეწოლისა, ივ. ჯავახიშვილმა მოქალაქეობრივი გამბედაობა გამოავლინა, როცა გადაწყვიტა, საზოგადოებისათვის სიმართლე ეთქვა ნ. მართან დაპირისპირების შესახებ. მან, ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამგეობის სახელით, საპასუხო წერილი მოამზადა.

ივ. ჯავახიშვილი თავიდან მსჯელობს „ჩვენის“ ფსევდონიმით დაბეჭდილ წერილზე და აბათილებს ავტორის უსამართლო ბრალდებებს ქართველ მეცნიერთა წინააღმდეგ. იგი მიუთითებს ორ მიზეზზე, რომლებმაც განაპირობა ნ. მართან „ყოველგვარი დამოკიდებულების“ შეწყვეტა, „მით უმეტეს, მეცნიერული შემოქმედების ნიადაგზე“:

ა) ნ. მარის პროტესტი ქართული ხელნაწერების საქართველოში დაბრუნებასთან დაკავშირებით, ასევე - მისი შეურაცხმყოფელი ფრაზები ჩვენი ქვეყნისა და საზოგადოების მისამართით (იხ. ზემოთ);

ბ) ქართველ მეცნიერთა ხელმძღვანელობითა და თანამშრომლობით, პენსილვანიის უნივერსიტეტის არქეოლოგიური ექსპედიციის ჩაშლა მცხეთასა და ნაქალაქეში, როცა უახლოეს მომავალში არ ჩანდა სათანადო თანხები გათხრების სრულყოფილად ჩატარებისათვის (სუიცა 471-1, N 136, ფ. 22-23) და, ასეთ შემთხვევაში, ამერიკელ არქეოლოგთა შემოთავაზება (რომ საკუთარი ხარჯებით განახორციელებდნენ ამ უაღრესად საშურ საქმეს), უდავოდ ანგარიშგასაწევი იყო.

ივ. ჯავახიშვილი თვლის, რომ ნ. მარს შეეძლო „ადამიანური დამოკიდებულება დაემყარებინა და მოქცეულიყო ისე, როგორც იქცევა ყოველი პატიოსანი ადამიანი, უკან წაეღო თავისი შეურაცხყოფა და ბოდიში მოეხადა“, თუმცა ეს „არ ინება“.

ივ. ჯავახიშვილი ასევე ამხელს „ჩვენის“ ფსევდონიმით დაწერილი წერილის ავტორს, რომელიც ნ. მარით „უშვერი სიტყვებით“ ლანძღავს ქართველ მეცნიერებს და მათ დაკნინებას

ცდილობს მკითხველის თვალში, თუმცა გულში თავადაც არ სჯერა „თავისი სიტყვების სიმართლე“ (სუიცა 471-1, N 136, ფ. 26).

ბოლშევიკური სისხლიანი აგრესიის პერიოდში დიდი მოქალაქეობრივი გამბედაობით დაწერილ ამ წერილში ივ. ჯავახიშვილმა **ამხილა** როგორც ქართული კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებებისადმი მტრულად განწყობილი მეცნიერი - ნიკო მარი, ასევე - მისი პოლიტიკური მხარდამჭერი ხელისუფლება, რომელმაც მომდევნო წლებში კიდევ უფრო გაამძაფრა ბრძოლა ივ. ჯავახიშვილის, ქართული უნივერსიტეტის ეროვნულად განწყობილი პროფესორისა და საკუთრივ ქართული უნივერსიტეტის წინააღმდეგ⁵⁷.

⁵⁷ 1912 წელს აკადემიკოსად არჩევის გამო რადიკალურად შეცვლილი ნ. მარის მხილებისათვის იხ., აგრეთვე: **ივ. ჯავახიშვილი**, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, თბ., 1992, 53-54):

"1908 წელს ნ. მარი ამბობდა, რომ იაფეტურ ენათა შტოს საუკეთესო და დამახასიათებელ წარმომადგენლად "ქართულსა და მასთან მძურად დაკავშირებულ ცოცხალ კილოკავებს გარდა, ესე იგი ეგრეთ წოდებულ ქართველსა და იბერთა ჯგუფის (უკეთ რომ ითქვას, ქართველსა, იბერთა [იგულისხმება მეგრულ-ჭანური] და სვანთა ჯგუფებს) გარდა, მკვდარი ენებიც შედიან"-ო (ნ. მარი, 1908, გვ. 1). მაშასადამე, იმ დროს, როდესაც თავისი თეორიის ძირითადი დებულებანი პირველად გამოაქვეყნა, ნ. მარისთვის მეგრული, ჭანური და სვანური ქართული ენის "მძურად დაკავშირებული ცოცხალი კილოკავები", დიალექტები იყო მხოლოდ... ნ. მარის ზემომოყვანილი დებულების შემდგომ, მკითხველი სამართლიანად იქნება გაოცებული, რადგანაც მისსავე 1912 წ. საჯაროდ წარმოთქმულსა და დაბეჭდილ სიტყვაში: "კავკასია და სულიერი კულტურის ძეგლები" იმავე ავტორის ამგვარ მსჯელობას შეხვდება: "ქართველთმცოდნენი, **ქართულ ნაციონალურ შეხედულებაზე დამყნობილნი**, უგულებელს ჰყოფდნენ მთელ რიგს ქართულის, თუმცა მონათესავე, მაგრამ დამოუკიდებელ ენებს, როგორც მაგ., სვანურს, მეგრულს, ჭანურს და მათ ქართულის "დამახინჯებულ" თქმად ანუ დიალექტად სთვლიდნენ"-ო... ავტორს დავიწყებია, რომ ამგვარივე "ნაციონალისტური" შეხედულება მასაც ჰქონდა და 1905 და 1908 წლებში **"მეგრული, ჭანური და სვანური მასაც ქართულის ცოცხალ კილოკავებად მიაჩნდა...** 1915 წელს კი წერდა: ქართველებს, მეგრულ-ჭანებს და სვანებს

მესამე თავში გაანალიზებული დოკუმენტური მასალა

ა) ზ. ავალიშვილის წერილები ივ. ჯავახიშვილისადმი ამერიკელებთან მოლაპარაკების შესახებ საქართველოში არქეოლოგიური გათხრების წარმოებასთან დაკავშირებით:

16 / II- 1924, პარიზი - თბილისი

(ივ. ჯავახიშვილის ფონდი N 1588)

4 დეკემბერს 1923 წ. გამოგიგზავნეთ წერილი, რომელზედაც პასუხი დღემდის არ მიმიღია. ვფიქრობ, რომ წერილმა თქვენამდ ვერ მოაღწია. ამისათვის გიგზავნით წერილის ასლს და გთხოვთ პასუხი რაც შეიძლება მალე მაცნობოთ.

ასლი: კარგი ხანია რაც ზოგიერთ ჩემ ამერიკელ ნაცნობებთან მქონდა მსჯელობა იმის შესახებ, თუ რამდენად სასურველი იყო რომ მათ მეცნიერებს მონაწილეობა მიეღოთ საქართველოს სიძველეთა გამოკვლევაში. მხედველობაში მქონდა განსაკუთრებით საარქეოლოგო ძიება-თხრა. ხანგრძლივი მოლაპარაკების და მიწერ-მოწერის შემდეგ მე ეხლა მხედველობაში მყავს ერთი პირი, რომელსაც სურს შეუდგეს საარქეოლოგიო მუშაობას ნაქალაქევი / ადგილი არ იყო ჩემ მიერ აღნიშნული/. ეს პირი დაახლოვებულია პენსილვანიის უნივერსიტეტთან და ჩვენ ვცდილობთ ამ საქმით დავაინტერესოთ ხსენებული უნივერსიტეტი, რომელიც ძალიან ცნობილია თავისი

ენობრივად და ტომობრივად იმგვარივე დამოკიდებულება აქვთ, როგორც რუსებს, პოლონელებსა და ჩეხებს...".

ივ. ჯავახიშვილის წარმოდგენილი ციტატიდანაც ნათლად ჩანს, რომ ამ თემის პოლიტიზება 2000 წელს არ დაწყებულა /როგორც ამას ზოგი აცხადებს და ცდილობს, შეცდომაში შეიყვანოს თანამედროვე საზოგადოება/; **2000 წელს ენათმეცნიერთა ერთმა ჯგუფმა** /ტ. ფუტკარაძე, თ. გვანცელაძე, მ. ტაბიძე, რ. შეროზია, ე. დადიანი, ი. ვაშაკიძე, მ. მიქაუტაძე.../ **დაიწყო იმპერიის მიერ პოლიტიზებული ამ საკითხისადმი მეცნიერული მიდგომის აღორძინება.**

საარქეოლოგიო მუშაობით მესოპოტამიაში, ეგვიპტეში და პალესტინაში. საეჭვოა, რომ ამ მიზანს დღევანდელ პირობებში მივაღწიოთ, მაგრამ ამნაირმა წინასწარმა პროპაგანდამ შემდეგში, შეიძლება ნაყოფი მოიტანოს.

ჯერ ჯერობით კი განზრახულია, ასე ვთქვათ, წინასწარი თხრა-კვლევა ნაქალაქევი. ამ ცდაზე დამოკიდებული იქნება მომავალი უფრო ფართო მუშაობა ამერიკელებისა ამ დარგში. მაგრამ ნაადრევია იმაზე წერა, რაც შემდეგში უნდა მოხდეს. ამ ჟამათ მე მხედველობაში მაქვს მხოლოდ ერთი პატარა საარქეოლოგიო ექსპედიცია, რომლის მიზანი იქნება: არქეოპოლისის ნაშთების გამოკვლევა ნაქალაქევის ნანგრევებში.

ჩვენის აზრით, ხსენებული ექსპედიციის მუშაობა უნდა სწარმოებდეს საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტის მფარველობის ქვეშ. სასურველია, რომ თავიდანვე დამყარდეს მჭიდრო კავშირი ამ ექსპედიციის შემადგენლების და ჩვენ უნივერსიტეტის შორის, რაც შემდეგისათვისაც კარგი იქნება.

ჩემი უმორჩილესი თხოვნაა, შემატყობინოთ რაც შეიძლება მალე /ფილადელფიაში გადასაცემათ/ შემდეგი: შესაძლებლათ მიგაჩნიათ თუ არა, რომ საქართველოს უნივერსიტეტმა იკისროს ზემოხსენებული მუშაობის პატრონობა? შეძლებს თუ არა უნივერსიტეტი სათანადო ნებართვის აღებას საქ. მთავრობისაგან? ამ ფორმალურ მხარეს დიდი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან ეს ამერიკელები მხოლოდ მაშინ წავლენ საქართველოში სამუშაოთ, როცა ამ ნებართვას მიიღებენ. ვფიქრობ, ამ საქმის მოგვარება განათლების კომისარიატში თქვენთვის ადვილი იქნება. თუ რაიმე სხვა დამაბრკოლებელი მიზეზები არსებობენ, რომლებიც მე აქ სიშორის გამო ნათლად არა მაქვს წარმოდგენილი, გთხოვთ მაცნობოთ. თუმცა ჯერ ნაადრევია ამაზე ლაპარაკი, მაგრამ მაინც ფრიად სასურველათ მიმაჩნია ვიცოდეთ თქვენი აზრი იმის შესახებ თუ რამდენათ მოსახერხებელი /ნებართვის მხრივ/ იქნება ამოთხრილი საგნების ნაწილის ამერიკაში გაზიდვა. ასეთი დაიმედოვნება ამ ხალხისა, მე მგონია, მიზანშეწონილი იქნებოდა.

რადგან ჯერ-ჯერობით ლაპარაკია მხოლოდ ცდაზე, ამიტომ საკმარისი იქნება მხოლოდ მთავარი საკითხების გამოკვლევა /უნივერსიტეტის პატრონობა, ნებართვა და სხვა /.

თუ ამნაირი პატარა ექსპედიცია - საწინასწარო გამოკვლევებისთვის - მოხერხდა და რიგიანათ ჩაიარა, ეს დიდი იმედი იქნება მომავლისათვის, და მე მგონია, რომ საქართველოს უნივერსიტეტი ისარგებლებს ამით.

ფრიად საჭიროა, ზემოხსენებულის შესახებ ფართო საზოგადოებაში ხმა არ გავრცელდეს. მხოლოდ თქვენ და იმ დაწესებულებამ, რომელიც ამდაგვარ საკითხებს განაგებს, უნდა იცოდეთ ეს და სხვამ კი არავინ. ცხადია რომ ამ საქმეში არც პოლიტიკა და არც კაცთა მოყვარეობა ურევია. დასახულია მხოლოდ და მხოლოდ არქეოლოგიური, მეცნიერული მიზანი. შესაძლებელია ერთი ამერიკელი მხატვარიც წამოვიდეს. მეშინია, ბევრმა არ გაიგოს, აურ ზაური საკითხის გარშემო არ ატყდეს და საქმე არ გაფუჭდეს. ამ ამერიკელებს ქონდათ განზრახული შედგომოდენ ადგილობრივ მუშაობას მომავალ (1924) გაზაფხულს. თუ ჩემ მიერ წამოყენებული საკითხები თქვენთვის მისაღებია, გთხოვთ თქვენი პრინციპიალური პასუხი დეკემბრით მაცნობოთ. წერილობრივ კი დაწვრილებით მაცნობეთ თქვენი აზრი. ასლი წერილისა გამოუგზავნეთ ბ-ნ გ. ნანეიშვილს. რომელიმე ჩვენთაგანი მიიღებს თქვენ პასუხს. ღრმა პატივისცემით ზ. ავალიშვილი.

P.S. მეშინია, დაგვიანების გამო არ შეფერხდეს კარგათ დაწყებული საქმე! - გარდა ზემოაღნიშნული მიწერ-მოწერისა, სულ სხვა პირები (ისევ ამერიკაში, ქრისტიანულათ განწყობილ წრეებში) დავაინტერესე თქვენგან აღმოჩენილი პალიმპსესტებით. სასურველია თუ არა, რომ უნივერსიტეტმა მიიღოს ნივთიერი დახმარება იმ ძველი ვერსიების გამოსაქვეყნებლად? თუ კი ამნაირი დახმარების წინააღმდეგი არ ხართ, გთხოვთ თქვენი თანხმობა მაცნობოთ დეკემბრით. გარდა ამისა, შემატყობინეთ, დაახლოვებით, რა თანხა დაგჭირდებათ (დოლარები):

- a) ტექსტების აღდგენისათვის: წაკითხვა, ქიმიური დამუშავება etc.
- b) დაბეჭდვა, სანიმუშო fac-simile-ებით და სხვა (ქართული გამოცემა);
- c) თქვენგან შედგენილი ქართული პალეოგრაფიის სახელმძღვანელოს დაბეჭდვა რა დაჯდება.

თუკი ქართულ ახალ ვერსიებს რაიმე მნიშვნელობა ექნება - სადმთო წერილის (უფრო სახარების) ისტორიისათვის, მაშინ ეს ამერიკელები სიამოვნებით ინგლისურ თარგმანსაც გამოაქვეყნებენ.

მაგრამ პირველ ყოვლისა, უნდა ვიცოდეთ: თანახმაა თუ არა უნივერსიტეტი, რომ ამ დახმარების შესახებ გავაგრძელო ჩემი მიწერ-მოწერა; და საჭირო თანხის რაოდენობა, უფრო მინიმუმით მითხარით.

20 / V – 1924 (ივ. ჯავახიშვილის ფონდი N 1589)

თქვენი 30. IV-ის წერილი მივიღე, და გთხოვთ ჩემი მადლობა მიიღოთ იმ მოლაპარაკებისთვის, რომელიც აწარმოეთ თქვენ და შ. ნუცუბიძემ - ჩემი დაბრუნების თავობაზე. ფრიად მნიშვნელოვანია თქვენი ცნობები უნივერსიტეტის განზრახული რეფორმის შესახებ. რასაკვირველია, სანამდინ ეს საქმე არ გამოირკვევა, ვერც ჩემი დაბრუნება მოხერხდება - უნივერსიტეტში სამუშაოდ.

აზრად უფრო ის მქონდა, დაგბრუნებულიყავი იმ ამერიკელთა ექსპედიციასთან დაკავშირებით. რაც ამ ხალხს შეეხება, ჩემი პასუხი (პრინციპიალური ნებართვის შესახებ) ხომ ძალიან დაგვიანებით მიიღეს - ამის შემდეგ თქვენი პირველი წერილი მომსვლია და მე თითქმის მათი იმედი უკვე აღარა მქონდა. მაგრამ მაისის პირველ რიცხვებში შემატყობინეს მე, რომ ვითათბირეთ, ვინც ამ საქმეში დაინტერესებული ვიყავით და ძალიან გვსურსო სეკდემბერში საქართველოსკენ გავემგზავროთ...

თანახმად თქვენი უკანასკნელი წერილისა ვურჩიე რომ სათანადო თხოვნები დაუყონებლივ გადმოგიგზავნონ აქ, და მერე ეს თხოვნები კარგი იქნება, რომ უნივერსიტეტმა გადასცეს ოფიციალურად განათლების კომისარიატში.

თუ ამასობაში პარისში საბჭოთა წარმომადგენლობა დაწესდა, ხომ მის საშუალებით პასუხსაც მივიღებთ.

საფიქრებელია, რომ ამერიკის მიერ საბჭოთა არცნობა დაბრკოლებას წარმოადგენდეს. მოსკოვის მთავრობის ერთნაირი თანხმობის საჭიროებაც კიდენ უფრო გართულებს საქმეს - განსაკუთრებით თუ რუსეთის აკადემიის დასკვნა დასჭირდებათ...

თქვენ რომ ბრძანებთ მცხეთაში თხრა უფრო ნაყოფიერი იქნებაო და სასურველიცაა - ეს მართალიც უნდა იყოს. ეს ექსპედიცია

რომ განხორციელდეს, იქ, ადგილობრივ მათი დაჯერება ძნელი არ იქნება.

პირველად ნაქალაქევი თუ დავასახელე, უფრო მისთვის იყო რომ საგანი („კოლხიდის“ სიძველეთა გამოკვლევა) მათთვის უფრო გასაგები და მომხიბლავი იყო.

მაგრამ ვიმეორებ - რაც უკვე პირველ წერილში მოხსენებული მქონდა - ეს ნამდვილი საარქეოლოგო ექსპედიცია კი არა, უფრო ერთნაირი წინასწარი ნიადაგის გამოკვლევა იქნება.

ასე თუ ისი, ივნისის დამდეგს იმ ამერიკელთა საბოლოო პასუხს ველი და მაშინვე შეგატყობინებთ.

თქვენი პატივისმცემელი ზურაბ ავალიშვილი

ბ) მეცნიერებათა აკადემიის მატერიალური კულტურის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორის პროტესტი მცხეთასა და ნაქალაქევში ამერიკელ მეცნიერთა არქეოლოგიური ექსპედიციის წინააღმდეგ (ივ. ჯავახიშვილის ფონდი N 2988)

РСФСР

Нар.Ком.Пров.

Росс. Акад.

Инст. Мат. Культуры

Ленинград

9/IV-24; N 1241

К главнауку Наркомпроса

Совет Российской Академии Истории Материальной Культуры, осведомившись из хроники Тифлисской газеты “Заря Востока” /25 марта 1924г. N 534/ о том, что в Грузии, Союзной Республике, СНК по докладу НКпроса удовлетворил ходатайство “Пенсильванского /Америка/ университета о разрешении на производство научной исследования в Накалакеве и Мцхете”, не может не выразить своего глубокого сожаления, что из-за неурегулированности взаимоотношений научных учреждений и организаций союзных республик передать исследования таких ответственных в археологическом отношении пунктов, как Мцхета и Накалакеви /Археополис/ американцам,

абсолютно неизвестном по знаниям кавказоведных и яфетодологическим, представляется более целесообразным, чем доступ соответственных тем же заданиям научных сил из Союзной России.

Мне лично хотелось бы верить, что это не вполне точное сообщение, насколько это **невероятно варварское предприятие.**

Председатель Академии /

Управляющий делами /

ქართული თარგმანი

რუსეთის აკადემიის განათლების სახალხო კომისარიატის მატერ. კულტ. ინსტიტუტი თავმჯდომარეს

ლენინგრადი

9/IV-24; N 1241

რუსეთის აკადემიის მატერიალური კულტურის ისტორიის საბჭომ თბილისურ გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ /25 მარტი, 1924 წ. N 534/ ქრონიკიდან შეიტყო, რომ საქართველოში, საკავშირო რესპუბლიკაში, საბჭოთა სახალხო კომისარიატმა, განათლების სახალხო კომისარიატის მოხსენების საფუძველზე, დააკმაყოფილა პენსილვანიის /ამერიკა/ უნივერსიტეტის შუამდგომლობა ნაქალაქევსა და მცხეთაში სამეცნიერო გამოკვლევების ჩატარების ნებართვაზე. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, საბჭოს არ შეუძლია არ გამოხატოს თავისი ღრმა სინანული, რომ საბჭოთა რესპუბლიკების სამეცნიერო დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ურთიერთობის მოუწესრიგებლობის გამო, არქეოლოგიური თვალსაზრისით საპასუხისმგებლო პუნქტების - მცხეთისა და ნაქალაქევის /არქეოპოლისი/ - გამოკვლევათა დათმობა კავკასიათმცოდნეთა და იაფეტიდოლოგთათვის სრულიად უცნობი ამერიკელებისათვის ითვლება უფრო მიზანშეწონილად, ვიდრე ამავე ამოცანების მქონე შესაბამისი სამეცნიერო ძალების დაშვება საბჭოთა რუსეთიდან.

მე პირადად მიხდა მჯეროდეს, რომ ეს მთლად ზუსტი ცნობა არ არის, რამდენადაც **დაუჯერებლად ბარბაროსული ღონისძიებაა.**

აკადემიის თავმჯდომარე /

საქმეთა მმართველი /

გ) „ჩვენის“ ფსევდონიმით დაბეჭდილი წერილი ქართველ მეცნიერთა წინააღმდეგ
(გაზეთი „კომუნისტი“, 1924 წლის 2 ივლისი)

პროფესორი, რომელმაც სთქვა სიმართლე შოვინისტ პროფესორებზე

ეს ისტორია მეტად დამახასიათებელია. მასში გამოიხატა ჩვენი სინამდვილის როგორც ძლიერი, ისე სუსტი მხარეები და მე დამძლია ცდუნებამ, რომ ეს ისტორია უნდა გავაცნო მკითხველს.

თქვენ ალბათ გაგიგონიათ პროფ. მარრის შესახებ. ის ტომით ქართველია და შეიძლება ითქვას, ცოტათი მოძველებული სტილით რომ ვისარგებლოთ, სამშობლოს შეუძლია იამაყოს იმით.

პროფესორი მარრი, კავკასიაში მცხოვრები ერების ენების შესწავლის დროს, ფრიად საინტერესო დასკვნამდე მივიდა; რომ ადამიანის მეტყველების ყველაზე უფრო ძველი ნაშთების პოვნა შეიძლება კავკასიისა და პირინეის ზოგიერთი ერების კილოკავებსა და ენებში, რომ ამ (ე.წ. იაფეტური) ენების შესწავლას შეუძლია ნათელი მოჰფინოს ევროპის პირველ-ყოფილი მცხოვრებლების ცხოვრებას და რომ ის ძველი ენები, რომელთა შესწავლაზე მუშაობდნენ დღემდე ევროპის მეცნიერები, წარმოადგენენ დაგვიანებულ ზედნაშენს იაფეტურ ენებზე.

მე არ ვარ ენათმეცნიერი, ამიტომ ვერ ვბედავ ღრმად ჩავწვდე პროფესორ მარრის სამეცნიერო აღმოჩენებს: ვშიშობ გზას გადავცდე და შეცდომაში შევიყვანო სხვა უცოდინარი ადამიანი. ჩვენი ამოცანისათვის რაც აღვნიშნე, ისიც საკმარისია.

უნდა დაუმატო მხოლოდ, რომ სამეცნიერო კვლევა-ძიების შემდეგ პროფ. მარრი, რომელიც არ იცნობს მარქსიზმს, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ შრომის იარაღები თამაშობენ გადამწყვეტ როლს პირველყოფილ საზოგადოების ორგანიზაციაში და პირველყოფილ ადამიანების სიტყვების წარმოშობაში და ამით მან ერთხელ კიდევ დაადასტურა ეკონომიური მატერიალიზმის სისწორე და მარქსისტული მეთოდის ხმარების ნაყოფიერება მეცნიერების ახალ დარგში (ფილოლოგია-ენათმეცნიერება), რომელ დარგშიც ვფიქრობ, მეცნიერ მარქსისტებს ჯერ კიდევ არ უმუშავნიათ.

რა თქმა უნდა მარრს დაჟინებით არ სცნობდნენ ევროპის მეცნიერები.

თვით განსაჯეთ: პროფ. მარრის აღმოჩენას სამეცნიერო ინტერესის ცენტრი გადააქვს ინდო-ევროპიულ ენებიდან კავკასიის და პირენეის მცირე ხალხთა ენებზე.

განა შეუძლიათ მარრის სამეცნიერო დამსახურება აღიარონ ფრანგმა, ინგლისელმა და სხვა „დიდი“ ენების მეცნიერებმა, რომლებიც გამსჭვალული არიან გაბატონებულ კლასების მესიანისტურ-დამპყრობელ ყაჩაღური იდეებით, და ეს იდეები მათ გადააქვთ მეცნიერებაში; იმ მეცნიერებმა, რომელთაც თავის „დიდი“ ენების შესწავლას მოანდომეს ათეული წლები? რა თქმა უნდა, არა, ეს ეწინააღმდეგებოდა ამ მეცნიერების პირად ინტერესებს და იმპერიალიზმის და ეროვნულ კარჩაკეტილობის იდეოლოგიას, რომელშიაც ცოტად თუ ბევრად ჩაეფლნენ ყველა ბურჟუაზიული მეცნიერები და განსაკუთრებით ისინი, რომლებიც თავისი სამეცნიერო საგნით ეხებიან საზოგადოების შესწავლას.

მაგრამ ევროპის მეცნიერები ზრდილობიანი ხალხია, მათ არ დაუწყიათ მარრის წინააღმდეგ შუღლის თესვა; ისინი ჩუმიად ხვდებოდნენ მის შრომებს, ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც საჭირო იყო გამოხმაურება, მაშინ ისინი ლაპარაკობდნენ ან სწერდნენ მასზე, როგორც ქართველ ან კავკასიელ ბრიყვზე, რომლის შრომას აქვს უფრო ბრიყული, ვიდრე მეცნიერული ინტერესი. ბურჟუაზიული მეცნიერთა ეს ტაქტიკა ჩვენთვის ცნობილია მარქსის დროიდან, რომელსაც ბურჟუაზიული მეცნიერები უყურადღებოდ სტოვებენ დღემდის.

მაგრამ მარრი, რომელმაც არ იცის უკან დახევა, დაჟინებით, იმპერიალისტურ და ნაციონალისტურ ცრუმორწმუნეობის გადალახვით, ათეული წლების განმავლობაში აწარმოებს ბრძოლას თავისი მშობლიურ ენის განსაკუთრებული მეცნიერული ღირებულებისათვის და ამასთანავე ერთად გზას უკაფავს იმ აზრს მეცნიერებაში, რომელიც ახლოს არის საბჭოთა ხელისუფლების და კომპარტიის პოლიტიკურ მსოფლ-მხედველობასთან, რომ **კულტურულ ღირებულებებს არაფერი საერთო არ აქვთ იმასთან, თუ რამდენი ეროვნული ხიშტი იცავს მას**, რომ გზა ერთიან საერთაშორისო კულტურისაკენ მდებარეობს ეროვნულ კულტურათა თანასწორობაზე და სხვა.

ამისთვის და კიდევ იმიტომ, რომ ბლოკადის, ნგრევის, სამოქალაქო ომის მძიმე წლებში, მარრი არ გაქცეულა საზღვარ-გარეთ ან ჩვენი მტრების მიერ დაკავშირებულ (დაკავებულ - ი.ვ., ტ.ფ.) ოლქებში, რომ ის რჩებოდა ლენინგრადში და ჩვენთან ერთად განიცდიდა შიმშილს და სიცივეს, ჩვენ გვიყვარს ის და ვსთვლით მას ჩვენ საბჭოთა მეცნიერთა.

თუ თვითეული მოაზროვნე ადამიანი უნდა იყოს სულით და გულით მასთან, მის ბრძოლაში მეცნიერებისათვის, პირველ ყოვლისა მახლობელი და ძვირფასი უნდა იყოს მარრის პიროვნება და მოღვაწეობა ქართველისთვის და საერთოდ კავკასიელისათვის, რადგან ცხადია, რომ მარმა თავისი მოღვაწეობით ქართველი ხალხის ცოდნის საგანძურს შემატა გაცილებით მეტი, ვიდრე ვსთქვათ, ათეულმა ქართველმა პროფესორმა, რომელთაც რამდენიმე ათეული შარვალი გაცივითეს, წაიკითხეს ასეული წიგნები და ვერ გამოსთქვეს ვერც ერთი ცოცხალი აზრი.

ტყუილად კი არ არის ნათქვამი, რომ არავინ არ არის პროფანი თავის სამშობლოში.

რადაც მიზეზით მარმა არა სავსებით პატივისცემით მოიხსენია ქართველ პროფესორების აზროვნება. მან აღნიშნა, რომ ის წყარო, რომლითაც იკვებება ქართველ პროფესორების სამოქალაქო სიმამაცე, არის „ზოოლოგიური შოვინიზმი“.

ეს საკმარისი იყო, რომ ჩვენ პროფესორებს ომი გამოეცხადებინათ მარრისთვის. მარრის გაეგზავნა ლანძღვის წერილი, რომელშიც აცხადებდენ, რომ მას ქართველი პროფესორები ნებას არ მისცემენ ლექციები წაიკითხოს ქართულ უნივერსიტეტში.

როდესაც მარრი ამ დღეებში ჩამოვიდა თბილისში, მის საჯარო ლექციებზე ქართველი პროფესორები დემონსტრატულად არ ესწრებოდენ.

ამ ისტორიიდან მარრის ფიგურამ, თუნდაც ჩემს თვალში, კიდევ მოიგო.

უცნაური იქნებოდა, თუ რომ დიდ და თანამედროვე პიროვნებას, როგორც მარრია, ქართული უნივერსიტეტის პროფესორები გაიგებდენ და შეაფასებდენ ეს პროვინციალურ რუტინიორობაში და ეროვნულ კარჩაკეტილებაში ჩაფლული და დახვავებული ადამიანები.

ასეთ, უკაცრავად პასუხია, მეცნიერთათვის, ადამიანი, რომელიც თავის სამშობლოსადმი სიყვარულს გამოხატავს თავისი

ეროვნული კულტურის გულმოდგინე შესწავლითა და მისთვის საყოველთაო საკაცობრიო კულტურის მნიშვნელობის მიკუთვნებით – ასეთი ადამიანი – ამ „მეცნიერთათვის“ – უცხო კაცია.

აი იმიტომ, როგორც კი გამოირკვა, რომ მარრი არ არის შოვინისტი და ჰკიცხავს ყოველ შოვინისტს, თუნდაც ესენი იყონ ქართული უნივერსიტეტის პროფესორები, უკანასკნელებმა შეაფურთხეს მარრის მეცნიერულ დამსახურებას და ჩამოაშორეს ის ქართველ პროფესორების ოჯახს.

ვიმეორებ, მარრს ამით არაფერი არ დაუკარგავს, მაგრამ ქართველმა პროფესორებმა, რომელთაც მიიღეს მონაწილეობა ამ სამარცხვინო საქციელში დაამტკიცეს, რომ მათ დასახასიათებლად სიტყვები „ზოოლოგიური შოვინიზმი“ ძალიან რბილადაა ნათქვამი. ამ პროფესორულ ნაციონალიზმის ტროგლოდიტებმა, რომლებიც ბოიკოტს უცხადებენ მსოფლიო მაშტაბით განთქმულ მეცნიერს, გადააჭარბეს მეფის თვითმპყრობელობას და სინოდს, რომლებმაც თავის დროზე ტოლსტოი განდევნეს.

დახვავებულ, სასიკვდილოთ განმზადილ ხალხს არავითარი საქმე არ აქვთ თანამედროვე ხანაში. მათი ადგილია სიძველეთა მუზეუმში.

დროა საქართველოს სახ. განათლების კომისარიატმა დაანახვოს პროფესორებს, რომ ჩვენში, საქართველოში რევოლიუციონურ მუშათა და არა დახვავებულ პროფესორების დიქტატურა⁵⁸.

ჩვენი.

⁵⁸ სამწუხარო და ნიშანდობლივი ფაქტი: ე.წ. "დემოკრატი" /ფსევდოლიბერალი/ თუ რუსეთის იმპერიის ხელისუფლების მოიმედე პირებისგან დღესაც მსგავსი ტონალობით იწერება აგრესიული პასკვილები თუ "დანოსები"; მათი მიზანია იმ ქართველოლოგ პროფესორთა დევნა, რომელთა კვლევებიც ობიექტურად ასახავს ქართველთა ენობრივ-ეთნიკურ ერთიანობას.

**დ) ივანე ჯავახიშვილის გამომაურება „ჩვენის“ სტატიაზე
ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელით,
1924 წელი**

(საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივის ფონდი N 471, აღ. 1, საქმე N 136, ფურც. 13-27)

გაზეთი „კომუნისტისა“ და „Заря Востока“-ს 2 ივლისის ნომერში ქართულად და რუსულად: „О профессоре, который осмелился сказать правду о воинствующих профессорах“ ერთი და იმავე ავტორის წერილი დაიბეჭდა. თავისი ვინაობა მას „ჩვენი“-ს ფსევდონიმით აქვს აღნიშნული. „ჩვენის“ სიტყვით, პროფ. ნ. მარმა აღმოაჩინა, რომ „наиболее древние следы человеческой речи можно найти в наречиях и языках некоторых народов Кавказа и Пиреней, что изучение этих языков (так называемых яфетических) может пролить яркий свет на жизнь первобытных жителей Европы и что те древние языки над изучением которых трудились до сих пор европ. Ученые, являются позднейшим наслоением на яфетических языках“.

„ჩვენის“-აკე ცნობით ევროპიელ მეცნიერებს პროფ. ნ. მარმის ეს აღმოჩენა აღმოჩენად არ უცვნიათ და ან მდუმარებით შეხვედრიან, ან თავიანთ კრიტიკულ წერილებში ნ. მარმს ქართველ, ან კავკასიელ ცუნდრუკს (чудак-ს) უწოდებდენ, რომლის შრომებს უფრო ახირებულების ინტერესი აქვს, ვიდრე მეცნიერული. ევროპიელ მეცნიერთა წინააღმდეგობისდა მიუხედავად, პროფ. ნ. მარმი თავისი დედაენის, ე.ი. ქართულის განსაკუთრებულ ღირებულებაზე აზრის განმტკიცებისათვის იღწვოდა. „ჩვენი“-ს სიტყვით, ნ. მარმის პიროვნება ამის გამო ყოველ ქართველისათვის და კავკასიელისათვის საყვარელ და ძვირფას პიროვნებად უნდა გამხდარიყო, მაგრამ ამის მაგიერ საქმე თურმე სულ სხვანაირად დატრიალდა. რაღაც შემთხვევის გამო, ნ. მარმი „не совсем уважительно отозвался о состоянии умов грузинских профессоров, указав что источник, которым вдохновляется гражданская довлеть грузинских профессоров, именуется “зоологическим шовинизмом“. ეს საკმარისი ყოფილა, რომ ქართველ მეცნიერებს ბრძოლა გამოეცხადებინათ მარმისათვის,

ლანძღვის წერილი გაეგზავნათ მისთვის, უნივერსიტეტში ლექციების წაკითხვის ნებართვა არ მიეცათ, შეეჩვენებინათ კიდეც და როცა ტფილისში ჩამოვიდა, მის ლექციას არ დასწრებოდენ. ამასთანავე წერილის ავტორი „ჩვენი“ უშვერი სიტყვებით ლანძღავს და მასხარად იგდებს ტფილისის უნივერსიტეტის პროფესორებს, რომელნიც ვითომც ასე მოქცევიან ნ. მარმს. საქმის ნამდვილი გარემოება და ვითარება-კი სულ სხვანაირი იყო და არის. საქართველოს ს.ს. რესპუბლიკის მთავრობამ რ.ს.ს.რ. მთავრობის წინაშე რუსეთში მყოფ ქართული სიძველეებისა და კულტურის ძეგლების საქართველოში დაბრუნების საკითხი აღძრა და რაზედაც, სამეცნიერო აკადემიის წინააღმდეგობისდა მიუხედავად, რუსეთის მთავრობამ თანხმობა განაცხადა. მოწინააღმდეგე აკადემიკოსთა მეთაურად სწორედ ნ. მარმი ბრძანდებოდა. საქართველოს მთავრობამ სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს წინადადება მისცა ექსპერტებად დაესახელებინა მეცნიერნი, რომელნიც შერეულ რუსეთ-საქართველოს წარმომადგენელთა კომისიაში მონაწილეობას მიიღებდენ საქართველოში დასაბრუნებელი საგნების გამოსარკვევად. სამეცნიერო საბჭომ მთავრობის ეს მოთხოვნა აასრულა, წარმომადგენლები დაასახელა და თანაც მათ დაავალა, რომ საკითხის უმტკივნეულოდ მოგვარებისა და ნებაყოფლობითი, მშვიდობიანი შეთანხმების გზაზე მდგარიყვნენ იმ შემთხვევებშიაც, როდესაც უკვე რუსეთ-საქართველოს მთავრობათა დადებული შეთანხმების ძალით საქართველოს ესა თუ ის ძეგლი უდავოდ უნდა გადმოსცემოდა. სწორედ ამ **მშვიდობიანობის დასამყარებლად საქართველოს წარმომადგენლებმა ხელნაწერების ნახევარზე მეტი რუსეთის სამეცნიერო აკადემიასა და სამეცნიერო საბჭოს დაუტოვეს.** შეთანხმების ძირითადი დებულებების შემუშავებაში, რომლის ძალითაც ეს საკითხი უნდა გადაწყვეტილიყო, ნ. მარმიც იღებდა მონაწილეობას. როდესაც ორივე მხარისაგან ხელმოწერილი შეთანხმებისდა თანახმად საქართველოს მისი კუთვნილი ნაწილი ძეგლებისა უნდა ჩაებარებინა, **რუს. სამეც. აკადემიის წარმომადგენლებმა შეთანხმების ტექსტის ყოველივე დებულების ისეთი განმარტვა დაიწყეს, რომ საქართველოს თითქმის არაფერი**

რგებოდა. ამ საშუალებით მათ დადებული და ხელმოწერილი ნებაყოფლობითი შეთანხმების გაბათილება ჰსურდათ. რუსეთ-საქართველოს მთავრობათა ორგანოებმა, რომელთაც რუს. სამეც. აკადემიის წარმომადგენელთა ამ ახლად ატეხილი დავის გარჩევა მოუხდათ, საკითხი ისე გადასწყვიტეს, როგორც საქართველოს წარმომადგენელნი ამტკიცებდნენ და როგორც შეთანხმების დებულებაში იყო აღნიშნული. ძეგლების ჩაბარება დაიწყო. ამ ჩაბარების დროს ნ. მარრი უკვე რუსეთში არ იყო, არამედ უცხოეთში იყო გამგზავრებული. როცა დაბრუნდა, რუს. სამეცნიერო აკადემიას წარუდგინა ყოვლად შეუწყნარებელი კილოთი დაწერილი, შეურაცხმყოფელი სიტყვებითა და გამოთქმებით შემკული პროტესტი, რომელშიაც ძეგლების ეს გადაცემა უგუნურებად იყო წოდებული.

სხვათა შორის, ნ. მარრის პროტესტში სიტყვასიტყვით ნათქვამია: *утверждаю, что безумие, когда это дело предполагают таким насильственным путем пересадить на общественную почву страны, бесплодной для научного творчества, в данный момент господством низменных зоологических националистических чувств*“. აქეთგან ყოველი მკითხველი დაინახავს, რომ ნ. მარრმა ქართველ მეცნიერთა ჭკუა-გონება არ მოიხსენია ოდესღაც [კარგად](?), როგორც ამას ამტკიცებს „ჩვენი“ თავის წერილში, არამედ შეურაცხყოფა მიაყენა მთელ ქვეყანას, მთელ აწინდელ სააქართველოს და მის საზოგადოებრივობას. არამედ ის ამტკიცებს, რომ ჩვენი ქვეყნის, საქართველოს საზოგადოებრივი ნიადაგი გაუნაყოფიერებელია სამეცნიერო შემოქმედებისათვის. როგორც ხედავთ, აქ არც უნივერსიტეტზე და არც საქართველოს მეცნიერებზე ლაპარაკი არა აქვს ნ. მარრს. ვფიქრობთ, რომ ამით შეურაცხყოფილად უნდა ეგრძნო თავისი თავი ყოველ ქართველს, მასაც, ვისი ხელისუფლებითაც განხორციელდა სიძველეთა რუსეთითგან საქართველოში გადმოტანა. ნ. მარრის ამ უმაგალითო საქციელისა და შეურაცხყოფის ფართო საზოგადოებაში გატანა პრესის საშუალებით ჩვენ არ მოვისურვებთ, მაგრამ ცხადია, რომ ნ. მარრის ასეთი საქციელის შემდგომ საქართველოს საზოგადოებრივობასა და მას შორის ყოველგვარი დამოკიდებულება, მით უმეტეს მეცნიერული შემოქმედების

ნიადაგზე, შეწყვეტილად უნდა გვეგულისხმა და ასეც ვიგულისხმეთ კიდევ.

შემდეგ ცნობა მოუვიდა მიმდინარე წლის დამდეგს ჩვენ უნივერსიტეტს, რომ პენსილვანიის უ-ტის ერთ არქეოლოგს საქართველოს რომელიმე ნაქალაქევის არქეოლოგიური მიზნით გათხრა ჰსურდა თავისი ხარჯით და გვეკითხებოდა, თუ ეს როგორ მოეხერხებინა. ჩვენ ვიფიქრეთ, ვიმსჯელებთ და გადავწყვიტეთ, რომ რაკი მცხეთის მახლობლად უზარმაზარი ჰიდროელექტროსადგურის აგების შემდგომ მცხეთაში ველარაფრის გათხრა ველარ მოხერხდება, ისე-კი დიდი კულტურული განძეულობა არის მიწის ქვეშ დამალული, ამიტომ სასურველია ვისარგებლოთ ამ წინადადებით და მცხეთის არქეოლოგიური გათხრა ეხლავე მოეწყოს, სანამ ჰესი ჯერ დამთავრებული და წყლით გავსებული არ არის. ჩვენის მხრით ასეთი პირობა იქმნა შემუშავებული: გათხრების მთელი ხარჯი ამერიკელებისა უნდა ყოფილიყო, ჩვენი ზედამხედველობითა და თანამშრომლობით. ნაპოვნთაგან უნიკუმები უნდა საქართველოში დარჩენილიყო, რამდენიმე ...(?) აღმოჩენილის ნახევარი საქართველოში რჩებოდა, ნახევარი შემდეგ ამერიკაში წაეღოთ. ჩვენმა უნივერსიტეტმა განათლების კომისარიატის საშუალებით მთავრობის წინაშე აღძრა ეს საკითხი. საქართველოს სახალხო კომისართა საბჭომ, მიიღო რა მხედველობაში ის გარემოება, რომ ისტორიული მცხეთის გათხრას აუარებელი თანხები დასჭირდება, რის გაღებაც არამცთუ დღეს, არამედ მშვიდობიანობის დროსაც მოუხერხებელი იყო, აგრეთვე ისიც, რომ ზემოაღვალის ელექტრო სადგურის აგების გამო მთელი ისტორიული მცხეთა, ფასდაუდებელ ღირებულებათა შემცველი, წყლით დაიფარება (7 საყენზე ამალდება წყალი), კომპარტიის ცკ-ის დასტურით დაადგინა, ნება მიეცეს უნივერსიტეტს მის მიერ წამოყენებული პირობის მიხედვით „მოახდინოს მცხეთის გათხრა“. რასაკვირველია, ამერიკელ არქეოლოგს საქართველოში ჩამოსვლის ნებართვა საქართველოს მთავრობისგან და საკავშირო საგარეო საქმეთა კომისარიატისგან უნდა მიეღო.

საკმარისი იყო, საქარ. მთავრობის ეს დადგენილება გაზეთ „Заря Востока“-ში ამოეკითხა ნ. მარრს, რომ 9 აპრილს პროტესტი

გამოცხადებინა, რომელშიაც საქართველოს მთავრობის დადგენილებას ის „невероятно варварское предприятие“-ს სახელს უწოდებდა. ყოველი ადამიანი ადვილად დააფასებს ნ. მარრის ამ სრული თავაშვებულობის მომასწავებელ, ... (?) შეურაცხმყოფელ საქციელს.

ნ. მარრის ამგვარი მოქმედებისდა და საქართველოსადმი მოპყრობისდა მიუხედავად, მან ჩვენს უნ-ტს შეატყობინა, რომ ჩვენს უ-ტში ლექციის წაკითხვა ჰსურდა. უ-ტს ყველა ზემოაღნიშნული შეურაცხყოფის შემდგომ, სანამ ის თავის სიტყვებს უკან არ წაიღებდა, შეუძლებლად მიაჩნდა და მიაჩნია, რომ ნ. მარრთან ურთიერთობა ჰქონოდა და უპასუხა, რომ უ-ტს უკვირს, რომ მან, აკად. ნ. მარრმა, სამეცნიერო შემოქმედებისათვის გაუნაყოფიერებელ და ბარბაროსულ ქვეყანაში მოსვლა და მეცნიერებთან ურთიერთობა მოისურვა.

აკად. ნ. მარრს, სრული საშუალება ჰქონდა ადამიანური დამოკიდებულება დაემყარებინა და მოქცეულიყო ისე, როგორც იქცევა ყოველი პატიოსანი ადამიანი, უკან წაეღო თავისი შეურაცხყოფა და ბოდიში მოეხადა, მაგრამ მან ეს, როგორც ეტყობა, არ ინება.

ზემონათქვამითგან პირუთვნელი მკითხველი ადვილად დარწმუნდება, რომ ჩვენ ნ. მარრისათვის არავითარი შეურაცხყოფა არ მიგვიყენებია, არც მისი დევნა მოგვსვლია ფიქრად, პირიქით, იერიშის მიმტანი მხოლოდ და მხოლოდ ნ. მარრი ბრძანდებოდა.

დასასრულ უნდა აღვნიშნოთ, რომ „ჩვენი“ ნ. მარრის წინანდელ ხმაგაღიას მისდევს და საქართ. მეცნიერთ უშვერი სიტყვებით ლანძღავს, ცდილობს ისინი მკითხველს სრულ არარაობად წარმოუდგინოს, მაგრამ რომ მას თავისი სიტყვების სიმართლე გულში თითონაც არ უნდა სჯეროდეს, ამას მისივე შემდეგი საყვედურიც ამცნობს: ქართველთა პროფესორებმა „отлучили его (ე.ი. ნ. მარრი) от радостей общения с грузинскими профессорами“. მაშასადამე ნ. მარრისა და თვით „ჩვენი“-სათვის ცხადი ყოფილა, რომ ქართველ მეცნიერებთან ურთიერთობა მას სიამოვნება-სიხარულს აგრძნობინებდა. რატომ-ღა კადრულობს ნ. მარრი და „ჩვენი“ მათ

შეურაცხყოფას? იმედი გვაქვს, რომ ჩვენი განმარტება გაჰფანტავს ამ გაუგებრობას, რაც ამ საქმის გარშემო დაგროვილი.

ეფიქრობთ, რომ ვისაც სიმართლე და ადამიანური დამოკიდებულების დამყარება აინტერესებს, ის ნ. მარრს ურჩევს, თავისი წერილებით მტრობის გაღვივების მაგიერ ის ნაბიჯი გადასდგას, რომელსაც ყველა ზრდილობიანი ადამიანი ასეთ შემთხვევაში გადასდგამს ხოლმე.

ტ. სახ. უ. გამგეობა

IV თავი

ანტისაუნივერსიტეტო კამპანიის პრაქტიკული შედეგები

4.1. უნივერსიტეტის დაშლა

ქართული მეცნიერების წინააღმდეგ პოლიტიკური ბრძოლის პირველი უარყოფითი შედეგი იყო ივ. ჯავახიშვილის რექტორობიდან გადაყენება (1926). მისი უნივერსიტეტიდან ჩამოცილების შემდეგ ხელისუფლებამ კიდევ უფრო რეაქციული ღონისძიებები გაატარა; კერძოდ, საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წლის 7 ივლისის დადგენილებით, მოხდა **თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ე.წ. „რეორგანიზაცია“**, ფაქტობრივად, დაშლა⁵⁹ რამდენიმე უმაღლეს სასწავლებლად მისი საბოლოო გაუქმების მიზნით (ვაჩნაძე, გურული, 2004, 7).

ზემოაღნიშნულ ფაქტთან კავშირში, არც თუ შემთხვევით, ისევ წამოტივტივდა ნ. მარის სახელი; კერძოდ, პრესაში დაიბეჭდა ინფორმაცია მისი თავმჯდომარეობით ქართული სამეცნიერო აკადემიის დაარსების შესახებ, რომლის თაობაზეც ე. თაყაიშვილი სწერს ნ. მარს 1931 წლის 31 მარტის წერილში:

⁵⁹ როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია მითითებული, უნივერსიტეტის ბაზაზე შეიქმნა ოთხი სპეციალიზებული სასწავლო ინსტიტუტი:

1. საქართველოს სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი;
2. საქართველოს სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი, რომელსაც შეუერთეს თბილისის უცხო ენათა ინსტიტუტი და სამხატვრო აკადემია;
3. საფინანსო-კოოპერაციული ინსტიტუტი და
4. საბჭოთა აღმშენებლობისა და სამართლის ინსტიტუტი.

1932 წელს საბჭოთა კავშირის პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ საუნივერსიტეტო სისტემაში გატარებული რეორგანიზაცია შეუსაბამოდ მიიჩნია; 1933 წლის 8 იანვარს, სამი ინსტიტუტის ბაზაზე უნივერსიტეტი აღდგა (ვაჩნაძე, გურული, 2004, 7-10).

„...გაზეთში ამოვიკითხე ქართული სამეცნიერო აკადემიის დაარსების შესახებ, რომლის წესდება დამტკიცებული გამოცხადებული იყო და შენ თავმჯდომარედ იყავი არჩეული, უნივერსიტეტი ინსტიტუტებად იყო გადაკეთებული და სხვ. შემდეგ არაფერი ისმის, არც აკადემია, არც უნივერსიტეტი, რა მოხდა, თუ დაიწყე, რატომ არ დაამთავრე ეს საქმე, ეს რას გავს, ძველიც მოსპეს და არც ახალი გახსნეს!..“ (მარი 206, 1).

1931 წლის მეორე წერილშიც ე. თაყაიშვილმა გაოცება ვერ დამალა:

„...აკადემიის ჩაშლისა ვერაფერი გამიგია. განა არის ისეთი პირები, რომელთაც კიდევ შესწევთ ძალი და გამავლობა მაქ (რუსეთში - ი.ვ., ტ.ფ.) ოფიციალურად მიღებული კურსის ჩაშლისა?“ (მარი 207, 1).

ამავე წერილიდან ჩანს, რომ ნ. მარმა აკადემიის საკითხის ჩაშლა ექვთიმეს „მეგობრებს“, სავარაუდოდ, თბილისში მოღვაწე ქართველ მეცნიერებს დააბრალა, რაზეც ექვთიმემ პირდაპირი პასუხისაგან თავი შეიკავა (მარი 207, 1).

თუ ექვთიმე თაყაიშვილის წერილებს 1930 წლის მოვლენებს დავუკავშირებთ, ნათელი გახდება, რომ შემთხვევით და „ოფიციალურად მიღებული კურსის გარეშე“, მართლაც, არაფერი მომხდარა - სავარაუდოდ, **ხელისუფლებამ უნივერსიტეტის „რეორგანიზაციის“ შედარებით „უმტკივნეულოდ“ ჩასატარებლად გამოიყენა ნ. მარის დაინტერესება მეცნიერებათა აკადემიის საკითხით** (იხ. ზემოთ).

რაც შეეხება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას:

ის გაცილებით გვიან, 1941 წლის თებერვალში დაარსდა. აღნიშნული ფაქტი ერთხელ კიდევ მიგვანიშნებს, რომ 1931 წლისათვის პრესაში გამოქვეყნებული ცნობა აკადემიის დაარსების შესახებ საბჭოთა პოლიტიკის წინასწარ დაგეგმილი ანტისაუნივერსიტეტო კურსის ნაწილი იყო. სამწუხაროდ, ანტიეროვნული პოლიტიკის ამ ეპიზოდშიც იმპერიულმა ხელისუფლებამ თავისი დროისათვის ერთ-ერთი ნიჭიერი მეცნიერი - ნიკო მარი გამოიყენა.

4.2. ივანე ჯავახიშვილის განკვეთა

ანტიქართული საგანმანათლებლო პოლიტიკის მომდევნო ღონისძიება იყო ბოლშევიკური განაჩენის გამოტანა ეროვნული ორიენტაციის მეცნიერთათვის.

1930-1936 წლების ანტისაუნივერსიტეტო კამპანიის ორგანიზატორებმა გაცილებით ფართო მასშტაბით გაიმეორეს 1924 წელს „ჩვენის“ ფსევდონიმით დაბეჭდილი პოლიტიკური წერილის ფაბულა - ქართველ პროფესორთა საჯაროდ დაგმობა. ამ მიზნისთვისაც მათ აქტიურად გამოიყენეს აკად. ნ. მარის სამეცნიერო ავტორიტეტი. ამ თვალსაზრისით საინტერესო დოკუმენტური (საარქივო) მასალაა თავმოყრილი მ. ვაჩნაძისა და ვ. გურულის წიგნში: „ივანე ჯავახიშვილი ტირანიის სამსჯავროს წინაშე“ (2004). ზოგიერთ მომენტზე გავამახვილებთ ყურადღებას.

საარქივო მასალებიდან ჩანს, რომ უნივერსიტეტის ახალმა ხელმძღვანელებმა დაუნდობლად „ამხილეს“ ივ. ჯავახიშვილი და მისი „დაჯგუფება“ - ეროვნულ-სარწმუნოებრივი იდეალების ერთგული პროფესორები, რომლებიც „ვერ ამჩნევდნენ“ მარქსიზმს „საქართველოს გასაბჭოების შემდეგაც“ და ახდენდნენ „ძველი საქართველოს იდეალიზაციას“ (მ. ვაჩნაძე, ვ. გურული 2004, 38)⁶⁰.

განსაკუთრებული სიმკაცრით გააკრიტიკეს ივ. ჯავახიშვილი, როგორც „ძველი ფეოდალურ-ნაციონალისტური ქვეყნის წარმომადგენელი, მეთოდოლოგიურად მხოხავი ემპირისტი და ანტიმარქსისტი“ (38), „ფეოდალიზმის მანტიაში გახვეული“ (93), „აშკარა მავნებელი“ (94), „მტერი“ (96), „რეაქციონერი პროფესორი“ (97), „კლასობრივი იდეოლოგიური მოწინააღმდეგე“ (268)..., რომელიც იდგა „მენშევიკების სამსახურში“ (168), თავის ნაშრომებში ატარებდა „ბურჟუაზიულ-მემამულურ ნაციონალისტურ თვალსაზრისს“ (142), ჰქონდა „ანტიმარქსისტული და, მაშასადამე, ანტიმეცნიერული დებულებები“ (168)...

⁶⁰ ქვემოთ ციტირებები მხოლოდ ამ წიგნიდანაა წარმოდგენილი, ამდენად, გვერდების მითითებას დავეყრდებით.

ანტისაუნივერსიტეტო კამპანიის ორგანიზატორებმა, თანახმად თავიანთი დევიზისა: „ისტორიას, მეცნიერულ ისტორიას ერის ისტორია არ აინტერესებს“⁶¹(93) უარყვეს საქართველოს პოლიტიკური წარსულისა და ისტორიულ-გეოგრაფიული საზღვრების ზუსტი ცოდნა, ან, უკეთეს შემთხვევაში, დააკნინეს მისი მნიშვნელობა (ანალოგიური იყო მეფის რუსეთის საგანმანათლებლო პოლიტიკის მესვეურთა პოზიციაც - ვაშაკიძე 2009, 37-38). ამას ცხადყოფს „კლასთა ბრძოლის თეორიამომარჯვებულ“ საბჭოთა ისტორიკოსთაგან ივ. ჯავახიშვილის ნაშრომებისა და კვლევის მეთოდოლოგიის კრიტიკა. აღნიშნულ შემთხვევაშიც, ისინი ხელმძღვანელობდნენ ნ. მარისეული „დაკვირვებით“, რომ ივ. ჯავახიშვილს ძიების „საკუთარი“, პოლიტიკური კურსისაგან განსხვავებული მეთოდი ჰქონდა (89).

ზემოხსენებული კამპანიის ორგანიზატორთა პოზიცია მკაფიოდ ჩამოაყალიბა საბჭოთა ისტორიკოსმა - ფილიპე მახარაძემ ჯერ კიდევ 1926 წელს გამოსულ თხზულებათა V ტომში, თითქოს საქართველოს ისტორიაში აღსანუსხავი არაფერი იყო, „ჩვენი ხალხის წარსულმა ცხოვრებამ არ იცოდა არავითარი პოლიტიკური, გინდ წმინდა გონებრივი ხასიათის მოძრაობა“ (124). ავტორმა იგივე აზრი განავითარა 1932 წლის 26 აპრილს საქართველოს მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის სხდომაზე წაკითხულ მოხსენებაშიც („მ. ნ. პოკროვსკი, როგორც ისტორიკოსი მარქსისტი“), თითქოს „ბურჟუაზიულ და შოვინისტურ ისტორიკოსების“ მიერ დაწერილი ისტორია „არ წარმოადგენდა ნამდვილ ისტორიას“ და თავისი ანტიეროვნული პოზიციის გასამყარებლად ნ. მარისეული „ხატოვანი“ შეფასება მოიშველია:

„რომ აღსდგეს თამარ დედოფალი, უთუოდ გაკვირვებით იკითხავს: „რომელ თამარზე ლაპარაკობთ თქვენ ისტორიკოსები? რა თამარად მსახავთ მე, ასეთი სინამდვილეში არ ყოფილა...“ (361).

შენიშვნა: საბჭოთა ისტორიკოსი კიდევ უფრო შორს წავიდა, რასაც მოწმობს მისი დაკვირვება ეროვნულ ლიტერატურულ

⁶¹ შდრ., ი. ჭავჭავაძის წერილი: „ერი და ისტორია“.

მემკვიდრეობაზეც; კერძოდ, ფ. მახარაძისთვის ასევე მიუღებელი აღმოჩნდა ქართული კლასიკური მწერლობის თვალსაჩინო ნიმუში – „ვეფხისტყაოსანი“; თითქოს ეს ნაწარმოები თავისი თემატიკით ვერ გასცემდა პასუხს თანამედროვე, ყოველდღიური ცხოვრების „ათასგვარ „დაწყველილ“ კითხვას“; მას შეიძლებოდა მოეპოვებინა მხოლოდ „უსაქმოთ და უდარდელათ“ დროს გამტარებელი მრავალი მკითხველი, მაგრამ „არასდროს... გამხდარიყო რომელიმე ნაყოფიერი მოძრაობის ან მოვლენის სათავეთ“. ასეთად ფ. მახარაძე მიიჩნევდა მხოლოდ „ერთად ერთ“ მოთხრობას: დ. ჭონქაძის „სურამის ციხეს“ (311).

ივ. ჯავახიშვილის - საბჭოთა იდეოლოგიისათვის მიუღებელი მეცნიერის - საპირისპიროდ, ანტისაუნივერსიტეტო კამპანიის ორგანიზატორებმა წინა პლანზე წამოსწიეს ბოლშევიკურ პლატფორმაზე მდგარი ნ. მარი.

4.3. ნიკო მარი - სამაგალითო საბჭოთა მეცნიერი

საარქივო მასალებიდან აშკარად ჩანს, რომ საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენლებმა თავიანთი საგანმანათლებლო და სამეცნიერო პოლიტიკის მთავარ დასაყრდენად ბოლომდე გამოიყენეს თავისთავად საინტერესო მეცნიერი აკად. ნ. მარი; ამას ცხადყოფს:

ა) ნ. მარის იაფეტური ენების თეორიისა და სხვა დებულებების გამოცხადება ბოლშევიკური იდეოლოგიის შემადგენელ ნაწილად; იხ., მაგ., შემდეგი ციტირებები:

- „მარის იაფეტოლოგია დაუახლოვდა მუშათა კლასს“ (47);
- „მარი არ არის კერძო იდეოლოგისტი... ის გამომდინარეობს პროლეტარული დიქტატურის არსებობიდან“ (56);
- „საჭიროა შევისწავლოთ იაფეტოლოგიური მეთოდოლოგია“ (60);
- „მარის იდეოლოგია სწორედ... პროლეტარიატის მსოფლხედველობა არის“ (72)...

შეიძლება ითქვას, რომ ნ. მარის თეორიამ ერთგვარი „ლაკმუსის“ ფუნქცია შეასრულა „ბურჟუაზიულ პროფესორთა“ „გამოსავლენად“; ამას მოწმობს ანტისაუნივერსიტეტო კამპანიის ორგანიზატორთაგან იაფეტოლოგიის თეორიის არმცნობ ენათმეცნიერთა „მხილება“:

- „ზოგადი ენათმეცნიერება ...აწარმოებს იაფეტოლოგიის კრიტიკას მარჯვნიდან“⁶² (42);
- „თქვენ [მიმართავენ ა. შანიძეს, არნ. ჩიქობავას და გ. ახვლედიანს - ი.ვ.] აკრიტიკებთ იაფეტოლოგიურ თეორიას. ეს

⁶² როგორც დასახელებული წყაროდან ჩანს, სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორმა ივ. ვაშაყმაძემ ქართველი პროფესორები სამ კატეგორიად დაყო: 1. მემარჯვენე - ხელისუფლებისთვის რადიკალურად საწინააღმდეგო პოზიციაზე მდგომი, 2. მემარცხენე - ხელისუფლების ერთგული და 3. „ჭაობი“ - პოზიციურად გაურკვეველი (345-346).

არ არის დასაშვები მეცნიერების განვითარებაში...
იაფეტოლოგიური თეორია არის დიალექტიური
მატერიალიზმი... თქვენ უფრო მარჯვნივ ხართ რეაქციონერი“
(107);

- „ის [გიორგი ახვლედიანი] არის კრიტიკულად განწყობილი
ინდოევროპული თეორიისადმი. ჩვენ კი ვამბობთ, რომ
იაფეტოლოგიის თეორიამდე და დიალექტიურ
მატერიალიზმამდე უნდა მივიდეს“ (109).

პროფესორ-მასწავლებლებისგან კატეგორიულად ითხოვდნენ
ნ. მარის მეთოდოლოგიის გაზიარებას. ენათმეცნიერთა „ძველ“
პოზიციაზე დარჩენას და ნ. მარის მუშაობის „უდიდესი მიღწევების“
უგულებელოფას შესაძლებელი იყო, სავალალო შედეგები
მოჰყოლოდა, ზოგადად, მათი მიმართულებისთვისაც. მაგ., საარქივო
მასალებში ვკითხულობთ:

„[ქართული ენისა და ზოგადი ენათმეცნიერების კათედრების]
შემადგენელი მეცნიერული მომუშავენი იდგნენ ანტიიაფეტურ
მეთოდოლოგიის თვალსაზრისზე. ისინი მტრულად უყურებდნენ ნ.
მარის მუშაობის უდიდეს მიღწევებს ენათ-მეცნიერების
მეთოდოლოგიის დარგში. ამას თუ დაუმატებთ განსაკუთრებით აკ.
შანიძის ნაციონალისტურ მიმართულებას, რომელიც ჯავახიშვილის
მოწაფეთ ითვლება და მათ ფორმალისტურ მეთოდს ქართული ენათ-
მეცნიერების შესწავლის დარგში, მაშინ აშკარად გახდება ჩვენთვის ის
უდიდესი საფრთხე, რომელიც მოელის ამ მეცნიერებათა
განვითარებას, თუ არ შეიცვალა მათი მეთოდოლოგია“ (42).

**ბ) საბჭოთა ხელმძღვანელების გამორჩეული
დამოკიდებულება ნ. მარის, როგორც პარტიის წევრისადმი:**

- „ეს მეცნიერი [ა. შანიძე] ეკუთვნის ანტიიაფედიტურ
დაჯგუფებას, ...რომელიც ცდილობდა გამასხარაობას მარის
ნაწერებისას, ისეთი პიროვნებისას, რომელიც შევიდა 1930
წელს პარტიაში“ (107);

- „ამხანაგებო, ყოვლად შეუძლებელია ცილისწამება იმ
პიროვნებისადმი, რომელიც შემოსულია კომუნისტურ
პარტიაში და ითვლება კომპარტიის წევრად ნ. მარი. თუ მასში
მოხდა გარდატეხა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ თქვენ მას ცილი
დასწამოთ. ამას კომუნისტური პარტია არ მოითმენს და
გასცემს სასტიკ პასუხს“ (111)...

**გ) საერთო ლექსიკა და სიტყვათშეხამებანი, რომლებსაც ნ.
მარი და საბჭოთა იდეოლოგიის სხვა წარმომადგენლები იყენებდნენ
ქართველი მეცნიერების მისამართით.** ასეთი იყო, მაგ.,
შეურაცხმყოფელი ფრაზები: „ზოოლოგიური ნაციონალიზმი“,
„ზოოლოგიური შოვინიზმი“... სხვადასხვა ნიუანსობრივი
ვარიანტებით, რომლებიც არაერთხელ დადასტურდა ბოლშევიკური
იდეოლოგიის მესვეურთა გამოსვლებში (და უცხო არ არის არც
თანამედროვე ქართველი ფსევდოლიბერალების პუბლიკაციებში):
„ზოოლოგიური კაციჭამია ნაციონალიზმი“ (34),
„პირწავარდნილი ნაციონალიზმი“ (34), „ნაციონალიზმით
დამთვრალი ქართული ინტელიგენცია“ (38), „ნაციონალიზმის ჭაობში
მოქცეული“ (112), „გამოხვეული ნაციონალიზმის ქურქში“ (185)...

ზემოაღნიშნულთან მიმართებით, საინტერესოა ისიც, რომ
ბოლშევიკურ ლოზუნგად იქცა ნ. მარისეული სხარტი გამონათქვამი:

„ვინც რევოლუციასთან არ არის, ის ჩვენ წინააღმდეგ არის!“
(361) და სხვ.

ძირითადი დასკვნები

I. მეფის რუსეთის პოლიტიკური სისტემის ნგრევის შემდეგ საქართველოში გაძლიერდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა და დაჩქარდა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისაკენ მიმართული პროცესები. მოწინავე ქართველი საზოგადოების წინაშე ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანად დაისახა უმაღლესი ეროვნული სკოლის - ქართული უნივერსიტეტის - დაარსება. **ქართული უნივერსიტეტის უპირველესი მიზანი უნდა ყოფილიყო მეცნიერული ქართველოლოგიის განვითარება.**

ეს საპასუხისმგებლო საქმე იტვირთა ივანე ჯავახიშვილმა - ქართული ისტორიოგრაფიული სკოლის ფუძემდებელმა, რომელიც სამართლიანად ითვლება XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან დაწყებული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წარმომადგენელთა და მათი იდეური წინამძღოლის - ილია ჭავჭავაძის გზის გამგრძელებლად. მისი თაოსნობით წარმატებით განხორციელდა ქართველი საზოგადოებრიობის ჩანაფიქრი - დაარსდა თბილისის უნივერსიტეტი.

ქართული უნივერსიტეტის დაარსებამ გამოააშკარავა პროიმპერიული ძალებიც, რომელთაც ხელს არ აძლევდა მეცნიერული ქართველოლოგიის, ზოგადად, ქართულენოვანი მეცნიერების განვითარება, ამიტომ აქტიურად დაუპირისპირდნენ **ქართული უნივერსიტეტის** იდეას. ანტიქართული გამოსვლების მოთავედ წარმოჩნდა რუსეთის მეცნიერებათა აკადემია, კერძოდ, მისი წარმომადგენელი, წარმოშობით ქართველი მეცნიერი - ნიკო მარი.

II. ნ. მარისა და ივ. ჯავახიშვილის რადიკალურად განსხვავებული მოქალაქეობრივი და მეცნიერულ-მეთოდოლოგიური პოზიციები გამოვლინდა ქართული

მეცნიერების ისეთი აქტუალური საკითხების განხილვისას, როგორც იყო:

- ა) საკუთრივ თბილისის უნივერსიტეტის დაარსება;
- ბ) რუსეთში სხვადასხვა დროს გატანილ ქართულ ხელნაწერთა და სხვა სიძველეთა სამშობლოში დაბრუნება;
- გ) ქართული მეცნიერებისათვის საშური არქეოლოგიური კვლევების ჩატარება ქვეყნის ისტორიულ ადგილებში (მცხეთასა და ნაქალაქევში).

III. ნ. მარის მიერ ხელოვნურად შექმნილმა წინააღმდეგობებმა დააბრკოლა ქართველ მეცნიერთა კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებები; კერძოდ, ნ. მარმა თავის ოფიციალურ გამოსვლებში:

ა) თბილისის უნივერსიტეტის დაარსება გამოაცხადა „ქართული საზოგადოებრივი აზრის ახალ ეროვნულ ავადმყოფობად“, „მწვავე ნაციონალისტურ მიმართულებად“ და ანტირუსულ ქმედებად. მის მიერ შემუშავებული რეაქციული გეგმის მიხედვით, ქართული უნივერსიტეტი შეიძლებოდა ყოფილიყო მხოლოდ სახელმწიფო (რუსული) უნივერსიტეტის „უმცროსი პარტნიორი“, რომელსაც არ ექნებოდა სამეცნიერო ხარისხის მინიჭებისა და სადოქტორო გამოცდების ჩატარების უფლება;

ბ) გააპროტესტა რუსეთში სხვადასხვა დროს გატანილ ძველ ქართულ ხელნაწერთა სამშობლოში დაბრუნება; საჯაროდ შეურაცხყოფა მიაყენა საქართველოს, რომელიც მეცნიერული შემოქმედებისთვის „უნაყოფო“ ქვეყნად მოიხსენია და, ასევე - ქართველ მეცნიერებს, რომელთა ეროვნული სულისკვეთებაც „უმდაბლეს ზოოლოგიურ ნაციონალისტურ გრძნობად“ შერაცხა;

გ) გაილაშქრა ქართველ მკვლევართა გადაწყვეტილების წინააღმდეგ და ჩაშალა ამერიკელ მეცნიერთა მონაწილეობით დაგეგმილი მცხეთა-ნაქალაქევის არქეოლოგიური გათხრები.

IV. ბოლშევიკურმა რეჟიმმა, აკადემიკოს ნიკო მარის პოზიციაზე დაყრდნობით, ქართველი მეცნიერები „წინა (ბურჟუაზიულ-მემამულური) რეჟიმის“ წარმომადგენლებად გამოაცხადა და მოამზადა ქართული უნივერსიტეტის, ზოგადად, ქართული ინტელიგენციის სისხლიანი რეპრესიები.

V. ივანე ჯავახიშვილმა ამხილა როგორც ნ. მარის დანაშაულებრივი ქმედება ქართული მეცნიერების წინააღმდეგ, ისე - მისი პოლიტიკური მხარდამჭერები. მან ობიექტურად განსაზღვრა რუსეთის იმპერიის ინტერესების დამცველი მეცნიერის მოქმედების მიზანი - **„წმინდა კულტურული საქმის პოლიტიკურ საკითხად გადაქცევა“** და საამისოდ „თავგამოდებით“ ბრძოლა „სათანადო წრეებში“. ივანე ჯავახიშვილმა ნიკო მარის მოქმედება შეაფასა, როგორც ქართული უნივერსიტეტის დაუძინებელი მტრების წისქვილზე წყლის დასხმა და აღნიშნა მისი სულიერი სიახლოვე ქართველი ერის მოძულეებთან.

VI. ივ. ჯავახიშვილმა გამოხატა თავისი მოქალაქეობრივი პოზიცია, როდესაც გააცხადა უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს უარყოფითი გადაწყვეტილება (შექმნილი პირობების მიხედვით) ნ. მართან „რაიმე თანამშრომლობაზე“, რამაც გამოიწვია ნ. მარის მხარდამჭერი პოლიტიკოსების გაღიზიანება.

VII. ქართული მეცნიერების წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკური ბრძოლის პრაქტიკული შედეგი იყო ივ. ჯავახიშვილის რექტორობიდან გადაყენება (1926), რასაც მოჰყვა ქართული უნივერსიტეტის დაშლაც:

1930 წლის 7 ივლისის დადგენილებით, უნივერსიტეტი დაშალეს უმაღლეს სასწავლებლებად მისი საბოლოო გაუქმების მიზნით. უნივერსიტეტის „რეორგანიზაციის“ შედარებით უმტკივნეულოდ ჩატარებისათვის, საზოგადოების ყურადღება გადაიტანეს პრესაში გახმაურებულ ცრუ ინფორმაციაზე ნ. მარის

თავმჯდომარეობით ქართული სამეცნიერო აკადემიის დაარსების შესახებ. ქართველი ინტელიგენციისათვის თვალის ასახვევად, ამ შემთხვევაშიც, ნ. მარმა მარიონეტის ფუნქცია შეასრულა.

VIII. 1930-1936 წლების ანტისაუნივერსიტეტო კამპანიის ორგანიზატორებმა, კვლავ გამოიყენეს რა ნ. მარის მეცნიერული ავტორიტეტი, ფართოდ გაშალეს ბრძოლა ქართული მეცნიერების წინააღმდეგ.

Summary

The history of Kartvelology, and in general, that of the Georgian-language science and education has repeatedly become the object of study of specialists. Special interest is due to the fact that the planning of science and education directly reflects tendencies of construction of the state and struggling for national self-identity.

The developments occurring from 1917, namely, the destruction of the political system of Tsarist Russia facilitated in Georgia the strengthening of the national-liberation movement. Processes directed towards restoration of the state independence of were accelerated. One of the important tasks set before the progressive Georgian society was the foundation of the higher national school – a university.

This important task was undertaken by Ivane Javakhishvili – the founder of Georgian historical school, who is rightly considered as the continuer of the path of Ilia Chavchavadze, ideological leader of public figures of the 1860s and the national-liberation movement developed from the second half of the 19th c. Under the guidance of Iv.Javakhishvili the long-awaited idea of the Georgian society was realized successfully.

The foundation of Tbilisi University brought to light pro-imperial powers as well, which were set against the development of scholarly Kartvelology and Georgian-language science in general. Therefore, they actively opposed the idea of the Georgian University. The initiator of the anti-Georgian campaign was the Russian Academy of Sciences, namely, its representative Nicholas Marr, a Georgian by origin.

Radically different views of two great scholars of their time, N.Marr and Iv.Javakhishvili were manifested in the discussion of urgent questions linked Georgian science, such as: 1. foundation of the Georgian University proper; 2. Transfer of the Georgian manuscripts and antiquities preserved at Russian treasuries to Georgia, and 3. Expedition of the American archaeologists to Mtskheta and Nakalakevi.

Opposition of the views of scholars with two different mentalities made evident the incompatibility of the Russian imperial powers and Georgian scholars carrying national tendencies.

By his official statements N.Marr /see documentary material attached to our study/ hampered greatly the development of Georgian scholarly thought: he turned purely scientific questions into a topic of political opposition and thereby paved the way for the Bolshevik repressions against Georgian scientists. Organizers of the anti-university campaign, using N.Marr's authority, gradually extended the struggle against Georgian science, which was followed by the dismissal of Ivane Javakhishvili from the Rector's post and dissolution of the University.

Iv.Javakhishvili openly exposed the academician loyal to the Soviet ideology as well as his supporting circles.

Complete versions of letters of N. Marr and Iv.Javakhishvili, exposing him, are little known to the general public. In the present study our objective was to analyze this documentary material and to publish it with the Georgian translations. We hope, correct interpretation of the past make it easier to interpret the essence of the current events and will create a firm foundation for definition of the future landmarks.

Main Conclusions

I. After the destruction of the political system of Tsarist Russia, the national-liberation movement intensified in Georgia and processes directed at the restoration of the state independence were accelerated. One of the important tasks facing the progressive Georgian society was the foundation of a higher national school – the Georgian University, its primary objective being the development of scholarly Kartvelology.

This responsible task was undertaken by Ivane Javakhishvili – the founder of Georgian historiography, who is rightly considered as the continuer of the path of the representatives of the national-liberation movement, having begun from the 1860s, and their ideological leader Ilia Chavchavadze. On Iv.Javakhishvili's initiative the idea of the Georgian society was realized successfully – Tbilisi University was founded.

The foundation of the Georgian University revealed pro-imperial powers as well. The latter were not interested in the development of scholarly Kartvelology, and in general, of Georgian-language science. The initiator of the anti-Georgian campaign was the Russian Academy of Sciences, namely, its representative Nicholas Marr, a Georgian by origin.

II. Radically different civil and scholarly methodological positions of N. Marr and Iv.Javakhishvili were manifested in the discussion of such urgent questions of Georgian science, as:

- a) establishment of Tbilisi university proper;
- b) return to the homeland of the Georgian manuscripts and other antiquities moved to Russia at different times;
- c) conducting of archaeological research in historical areas of the country (Mtskheta and Nakalakevi), which was urgent for Georgian science.

III. Obstacles artificially created by N.Marr hampered the cultural-educational activity of Georgian scholars. In particular, N.Marr in his official statements:

a) proclaimed the foundation of Tbilisi University as “a new national illness of the Georgian public opinion”, “an acute nationalistic direction” and an anti-Russian activity. According to the reactionary plan worked out by him, the Georgian University could have only been a “younger partner” of the state (Russian) university, and would not have been entitled to confer academic degrees and to carry out doctoral examinations;

b) protested against return to homeland of old Georgian manuscripts moved to Russia at different times; he publicly insulted Georgia, to which he referred to as a “fruitless” country for scientific activity, and to Georgian scientists, referring to their national spirit as the “lowest zoological nationalistic feeling”;

c) campaigned against the decision of the Georgian scholars and frustrated the archaeological excavations planned at Mtskheta-Nakalakevi with the participation of American scientists.

IV. The Bolshevik regime, on the basis of Acad. N.Marr’s position, proclaimed Georgian scientists as representatives of the “previous (bourgeois-feudal) regime” and prepared bloody repressions of the Georgian University, and of Georgian intellectuals in general.

V. Ivane Javakhishvili exposed N.Marr’s criminal activity against Georgian scientists, as well as his political supporters. He objectively defined the objective of the scholar defending the interests of the Russian empire - “to turn a purely cultural affair into a political question” and for this purpose struggling actively in the “relevant circles”. Ivane

Javakhishvili evaluated N.Marr’s activity as assistance rendered to sworn enemies of the Georgian University and noted his spiritual closeness to haters of the Georgian nation.

VI. Iv.Javakhishvili expressed his civil position when he announced the refusal of the Council of Professors of the University “to cooperate in any form” with N.Marr, which caused the irritation of the Soviet politicians supporting N.Marr.

VII. A practical result of the political struggle against Georgian science was Iv.Javakhishvili’s dismissal from the Rector’s post (1926), which was followed by the dissolution of the University as well:

By the resolution of July 7, 1930, the University was dissolved into higher educational institutions, with the purpose of its final abolishing. To carry out the University “reorganization” relatively painlessly, the attention of the public was shifted to the false information talked about in the press concerning the alleged foundation of the Georgian Academy of Sciences under the direction of N.Marr. In order to swindle the Georgian intelligentsia, in this case too, N.Marr performed the role of a marionette.

VIII. Organizers of the anti-University campaign of 1930-1936, again used N.Marr’s scholarly authority and launched an intensive struggle against Georgian science.

დამოწმებული ლიტერატურა - Bibliography and Sources

- ამირანაშვილი 1968 - შ. ამირანაშვილი, საქართველოდან სხვადასხვა დროს გატანილი სამუზეუმო განძეულობა და მისი დაბრუნება, თბ., 1968
- ბარამიძე, 1987 - ალ. ბარამიძე, ახლო წარსულიდან, თბ., 1987
burusi.wordpress.com
- ენციკლოპედია 2002 - ივანე ჯავახიშვილი - ენციკლოპედიური ლექსიკონი (რ. მეტრეველის რედაქტორობით), თბ., 2002
- ვაშაკიძე 2009 - ი. ვაშაკიძე, ტერმინთმემოქმედების პრინციპები XIX საუკუნის II ნახევრის საქართველოში, თბ., 2009
- ვაჩნაძე, გურული 2004 - მ. ვაჩნაძე, ვ. გურული, ივანე ჯავახიშვილი ტირანიის სამსჯავროს წინაშე, თბ., 2004
- ლილუაშვილი 2006 - ე. ლილუაშვილი, ქართული კულტურა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი 1918-1921 წლებში /ავტორეფერატი ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად/ თბ., 2006,
<http://www.nplg.gov.ge/dlibrary/collect/0002/000071/avtoreferati.pdf>
- მარი 1905 - ნ. მარი, ქართველთა ეროვნება, ქუთაისი, 1905
- მარი 1918 - Н. И. Марр, „О Кавказском Университете в Тифлисе“, Известия Российской Академии Наук, VI серия, N 14, Петроград, 15 октября, 1918 г.
- მარი 79 - ნიკო მარის ფონდი N 79, ნ. მარის წერილი კ. ლორთქიფანიძისადმი, 1906
- მარი 190 - ნიკო მარის ფონდი N 190, ე. თაყაიშვილის წერილი ნ. მარისადმი, 24 / III, 1918
- მარი 206 - ნიკო მარის ფონდი N 206, ე. თაყაიშვილის წერილი ნ. მარისადმი, 31 / III, 1931
- მარი 207- ნიკო მარის ფონდი N 207, ე. თაყაიშვილის წერილი ნ. მარისადმი, 1931
- მარი 235 - ნიკო მარის ფონდი N 235, კ. კეკელიძის წერილი ნ. მარისადმი, 1924

- მარი, თაყაიშვილი 1991 - ნიკო მარისა და ექვთიმე თაყაიშვილის მიმოწერა, თბ., 1991
- მარი, ჯავახიშვილი 1996 - ნიკო მარისა და ივანე ჯავახიშვილის მიმოწერა, თბ., 1996
- საარქივო მოამბე, N 10, 2011
- სუიგა 471-1, N 25 - საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 471, აღწერა 1, საქმე N 25
- სუიგა 471-1, N136 - საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 471, აღწერა 1, საქმე N 136
- სუიგა 471-1, N 138 - საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 471, აღწერა 1, საქმე N 138
- ჯავახიშვილი 872 - ივ. ჯავახიშვილის ფონდი N 872, მოხსენება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების ოთხი წლის თავთან დაკავშირებით წარმოშობისა და დაარსების მოკლე ისტორიით
- ჯავახიშვილი 1588 - ივ. ჯავახიშვილის ფონდი N 1588, ზ. ავალიშვილის წერილი ივ. ჯავახიშვილისადმი ამერიკელებთან მოლაპარაკების შესახებ საქართველოში არქეოლოგიური გათხრების წარმოებასთან დაკავშირებით, 16 / II, 1924
- ჯავახიშვილი 1589 - ივ. ჯავახიშვილის ფონდი N 1589, ზ. ავალიშვილის წერილი ივ. ჯავახიშვილისადმი, 20 / V, 1924
- ჯავახიშვილი 1843 - ივ. ჯავახიშვილის ფონდი N 1843, ივ. თულაშვილის წერილი ივ. ჯავახიშვილისადმი საქართველოში უმაღლესი და საერთო საგანმანათლებლო დაწესებულებების დაარსების შესახებ, 4 / III, 1917, მოსკოვი - თბილისი
- ჯავახიშვილი 1939 - ივ. ჯავახიშვილის ფონდი N 1939, ლ. ლეონიძის წერილი ივ. ჯავახიშვილისადმი ლენინგრადში არსებული ქართული ხელნაწერების შესახებ, 22 / III, 1929, ლენინგრადი - თბილისი
- ჯავახიშვილი 2044 - ივ. ჯავახიშვილის ფონდი N 2044, ლ. მუსხელიშვილის წერილი ივ. ჯავახიშვილისადმი, 20 / VIII, 1930, აბასთუმანი - თბილისი

ჯავახიშვილი 2098 - ივ. ჯავახიშვილის ფონდი N 2098, გ. ნიორაძის წერილი ივ. ჯავახიშვილისადმი არქეოლოგიური ექსპედიციის მიმდინარეობის შესახებ მცხეთაში, 4 / III, 1924, მცხეთა - თბილისი

ჯავახიშვილი 2099 - ივ. ჯავახიშვილის ფონდი N 2099, გ. ნიორაძის წერილი ივ. ჯავახიშვილისადმი არქეოლოგიური ექსპედიციის მიმდინარეობის შესახებ მცხეთაში, 7 / III, 1924, თბილისი

ჯავახიშვილი 2516 - ივ. ჯავახიშვილის ფონდი N 2516, მამის, ალ. ჯავახიშვილის წერილი ივ. ჯავახიშვილისადმი, 22/X, 1898, თბილისი

ჯავახიშვილი 2985 - ივ. ჯავახიშვილის ფონდი N 2985, საქმე სრულუფლებიანი კომისიისა სპზ საჯარო ბიბლიოთეკიდან და აზიის მუზეუმებიდან ქართული ხელნაწერების საქართველოში გადმოცემის შესახებ, 9/I - 20/III, 1923

ჯავახიშვილი 2986 - ივ. ჯავახიშვილის ფონდი N 2986, ნ. მარის განცხადება მეცნიერებათა აკადემიის მდივნის სახელზე ქართული ხელნაწერების საქართველოსთვის გადაცემის შესახებ, 1923

ჯავახიშვილი 2988 - ივ. ჯავახიშვილის ფონდი N 2988, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის მატერიალური კულტურის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორის პროტესტი განსახკომის სახელზე მცხეთისა და ნაქალაქევის გათხრების ამერიკელებისათვის მინდობაზე, 9 / IV, 1924, ლენინგრადი - თბილისი

ჯავახიშვილი 1956 - ივ. ჯავახიშვილი, ქართული ენისა და მწერლობის ისტორიის საკითხები, თბ., 1956

ჯავახიშვილი 1992 - ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტომი VI, თბ., 1992

„ჩვენი“ 1924 - „ჩვენი“ (ფსევდ.), „პროფესორი, რომელმაც სთქვა სიმართლე შოვინისტ პროფესორებზე“, „კომუნისტი“, 2 / VII, 1924

ჯორბენაძე 1984 - ს. ჯორბენაძე, ცხოვრება და ღვაწლი ივანე ჯავახიშვილისა, თბ., 1984

პირთა საძიებელი - Personal index

აბაშიძე კ. - 18, 63

ავალიშვილი ზ. - 8, 152, 153, 155, 162, 164, 166, 195

ალიხანოვი - 58, 59

აფხაზი (თავადი აფხაზი) - 66

ბარტოლდი ვ. - 130

ბერიძე ვ. - 28, 103

ბლეიკი რ. - 140

ბორკი ბ. - 79, 80

ბროსე მ. - 100

გენკო ა. - 132, 133

გვანცელაძე თ. - 162

გოლიცინი - 17, 57

დადიანი ე. - 162,

დავით აღმაშენებელი - 111, 139

დირი ა. - 79, 80

დონდუა ვ. - 139

ერეკლე - 117

ვაშაკიძე - 162

ველიჩკო - 57

ვორონცოვ-დაშკოვი - 17, 57, 58

ვოსტორგოვი ი. - 15, 26, 121

ზალემანი კ. - 28, 104, 109

თავდგირიძე ნ. - 61, 90, 91

თაყაიშვილი ე. - 25, 31, 66, 140, 152, 178, 179, 194, 195

იანუშკევიჩი - 60

ინგოროყვა პ. - 130

იოანე (საბანისძე) - 99

იოვანე (ქართველი) - 146

კაკაბაძე ს. - 130
 კეკელიძე კ. - 25, 130, 138, 194
 ლეონიძე ლ. - 139, 195
 ლორთქიფანიძე კ. - 15, 194
 მარი ი. - 130
 მარი ნ. - 3, 5, 6, 8, 10, 12, 16, 17, 18, 19, 20, 21, 22, 23, 24, 25, 26, 27, 28, 29, 30, 31, 32, 33, 85, 88, 89, 91, 93, 94, 95, 96, 98, 99, 101, 102, 103, 104, 105, 106, 107, 108, 109, 110, 111, 112, 113, 114, 115, 117, 120, 121, 122, 125, 127, 128, 129, 130, 131, 132, 133, 134, 135, 136, 137, 138, 140, 141, 142, 146, 152, 153, 156, 157, 158, 159, 160, 161, 172, 174, 175, 176, 177, 178, 179, 180, 181, 182, 183, 184, 185, 186, 187, 188, 189, 194, 196,
 მახარაძე ფ. - 181, 182
 მენშიკოვი - 121
 მიქაუტაძე მ. - 162
 მუსხელიშვილი ლ. - 156, 197
 ნანიშვილი გ. - 164
 ნუცუბიძე შ. - 16, 154, 165
 ოლდენბურგი ს. - 130, 132, 151
 პეტრიაშვილი ვ. - 15
 პიტირიმი - 60
 პოკროვსკი მ. - 130, 136, 146, 181
 ჟურული - 66
 სელიხანოვიჩი ალ. - 94
 სუვორინი - 121
 ტაბიძე მ. - 162
 ტიშენდორფი - 133
 უსპენსკი პ. (ეპისკოპოსი) - 133, 139
 ფუტკარაძე ტ. - 162
 ყიფშიძე ალ. - 91
 შანიძე ა. - 7, 28, 130, 133, 134, 137, 138, 146, 147, 148, 149, 156, 183, 184

შეროზია რ. - 162
 ჭავჭავაძე ი. - 11, 13, 14, 18, 57, 59, 181, 186
 ჭყონია ი. - 28, 103
 ჯავახიშვილი ივ. - 1, 3, 5, 6, 8, 9, 10, 11, 12, 13, 16, 23, 24, 25, 26, 27, 28, 29, 31, 85, 88, 130, 131, 132, 133, 134, 136, 137, 138, 139, 140, 141, 142, 143, 152, 153, 154, 155, 156, 157, 160, 161, 162, 165, 166, 172, 178, 180, 181, 182, 184, 186, 188, 194, 195, 196
 ჯგუშია დ. - 7, 132, 137, 150

საგნობრივი საძიებელი - Subject index.

აგრესია - 3, 18, 25, 118, 135, 136, 157, 158, 161, 171
 ავადმყოფური ნაციონალისტობა - 26
 ავარული - 84
 ავტოკეფალია - 60
 ავტონომია - 15, 71, 80, 87
 ავტონომიური - 71, 72, 80, 87, 88,
 აზიის მუზეუმი - 32, 131, 132, 133, 134, 148, 149, 196
 ათონის ბიბლია - 134
 აკადემიის მოამბე - 16, 141
 ალმა მატერი - 77
 ამერიკელი - 22, 27, 152, 153, 154, 155, 156, 160, 161, 162, 163, 164, 165, 166, 167, 175, 187, 195
 ამერიკული სკოლები - 81
 ანტიმეცნიერული დებულება - 180
 ანტირუსული ქმედება - 24, 187
 ანტისაუნივერსიტეტო გამოსვლა - 24
 ანტისაუნივერსიტეტო კამპანია - 9, 12, 178, 180, 181, 182, 183, 189,
 ანტისემიტური რეპუტაცია - 60

არმენტმცოდნეობა - 69, 71
არქეოლოგია (არქეოლოგიის...) - 8, 22, 65, 78, 79, 83, 103, 132, 152, 154, 155, 156, 159, 160, 162, 163, 164, 166, 167, 175, 187, 195, 196
არქეოპოლისი - 163, 167
ასურეთი - 78
აფხაზები - 75
აღმოსავლეთმცოდნე - 16, 22, 65, 66, 68, 69, 77, 83, 87,
აღმოსავლური ენების ფაკულტეტი - 17, 18, 66, 67, 68
ახლო აღმოსავლეთი - 65
ბაბილონი - 78
ბარბაროსული ღონისძიება - 156, 167, 176
ბიზანტია - 65, 139
ბოლშევიკური პლატფორმა - 182
ბოლშევიკური რეპრესიები - 12
ბურჟუაზიული პროფესორი - 183
გადმონაშთური წარმოდგენები (გადმონაშთური იდეოლოგია...) - 20, 21, 56, 75, 76, 135
განახლებული რუსეთი - 67, 96
გატეხილი ფიცი (**რუსეთის მიერ**) - 85, 117
გერმანელები - 79, 80, 125
გლეხთა მასები - 74
დაგვიანებული ზედნაშენი - 168
დადგენილება - 64, 130, 134, 149, 159, 175, 178, 188
დარტყმა მეცნიერულ კავკასიათმცოდნეობაზე - 18, 68
დარღვეული ხელშეკრულება - 117
დასავლეთევროპული მეცნიერება - 21, 76
დაღესტანი - 74
დახავსებული - 158, 170
დედაენა - 14, 16, 27, 96, 98, 99, 172
დემოკრატიული თავისუფლება - 63
დიდგვაროვანი ინტელიგენცია - 56

დიპლომატიკა - 106
დოქტორის ხარისხი - 19, 72
დოქტორის ხარისხი - 19, 72
დროებითი მთავრობა - 85
ებრაელები - 60
ეგვიპტე - 154, 163
ევროპა - 77, 79
ევროპელი - 22, 27, 69, 79, 81, 157
ევროპული ორიენტაცია - 153
ეთნოგრაფია - 62, 74
ეთნოგრაფიის საზოგადოება - 62
ეკლესია - 13, 15, 21, 26, 58, 60, 65, 72, 103, 106
ემიგრანტი - 155
ემიგრაცია - 152, 154, 155
ეპიგრაფიკა - 65
ერევანი - 70
ეროვნული თვითმყოფადობა - 11
ეროვნული კარჩაკეტილება - 157, 170
ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობა - 11, 13, 27, 186
ეროვნული დაწყებითი სკოლა - 98
ეროვნული მეცნიერება - 13, 14, 29, 159
ეროვნული სკოლა - 11, 186
ეროვნული ხიშტი - 158
ესტონელი - 113
ექსპერიმენტული ფონეტიკა - 83
ექსპერტები - 132, 133, 139, 173
ეჩმიაძინი - 71
ვაკანტური ადგილი (კავკასიაში) - 71, 79
ვერაგობა (რუსული ვერაგობა) - 116
ზოოლოგიური იდეოლოგია / ზოოლოგიური შოვინიზმი/
ზოოლოგიური ნაციონალიზმი - 20, 75, 135, 136, 145, 157, 159, 170, 171, 185, 187

თბილისი - 6, 7, 11, 18, 19, 22, 23, 24, 25, 26, 28, 31, 32, 55, 59, 62, 72, 79, 81, 85, 88, 107, 116, 122, 129, 131, 132, 133, 134, 135, 137, 140, 141, 142, 143, 148, 150, 151, 154, 156, 157, 162, 167, 170, 178, 179, 186, 187, 194, 195, 196
თბილისის უნივერსიტეტი - 6, 7, 11, 24, 28, 82, 132, 134, 135, 137, 140, 141, 142, 143, 150, 154, 156, 186, 187
თეორეტიკოსები - 64, 106
თვითგამორკვევა - 74, 76
თურქები - 57, 75
თურქეთი - 60, 62, 70, 79, 80
იაპონია - 79
იაფეტური - 18, 28, 66, 83, 102, 103, 104, 109, 110, 140, 141, 144, 156, 161, 168, 183, 184
იდეოლოგია - 12, 20, 75, 80, 135, 153, 157, 158, 159, 169, 180, 182, 183, 185
იმპერიული ძალები - 11, 12, 186
ინდოევროპული - 66, 103, 184
ინდოევროპული თეორია - 184
ინტელიგენცია - 24, 81, 185
ისტორია - 11, 13, 65, 72, 78, 106, 168, 181
ისტორიოგრაფიული სკოლა - 12, 187
ისტორიული ანაქრონიზმი - 73
კავკასია - 13, 18, 19, 20, 22, 23, 26, 56, 57, 61, 63, 64, 67, 68, 69, 70, 71, 72, 73, 77, 79, 80, 81, 82, 84, 85, 105, 118, 120, 125, 156, 161, 167, 168
კავკასიათმცოდნე (კავკასიათმცოდნეობა) - 18, 19, 22, 61, 64, 67, 68, 69, 71, 77, 79, 167
კავკასიელ ბრიყვი - 169
კავკასიის ღვიძლი შვილი - 85,
კავკასიის ცენტრი - 72, 74, 80, 116, 158
კავკასიის ხალხი (ხალხები) - 17, 20, 22, 63, 75, 81, 86, 87
კავკასიური ნაციონალური ურთიერთობები - 69

კავკასიური ცხოვრება - 20, 74
კავკასიური ცხოვრება - 20, 74
კერძო უმაღლესი სასწავლებელი - 126
კოლექცია - 130, 137, 139, 145, 150
კონკურენცია - 79
ლაზარევსკის ინსტიტუტი - 70, 82
ლატვიელი - 113
ლინგვისტი - 83
მარიონეტი - 189
მატერიალური კულტურის ისტორიის ინსტიტუტი - 8, 156, 166, 196
მაქსიმალისტური ოცნებები - 126, 128
მეთოდოლოგია - 14, 180, 181, 183, 184, 186
მესამე რანგის მოქალაქე - 21, 76
მეტროლოგია - 106
მეცნიერებათა აკადემიის მოტივირებული განცხადება - 131
მეცნიერულად უსაფუძვლო აქტი - 135, 146
მეცნიერული მონოპოლიზმი - 25
მომავალი ისტორიკოსი - 12, 30, 89
მონათესავე ენები - 109
მოსკოვი - 70, 155, 165, 195
მოქალაქეობრივი პოზიცია - 142, 188
მოძღვარ-მოწაფე - 29, 107,
მსოფლიო კულტურა - 26, 85, 122,
მსოფლიო ომი - 17, 59
მსოფლიო ფასეულობა - 85
მუსულმანი - 62, 74, 75, 80
მწვანეებლურ-ნაციონალისტურ სული - 128
მხოხავი ემპირისტი - 180
ნაციონალიზაცია - 17, 18, 62, 64, 68
ნაციონალისტ-რომანტიკოსი - 106
ნაციონალისტები - 104

ნაციონალისტური მიმართულება - 24, 89, 184, 187
ნაციონალისტური ცრუმორწმუნეობა - 169
ნაციონალური უნივერსიტეტი - 19, 21, 22, 76
ნაციონალური - 15, 17, 18, 19, 20, 21, 22, 23, 26, 28, 55, 56, 57, 59, 60, 61, 62, 63, 64, 66, 68, 69, 70, 71, 72, 73, 74, 75, 76, 77, 79, 80, 81, 82, 87, 135, 136, 145, 158, 161
ნაციონალური განკერძოება - 20, 74
ნაციონალური დაპირისპირება - 17
ნაციონალური მოძრაობის ქართული ფრთა - 63
ნუმისმატიკა - 106
ობიექტური სამეცნიერო თვალსაზრისი - 19, 69
ობივატელური - 74
ოდესის უნივერსიტეტი - 16
ორიენტალისტი - 67, 83, 112, 139,
ოსური - 74, 106
პალეოგრაფია - 65, 106
პალესტინა - 140, 154, 163
პალიმფსესტი - 137
პერგამენტი - 139
პეტერბურგი/პეტერბურგის (/პეტროგრადის /
ლენინგრადის) - 15, 16, 17, 18, 30, 32, 68, 71, 80, 87, 89, 93, 101, 102, 105, 106, 113, 114, 122, 153
პირადი მონოპოლია - 104
პირწავარდნილი ნაციონალიზი - 185
პოლიტიზებული ძალა - 29
პოლიტიკური მიდრეკილება - 26, 107
პოლონელი - 105, 113
პროფესორთა კოლეგია - 141
პროფესორთა საბჭო - 6, 141, 142, 188
პროფესორული ნაციონალიზმის ტროგლოდიტები - 158, 171
რეაქციონერი პროფესორი - 180

რეაქციული ღონისძიება - 178
რელიგიური აზროვნება - 20, 75
რუსები - 57, 116, 120
რუსეთი - 3, 6, 7, 11, 12, 13, 15, 16, 18, 20, 21, 22, 24, 26, 27, 63, 66, 67, 70, 72, 73, 77, 78, 79, 80, 81, 82, 83, 85, 86, 88, 93, 96, 99, 100, 105, 113, 115, 116, 117, 120, 121, 122, 125, 128, 129, 130, 131, 132, 133, 134, 135, 139, 141, 145, 146, 148, 149, 150, 153, 155, 159, 165, 167, 171, 173, 174, 179, 181, 186, 187, 188, 196
რუსეთის დროებითი მთავრობა - 123,
რუსეთის იმპერია - 3, 12, 13, 15, 16, 21, 26, 153, 171, 188
რუსეთის მეცნიერებათა აკადემია - 7, 11, 16, 130, 131, 134, 135, 141, 146, 148, 149, 186, 196,
რუსეთის ფედერაცია - 7, 130, 132, 150
რუსულად წერა - 27, 125
რუსული განმათავისუფლებელი მოძრაობა - 61
რუსული გულმოდგინება - 26
რუსული კულტურული ორიენტაცია - 82
რუსული მეცნიერება - 23, 66, 78, 85
რუსული ორიენტალისტიკა - 139
რუსული რევოლუცია - 19, 63, 72, 86
რუსული სამეცნიერო მსოფლმხედველობა - 101
სააზიო მუზეუმი - 130
საარქეოლოგო - 154, 162, 163
საბჭოთა ისტორიოგრაფია - 136, 181
საბჭოთა პოლიტიკოსები - 155
საგანგებო კომიტეტი - 18, 62, 63, 66, 67
სადავო ხელნაწერები - 132
საერთოკავკასიური - 22, 77
საექსპერტო კომისია - 133
საზოგადოებრივი აზრი - 24, 89, 187
სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკი - 14

სამეცნიერო ხარისხი - 19, 25, 65, 72, 84, 108, 111, 117, 127, 140, 187, 194
სამეცნიერო აკადემია - 7, 24, 27, 88, 90, 91, 93, 101, 125, 134, 146, 147, 173, 178, 179,
სამოქალაქო ცხოვრება - 20, 72
სამხედრო ძალა - 13, 26, 107
საპროგრამო წიგნი - 98
საპროტესტო წერილი - 6, 7, 135, 137, 138, 140, 143, 157
სასიკვდილოთ განმზადილი ხალხი - 158
საქართველო - 3, 6, 7, 8, 11, 12, 13, 14, 15, 16, 18, 20, 24, 26, 27, 29, 55, 56, 58, 59, 60, 61, 62, 64, 67, 72, 73, 74, 77, 80, 85, 92, 103, 106, 107, 113, 116, 117, 119, 120, 121, 125, 127, 128, 130, 131, 132, 133, 135, 136, 137, 138, 141, 146, 147, 148, 150, 152, 153, 154, 155, 158, 159, 160, 162, 163, 164, 165, 167, 171, 172, 173, 174, 175, 176, 178, 179, 180, 181, 186, 187, 194, 195, 196
საქართველოს ანგარიში - 67
საქართველოს გამოყოფა - 127
საქართველოს დამოუკიდებლობა - 117
საქართველოს მთავრობა - 154, 173, 175, 176
საქართველოს საეკლესიო ისტორია - 103, 106
საქართველოს სახალხო კომისართა საბჭო - 155, 159, 175, 178
სახალხო კომისარიატი - 130, 136, 155, 167
სახელმწიფო უნივერსიტეტი - 9, 172
სახელმწიფო ხაზინა - 23, 87, 129
სექტანტურ-ნაციონალისტური - 78
სინას მთა - 140
სიტყვის კონა - 103
სკოლა - 58, 60, 64, 66, 71, 75, 82, 123, 132, 137, 140
სლავური - 66, 103
სომეხი - 17, 21, 57, 58, 62, 70, 71, 73, 74, 81, 82, 84, 114, 129
სომხური - 25, 60, 69, 70, 71, 76, 82, 100, 106, 129

სომხური საისტორიო მწერლობის ისტორია - 106
სოციალ-დემოკრატია - 17, 59, 62
სპარსული - 65, 75, 103
სრულუფლებიანი კომისია - 130, 133, 136
სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი - 130
სულიერი ნათესაობა - 29, 107,
ტაძარი - 124
ტერმინი - 13, 14, 15, 16, 18, 27, 28, 66, 73, 74, 103, 137, 194
ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი - 89, 146, 160,
უგუნური თვითწაქეზება - 145
უგუნური ნგრევა - 145
უკიდურეს ნაციონალისტთა საქმე - 96
უკრაინელი - 113
უნაყოფო (ქვეყანა) - 135, 136, 145, 187
უნიადგო თეორეტიკოსები - 106
უნივერსალიზმი - 22, 77
უნივერსიტეტი - 16, 17, 68
უნივერსიტეტის დაშლა - 9, 12, 178, 189
უნივერსიტეტის რეორგანიზაცია - 178, 179, 188
უნიკუმი - 175
უცხო ენის ბატონობა - 96
ფედერალიზმი - 63
ფედერალისტ-ნაციონალისტები - 63
ფელეტონი - 153
ფონემა - 84
ფოტოგრაფიული - 138, 126, 149
ფოტოპირთა ასლები - 134, 148
ქართველთა ავადმყოფური ეროვნული გრძნობა - 96
ქართველთმცოდნეობა - 19, 61, 65, 68, 69, 131, 132, 137, 138, 151, 161
ქართველი - 11, 12, 13, 14, 15, 19, 20, 21, 24, 26, 28, 31, 56, 57, 58, 60, 61, 62, 63, 64, 66, 68, 69, 70, 71, 72, 73, 74, 75, 77, 79, 84,

86, 91, 98, 105, 109, 113, 118, 120, 121, 127, 128, 132, 136, 137, 145, 151, 152, 155, 157, 158, 168, 170, 172, 183, 185, 186, 188, 189, 198
ქართველი სტუდენტი - 61
ქართველოლოგია - 11, 16, 19, 28, 138, 142, 158, 186
ქართული ეროვნული მეცნიერება - 89
ქართულად ღვთისმსახურება - 60
ქართულენოვანი მეცნიერება / და განათლება / - 11, 18, 136, 140, 186,
ქართულენოვანი ტერმინოლოგია - 14, 15
ქართული ენათმეცნიერება - 28, 65, 103, 104, 112
ქართული ენის უფლებები - 13
ქართული მეცნიერება - 3, 12, 17, 24, 29, 61, 135, 141, 152, 178, 187, 188, 189
ქართული მწერლობა - 103, 140
ქართული პალეოგრაფია - 106, 164
ქართული პედაგოგიკა - 14
ქართული სასულიერო მწერლობა - 106
ქართული უნივერსიტეტი - 3, 5, 11, 12, 14, 16, 17, 18, 19, 23, 24, 25, 28, 31, 32, 33, 55, 64, 66, 68, 70, 71, 77, 80, 84, 86, 93, 96, 98, 101, 105, 137, 138, 141, 152, 159, 161, 170, 171, 186, 187, 188
ქართული ღვთისმსახურება - 60
ქართული ხელნაწერები - 6, 7, 12, 32, 130, 134, 135, 138, 139, 143, 145 158, 160, 195, 196
ქართული ხელოვნების ისტორია - 65, 103, 106
ქრონოლოგია - 59, 106
ღირსეული მსჯავრი - 12, 30, 89
ყალბი მამულიშვილური თავმოყვარეობა - 108
ყორღანული - 78
ყოფილი სამეფისმოადგილეო საზღვრები - 121
შედარებითი ფონეტიკა - 83
შეუნდობელი სტრიქონები - 153

შოვინისტი - 26, 56, 124, 156, 159, 168, 171, 181, 196
ჩერქეზული - 74
ჩეჩნური - 74
ცენტრალური არქივი - 136, 146, 147, 148, 150, 172, 195
ძველი რეჟიმი - 63, 82, 84, 118
ძირითად კოლექციათა სია - 130
წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება - 14
წესდება - 17, 61, 66, 90, 92, 117, 179
ხევსურული კილო - 103
ხეთები - 78
ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი - 130
ხუცური ხელნაწერი - 139
ჰეგემონია - 62, 63

სამიებელი შეადგინა ცოტნე ფუტკარაძემ

ნიკო მარისა და ივანე ჯავახიშვილის ციტირებები

/მითითებულია წინამდებარე წიგნის გვერდები/:

ნიკო მარი:

"ქართველ გლეხთა მასების შეგნებული ნაწილი წინააღმდეგია კავკასიური ცხოვრების ნაციონალისტური კონსტრუქციისა, წინააღმდეგია საქართველოს ნაციონალური განკერძოებისა" /გვ. 74/

"თვით კავკასიის ხალხთა ღრმა სულიერი ინტერესები მოითხოვს, სწორედ კულტურული ორიენტაციის შენარჩუნებას რუსეთის მიხედვით და შემდგომში მის განვითარებას საერთო თუ საურთიერთო თანამშრომლობაში... უნდა გავიხსენოთ რუსული მეცნიერების ზოგადსაკაცობრიო ინტერესები, მისი საჭიროებები, კერძოდ, მასალებზე გაზრდილი მოთხოვნილებები და, ბევრი მიზეზით - სწორედ იმ მასალებზე, რომლებითაც სავსეა კავკასია" /გვ. 81/

"მინდა დავადასტურო, რომ რუს პოეტ ბრიუსოვის რედაქციით ერთი წიგნის - ურთიერთგაგების ნაყოფის - „სომხური პოეზიის“ გამოჩენამ, უფრო მეტად იმოქმედა სომხებში რუსული კულტურული ორიენტაციის განმტკიცებაზე... ვიდრე ძველი რეჟიმის ყველა გამარჯვებულმა ზომამ" /გვ. 82-83/.

"გაერთიანება, რომელიც დაფუძნებულია ხელისუფლების მოღერებულ მუშტზე (ვისაც არ უნდა ეკუთვნოდეს ეს ხელი - დიდ თუ პატარა ხალხს), უნდა შეიცვალოს მონათესავე კულტურათა სინთეზის საფუძველზე გაერთიანებით. საამისოდ ჩვენ ან დაუყოვნებლად უნდა შევუდგეთ მუშაობას ტფილისში უნივერსიტეტისათვის საძირკვლის ჩასაყრელად ახალ საწყისებზე, ან მზად უნდა ვიყოთ კავკასიის გარდაუვალი წასვლისათვის უცხო ბანაკში" /გვ. 86/.


ივანე ჯავახიშვილი:

"ჩვენ, ქართველ მეცნიერებმა მშობელი ერის კეთილდღეობის და წარმატებისათვის ხელისშესაწყობად აღმოსავლეთ ენების ფ-ტს თავი მივანებეთ და სამშობლოში წამოვედით ქართული უმაღლესი სასწავლებლის შესაქმნელად. მას [ნ. მარს] თურმე არ სჯეროდა და ვერც წარმოიდგენდა... ყოველი ადამიანისათვის, რომელსაც საზოგადოებრივი ალლო აქვს, ეროვნული შეგნება მოეპოვება და მთლად გადაგვარებული არ არის, ჩვენი ნაბიჯი სრულებით ადვილი გასაგები უნდა იყოს" /გვ. 112-113/.

"ერეკლე მეფეს იმისთვის არ დაუდვია რუსეთთან ხელშეკრულობა, რომ საქართველოს ისიც დაეკარგა, რაც მას აუცილებლად ჰქონდა და თუ აკად. ნ. მარს თავისთავი რუსის ხალხის მესაიდუმლე მრჩეველად და მოძღვრად მიუჩნევია და თავის პოლიტიკურს მრწამსსა და ზნეობას ძალასა და ძალმომრეობაზე არ ამყარებდეს, მას [ნ. მარს] რუსეთის დროებითი მთავრობისათვის უნდა მოეგონებინა სწორედ ის, რის დავიწყების არც პოლიტიკური და არც ზნეობრივი უფლება მართლაც რომ არ ჰქონდა: გატეხილი ფიცისა და დარღვეული ხელშეკრულების აღდგენა!" /გვ. 117/.

"აკად. ნ. მარმა იმ დროს, როდესაც ჩვენი ქართული უნ-ტის გახსნის ნებართვას ვთხოვლობდით, რუსეთის მაშინდელ მთავრობაში წინადადება შეიტანა, რომ თბილისში საჯაროდ რუსული სახელმწიფო უ-ტი გახსნილიყო. რა მიზნით? იმ მიზნით, რომ, რათგან რუსეთის სახელმწიფოში მცხოვრები ერნი საერთო ეროვნულ-ნათესაობრივ კავშირსა და შედუღებას მოკლებულნი არიან, მათ ისეთი კულტურული დაწესებულებანი ესაჭიროებათ, რომელნიც ამ შედუღებას ხელს შეუწყობენ" /გვ. 122-123/.

p.s.
კარგად
უნდა ვიცოდეთ წარსული,
რომ
მომავალი სწორად დავგეგმოთ



ივანე ჯავახიშვილი:

"აკად. ნ. მარს, სრული საშუალება ჰქონდა ადამიანური დამოკიდებულება დაემყარებინა და მოქცეულიყო ისე, როგორც იქცევა ყოველი პატიოსანი ადამიანი, უკან წაეღო თავისი შეურაცხყოფა და ბოდში მოეხადა, მაგრამ მან ეს, როგორც ეტყობა, არ ინება".